ქუთაისის განსაკუთრებული ბიბლიოთეკა
№ 10

საქართველოს

ისტორია

თავადის ს. მარათაშვილისა

ნათარგმნი ს. ხუნდაძის მიერ

რვეული I

საქართველოს ძველი ისტორია

ქუთაისი 1895

Типо-Литографія Н. Н. Гамрекели.

ძმანო, მტკიცენ ესდეგით და შეიკრძალეთ
მოძღვრებაჲ ესე, რომელიცა გისწავიეს.»
(თესალონიკელთა პირველთა ეპისტოლე
წმ. პაულე მოციქულისა: თავი II, მუხ. 15).

ქართველ ხალხის

პირველი გადმოცემანი

(ქართველთ მომდინარეობის დროიდან სამეფოს დაარსებამდი).

I.

ქართველ ხალხის მომდინარეობა და მისი დასახლება კავკასიაში.

ვრცელი ხმელთაყელი შავისა და ქასპიის ზღვას შუა, არეზის მდინარიდან კავკასიის მთების სათოვლო ზურგამდის, უძველეს დროშივე მოსახლებული იყო ხალხით, რომელსაც ახლა ქართველებს უწოდებენ. ამ ხალხის დასაწყისი კაცთა პირველ საზოგადოებათა დაარსებამდის მიაწევს და იმავე წყვდიადით არის დაფარული, რომელიც გარს არტყია ქალდეველთა და საზოგადოთ აღმოსავლეთის ყველა პირველყოფილ ხალხთა მომდინარეობის ისტორიას. ოცდა-თუთხმეტმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რა რომ მწერლობა და ისტორიული ლიტერატურა დაარსდენ. ოც-და-თუთხმეტის საუკუნის განმავლობაში ფილოსოფიური ჭკუა ამაოდ ცდილობს წყვდიადის განათებას: ყოველ მეცადინეობის ნაყოფი არის მხოლოდ გონებითი დასკვნა, რომელიც გვირკვევს კაც-

თა პირველ საზოგადოებათა მომდინარეობის მარტო საზოგადო ბუნებრივ ხასიათს; კერძო გარემოებანი კი, რომელნიც ყოველ ხალხის ცხოვრების განსაკუთრებულს ინდივიდუალურ ხასიათს შეადგენენ, სრულიად გამოუცნობელნი რჩებიან. ახლანდელ დროში ენათ ცოდნა და ფიზიოლოგია უმტკიცეს საშუალებად მიაჩნიათ რომელიმე ხალხის დასაწყისის გამოკვლევისათვის, მაგრამ გამოკვლევის ამგვარ სახსარს ჯერ არ აქვს ფეხი მოდგმული და შეუძლია მხოლოდ მომდინარეობისა და ხალხებთან მიმოსვლის ოდნავ გამოცნობა; იმის შესახებ კი, თუ რაში მდგომარეობდა ეს მიმოსვლა, ამ გვარი გამოკვლევა არავითარ ცნობას არ გვაძლევს. ამიტომაც ძველმა ისტორიამ უნებლიედ უნდა მიმართოს ზღაპრულ გადმოცემებს: ისტორიკოსი ცდილობს, რომ ჭეშმარიტების მცირედი კვალი იპოვოს ამ გადმოცემებში.

ძნელია და თითქმის შეუძლებელიც იმის გამოკვლევა, თუ როდის და ვისგან არიან თავდაპირველად შეკრებილნი და მატიანეში შეტანილნი ქართველ ხალხის სიტყვიერი გადმოცემანი. მაგრამ საქართველოს ისტორიულ ლიტერატურის დასაწყისი უეჭველად უძველეს დროს უნდა ეკუთვნოდეს. ბევრია იმისთანა ხალხი, რომელსაც საკუთარი მწიგნობრობა არ აქვს და რომელიც თავისს გადმოცემებს სხვის ანბანის შემწეობით სწერს; იმისთანა ხალხი კი ერთიც არ მოიძებნება, რომელსაც მწიგნობრობა ჰქონდეს და თავისი მატიანე კი არა-

ლიტერატურის შემწეობით გადმოცემათა დაცვა კაცობრიობისათვის აუცილებელს ბუნებით საჭიროებას შეადგენს და ამიტომაც ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქართულ მატიანეთა არსებობა დაწყებულა ქართულ ანბანის გამოგონების პირველ ხანებშივე, ე. ი. ქრისტეს წინეთ მე-III საუკუნეში, და მას შემდეგ ქართველ ხალხის ცხოვრებაში ყოველთვის ყოფილა.

უმთავრესი ქართული მატიანე, ესრედ წოდებული «ქართლის ცხოვრება», რომელშიაც დაცულნი არიან უძველესი გადმოცემანი, მე-XIII საუკუნეშიაც კი იყო ცნობილი თვით ამავ სახელწოდებით. ბასულ საუკუნის დასაწყისში, მეფის ვახტანგ VI ბრძანებით ის მატიანე შესცვალა ანუ, როგორც ვახტანგ მეფის შვილი ვახუშტი გვარწმუნებს, გაასწორა სწავლულ კომისიამ; ამ უკანასკნელმა შეკრიბა ხსენებულ მატიანის რამდენიმე ხელთნაწერი ეკზემპლიარი, საეკლესიო გუჯრები და ადგილობრივ წარჩინებულ გვართა სიგელები, აგრეთვე სპარსული და სომხური ისტორიული წიგნები, შეუმოწმა ისინი ერთმანერთს, შემდეგ შეასწორა და შეავსო ერთი უძველესი ხელთნაწერთაგანი და გამოსცა ის იმ სახით, როგორც არის ახლა დაბეჭდილი ვახტანგის «ქართლის ცხოვრება». მაგრამ ამ კომისიის მოქმედებით გასწორდა ეს მატიანე, თუ იმის უარესად დამახინჯდა, სანამ ვახტანგის მეფობამდის იყო—ამის გარჩევა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ რომ ხსენებულ მატიანის

პირველი დედნები გვქონოდა ხელში.

ახლანდელ მატიანის სხვა და სხვა ნაწილებს სხვა და სხვა ხასიათი აქვს: ზოგიერთი ადგილები თაეისის კილოთი დაბადებას მოგვაგონებენ და ზოგიერთი კი—ან სომხურ ისტორიასა და ან სპარსულ პოეზიას. შესახებ იმისა, თუ რამდენად მართალია ფაკტები და ქრონოლოგიურად დაწყობილი—ჩვენ გვექნება შემთხვევა ჩვენს წერილებში მკითხველებს მივსცეთ ანგარიში; მაგრამ მას შემდეგ, რაც შახტანგის კომისიამ გადააკეთა ეს მატიანე, ჩვენ არა გვაქვს უფლება, რაიმე სწორი და მეცნიერებისათვის სასარგებლო დასკვნა გამოვიყვანოთ იმ ფაკტების შეხედულებითა და დაფასებით, რომელიც ამ მატიანეში მოუქცევიათ. ჩვენის აზრით, ამ მატიანის დამწყებთა ღა განმაგრძობელ წელთაღმწერთა შეხედულება და ფაკტების დაფასება რომ დაცულიყო, არათუ ნაკლულევანებად ჩაითვლებოდა, არამედ ეს პირიქით ისეთივე საყურადღებო იქნებოდა, როგორც თვით ფაკტების დაცვა, და მაშინ უფრო ადვილად შესაძლებელი იქნებოდა აგვეხსნა ქართველ საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი განვითარება მის ცხოვრების სხვადასხვა ხანებში.

აი ეს მატიანე ავირჩიეთ ჩვენ ამ წერილების ძირითად წყაროდ და იქიდან ჩვენ მხოლოდ იმგვარ ფაკტებს ვიღებთ, რომელიც, ერთის მხრით, მხოლოდ იმდენად განვითარებულია, რომ მათში მაინც დაცულია მატიანის ხასიათი, და მეორეს მხრით იმდე-

ნად მშრალი, რომ აშორებული ვახტანგის კომისიის მრავალგვარ მჭევრმეტყველობასა. დანარჩენი მასალები კი, მაგალ. სხვა ხალხების მატიანეები, ისტორიები, ქრონოლოგიები, გეოგრაფიები, ატლასები, მოგზაურობანი, სამოქალაქო და სარწმუნოებრივი კანონები და სხვა და სხვა აკტები, რომლებითაც ჩვენ ვისარგებლეთ ჩვენის წერილების შედგენისათვის, უნდა მოვიხმაროთ ქართულ მატიანეთა ფაკტებთან შესადარებლად და იმათ შესასწორებლად და შესავსებად, როგორც კი გონება გაგვიჭრის.



ქართველ ერის გადმოცემანი თავიანთ მოთხრობას იწყებენ ნოეს შემდეგ მეოთხე თაობიდან. ისინი მოგვითხრობენ, პირველად: რომ ქართველებიცა და სომხებიც იაფეტის შვილის-შვილის თარგამოსის ანუ თოგორმისაგან შთამომავლობენო და თარგამოსი თავის მრავალ ნათესავებიანათ არარატის მთის მახლობლად დაესახლაო. თარგამოსის შვილებმა მამის სამფლობელო გაინაწილეს ერთმანეთშორის და სხვა და სხვაპხარეს წავიდ-წამოვიდენო: სომეხთ მამამთავარმა ჰაოსმა სომხეთის ტერიტორია დაიპყრო, ქართლოსმა კი და მისმა ექვსმა ძმამ [1]) დაიჭირეს მდ. არეზისაგან ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნები

[1]) აი ქართლოსის ძმების სახელები: ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასოსი და ეგროსი.

ძავკასიის მთებამდეო, ამ უკანასკნელთა ჩარიცხვით. მეორე: ქართლოსს შემდეგ მისმა შთამომავლობამ გაინაწილა ყველა ეს ქვეყნები, ააშენა შიგ მრავალი ქალაქი და ციხე 1) და ცდილობდა იგი თვისის დამოუკიდებლობის დაცვას, ჯერ ჰაოსის ფლობისმოყვარეობის წადილისაგან და მერმე მცხეთის მამასახლისების გაძლიერებისაგანო. ეს უკანასკნელნი ქართლოსის უფროს შტოისგან შთამომავლობდენ, მაგრამ ერთმანერთშორის ხანგრძლივ ბრძოლაში დაკარგეს ყოველივე მატერიალური უმჯობესობა სხვა შტოებზე და მხოლოდღა მამასახლისის წოდება დარჩათ, და მესამე: ამ დროს ქართველებმა ქეშმარიტი ღმერთი დაივიწყეს და დაიწყეს მზის, მთვარის და ხუთის ვარსკვლავის თაყვანისცემაო. ზანსაკუთრებულს საღვთო პატივს ქართველები თვისის საერთო მამამთავრის ქართლოსის ხსოვნას სცემდენო.

როდესაც ამ გადმოცემებს ვკითხულობთ, მაშინვე ვხედავთ, რომ ისინი სრულიად გამსჭვალულნი არიან დაბადებისა და სომხურ ისტორიის დასაწყისის კილოთი; ვხედავთ, რომ ის დრო, როდესაც ეს გადმოცემანი მატიანეში შეუტანიათ, ისე ძველი არ უნდა იყოს, როგორც ის ხანა, რომელსაც ეს გადმოცემანი ეკუთვნიან, და ალბათ ისინი ქართველებმა ქრისტეს სარწმუნოების მიღებისა და დაბადების გაცნობის შემდეგ შეადგინეს. მაგრამ ამავე დროს ეს გადმოცემანი ძლიერ ეთანხმებიან კაცთა საზოგადოების დაბადების წესს და შეუსაბამო ამბე-

ბით არ არიან დამახინჯებულნი, როგორც, მაგალითად, სხვა ხალხების პირველი გადმოცემანი, თვით იმისთანა ხალხებისაც, რომელნიც ქართველებზე გაცილებით უფრო გვიან დაარსებულან. ამიტომაც ისინი სრულიად ამართლებენ შეხედულებას, რომელიც არსებობს ქართველების მომდინარეობის შესახებ და შესახებ იმისა, თუ როგორი ცხოვრება ჰქონიათ ქართველებს იმ საუკუნეებში, როდესაც ისინი პირველად დასახლებულან ძავკასიაში. ამ საგნის გასაკვლევად ჩვენ არსად გვეგულება ამაზედ უფრო სარწმუნო ცნობანი.

უცხო ქვეყნების ძველ მწერლებს სხვადასხვა აზრი მოჰყავთ ქართველთ მომდინარეობის შესახებ: მაგალითად, ტაციტის აზრით, იბერნი და ალბანნი თავის თავს თესალიელთა შთამომავლებად რიცხავენ, რომელნიც იაზონს მოჰყოლიან ძოლხიდაში, და ამ აზრის დასამტკიცებლად ტაციტი ამბობს, რომ სახელი იაზონი ადგილობრივ ძლიერ ხშირად იხმარებაო [1]). მაგრამ ეს აზრი იმდენადვე არის სარწმუნო, რამდენადაც დიონისის აზრი, რომელიც გვარწმუნებს, რომ იბერნი პირენეის ნახევარკუნძულიდან, იბერიიდან, არიან გამოსულნიო. ამას გარდა ქართველთ მომდინარეობის შესახებ მსგავსივე ღირსების მოსაზრება მრავალი შეგიძლიათ წაიკითხოთ დიოდორის, სტრაბონის, იუსტინის, იოსების,

---

[1]) *Taciti, lib VI, cap. 34.*

ქედრენის, ზონარის და სხვების თხზულებებში.

ბამოჩენილი ეთნოგრაფი ვივიენ დე-სენ-მარტენი, პირველ ხალხთა და ქავკასიის უძველეს გადმოცემათა გამოკვლევებში, რომელიც 1846 წელს პარიზის ეთნოლოგურ საზოგადოებაში წაიკითხა მან, არჩევს ქართველების ამავე გადმოცემებს და შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: ერთი ის, რომ ქართველები და სომხები შეადგენენ ერთმანეთისაგან ძველათვე განცალკევებულს ორ შტოს ერთისა და იმავე ტომისას, რომელიც ინდო-კელტურ ოჯახობას ეკუთვნისო, და მეორე — ქავკასიის ყველა ხალხები, არეზის მდინარის ჩრდილოეთით მცხოვრებნი, ვექსინის პონტოისა და ქასპიის ზღვას შუა, თვისის მომდინარეობით ქართველ ტომის შტოები იყვენო. ამასთანავე მეცნიერულად ამტკიცებს, რომ თუ ქავკასიის რომელნიმე ახლანდელი მცხოვრებნი ენითა და გარეგან სახით გაირჩევიან ქართველებისაგან, ამას ჰქონია თავისი პატივსადები მიზეზები, რომელიც იცნო და სარწმუნოდაც ალიარა ზოგი ისტორიამ და ზოგი ფიზიოლოგიამო [1]).

ჩვენ ვეთანხმებით ვივიენ დე-სენ-მარტენის აზრს ქართველთა მომდინარეობის შესახებ და გარდა ამისა ამავე გადმოცემათაგან ვხედავთ, რომ ეს ხალხი

---

[1]) *Vivien de St. Martin, Recherches sur les populations primitives et les plus anciennes traditions du Caucase; p. 95—97.*

გაჩენილია ძველის-ძველ დროში და უცხოვრია ცალკე, როგორც ბინადარ ხალხს, ქართლოსის შთამომავლობის ფეოდალურ მართველობას ქვეშ.

ჩვენ ვიხმარეთ აქ სიტყვები «ფეოდალური მართველობა», მაგრამ ამით არ შეიძლება ასე დაშორებულ დროის ქართველთ საზოგადოებრივი მდგომარეობა რომ შევადაროთ ჩრდილოეთის ბარბაროსთა იმ დროის მდგომიაობას, როცა ესენი პირველად დაბინავდენ ზერმანიის ნიადაგზე: საშუალო საუკუნოების ბარბაროსები მარტო იმითაც კი უფრო მაღლა იდგენ იმ დროის ქართველებზე, რომ იხილეს რომის იმპერიის დიდება და ცხოვრება, ეს იმპერია შემუსრეს და იმის სახელოვანსა და ჩამაგულისხმებელ ნანგრევებზე თვით დაიწყეს ცხოვრება; ქართველებს კი, ქავკასიაში თვისის დასახლების დროს, არც დანახვა შეეძლოთ რისამე და არც გაგება, გარეშე იმისა, რასაც ჩააგონებდა მათ თვით გარშემორტყმული ბუნება.

საზოგადოდ ყველა უძველესი ხალხები წასულ დროის მიხედვით კი არ ეწყობოდენ, არამედ ისე, როგორც შინაგანი ანუ გარეგანი მოვლენა და გარემოება უჩვენებდა მათ. უმთავრესი გარემოებანი, რომელთაც გავლენა ჰქონდათ ქართველ ხალხის პირველდაწყებით ცხოვრებაზე, შემდეგნი იყვენ. პირველი—საქართველოს მიწის ნიადაგი: რადგანაც ეს ნიადაგი ხეობებით დასერილს მთიან ალაგს წარმოადგენს, ამიტომ თავიდანვე ყოფდა ხალხს რამ-

დენმე ნაწილად. ქალაქების და სოფლების მოსა-
შენებლად მთებს და მთების ტყიან მწვერვალებს
ირჩევდენ, რადგანაც ამგვარ ადგილებში მათი ოჯა-
ხობა და ავლა-დიდება უფრო უშიშარ მდგომარეო-
ბაში იყო: აი ეს ადგილები ბადავდა ხალხში თავი-
სუფლების სურვილს და უნერგავდა მას გულში
მეომრობას და გულადობას; ამავე დროს ამ მთების
ძირში გადაშლილი მშვენიერი მინდვრები მცხოვრებთ
მიწის სამუშაოდ იზიდავდა. მეორე გარემოება იყო—
ხალხის საერთო ენა და თვისტომობა, რის წყალო-
ბითაც ერთტომობა გამაგრებული იყო. ზარეგანი
მოვლინებანი ეხებიან მრავალგვარს ისტორიულ ფაკ-
ტებს, რომელზედაც დამოკიდებული იყო ხალხის
სვე-ბედი და მისი წარმატება. ადგილობრივ მა-
ტიანეებში ეს ფაკტები ხაზარების შემოსევის აწერი-
ლობით იწყება: ეს შემოსევა მოხდა ქრ. დ. წ. მე-
VII საუკუნეში.

ეგ ისტორიული სიცალიერე ფრიად შესამჩნევ
ნაკლულევანებას შეადგენს საქართველოს მატიანეებ-
ში, მაგრამ მაგიერად იმას ავსებს უცხო მწერალთა
ისტორიული და ზღაპრული ცნობები საქართველოს
შესახებ.

ჩვენ აქ მოკლედ გამოვხატავთ ამ ცნობებს, მა-
გრამ იმგვარ თქმულობათა კი გამოვტოვებთ, რომელ-
ნიც თავისის გაურკვევლობით ზღაპრებს მოგვაგონე-
ბენ და რომელთაგანაც არავითარის განსაკუთრებულ
დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება, მაგალითად თქმუ-

ლობას ბოგსა და მაგოგზე, პრომეთეოსზე, ამაზონებზე და მრავალს სხვებს. შამისოთაც ყველამ იცის, რომ ძველი ხალხები, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთშიაც ძავკასიას რაღაც გრძნების ქვეყნად სთვლიდენ. მათი წარმოდგენა ძავკასიის მიდამოში ყოველგვარ საკვირველ მოქმედებას აგროვებდა, რის შესახებაც ხან ნამდვილივით და ხან ზღაპარივით დღესაც კი ისმის მითები საქართველოს დაბალ ხალხში. ჩვენ აქ მხოლოდ იმ ფაკტებს მოვიყვანთ, რომელიც ბსოფლიო ისტორიისაგან ცნობილია.

პირველ ცნობებს საქართველოს ხალხების შესახებ ჩვენ მოსე წინასწარმეტყველი გვაუწყებს, რომელიც ცხოვრებდა 1700 წლებში ძრ. წინეთ [1]; მაგრამ ეს ცნობები იმაში მდგომარეობს, რომ ის მხოლოდ ასახელებს თოგორმას, მესეხს და თუბალს [2]. ამას შემდეგ ძრ. დ. წინეთ 1565-სა და 1499 წლებს შუა [3] ეგვიპტელთ შემოსევა მოხდა და სეზოსტრისმა დაიპყრო ძოლხიდა იმ დროს, როდესაც იქ მართველად სელოსი იყო. პლინის მოწმობით, ძოლხიდაში დარჩენილი ეგვიპტელები ცდილობდენ ადგილობრივ მცხოვრებთა ზნეობის გაუმჯობესობას, თესავდენ მათ შორის განათლების პირ-

---

[1]) *Dictionnaire d'hist. et de géogr., nouv. éd. Bouillét, p. 1200.*

[2]) დაბადება, მოსეს წიგნი პირველი, თავ. X.

[3]) *Diction., p. 1650.*

ველ თესლს და სელისქსოვილის კეთებას ასწავლიდენ მათ [1]).

მზის, მთვარის და ხუთის მოძრავ ვარსკვლავის თაყვანისცემა, ცხადია, ეგვიპტელებს გაუვრცელებიათ [2]). რამზესმა (სეზოსტრისმა), რომლის სახსოვარსაც ტაძრები და მზის გამოხატულებანი შეადგენდენ, ქოლხიდაში თავისი მეუფების კვალი დატოვა: მისი სახელი ქართველებში დარჩა სახელწოდებად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხვარამზედ და რამაზად შეიცვალა, და მას შემდეგ უმთავრეს ღვთაებასაც სახელად ზეზე დაერქვა. ეგვიპტის კანონებმა, მაგალ. მგლოვიარობაში წვერის მოშვებამ და შინაურ ცხოველების სიკვდილისაგან დაცვამ [3]) ქართველების ცრუმორწმუნოებებს ღრმა კვალი დააჩინა. შეხედეთ ფარძიის გამოქვაბულებს სამცხეში და ფმოგვში: ეს გამოქვაბულები ნუ თუ იმ გვარსავე აკლდამებს არ წარმოადგენს, როგორებითაც დაფარულია ნილის ნაპირები?

ძრ. წინეთ მე-XII საუკუნეში საბერძნეთის გმირებმა: ფრიქსმა, არგონავტებმა და ულისმა სამი მოგზაურობა მოახდინეს ქოლხიდაში. არგონავტებმა ნახეს აქ მდიდარი ქალაქი ეა და ქოლხი-

---

[1]) *Plin. 1. 33, c. 3.*

[2]) Всем. ист. Г. Вебера, кн. I, стр. 214.

[3]) იქვე გვ. 187: «ვინც მოკლავს კატას განზრახვით ანუ უეცრივ, ის დასასჯელია სიკვდილით».

დის მფლობელის Ალეტის სასახლე, რომელიც იმ დროის შეხედულებით მშვენიერი იყო [1]).

ამ ხანებში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იცოდენ სელისქსოვილის კეთება, ოქროს გამოდნობა და ღვინის დაყენება. ბერძნებსაც კარგად ესმოდათ ამ ნაწარმოებთა ფასი და მოხმარება; იმათ საჭიროდ დაინახეს, რომ ამ მდიდარ ქვეყნის მცხოვრებლებთან მტკიცე სავაჭრო მიმოსვლა გაემართათ; ამიტომაც შავ ზღვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაპირზე რამდენიმე ახალშენი მოაშენეს, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება პიტიუსმა (ბიქვინთამ) და ᲓᲘᲝᲡᲙᲣᲠᲘᲐᲛ [2]) მიიქცია. ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს იმ შესანიშნავ ვაჭრობის დასაწყისი, რომელიც საქართველოს მდინარეების, რიონისა და მტკვრის საშუალებით, გამართული იყო ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡᲐ და ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ შორის და რომლის შესახებაც ᲞᲚᲐᲢᲝᲡᲗᲔᲜᲘᲪ სწერს; აგრეთვე ამავე დროს უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული აზოვის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირზე ეგრეთ წოდებულის სინდიკის ახალშენი, რომელიც წინეთ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ეკუთვნოდა [3]).

ბერძნებთან ხსენებულ მიმოსვლათა გარდა ᲔᲖᲔ-

---

[1]) *Strab. I. XI, p. 479; Eustath. in Homer; Diodor. Sicil. I. IV.*

[2]) *Strab. lib. XI, p. 349.*

[3]) *Ibid.*

კიელ წინასწარმეტყველი, რომელიც ქრ. დაბ. წინეთ 600 წლ. ცხოვრებდა, თავისს წიგნში მოგვითხრობს, რომ ქართველებს, მისგან მესეხად და Oუბალად წოდებულთ, გამართული ჰქონდათ ფინიკიელებთან ვაჭრობა და მონებს და სპილენძის ჭურჭლეულობას უგზავნიდენ მათო [1]).

Oს მცირე ცნობები ავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც ქართველთ გადმოცემებში არსებობს, და ამით ცოტათი მაინც გვეძლევა საშუალება გამოვიკვლიოთ ქართველთა განვითარება იმათ პირველყოფილ ცხოვრებას შემდეგ. ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ველურები კი არ ყოფილან, რომელნიც მხოლოდ ბუნების გავლენას ქვეშ ცხოვრებენ, არამედ ხალხი, რომელსაც სხვა ხალხებთან მიმოსვლა ჰქონია, და კარგად სცოდნიათ, თუ ამ მიმოსვლას რა სარგებლობა მოაქვს ორისავე მხარესთვის. მაგრამ, სასტიკად რომ გავსაჯოთ, იმ ხანებში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ქართველების ერად ჩათვლა ჯერ კიდევ მაინც არ შეიძლებოდა. Oმათი მდგომარეობა არ აძლეედა კაცს ნებას, წარმოედგინა ისინი მთელ შეერთებულ საზოგადოებად; ისინი იყვენ მხოლოდ ერთის ტომისანი და იმგვარ ქვეყანაში ცხოვრებდენ, სადაც ყოველივე ხეობა თავისს მცხოვრებელთ განსაკუთრებულ სახელს აძლევდა, და ეგ სახელი ხშირად იმათ ცხოვრების ვითარებაზედაც იყო

[1]) ეზეკიელი, თავი XXVII, ბუნ. 13 და 14.

დამოკიდებული; ასე რომ ძველი მწერლები, მოსე წინასწარმეტყველისაგან დაწყებული- ვიდრე ქავკასიაში რომაელთა შემოსევამდე, არსად არ იხსენიებენ ქართველ ტომის საზოგადო სახელებს [1]. თუმცა ყველა ამ მწერლებმა იცოდენ ქავკასიისა და მის მცხოვრებლების არსებობა, მაგრამ ქართველთ ტერიტორიის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთ სხვადასხვა სახელს უწოდებდენ. მაგალითად მოსე და სხვა წინასწარმეტყველნი იხსენიებენ თოგორმას შთამომავლობას, მესეხს და თუბალს; არგონავტებმა იხილეს ქოლხიდა; ჰეროდოტე და ქსენოფონტი იცნობდენ ძალიბებს [2], მოსხებს [3], თაოხიანებს, მოზინოკებს [4], მაკრონებს [5], ტიბარენებს, ალაროდიანებს, მატიანებს, საპირებს და სხვებს. ხალხის ამგვარად დანაწილების მიზეზი, როგორც წინეთაც ვსთქვით, იყო ნიადაგის გავლენა, ანუ როგორც გადმოცემა ამბობს, ქართველთ ტერიტორიის დანაწილება ქართლოსის შთა-

---

1) ქართველ ტომის საზოგადო სახელნი შემდეგნი არიან: ქართველნი, იბერნი ანუ ივერნი, გეორგიანნი, გურჯნი და გრუზინნი.

2) ქალიბების სახელწოდების გამო, რომელნიც ძველის ძველი დროიდანვე რკინეულობის მოხელეობით განთქმულნი იყვენ, ბერძნებმა ფოლადს ქალიბი დაარქვეს. *Diction. ed. Bouillet, p. 346.*

3) მესხნი.

4) თაოხიანნი, თაოსკარელნი.

5) ზეგრელნი.

მომავალთა შორის; ეს დანაწილება განიგრძო აზიაში მაკედონელთა შემოსევამდი, ე. ი. იმ დროამდი, სანამ ძლიერმა და განუწყვეტელმა გარეგანმა ომებმა ხალხს არ დაანახა, რომ აუცილებლად საჭირო იყო უმეტესად შეკავშირება და შეერთება.

ამგვარი იყო ქართველ ტომის მდგომარეობა ხაზარების შემოსევამდის, რომელზედაც ჩვენ ქვემორე განვარგძობთ ჩვენს საუბარს ხალხის გადმოცემათა საშუალებით.

II.

ხაზარების შემოსევა.

იმ დროს, როდესაც თოგორმის შთამომავალთა შორის დიდი მშვიდობიანობა სუფევდა, გაძლიერდენ ხაზარები და ხშირ თავდახსმით შეაწუხეს ქავკასიის ხალხები. ამ უკანასკნელებმა სთხოვეს დახმარება ყველა თვისტომ ხალხებს, შეიერთეს ისინი და ხაზართა ქვეყნის საზღვრებში შეცვინდენ. მაგრამ ხაზარებმა მალე ამოირჩიეს მეფე, აიყარენ და ქასპიის კარებით სამხრეთისაკენ წავიდენ. ვერავინ გაუძლო იმათ სიმრავლეს: მათ ყოველიფერი შემუსრეს, რაც კი გზაზე შეხვდათ არარატსა და მასისამდი; გადარჩა მხოლოდ ქართლისა და სამეგრელოს რამდენიმე ადგილი. ამ ლაშქრობაში ხაზარებმა მეორე გზაც გამონახეს, რომელიც ქავკასიის მთებში გადიოდა და რომელსაც ახლა დარიელის გზა ჰქვია. ხაზარებმა გაახშირეს თავისი შემოსევა და აქედან ის გამოვიდა, რომ თარგამოსიანები იმათი მეხარკეები გახდენ.

დამორჩილებულ ხალხებისაგან ხაზარებმა ჩრდილოეთის ქავკასიაში ორი სამეფო შეადგინეს. ერთი —თერგიდან მოკიდებული მთების დასავლეთის ბოლომდი, სადაც მფლობელობდა იმათი მეფის წული შობოსი, და მეორე—აღმოსავლეთისაკენ, რომელ-

საც მეფის ბიძაშვილი მართავდა. პირველის ხელ-ქვეითთაგან წარმოდგენ ოსები, და აღმოსავლეთის მხარეში კი, სადაც მათ ქალაქი ხაზონისი ანუ ხუნ-ზახი მოაშენეს, წარმოდგენ ,ზალისტნის ხალხები.

ხაზართა მფლობელობა იმ დრომდის განიგრძო, სანამ სპარსელებმა აფრიდონის მეფობის დროს არ განდევნეს ისინი.

ეს შემოსევა ისტორიული ფაქტია, რომელიც მოხდა ქრისტემდის მე-VII საუკუნეში და რომელსაც ისტორია სახელად «აზიაში სკვითთა დიდ შემოსევას» უწოდებს; ეს ფაქტი მოჰყვა მცირე აზიაში ქიმერი-ანთა შესევას. ხაზარები ის ხალხი იყო, რომელიც მდ. ვოლგისა და ქასპიის ზღვის ნაპირებთან და-ბორგავდა და რომელსაც ძველი ევროპიელი მწერ-ლები სკვითებს უწოდებენ: ეგ უკანასკნელი სა-ხელწოდება საერთო იყო ჩრდილოეთის ყველა ველურ ხალხებისათვის. ახალ დროის მწერალნი ზოგნი იმათ თურქების ნათესაობას აკუთვნებენ და ზოგნი—ფი-ნებისას. ეს ბარბაროსები მართლაც შეეიდენ სამხ-რეთის ქვეყნებში ქასპიის კარებით [1]) და არათუ მხოლოდ არარატამდის, არამედ მთელს ზემოსა და მცირე აზიას, სირიასა და ეგვიპტემდი, ყოველ მხა-რეს დასცეს შიშის ზარი. ეს შიშის ზარი, რომელ-მაც იმათ გზაზე ყოველიფერი მოიცვა, რამდენდთმე, შეიძლება იერემიას ღაღადებათაგან წარმოიდგინოთ.

---

[1]) *Herodot. lib. IV, cap. 12.*

მაგრამ უფრო სასტიკი ბატონობა მათ გამოიჩინეს მიდიაში და იმ მხარეებში, რომელიც ქასპიის ზღვას აკრავს. ისინი თავის შესევას ოცდა-რვა წლის განმავლობაში იმეორებდენ, სანამ მიდიის მეფემ ციაქსარმა არ განდევნა ისინი [1]). უკუქცეულმა სკვითებმა ქავკასიიდან ტყვედ მოიტაცეს მრავალი ქართველი; ამ ტყვეებისაგან შეეგენ ახალი ხალხები, სახელდობ მეოტები და სარმატები—ჩრდილოეთის მიდიელები, რომელთა ერთ ნაწილს დღემდისაც ირონებს ეძახიან: ეგ ოსები არიან [2]).

ბამოდის, რომ ქართველთ გადმოცემანი საკმაოდ ეთანხმებიან ისტორიულ ამბებს; მაგრამ ისინი არაფერს არ ამბობენ იმ შემოსევისას; რომელიც ამ უკანასკნელ გარემოებას წინაუძღოდა და რომელიც კიმერიელებმა მოახდინეს: კიმერიანებიც აგრეთვე ქავკასიის ხმელთაყელით შეიდენ მცირე აზიაში. ესეც კია: მსოფლიო ისტორიიდანაც არა სჩანს, რომ კიმერიანებს მოეხდინოსთ რამე შესანიშნავი იმ მხარეებში, რომელიც ქართველებს ეპირათ, და ამიტომაც საქართველოს მატიანეს ადვილად უნდა მიეტეოს ის გარემოება, რომ, როდესაც ეგრე დაშორებულ დროთა შესახებ მოგვითხრობს, ამგვარ

---

[1]) *Herodot.* და Всеобщая исторія.

[2]) შოპენი; შენიშვნები «Обоз. россійс. влад. за Кав.»-ის შესახებ, გვ. 7; იმას მოყავს პოტოცკის და კლაპროტის გამოკვლევანი, რომელნიც ჰეროდოტეს, დიოდორის, პტოლომეის და ქართული მატიანეების თქმულებათა ერთგვარობაზე არიან დაფუძნებულნი.

წვრილმან ფაკტებს არ იხსენიებს. მაგრამ ერთი უთანხმოება ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს: საქართველოს მატიანე ხაზართა განდევნას აფრიდონ მეფეს აწერს, რომელიც შიშდადიანების დინასტიიდან შთამომავლობდა, და არა ციაქსარს, რომელიც ძაიანიანთა დინასტიას ეკუთვნოდა და რომელსაც მიაწერს ისტორია სკვითების გაანდევნას. შველასგან მიღებული ქრონოლოგია გვაჩვენებს, რომ აფრიდონს უმეფეია, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 750 წლ. მაინც უფრო ადრე ქრ. დაბ. [1]), მაშასადამე, ციაქსარის წინეთ 100 წლით და მეტითაც [2]). პირველ შეხედულებით ამ განსხვავებას წელთაღმწერის ანუ შემდგომ გადამწერთა შეცდომად ჩასთელი კაცი; მაგრამ ხალხის გადმოცემათაგან შემდგარი შემდეგი ამბავი ჩვენ ამის წინააღმდეგს გვეუბნება.

---

[1]) *Diction d'hist et de géogr., p. 1400*: შიშდადიანების დინასტია მოისპო აფრიდონის შვილებით, ქრ. წ. 733 წ.

[2]) Всемірная Исторія Г. Вебера. ст. 483: ციაქსარი მეფობდა 633 წლიდან 593 წლამდე.

III.

ფიშდადიანთა და ქაიანიანთა დინასტიების მეცადინეობა საქართველოში ბაბატონებისათვის და მათი მფლობელობა საქართველოში.

სპარსეთის მეფეს, აფრიდონს, ცეცხლს უკიდებდა ხაზარების შურისძიების სურვილი, რადგან ისინი მარტო საქართველოს და სომხეთს კი არ აოხრებდენ, არამედ სპარსეთის სამფლობელოსაც, და ამიტომ იმათ წინააღმდეგ გაგზავნა მან თავისი სარდალი არდამი; ამის ჯარებს აღტაცებით შეუერთდენ სომხები და ქართველები—და ხაზარები სრულიად განდევნეს ხსენებულ მხარეებიდან. სპარსეთის სარდალმა, როცა საქართველო გაათავისუფლა, ხალხს მიანიჭა სრული ნება, რომ თავისს ჩვეულებაზე ეცხოვრა; რაკი ქართველებმა ამგვარი მისი კეთილგანწყობილება დაინახეს, ყოველიფერში ემორჩილებოდენ და ყოველიფერს უჯერებდენ მას. არდამმა ააშენა დარუბანდის ქალაქი მთებსა და ზღვას შუა ვიწროებში და გაამაგრა ის რკინის კარებით, რომ ამით შეეჩერებია ხაზარეთის მისწრაფება სამხრეთისაკენ. შემდგომ მან მცხეთის ქალაქს ქვითკირის გალავანი შემოავლო და შენობებისთვის ქვისა და

კირის ხმარება საქართველოში პირველად შემოიღო. აფრიდონის მეფობის დროს სპარსელები არათუ ავიწროებდენ ქართველებს ხარკით, არამედ ყოველ-გვარ ღონისძიებას ხმარობდენ იმათ გაძლიერებისათვის, რომ მარტო მათ შესძლებოდათ ხაზარების შეკავება, რომელნიც, როგორც საქართველოსთვის, ისე სპარსეთვისათვისაც საშიშარნი იყვენ. მაგრამ, როცა ტახტზე აფრიდონის შვილი ირაჯი დაჯდა, სპარსელებმა თავიანთი ჯარების რიცხვი საქართველოში გაამრავლეს და ქართველებს ხარკის თხოვნა დაუწყეს. ამან ააშფოთა ხალხი და, როცა ქართველებმა გაიგეს, რომ სპარსეთში ურთერთშორისი ბრძოლა ასტყდაო, დაეცენ სპარსელებს, დაამარცხეს და განდევნეს საქართველოდან.

კაი-კაუსმა ძავკასიის მხარეებისაკენ გაილაშქრა, მაგრამ ერთის ადგილობრივ მფლობელის ჯადოსნობით დაბრმავდა და იძულებულ შეიქნა, ქართველებს შერიგებოდა და უკანვე დაბრუნებულიყო სრულიად უნაყოფოდ. მაგრამ, როცა ექვსმა წელმა განვლო, მან გამოგზავნა თავისი შვილი ფარშოტი აუარებელ ჯარით საქართველოსა და სომხეთის დასაპყრობად. ქართველები და სომხები შეუერთდენ სხვა მეზობელ ხალხებს, დახვდენ წინ მტერს და გადევნეს.

ხუთ წელს შემდეგ სპარსელები ქაიხოსროს წინამძღოლობით ხელახლავ შეესივენ სომხეთსა და საქართველოს, სომხეთი დაიპყრეს და მრავალ სასტიკ

ბრძოლას შემდეგ საქართველოს ნაწილიც დაიჭირეს; მაგრამ, როდესაც ძაიხოსრო თურანის დასაპყრობად სპარსეთს დაბრუნდა, ქართველებმა მისგან დატოვებული ჯარები სრულიად ამოწყვიტეს.

ამასობაში ძაიხოსრომ გაიმარჯვა თურანელებზე და ბევრ სხვა ხალხებზე, დაატოვებია მათ თავიანთი მხარეები და აიძულა ისინი, რომ სხვის ქვეყნებში მოეძებნათ თავშესაფარი ალაგი. ამგვარად გაფანტული თურანელები, ასურელები, ბერძნები და თვით ხაზარებიც თავიანთ დედაწულებიანათ მოვიდენ საქართველოს და ითხოვეს, მიეცათ მათთვის იქ დასახლების ნება. მცხეთის მამასახლისმა, ამ ქვეყნის სხვა მთავრების თანხმობით, მისცა მათ ადგილები და დაასახლა ისინი ქართველებს შორის; იქ ცხოვრების ნება მისცა მან აგრეთვე ებრაელებსაც, რომელნიც იმას წინეთ ნაბუქოდონოსორისაგან გაფანტულნი იყვენ.

ამ სახით საქართველს ჰცხოვრებლები ცოტა ხნის განმავლობაში კიდევ უფრო გამრავლდენ და გაძლიერდენ; მაგრამ ამას შემდეგ შეიცვალა ქართველების ენა (რომელიც მათთვისაც და სომხებისთვისაც იქამდი საერთო იყო) და სხვადასხვა ენის შერევისაგან შედგა ახალი ენა, ქართული; სარწმუნოებრივი წესები შეიცვალა და გაირყვნა; ქორწინებაში ნათესაობრივი შეუხებლობა გაქრა; მკვდრის დამარხვა გადავარდა, მკვდრების ჭამა გავრცელდა.

ბაიარა რამდენმე ხანმა და სპარსეთის მეფის

ბიშტაშაბის შვილმა, სპანდიატ-რვალმა, ახლად გაილაშქრა ქართველებზე, მაგრამ რაკი შეიტყო, რომ სპარსეთში პაპა-მისი მოეკლათ, უკანვე დაბრუნდა. ხოლო საქართველო ამით მაინც ვერ გათავისუფლდა. სპანდიატის სიკვდილს შემდეგ ცოტა ხანმა გაიარა და სპარსეთის ტახტზე ავიდა მისი შვილი ბაამანი, არდაშირად წოდებული, რომელმაც ბევრ სხვა ქვეყნებს გარდა საქართველოც დაიმორჩილა და გადასახადი დაადვა.

ამით თავდება ხალხური გადმოცემა, რომელიც იმ გარემოებას შეიცავს, რაც ალექსანდრე მაკედონელის აზიაში გალაშქრებამდი ჯომხდარა. ეს გადმოცემა, როგორც სჩანს, შემდგარია ქართველების ზეპირგადმოცემების, სპარსეთის პოეზიისა და ზენდ-ავესტის სხვადასხვა თქმულების ერთმანერთში არევით; ზენდ-ავესტი გავრცელებული იყო საქართველოშიაც, სანამ აქ ქრისტიანობა ფეხს მოიდგამდა.

აღმოსავლეთის ხალხების უძველეს მდგომარეობის აწერილობაში უთანხმოება არსებობს ადგილობრივ წყაროებსა და იმ ცნობებს შორის, რომელიც ბერძნებმა შეკრიბეს და რომელიც მსოფლიო ისტორიამ საკუთარ ცნობებად აღიარა, და სანამ ისტორიული კრიტიკა ამ უთანხმოებას არ გაარკვევს, ჩვენ ზემოხსენებულ გადმოცემისაგან მხოლოდ ეს ერთი დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ: რომ აზიიდან სკვითების გადევნის შემდეგ მიდიელებმა და სპარსელებმა დაიწყეს პროტექტორობა ანუ ბატო-

ნობა საქართველოში და აქ დაბინავდენ უცხო ქვეყნის ელემენტები, რომელთაც ყველაზედ უფრო დაქსაქსეს ხალხი პატარ-პატარა წრეებად თავთავის განსაკუთრებულ სახეობებით.

სხვა წყაროებიდანაც სჩანს, რომ ქართველ ხალხის მდგომარეობა ხსენებულ პერიოდში თვით სახელწოდებითაც მართლაც რასმე მთელს არ წარმოადგენს. ჰეროდოტეს, ძსენოფონტის და ძველ დროის სხვა მწერალთა ცნობები საქართველოს ტერიტორიის მცხოვრებლების შესახებ შეადგენს მხოლოდ სხვადასხვა ერთმანერთისგან განცალკევებულ საზოგადოების მოკლე აწერილობას, რომელთაც არათუ ყოფაცხოვრებაში არამედ საერთო მტერთან წინააღმდეგობაშიაც თითქმის არავითარი ერთობა არ ჰქონიათ. ჰეროდოტეს მხოლოდ ერთად ერთი შემთხვევა მოჰყავს, რომელიც იმათ ერთობას ამტკიცებს, სახელდობ, როცა ის ჩამორიცხავს ძსერქსის ლაშქარს და ამბობს, რომ მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინოკები, მარდები, კოლხიდები, ალაროდიელები და საპირები ერთის პირის, ზარანდატის, განკარგულებას ქვეშ იყვენო [1]).

ყველა ამ ხალხებში სხვებზედ უფრო შესანიშნავი ქალიბები იყვენ, როგორც მეომარი და მოხელე ხალხი. ისინი ცხოვრობდენ ძოლხიდიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ. რკინეულის და ფოლადეულის

---

[1]) *Herodot., lib. VII, cap. 79.*

მათი ხელობა ჰომერის დროსაც ყოველგან ცნობილი იყო.

იმათ ნაწარმოების საწყობი ალაგები სინოპსა და ამიზამდის მიაწევდა; მაგრამ ძრ. წინ. მე-VI საუკუნეში ისინი ძრეზმა დაარბია და აღმოსავლეთისკენ გარეკა [1]). ქსენოფონტი, რომელსაც მე-400 წელს იმათ ქვეყანაში გაუვლია, ამბობს, რომ იმათ ჰქონდათ ჩაბალახები, რკინის წინდები და სელის-ქსოვილის დოშლულებიო. ქამარზე მოკლე ცელები ეკიდათ და თუთხმეტის წყრთის სიგძე შუბები ჰქონდათო. როცა დაინახეს ბერძნები, სიმღერით და ცეკვით მიეგებენ წინ და თამამად აუტეხეს ცხარე ბრძოლა და სრულიად არაფერი დაუნებებიათ ბერძნებისთვის, სანამ ესენი იმათ საზღვრებში იყვენო [2]).

ქალიბებისაგან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ცხოვრებდა ამათზე ნაკლებ მეომარი ხალხი, თაოხიანები. ამავე მწერლის მოწმობით, ბერძნები რო მივიდენ იმათ ქვეყანაში, ისინი იმდენად შეშინდენ, რომ მყისვე მიატოვეს თავიანთი სიმაგრეები, წაიღეს თან ყოველივე სარჩო და თავიანთ დედა-წულიანათ და ქონებიანათ მთებში გაიქცენ. მაგრამ ბერძნებს სიმშილით დახოცვის ეშინოდათ და ამიტომ თაოხიანებს თავს დაეცენ. მაშინ არათუ იმათი ცოლები თავიანთ ბავშებიანათ გადაცვინდენ.

---

[1]) *Pomp. Mela, lib. 1. cap. XIX.*

[2]) *Xenoph.. p. 338.*

ხრამში, არამედ ბევრმა ქმარმაც კი წაბაძა იმათ მაგალითს და ხვადგის, ცხვრის და ვირის ურიცხვი ჯოგი ბერძნებს სადავლოდ მიუტოვეს [1]). ეს მწერალი ტიბარენებს იხსენიებს, როგორც მშვიდობიანს და მწყესოპის მიმდევარ ხალხს [2]); ესენი და აგრეთვე მაკრონებიც ფრიად თავდაბლად შეეგებენ ბერძნებს, უსაგზლეს მათ აუარებელი სარჩო-სურსათი და ქალაქ ტოტიარამდი გაყვენ ეტიკებადო [3]).

ტიბარენები და მაკრონები ძსერქსის ლაშქარში იმგვარადვე შეიარაღებულნი იყვენ, როგორც მოსხები და მოსინოკები: იმათ ჰქონდათ ხის ჩაბალახები, პატარ-პატარა ფარები და მოკლეტარიანი და გძელშუბიანი ხიშტები [4]). მოსინოკები ბარბაროსული და მძლავრი ხალხი იყო; ისინი ხის სახლებში ცხოვრობდენ და ეგ. სახელი ბერძნებმა ამიტომ უწოდეს მათ. იმათი სახლები მთებში და ველებში იყო გაფანტული, მაგრამ ისე კი ცხოვრობდენ, რომ შიშის დროს მსწრაფლად შეეძლოთ ერთმანეთის დასახმარებლად შეგროვება [5]).

---

[1]) *Xenoph., p. 338.*

[2]) ტიბარენები (თუმცა ქსენოფონტი ამბობს, რომ თაოხიანების დასავლეთით არიანო) ვგონებ ცხოვრობდენ თაფარავანის ტბის არე-მარეში, რომელიც აღმოსავლეთით თაოხიანების საზღვრებზედ იყო მიკრული და მწყესებრივ ცხოვრებისთვის ძლიერ მოსაჭდენ ადგილებს წარმოადგენდა.

[3]) *Xenoph., p. 340.*

[4]) *Herodot., I. VII. cap. 60.*

[5]) *Xenoph., p. 351.*

ეს უკანასკნელი ოთხი საზოგადოება მარდებიანათ დარი ჰისტასპის დროს სპარსეთის სახელმწიფოს განსაკუთრებულ სატრაპიას შეადგენდა და ყოველწლივ სამას ქანქარს გადასახადს იხდიდა; ალაროდიანები, საპირები და მატიანები მეორე სატრაპიას შეადგენდენ და ორას ქანქარს იხდიდენ [1]). ალაროდიანები, საპირები და კოლხიდლები ერთნაირად შეიარაღებულნი იყვენ: მათ ჰქონდათ ხის ჩაბალახები, ხარის ტყავის ფარები, მოკლე ხიშტები და სატევრები [2]). კოლხიდლები ას-ას ვაეს და ამდენვე ქალს აძლევდენ ხარკად სპარსელებს [3]). მათ შორის დიდ ხნიდან ცხოვრობდენ ეგვიპტელები და დაცული ჰქონდათ თავიანთი ენა, ჩვეულებანი და ღვთისმსახურების წესები [4]). კოლხიდლების ჩვეულებათა შორის ჰეროდოტეს ერთი შეუნიშნავს, რომელიც რამდენადმე ქართულ მატიანის სიტყვებს ამართლებს. ის ამბობს, რომ კოლხიდლები მკვდრებს არ მარხავენ და მიცვალებულთა გვამებს მტაცებელ ფრინველებს და მხეცებს უგდებენ შესაჭმელად და შემდეგ იმათ სრულიადაც აღარ იგონებენო [5]). ეს ჩვეულება და აგრეთვე ახლო ნათესავების და თვით

---

[1]) *Herodot.*

[2]) *Herodot. lib. VII, cap. 60.*

[3]) *Ibid. lib. III, cap. 79* და *97.*

[4]) *Ibid. lib. XI, cap. 104.*

[5]) *Ibid. lib. I, cap. 140.*

მკვიდრ ძმებისა და დების დაქორწინება ამტკიცებს, რომ ზოროასტრის სწავლა შემოსულა საქართველოში ჰეროდოტეს დრომდი, რომელიც ძრ. წინედ 450 წლებში ცხოვრობდა,—ამიტომ რომ ეს ჩვეულებანი ვენდიდადის წესებზედ იყვენ დამყარებულნი და მათ ასრულებდენ ბაკტრიაში, ბირკანიაში და სხვა მხარეებშიაც, სადაც ამ სწავლას განსაკუთრებული პატივი ჰქონდა [1]).

ამგვარად, თუ რომ საპირები იბერიელები არ არიან [2]) და კარდუსიელები—ქართლოსიანები ანუ ქართველები [3]), იმ შემთხვევაში არცერთი ძველი მწერალი არ ხმარობს ისეთ სახელწოდებას, რომელიც ოდესმე რქმევია ქართველებს, როგორც მთელ ხალხს; მხოლოდ მოსე ხორენელი, საქრისტიანო წელთაღრიცხვის მე-V საუკუნის ისტორიკოსი, ამბობს, რომ სომხების მეფემ ტიგრანმა, როცა ძირს ასტიაგის წინააღმდეგ ეხმარებოდა, იბერიისა და ალბანიის ყველა მეომარი კაცები და დიდის სომხეთის გამორჩეული მხედრები შეკრიბა და მიდიას წავიდაო. მაგრამ ჩვენ მაინც არავითარი ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ იმაში, რომ საზოგადოებათა სახელები:

---

[1]) Г. Веберъ, Всеміря. ист. кн. I, стр. 460 и 467.

[2])*Atlas universel de géogr. ancienne et moderne, dressé par A. Tardieu, ed. 1858, carte № 2.*

[3]) ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა, გვ. 101.

მოსხები ანუ მესხები, თაოხიელები ანუ თაოსიანები, მაკრონები ანუ მეგრელები ანუ კოლხიდლები ერთიან ქართველ ხალხის ნაწილების სახელები არიან და იმას ამტკიცებენ, რომ ისინი იმ უშორეს ხანებში ბეჯითად არსებულან.

აი სულ ეს არის, რაც კი ვიცით უცხო ქვეყნების ცნობებისაგან საქართველოს შესახებ იმ დრომდი, სანამ ალექსანდრე მაკედონელი აზიაში ილაშქრებდა, და ეს ცნობები შეგვიძლია ადგილობრივს წინათყოფილ გადმოცემებს შევუფარდოთ.

IV.

გადმოცემანი ალექსანდრე მაკედონელზე და მის მოადგილე აზონზე ქართველების სამეფოს დაარსებამდი.

როდესაც სპარსეთის მფლობელობის ამბავს ათავებს, ხალხური გადმოცემა ამბობს, რომ ბერძნების მხარეში, სახელდობ მაკედონიაში, გამოჩნდა ალექსანდრე, ფილიპეს შვილი, რომელმაც დაიპყრო ყველა ქვეყანაო. იმან დაპყრობა დასავლეთიდან დაიწყო, გადალახა სამხრეთი, შემდეგ ჩრდილოეთი და იქიდან ძავკასიის მთებით საქართველოს შევიდაო. ალექსანდრემ ამ ქვეყანაში ურწმუნოება და უზნეობა ჰპოვა, მაგრამ ნახა, რომ იქ მეომარი ხალხი ცხოვრობდა, რომელსაც მაგარი ქალაქები ჰქონდა. იმან ყველა ეს ქალაქები აიღო და შიგ თავისი ჯარები ჩააყენა ერთის მაკედონელ სარდლის აზონ პატრიკის ხელქვეშ, რომელსაც უბრძანა, გაევრცელებია ხალხში მზის, მთვარისა და ხუთის ვარსკვლავის თაყვანისცემა.

ალექსანდრეს წასვლასა და მის სიკვდილს შემდეგ მკაცრმა და შეუბრალებელმა აზონმა დაანგრია მცხეთის და საქართველოს სხვა ციხე-ქალაქების

კედლები, დაიმორჩილა სამეგრელო ზღვამდი და ოსებს, ლეკებს და ხაზარებს ხარაჯა დაადვა. იმან შემოიღო საქართველოში კერპთაყვანისმცემლობა, დაიწყო ადგილობრივის გავლენიან პირების ხოცვა და ხალხი უკიდურეს მდგომარეობაში და სასოწარკვეთილებაში ჩაგდო. ამ დროს მცხეთაში ცხოვრობდა ერთი ყმაწვილი, რომელსაც სახელად ფარნავაზს უწოდებდენ. ეს იყო მცხეთის უკანასკნელ მამასახლისის სამარას ძმისწული (სამარა მოკლა ალექსანდრემ; მასთან მოკლა აგრეთვე ფარნავაზის მამაც) და ისპაანელ სპარსის ქალის შვილი. როცა ფარნავაზის მამა მოკლეს, დედამ სამის წლის ფარნავაზი წაიყვანა და ძავკასიის მთებში დამალა. იქ დავაჟკაცდა ფარნავაზი და შემდეგ თავის სამშობლოში დაბრუნდა. მან მიიქცია ყურადღება თავისის ბრწყინვალე შთამომავლობით და ამასთან თავისის სიმარდით ცხენოსნობაში და იარაღის ხმარებაში. დედა მისი ხშირად არიგებდა მას, რომ არ დაახლოვებოდა საშიშ აზონს: ის ურჩევდა მას საქართველოს დატოვებას და სპარსეთს გადასახლებას. ფარნავაზმა დიდ ხანს ვერ გადაწყვიტა დედის რჩევის დაჯერება. დასასრულ, როდესაც დაეთანხმა მას, ერთ ღამეს შემდეგი სიზმარი ნახა: ვითომ იყო შეძრწუნებით ცარიელსა და დახშულ სახლში, რომელსაც არსაით გასავალი არ ჰქონდა; მაგრამ მალე მზემ შეაშუქა შიგ, გარშემოერტყა სინათლე მას და გაიყვანა ის მინდვრად. აქ ფარნა-

ვაზმა ნახა, რომ მზე მის წინაშე იყო და მინდორი ბრწყინვალე ცვრით მშვენიერად მოფარულიყო. აკრიფა მან ხელით ცოცხალ-ცოცხალი ცვარი და მით დაიბანა პირი. როცა გაიღვიძა ფარნავაზმა, იფიქრა, რომ სპარსეთში ალბათ მე კარგი ბედი მომელისო, და, ოცნებებით გატაცებული, იმ დღეს მარტო წავიდა სანადიროდ. აქ მას დიდი წვიმა მოესწრო და თავშესაფარ ადგილის ძებნა დაიწყო. ამ დროს მან გამოქვაბული დაინახა, რომელსაც შესავალი ამოშენებული ჰქონდა. ფარნავაზმა მსწრაფლად ამოანგრია ეს ყორე, შევიდა გამოქვაბულში და განცვიფრდა, როცა დაინახა იქ შენახული აუარებელი განძი. როცა წვიმა გადიოლ, გამოვიდა ფარნავაზი გამოქვაბულიდან და შესავალი ისევ ამოავსო. შემდეგ მან ეს ამბავი თავისს დედას გაუმეღავნა. ორმავე ღამ-ღამობით დაიწყეს იქ სიარული და ამგვარად მთელი ის განძი თავისს სახლში გადიტანეს.

როდესაც ფარნავაზმა ამდენი სიმდიდრე მოიპოვა, სპარსეთს გადასახლებაზე სრულიად უარი გააცხადა. იმას მაშინ სრულიად სხვა აზრი დაებადა თავში—აზონის ტირანობისაგან საქართველოს გათავისუფლებისა და თავისის უფლების აღდგინების აზრი.

ამ განზრახვის შესრულებისათვის პირველად საქეგრელოს მფლობელობა შთამომავალმა ქუჯიმ, ოსებმა და ლეკებმა ამოუჩინეს მას დახმარება, შემდეგ სირიის მეფემ ანტიოქმა და სომხების მთავარმა. ქართველები დაუყოვნებლივ გაჰყვენ ფარნავაზს, და

აზონი გაიქცა ძლარჯეთს, სადაც თითქმის ერთ-წელს კიდევ გამაგრდა; მაგრამ ართანუჯთან მომხ-დარ ომში ის მოკლეს, და მთელი საქართველო, რომელიც მან შეაერთა, ფარნავაზის ხელში გადავიდა.

იმ გადმოცემის შესახებ, რომელიც ამბობს, რომ ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში იყო-ვო, ჩვენ არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არა გვაქვს გარდა იმისა, რომ ამაში გვარწმუნებენ ალმო-სავლეთის ზოგიერთი ისტორიკოსები; მაგრამ შესა-ძლებელია, ალექსანდრეს სახელსა და მოქმედებას ქვეშ იგულისხმებოდენ იმის სარდალთა სახელები და საქმეები, რადგან იმათ ცნობაში მოჰყავდათ საქარ-თველო, როგორც სპარსეთის სახელმწიფოს მე-XVIII და XIX სატრაპია. აგრეთვე დიდად საეჭვოა ის გარემოება, ვითომც საქართველოს მართვა ალექ-სანდრეს დამოუკიდებლად გადაეცეს თავისის სარდლის აზონისათვის, რომელიც, მატიანის სიტყვით, ფარ-ნავაზამდი ფლობდა მას. იმიტომ არის საეჭვო, რომ მოსე ჭორენელის სიტყვით, დარიოზის უკანასკნელი სატრაპი ნბერიაში იყო მიტრიდატი და ალექსანდრემ მასვე ჩააბარა დატყვევებული ქართველები [1]).

უკანასკნელი ცნობა მით უფრო დასაჯერებე-ლია, რომ ეს მიტრიდატი 317 წელს მონაწილეო-ბას იღებდა ევმენის ომში ანტიგონის წინააღმდეგ [2]).

---

[1]) Моисей Хоренскій, წიგ. II, თავ. X.

[2]) *St. Martin. Recherches sur l'hist de l' Asie, chap. XIX.*

ამ ომის შედეგი ეს იყო: ევმენი დამარცხდა, ანტიგონის უფლება გავრცელდა მთელს იმ მანძილზე, რომელიც ალექსანდრეს სახელმწიფოს ეჭირა აზიაში, მიტრიდატი და ევმენის სხვა მომხრეები მოკლეს და მათ მაგიერ დანიშნეს ახალი სატრაპები [1]).

შეიძლება აზონის არსებობა მოგონილი იყოს, შეიძლება ბერძენთ არგონავტების წინამძღოლის იაზონის სახელი ქართველთ გადმოცემას უადგილოდ ეხმაროს და მაკედონელ დამპყრობელის თანამოღვაწეთა და მოადგილეთა სახელები აერიოს. თუ ეს ასე არ არის, აზონი ალბათ ალექსანდრეს კი არა, არამედ ანტიგონის მოადგილე ყოფილა საქართველოში—მიტრიდატის მოკვლიდან დაწყებული ვიდრე ფარნავაზამდე, და უმართავს საქართველო ისე, როგორც მისი მკაცრი პროტექტორი ითხოვდა.

რაიცა შეეხება ფარნავაზის ვინაობას, არა გვგონია—ექვის შეტანა შეიძლებოდეს იმაში, რომ ის ყოფილა სპარსელი, ხსენებულ მიტრიდატის შვილი ანუ ძმისწული. აბა ჩავუკვირდეთ კარგად ქართველების გადმოცემათა: ისინი ამბობენ, რომ ფარნავაზი იყო მცხეთის უკანასკნელ მამასახლისის სამარას (ალექსანდრესაგან მოკლულის) და ისპაანელის სპარსელ ქალის შვილიო (ამასთანავე არ იხსენიებენ მამის სახელს). ამიტომ ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ფარნავაზი ყოფილა მცხეთის ან იბე-

---

[1]) იქვე.

რიის უკანასკნელ სატრაპის შვილი, რომელიც (სატრაპი) მოკლა ანტიგონმა, და არა ალექსანდრემ; იმას თუ გნებავთ, თავი დავანებოთ, რომ ფარნავაზი ანუ ფარნაბაზი წმიდა სპარსული სახელია [1]). აქვე ჩვენ აუცილებელ საჭიროდ ვხედავთ მივაქციოთ ყურადღება, პირველად, მას, რომ: თუ ფარნავაზის მამა მოიკლა ალექსანდრეს საეჭვო ყოფნის დროს საქართველოში, სანამ ეს უკანასკნელი 332 წელს ეგვიპტეს გაილაშქრებდა, და თუ ფარნავაზი მაშინ დაბადებიდან სამის წლის იყო, გამოდის, რომ აზონთან ბრძოლის დროს 268 წელს ის არათუ ახალგაზდა,—67 წლის იქნებოდა. მაშასადამე, მამა მისის სიკვდილი უგვიანეს დროს უნდა მივაწეროთ. მეორე: თეიმურაზ ბატონიშვილი, ანტონ ქათალიკოზისა და სხვა ისტორიკოსების (რომელთაც არ ასახელებს) ჩვენების მიხედვით, ამბობს, რომ ფარნავაზის მამა მცხეთის მამასახლისის სამარას ძმა, დარიოზ-ქოდომანის ერთი წარჩინებულთაგანი იყოვო; ის აიზარდა სპარსეთში და ჭაბუკობის დროს თავისის მეომრობით, სიმარდით და მამაცურ მოყვანილობით მაღალი ადგილი დაიჭირა სპარსეთის მეფის სარდლებს შორისო და სპარსეთის მეფემ მისცა მას ცოლად თავისი ასულიო. როცა დარიოზი დაეცა, ფარნავაზი მოვიდა მცხეთას და თან მოიყვანა რამდენიმე სპარ-

---

[1]) ფარნაბაზი მცირე აზიის სატრაპი იყო; ის ცხოვრობდა მე-Y საუკუნის დასასრულს და პელოპონეზის ომების დროს სპარტას ეხმარებოდა.

სელი ჯარი, მაგრამ ალექსანდრემ საქართველოს დაპყრობის დროს მოკლა ის და მისი ძმა სამარაო და სხ. [1]). მაშასადამე ფარნავაზის დედა სპარსელი ქალი ყოფილა, აქამენიდების დინასტიიდან, მამა-მისი კი—დარიოზის სიძე, რომელიც მაკედონელებმა მოკლეს.—ბალისის «საბერძნეთის ისტორიაში» მოხსენებულია დარიოზის ერთი სიძე, რომელიც თვითონ ალექსანდრემ მოკლა ბრანიკთან ბრძოლაში; აქვე მოკლეს აგრეთვე ვილაცა ომარი (შეიძლება სამარა იყოს), რომელსაც დარიოზის მიერ დაქირავებული ჯარები ებარა. ამას ერქვა სახელად მიტრიდატი [2]). მაგრამ ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ იბერიის სატრაპი მიტრიდატი ცხოვრობდა ალექსანდრეს დროს და შემდეგაც, მაკედონელ სარდალთა ერთმანერთ შორის ცილების დროს, და მოიკლა ანტიგონის მიერ [3]). ამ ცნობებს რომ ვუკვირდებით, ჩვენ გვებადება აზრი, რომ ორივე ეს მიტრიდატი ერთი და იგივე პირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დრო, ადგილი და სიკვდილის გარემოება სხვადასხვანაირად არის ნაჩვენები. ეს აზრი იმაზედაც არის დაფუძნებული, რომ იბერიის სატრაპის, მიტრიდატის, ერთს ჩამომავალთაგანს, მიტრიდატ დიდს,

---

[1]) თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორ., გვ. 111.

[2]) Истор. Греціи Галанса, часть VIII, гл. 37.

[3]) Моисей Хорен. кн. II. гл. 10, и *St. Martin, Recherches sur l'hist. de l' Asie, chap. XIX.*

პონტოს მეფეს, უწოდებდენ აგრეთვე აქემენიდს [1]). ხალხურ გადმოცემებში, რომელიც ჩვენ ამ თავში გამოვხატეთ, როგორც სჩანს, ძველებურს სპარსულ კილოს პირველი ადგილი უპირავს. ძართველთ მატიანის ის ადგილი, რომელიც ხატავს მაკედონელ დამპყრობელის ჩარევას სარწმუნოების საქმეებში და ამ სარწმუნოების შეცვლისათვის მის მეცადინეობას, პირდაპირ მოგვაგონებს ჩვენ სპარსელთა გადმოცემას, რომელიც მოგვითხრობს, რომ ალექსანდრემ ზენდ-ავესტის საღვთო წიგნები დაწვა და სარწმუნოება დაამცირაო [2]). მაგრამ არა გვგონია, რომ ამ გადმოცემას რაიმე სიმართლე ჰქონდეს.

ალექსანდრეს მოადგილენი, სელევკი და ანტიოქი, სულ სხვა გზას ადგენ. ისინი ყველაზედ უფრო იმას მეცადინეობდენ, რომ შორ ქვეყნებში მიმავალი გზები ამოეჩინათ და ამით ხალხთა ერთმანერთში მიმოსვლა დაემკვიდრებიათ. არც ძავკასიის მხარეთათვის მოუკლიათ მათ ამ მხრით თავიანთი მზრუნველობა.

ჩვენ ვიცით პატროკლის და ერატოსთენის წერილებიდან, რომ უმთავრესი გზა სავაჭრო მიმოსვლისათვის დასავლეთის ხალხებსა და ინდოეთს

---

[1]) იხ. ჩვენი სტატიები გაზ. «Кавказъ»-ში 1861 წ. №№ 53 და 70, სათაურით: «Вопросъ о происхожденіи Митридата Великаго» და «Дополненіе» ამ «Вопросъ»-ისა.

[2]) Всеміри. истор. Г. Вебера, кн. I. стр. 442.

შორის საქართველოში მიდიოდა [1]). პომპეი-დიდის მინდობილობით ფარონმა შეკრიბა შემდეგ ხანებში სარწმუნო ცნობები—და აქიდან ვიცით, რომ ინდოეთიდან საქონელი ერთ კვირას მოდიოდა ინდის მდინარით ბაკტრიამდი, საიდანაც ჯერ იკარით და შემდეგ მტკვრით სურამამდი მოჰქონდათ; აქიდან ხმელეთით გადაჰქონდათ შორაპნამდი და დასასრულ ისევ წყლით, რიონით, შავ ზღვამდი [2]). მაგრამ შემდეგში ამ სავაჭრო გზის არსებობას ხელი შეუშალეს—ერთის მხრით ბარბაროთა შემოსევამ და მეორე მხრით განათლების გავრცელებამ და ეგვიპტელთა და ფინიკიელთა ზღვაში მოგზაურობის გამრავლებამ და დასასრულ მაკედონელთა მპყრობელობამ. მაკედონელებმა გამონახეს არაბეთის სორეტითა და სპარსეთით ინდოეთს მიმავალი სხვა გზები, შემდეგ ააშენეს ალექსანდრია და ამით სრულიად დასცეს საქართველოს გზის მნიშვნელობა.

თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ ქასპიის ზღვა კიდევ დიდ ხანს იპყრობდა ალექსანდრესა და მის თანამოღვაწეთა ყურადღებას. ალექსანდრეს ეგონა, რომ ეს ზღვა შეადგენდა ჩრდილოეთის ოკეანის ნაწილს და მისი ნაპირები გამოაჩენდა ახალ სამეფოებსა და ახალ სავაჭრო გზებს უცხო ხალხებთან მიმოსვლისათვის. ამიტომაც, რამდენმე ხნით თავისის

---

[1]) *Strab. lib. XI, p. 351.*

[2]) *Plin. l. VI, cap 19.*

სიკვდილის წინეთ, მოაწყო მან ამ ზღვაზე ფლოტი და გაგზავნა კაცები იმის გამოსაკვლევად, უერთდებიან თუ არა ის და ოკეანე შავით ან რომელმე სხვა ზღვით ინდოეთსო [1]). ჯერ გამოიკვლიეს სამხრეთის ნაპირები, მერმე დაათვალიერეს აღმოსავლეთის ნაპირები იაქსარტის მდინარემდი და შემდეგ დასავლეთის—ალბანიამდი და შეიძლება დარუბანდამდისაც, რომელიც განთქმულია გადმოცემებით ალექსანდრეზე, როგორც მის დამფუძნებელზე [2]). ცნობაც კი არის იმის შესახებ, რომ ალექსანდრეს ჯარები მისულან ბიპანის ის მდინარემდი [3]). შემდეგში შემდგარ აზრით გამოდის, რომ ბიპანისი ჰქვიოდა მხოლოდ ყუბაპის მდინარეს და სინდები ძველად როგორც ინდის შესართავის, ისე ამ მდინარის მახლობლადაც ცხოვრობდენ [4]).

ალექსანდრეს სიკვდილს შემდეგ სელევკ ნიკატორს ქასპიის ზღვაში ჰქონდა თავისი ფლოტი, რომლის უფროსადაც პატროკლი იყო; ამ უკანასკნელს მინდობილი ჰქონდა ამ ზღვის ნაპირების

---

[1]) *Montesquieu, l' Esprit des Lois, I. XXI. ch 9.*

[2]) დარუბანდის ძველ კედელს დღემდის ეძახიან ალექსანდრეს კედელს.

[3]) *Montesq., l' Espr. des Lois, XXI. c. 9.*

[4]) *Strab. lib. XI, p. 349* —ინდს შესართავთან ჩაერთვის მდინარე, რომელიც სახელწოდებით გიპანისს ჩამოგავს,—გიფაზისი.

გამოკვლევა. ახლად ამოჩენილს იმის ნაწილს დაერქვა სელევკის ზღვა, და ამასთანავე შეადგინეს პლანი, რომლის ძალითაც ეს და შავი ზღვა არხით უნდა შეეერთებიათ. მაგრამ იმ დროს, როდესაც ამ პლანის სისრულეში მოყვანისათვის მეცადინეობდენ, სელევკი მოკლეს [1]. ანტიოქ I თანაუგრძნობდა თავისის მამის განზრახულებას—და ამიტომაც განაგრძო ძასპიის ზღვაში მოგზაურობა [2]; საქართველოს მატიანეები ამბობს, რომ ანტიოქი შარნავაზს დაეხმარა აზონის წინააღმდეგო, და ამით ისინი ამტკიცებენ, რომ ანტიოქს დიდი ინტერესი ჰქონია ამ ქვეყნისა, რომლისთვისაც ატეხილი იყო ბრძოლა, და სურვებია, რომ ეს ქვეყანა ხელთ ჩაეგდო მისგან დავალებულ კაცს.

---

[1]) *Plin. I. VI, cap. 2.*

[2]) *Esprit des Lois, liv. XXI, ch. 9.*

V

სამეფოს დაარსება

ქრისტეს წინეთ მე-III საუკუნიდან იწყება საქართველოში დიდის ხნის გამზადებული შეგნებული ცხოვრება ხალხისა, ეგრეთ წოდებული ეროვნება. აი რამ მოამზადა საქართველოს სამეფოს დაარსება და რამ დაუდგა მას ბუნებრივი საძირკველი: პირველი, უმთავრეს საზოგადოებათა ერთტომობამ, თუმცა ისინი შესამჩნევ მანძილზე იყვენ გაფანტულნი და ადგილობრივ გარემოებათა გამო ერთმანერთთან დიდხანს განცალკევებულნი; მეორე, სპარსეთის მფლობელობის გავლენამ, რომელმაც დააახლოვა ისინი ერთმანერთს მით, რომ ყველანი შეაერთა და მიუჩინა მართველებად ორი სატრაპი, რომელნიც ერთის ხელმწიფის სახელითა და წესით მართავდენ ამ მხარეს; და მესამე, ხალხის განვითარებამ სპარსეთის მფლობელობამდისაც და ამ უკანასკნელის განმავალობაშიც. საზოგადოებანი ცოტ-ცოტათი შეეჩვიენ მიწის მუშაობას და ვაჭრობას, ზოგი თვით მდიდარ ბუნების მეოხებით, რომელიც უხვად ასაჩუქრებს მუშის შრომას, და ზოგი კი ეგვიპტელებსა, ბერძნებსა და ფინიკიელებთან მიმოსვლის გამო. ეგვიპტელთა და შემდეგ სპარსელთა

სარწმუნოებრივი სისტემები, რომელიც მათ შორის ვრცელდებოდა, აჩვევდა მათ კანონების მორჩილებას; დასასრულ, ყოველწლიურმა ხარაჯამ, რომელსაც სპარსეთის მეფეები ახდევინებდენ, ჩაუნერგა მათ ის აზრი, რომ აუცილებლად საჭიროა—ყოველწლივ აძლიოს ხალხმა თავისს მეფეს გადასახადი.

ქართველთ ეროვნების პირველი ნაბიჯი, რასაკვირველია, ის იყო, რომ ყველა ერთტომის საზოგადოებანი შეერთდენ ერთმანერთის სარგებლობისათვის--საერთო მტრებისაგან თავის დასაცველად, და უმთავრეს მართველად ამოირჩიეს ერთი პირი. მატიანეთა მიხედვით, ფარნავაზის სამეფოს შემდეგი საზღვრები ჰქონდა: კავკასიის უმთავრესი ქედი, მდინარე ენგური, შავ ზღვის ნაპირი ახლანდელ ბათუმამდი; აქიდან მთები, რომლისგანაც მდინარე ჭოროხი და მისი ჩასართავები გამოდიან, პალაკაციოს ტბამდი; შემდეგ მთები, რომელიც მდინარე დებედას მარჯვენა ნაპირს მიყვება, მტკვრამდი, და დასასრულ ალაზანი და მისი ჩასართავები—ალმოსავლეთით.

ფარნავაზმა გაუნაწილა თავისი სამეფო თავის თანამოღვაწეებს და გაყო ის რვა თუ ცხრა ნაწილად, რომელთაც სახელად საერისთაოები ეწოდა. რადგან ძნელი დასაჯერებელია მატიანეთა ნაჩვენები თითოეულ საერისთაოს საზღვრები, ამიტომ ჩვენ ვერ ვბედავთ იმათ აწერას, რომ ამით ბევრ შეცთომაში არ შევიდეთ. მაგრამ მზადა ვართ—

შენიშვნებში მაინც მივცეთ ადგილი თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობას ამის შესახებ [1]).

ერისთავები უმთავრეს მონაწილეობას იღებდენ მართველობაში და მეფის ბძანებას ასრულებდენ; თითოეული მათგანი თავის საერისთაოში თავის-თავად მეფეს წარმოადგენდა და უფლებაც ჰქონდა მინიჭებული, თავისი თანამდებობა თავისს შთამომავლობისათვის გადაეცა. ეს უფლება იყო ქართველთ ტომის ფეოდალურ ცხოვრების ბუნებრივი შედეგი გინა გაგრძელება; ეს ცხოვრება დაიწყო ქართლოსის სიკვდილს შემდეგ, მის შთამომავალთა შორის მიწების დანაწილების დროიდან, და რამდენმე საუკუნის განმავალობაში მაგრათ მოიდგა ფეხი მიწის

---

[1]) «პირველად (ფარნავაზმა) დაადგინა ერისთვად ქუჯი, რომელსაცა მისცა დაი თვისი ცოლად და განუჩინა საერისთოდ რიონის მდინარიდგან ეგრისის მდინარედმდე ყოველი კოლხიდა სვანეთითურთ და დასავალით ზღვამდე.—მეორე ერისთავი დასვა მარგვეთისა შორაპანსა და მისცა მცირე ლიხის მთიდამ ზღვამდე ღადოს მთიდამ და რიონის შუათი.—კახეთს და ჰერეთს და კუხეთს ნაწილთა კახეთისათა—ესე მესამე ერისთავი. მეოთხე ერისთავი დასო ხუნანს და განუჩინა ბერდუჯისა და მტკვრის შუა გარდაბანითურთ ტფილისადმდე.—მეხუთე ერისთავი პყო სამშვილდისა და განუჩინა სკვირეთის მდინარიდგან გაჩიანს ზევით ფანავარადმდე აბოცით.—მეექვსე ერისთავი წუნისა, რომელსა განუჩინა ალმოსავალით მტკვრისა ფანავარადმდე და თავადმდე მტკვრისა.—მეშვიდესა ოძრხის ერისთავსა განუჩინა ტაშის-კარს ზევით ზღვადმდე პონტოსა და ბორეოსამდე.—მერვესა კლარჯეთის ერისთავსა განუჩინა, რომელიცა თვით დაიპყრა საზღვრით კლარჯეთისა ზღვამდე პონტოისა.—დაადგინა მეცხრე ერისთავი შიდა ქართლსა; ესენი იყვნეს პასპეტნიცა, გამგენი და მოიღებდეს ხარკსა ქვეყანისაგან საერისთოთა თვისთასა და მიართმიდენ მეფეთა». (იხ. ისტორ. თეიმურაზ ბატონიშვილისა, გვ. 115).

ნიადაგის სიკეთის მეოხებით. რაკი ფარნავაზმა დამტკიცა ეს უფლება, საქართველოში დაიბადა ჯერ მიწის მფლობელობის, როგორც კერძო ნათესაობრივ საკუთრების, უფლება და შემდეგ აზრი იმ ოთხ სახალხო წოდების დაფუძნების შესახებ, რომელიც არსებობდა განუწყვეტლივ, სანამ საქართველო თავისუფალ სამეფოს შეადგენდა. ძველ ხალხებს შორის მიწის კერძო მფლობელობის უფლება ძალიან იშვიათი მოვლენა იყო; ფარნავაზმა ალბათ იმ რწმუნებით შემოიღო ეს უფლება, რომ პატრიოტიზმს გარდა იმაში არსებობს აგრეთვე მატერიალური ანგარიშიც და ამიტომაც ქვეშევრდომთ უმეტესად უძლიერებს იგი მამულის დაცვის ენერგიას. ძველ ხალხებში მიწა საერთო კუთვნილებად ითვლებოდა და საკუთრებას მხოლოდ ვაჭრობით იძენდენ; საცხოვრებლად იმათ უფრო ის ქვეყანა მოსწონდათ, სადაც უკედ შეეძლოთ თავიანთ მოძრავ კაპიტალის დაცვა და გადიდება. ისინი ადვილად სტოვებდენ თავიანთ მამათა საფლავებს, სამშობლო ნაპირებს და მთებს, ესახლებოდენ შორ ქვეყნებში და იქ იკეთებდენ ახალშენებს; და ან იმგვარადვე ცხოვრობდენ, როგორც ისრაელები და სომხები, რომელთა სამშობლოსაც დამპყრობელი ადვილად იქერდა ხოლმე. ოცის საუკუნის განმავალობაში იბრძოდა ქართველი ხალხი უძლიერეს დამპყრობელთა წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის და ეს ბრძოლა იქამდი გაგრძელდა, სანამ ერთმა საქართველოს უკა-

ნასკნელ მეფეთაგანმა არ შეარყია ხალხის უმაღლეს წოდების ძველი სამიწო უფლებანი.

ხსენებულ წოდებათა შეადგენდენ: პირველი, მთავართა ანუ თავადთა წოდება, რომელიც რუსთა ფეოდალურს ანუ უდელის სათავადო წოდებას (удѣльное княжество) უდრიდა; მეორე, სააზნაურო, რაინდთა წოდების თანასწორი; მესამე, სამოქალაქო და მეოთხე, საგლეხო.

მთავრები ანუ თავადები უმეტესად საქართველოს იმ ნაწილების მფლობელთაგან შთამომავლობდენ, რომელიც ქართლოსის მემკვიდრეთა შორის საქართველოს გაყოფას შემდეგ დაწესდა, ანუ უცხო ქვეყნების მეფეთა შთამომავალთაგან; აზნაურები კი, მატიანეთა მოწმობით, მაკედონელ მთავარმართებლის აზონის თანამოლვაწეებს დაერქვათ. ერისთავები ყველანი სამთავრო წოდებისანი იყვენ. მთავრებს ანუ თავადებს მიწის საკუთრებაც ჰქონდათ, გლეხებიც ჰყავდათ და ამას გარდა, მეფეთა მსგავსად, აგრეთვე ქვეშევრდომი აზნაურებიც, რომელთაც, თავის მხრით, მიწებიც ჰქონდათ და გლეხებიც ჰყავდათ; ვისაც არ ექნებოდა მოსახლეებული სოფელი და ვინც თავის თავადის პირველ მოწოდებისათანავე ვერ შეიძლებდა კარგძალ მსახურთა (უპრალო მხედართა) თანახლებით მასთან გამოცხადებას რჩეულ ცნებებით, საკუთარ კარვით და ყოველგვარ სალაშქრო ნივთებით—იმას არ შეეძლო აზნაურის წოდე-

ბის მიღება [1]). Იბერიის აწერილობაში სტრაბონი მოწმობს, რომ ამ ქვეყანაში მართლა ყოფილა ხალხური ოთხი წოდება [2]).

Ფარნავაზს აწერენ აგრეთვე სამხედრო თანამდებობათა დაწესებას და სპარსეთიდან მაგების მოწოდებას ზოროასტროს სწავლის სისტემის გასაწესიერებლად.

ჩვენ აქ არ მიგვაჩნია საჭიროდ ზენდ-ავესტის შინაარსის გადმოცემა, ერთი იმიტომ, რომ ჩვენს დროში ბევრმა აწერა ის და ამით საკმაოდ გააცნეს იგი ჩვენს განათლებულ საზოგადოებას, და მეორე იმიტომაც, რომ, ადგილობრივ ცხოვრების პირობათა მიხედვით, სხვადასხვა ხალხებში ამ სწავლას სხვადასხვა სახე ჰქონდა. საზოგადოდ ეს სწავლა იცავდა საკუთრების უფლებას, აძაგებდა ბიწიერებას და ტანის სიბინძურეს და განსაკუთრებით ქურდობისა და სიცრუისათვის სჯიდა ხოლმე; ის აქებდა ხალხს მიწისმუშაობისა და კეთილზნეობიანობისათვის და თხოულობდა ახალგაზდობის აზდას წერა-კითხვის სწავლებაში. მაგრამ სასარგებლო დარიგებათა შორის იმაში ბევრი უმსგავსო წესი და რწმუნება იყო, რომელთ კვალი დღემდისაც დარჩენილა საქართველოს ზოგიერთ ნაწილში, მაგალითად სვანეთში —მომაკვდავის წინ მამლის დაჭერა.

---

[1]) გეოგრაფ. აღწერა ვახუშტისა, გვ. 12.

[2]) *Strab, lib. XI.*

«მამალი გვაუწყებს ღღის მოახლოებას და სიბნელის უკუქცევასო—სწერია ვენდიდაში—ის ამაღლებს თავისს ხმას ყოველს ღვთაებრივ ცისკრის ჟამს და ღაღადებს: აღსდეგით, კაცნო, აქებდით მშვენიერ სიწმინდეს და სდევნიდით დევთაო» [1]). ის უკრძალავდა ხალხს მკვდრების დამარხვას და აძლევდა ქორწინების ნებას უახლოეს ნათესავებს შორისაც.

ქართველი ხალხი ზარნავაზის მადლიერი ყველაზედ უფრო ვგონებ წერა-კითხვის შემოღებისა და საკუთარ ეროვნულ ანბანის, ეგრედ წოდებულ «მხედრულის», მოგონებისათვის უნდა იყოს. სახელმწიფო წყობილების ფორმები და სარწმუნოება ხელს უმართავენ ხალხის შინაგან ცხოვრების წინსვლას, მაგრამ ყველა ეს ხდება და ირღვევა იქ, სადაც არ არსებობს წერა-კითხვა. ის აძლევს მკვიდრ საფუძველს, ის აწინაურებს და აუმჯობესებს ყველაფერს, რაც კი ხალხის არსებობის საძირკველს შეადგენს. ეს ძველი ანბანი, «მხედრული», როგორც სჩანს, შედგენილია ზენდურ ანბანისაგან [2]) და იმგვარ ხელოვნებით, რომ დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ: ჩვენს დროშიც კი არცერთ ხალხს არ აქვს ენასთან იმგვარად შეწყობილი ანბანი, როგორც ქართველებს.

---

[1]) Всемірн. истор. Г. Вебера, кн. I, стр. 457.

[2]) ზოგიერთ ქართულ ანბანს დღემდისაც შერჩენია ზენდურ ანბანების მსგავსება (იხ. ნიპერტის მიერ გამოცემული ანბანები). ხოლო დაწყობილი კი იმ რიგზეა, როგორც ებრაული ანბანი.

პეტრე უსლარი არჩევს მას და ადარებს სხვა ანბანებს,—ის ამბობს: «თუ ჩვენ შევხედავთ ქართულ ანბანს თვით ქართულ ენის მიხედვით, გატეხილი უნდა ვთქვათ, რომ ის ყველა პირობას აკმაყოფილებს; ჩვენ გვგონია, რომ ეს ანბანი ყველა სხვა ხალხების ანბანებზედ უფრო განვითარებული უნდა იყოს. თითოეული ხმა გამოიხატვის განსაკუთრებულ ნიშნით, თითოეული ნიშანი ყოველთვის ხატავს ერთსა და იმავე ხმას. ყველა ევროპიულ ენაში მართლწერა ფრიად გასაჭირ საქმეს შეადგენს; ქართველებისათვის კი ეგ სიძნელე თითქმის არ არსებობს მათის ანბანის განვითარებულობის მიზეზითო».

სამწუხაროდ, ქართველთ ლიტერატურულ ცხოვრების არცერთ ნაწარმოებს ჩვენამდის არ მოუწევია. ჩვენ კი გვაქვს საფუძველი—ვიფიქროთ, რომ ნაწარმოები მრავალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართველებს მოუსპიათ ისინი, როგორც წარმართობის ნაწარმოებნი. ამგვარი დეენა იმათის მხრით იქიდან სჩანს, რომ მე-IV საუკუნის სასულიერო წოდებამ შეადგინა ახალი ანბანი, «ხუცური» [1]), ალბათ იმისთვის, რომ ამით უნდოდა—აეშორებია ხალხი ძველ წიგნების კითხვას.

ამას გარდა შარნავაზს აწერენ ტახტის მე-

---

[1]) ხუცური ანბანი შედგენილია სომეხ მესრობისაგან, რაზედაც ქვეით ვიტყვით.

მკვიდრეობის დაარსებას საქართველოში, აოხრებულ ქალაქების განახლებასა და გამშვენიერებას, შორაპნის დაარსებას, რომელიც ძველად ინდოეთიდან ევროპას მიმავალ საქონლის შესანიშნავი საწყობი ალაგი იყო [1]), და ურიცხვს სხვა სასარგებლო მოქმედებას.

ჩვენ ამით ვათავებთ ჩვენის წერილების ერთ ნაწილს, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ სახელად «ქართველ ხალხის პირველი გადმოცემანი». ამას შემდეგ, სანამ ჩვენს ისტორიულ ამბავს განვაგრძობდეთ, მოვიყვანთ აქ მოკლე გეოგრაფიულ აწერას იმ ეპოქის საქართველოისას, როდესაც იქ მონარქიული მართველობა დაწესდა.

---

[1]) *Strab. I. XI, p. 343; Plin I. VI, cap. 6.*

გეოგრაფიული მიმოხილვა იმ დროის საქართველოისა, როცა იქ მონარქიული მართველობა დაარსდა

ხალხის გადმოცემათა მე-V თავში ჩვენ კიდევაც ვთქვით, რომ შარნავაზის სამეფო ისაზღვრებოდა: კავკასიის უმთავრეს ქედით, მდ. მნგურით, შავ ზღვის ნაპირით ახლანდელ ბათუმამდის, აქიდან მთებით, რომლიდანაც მდ. ჭოროხის ქვემო ნაწილის ჩასართავები გამოდის, პალაკაციოს ტბამდის; შემდეგ მთებით, რომელიც მდ. დებედას ნაპირს მიყვება, მტკვრამდის, მერმე მტკვრით ალაზნის შესართავამდის, და დასასრულ ალაზნით და აღმოსავლეთის მის ჩასართავებით. ამ საზღვრების განაპირი კუთხეები მოქცეულია ჩრდილოეთის სიგანის 40° 47' და 43° 15'-სა და სიგძის 59° 15' და 64° 58' შუა. ამ ზედა პირს უმეტესი სიფართე აქვს მე-60° მერიდიანის ხაზის დაყოლებით; აქიდან ის მიდის კუთხის მსგავსად აღმოსავლეთისაკენ, სალავათის მთის მწვერვალამდის, ე. ი. სიგანის 41° 24'-სა და სიგძის 64° 55'-მდის.

ხალხის გადმოცემათა I თავში, კავკასიაში ქართველთ ტომის მოსახლების აწერის დროს, ვიეიენ დე-სენ-მარტენის აზრის თანახმად, ჩვენ ვთქვით,

რომ ქართველთ ტერიტორია შეიცავდა კავკასიის მთავარ ქედსა და არეზის მდინარეს შუა მდებარე ადგილებსო. მაგრამ იმ დროიდან მოკიდებული ქართველთ სამეფოს დაარსებამდის ბევრმა საუკუნემ გაიარა, რომელთ განმავლობაშიაც შესაძლებელი იყო—დიდი ცვლილებანი მომხდარიყო, და რადგან მატიანეთაგან არა სჩანს, შეადგენდა თუ არა ქართველთ ტომი შარნავაზის მონარქიის გარეშეც მცხოვრებთ არეზამდის, ამიტომ დაბეჯითებით არაფრის თქმა შეიძლება, სანამ ეს კითხვა ფიზიოლოგიურად ან როგორმე სხვაგვარად არ გადაწყდება. რაიცა შეეხება ამ მიმოხილვაში მოხსენებულ საზღვრებს, აქ დღემდისაც ყოველგან ქართველი ტომები ცხოვრობენ.

ესეც კია, რომ, თუ ამ სამეფოს მოსაზღვრე ხალხების სახელწოდებას დავუკვირდებით, რომელსაც ძველი გეოგრაფები ხმარობენ, და აგრეთვე თუ იმას, რასაც ეს უკანასკნელნი ამ ხალხების შესახებ გვიჩვენებენ, ყურადღებას მივაქცევთ, იმ შემთხვევაში უნებლიედ ბევრი ეჭვი და კითხვა დაგვებადება ჩვენ,—მაგალითად: ვინ იყვენ პონტოელნი, ალბანელნი ანუ ალვანელნი, კასპიელნი, კარდუხიელნი ანუ კარდუსიელნი, საპირნი და სხვანი,—ეგებ ისინი ქართველთ ტომის შტოები იყვენ?

აი რაზედ არის დამყარებული ჩვენი ეჭვები,—პირველი: ჩვენ არ შეგვიძლია—უთუოდ დავეთანხმოთ იმათ, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ პონ-

ტოელები ბერძნებისაგან ჩამომავლობენო. ბერძნებს პონტოში ჰქონდათ ერთად-ერთი ქალაქი გინა ახალშენი, სახელდობ ტრაპიზონი, და ამიტომაც ერთად-ერთ ქალაქს არ შეეძლო—შავ ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მთელი განაპირი მარტო ბერძნებით მოესახლებინა. ძველი კლასიკები გვაცნობებენ, რომ მთელი პონტო ოდესმე მეომარსა და მრავალრიცხოვან ხალხს, ქალიბებს, სპერიათ, და ახლაც მოიპოება იქ ქართველთ მოსახლეობის ნიშნები, და აღმოსავლეთის ნაწილის რამდენმე სოფელში აქამდის შენახულა ქართული ენა [1]). მეორე: პლინი ამბობს, რომ მდინარე პლაზანი გამოდის ძაკასიის მთებიდან და ალბანელებს იბერიელებისაგან ყოფსო [2]). რომაელთ გეოგრაფების ალბანელები სომეხთა გამოთქმით იყვენ ალბანელები და ქართველთა—ალვანელები. მართალია, არის ერთი ხეობა, ალვანის მინდვრად წოდებული, რომელიც ალაზნის სათავესთან ძევს, მაგრამ დღესაც, ამ მინდვრიდან დაწყებული ძაკასიის მთების ძირ-ძირ, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, 200 ვერსზე მეტია, რომ ქართველები სახლობენ; და ძველ დროებში, შირვანის სამეფოს დაარსებამდის, მათი მოსახლეობა ალბათ თვით ქასპიის ზღვამდისაც მიაწევდა; მაშასადამე რაღა საეჭ-

---

[1]) იხ. ჩვენი სტატია, სახელდობ: «Вопрос. о происхож. Митрид Велик.»: გაზ. «Кавказъ» 1861 წ. № 53.

[2]) *Plin. L. VI, c. 11.*

ვოა, რომ ალბანელები, რომელთ საზღვარსაც აღმოსავლეთით ეგ ზღვა და დასავლეთით Ალაბნის სათავე შეადგენდა, კახელი ქართველები ყოფილან?

მესამე: კასპიელები, რომელთ მიზეზითაც ზღვას მიეცა თავისი სახელი და რომელთაც რომაელებისა და ბერძნების მწერალნი Ალბანიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მდებარე განაპირის მცხოვრებლებათ თვლიან, შესაძლებელია ქართველთ ტომისანი იყვენ. ვგონებ ჩვენს მოსაზრებას საკმაოდ ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ძველის-ძველად ქართველთ მოსახლეობის შუაგულში, ქართლში, იყო ქალაქი (ახლანდელი სოფელი) ქასპი; ეს სახელწოდება დღემდის ძლიერ გარკვეულად და ქალაქ Caspii-საგან სრულიად განუსხვავებელად იხსენება ქართველებისაგან. და მეოთხე: შესაძლებელია კარდუსიანები მართლა ქართლოსიანები ყოფილიყვენ და საპირნი—იბერნი, როგორც გვარწმუნებენ Თეიმურაზ ბატონიშვილი [1]) და Ტარდიე [2]).

სომხების მწერალთა რო მივხედოთ, ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ყველა ხსენებული ხალხები თითქო მათის ტომისანი უნდა ყოფილიყვენ; მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოება: მათის აზრით, არათუ ეს ხალხები, არა-

---

[1]) ისტორია მ. ძ. თეიმურაზისა, გვ. 101.

[2]) *Atlas universel de Géogr. ancien etmod., dressée par A. Tardieu, éd. 1858, carte № 2.*

მედ ნოეს მთელი შთამომავლობა სომეხთაგან მო-
მდინარეობს! ცხადია, რომ ეს აზრი მეტისმეტ გა-
ტაცებულებად უნდა ჩაითვალოს. ესეც კია, რომ,
თუ მხედველობაში მივიღებთ ვრცელ ერთტომობას,
ალბათ ამ ხალხთა და სომეხთ შორის იქნებოდა იმ-
გვარივე შორეული შთამომავლობრივი კავშირი,
როგორიც მივიენ დე-სენ-მარტენის აზრით ქართველ-
თა და სომეხთ შორის არსებობდა. მაგრამ ჩვენის
რწმუნებით (თუმცა არ შეგვიძლია—ეს რწმუნება
შეურყეველად აღვიაროთ) ეს ხალხები თვისის შთა-
მომავლობით უფრო ახლოს იდგენ ქართველებთან,
ვიდრე სომხებთან. თუ კი მეცნიერება ოდესმე მო-
ინდომებს ამის შეტყობას და ამასთანავე თუ რომ
გამოკვლევანი ჩვენს რწმუნებას გაამართლებენ, მა-
შინ სრულიად დამტკიცდება მივიენ დე სენ-მარტე-
ნის ის აზრიც, რომ ძავკასიის ყველა ხალხები, რო-
მელნიც ბრეზის მდინარიდან ჩრდილოეთისაკენ, ევქ-
სინის პონტოსა და ძასპიის ზღვას შუა ცხოვრობ-
დენ, თავიანთ შთამომავლობით ქართველთა ტომის
შტონი იყვენო.

ის მიწა, რომელიც შარნავაზის სამეფოს შე-
ადგენდა, თითქმის 1500 ოთხკუთხიან გეოგრა-
ფიულ ადგილს შეიცავდა და ოთხ აუზად იყოფებო-
და: მათ შორის პირველი არის მდ. მტკვრის აუზი;
ეს იყო ყველაზედ უვრცელესი და ქართველ მოსახ-
ლეობის შუაგულს წარმოადგენდა; მეორე—მდ.
რიონის აუზი, მესამე—ენგურის ხეობა, და მეოთხე—

მდ. ჭოროხის ქვემო ნაწილის აუზი.

საზოგადოდ საქართველოს ადგილები სხვადასხვა ხასიათის ბუნებას წარმოადგენს: აქ მშვენიერად არიან შეერთებულნი ამწვანებული ხეობანი, ტყიანი თუ თოვლიანი მთები, ვიწრო ხეობანი და მათში მიმსრბოლი მდინარეები და რუები. ძავკასიის ქედი მთელს თავისს სიგძეზე შეადგენს საქართველოს საზღვარს ერთის მხრით და მიიმართება ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ის დაფარულია დიდის ტყით ძირიდან დაწყებული ზღვის დონეს ზევით 8000 ფუტის სიმაღლეზე. მისი მწვერვალები გატიტვლებულია და მხოლოდ მუდმივ თოვლით არის დაფარული. მითქმის ამ ქედის გამსწვრივად გადაქიმულია მეორე ქედი შავ ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირიდან მდ. დებედას შესართავამდი; ეს ქედი წარმოადგენს სამხრეთის საქართველოს საზღვარს; შემდეგ ის კიდევ უფრო სამხრეთისაკენ მიიმართება და მიდის მტკვრის სისწორით, მაგრამ ამ მდინარეზე საკმაოდ დაშორებით. ამ ქედს უფრო ხშირად მცირე ძავკასიას უწოდებენ; ჭოროხისა და მტკვრის ჩაყოლებით აქა-იქ ეს ქედი იმგვარად ჩაღრმავებულია და თავისს ხაზს ისე დაცილებული, რომ გეგონებათ, მდინარეებისაგან გაჭრილი უნდა იყოსო. ეს ორი უმთავრესი მთაგრეხილი მერიდიანის 61 გრადუსთან შეერთებულია სურამის ქედით, რომელსაც ძველად ევროპიელები მოსხის მთებს უწოდებდენ და ქართველები—ლიხის მთას. ბარდა

ამისა საქართველოს შიგნით სხვებზედ უფრო შესანიშნავია კიდევ ორი მთაგრეხილი: ერთი მათგანი იწყება შასის-მთიდან და მიყვება მდ. ენგურის მარცხენა ნაპირს, — ის წარმოადგენს სვანეთის სამხრეთის საზღვარს; მეორე კი—ბორბალოს მთიდან დაწყებული ბორსა და ალაზანს შუა მიიმართება: ეს არის ბომბორის მთა. ამ მთებიდან გამოდის ბრავალი მდინარე, რუები და წყაროები, რომელნიც ჭალებს რწყავენ და აგრილებენ.

მდინარეთა შორის სხვებზედ უფრო შესანიშნავი არიან შემდეგნი:

მტკვარი (ძველებური �(ros). ეს გამოდის სოლანლუღის მთებიდან, რომელსაც ძველად მთინი და მოშისი ერქვა, და თავდაპირველად სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმდინარეობს და წარმოადგენს ვიწრო ხეობას, სურამისა და მცირე-ქავკასიის ქედების ტოტებს შორის მოქცეულს; შემდეგ, ახლანდელ ახალციხიდან თფილისამდის ოდრიკალივით მიდის აღმოსავლეთისაკენ (ამ ოდრიკალს ზურგი სურამის მახლობლად მიქცეული აქვს ჩრდილოეთისაკენ) და ბოლოს თფილისიდან დაწყებული ალაზანის ზღვამდის ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმდინარეობს. საქართველოს საზღვრებს შიგნით იმას ჩაერთვის შემდეგი მდინარეები, რომელნიც ქავკასიის უმთავრეს ქედის სამხრეთის კალთებიდან გამოდიან: ლიახვი, ქსანი, არაგვი, ალაზანი და მასთან პატარა მდინარე ბორი; მცირე-ქავკასიის

კალთებიდან კი მტკვარს ჩაერთვიან ალგეთი და ფებედა, უკანასკნელი—მდინარე ხრამთან შეერთების შემდეგ.

რიონი (ძველი ფაზისი): ამის სათავე კავკასიის უმთავრეს ქედში, სონგუთი-ხოხის მთასთან ძევს; დასაწყისში დასავლეთისაკენ მიდის, შემდეგ—მერიდიანის 60° 30'-თან—მიბრუნებულია სამხრეთისაკენ და ამ მიმართულებით მიდის ვარდციხემდის, აქიდან ისევ დასავლეთისაკენ მიიმართება და ჩადის შავ ზღვაში სიგანის 42° 8'-ისა და სიგძის 59° 19'-ის მახლობლად. მას ჩაერთვის შემდეგი მდინარეები: პირველი—ცვირილა, რომელიც გამოდის სურამის ქედის ჩრდილოეთის ნაწილიდან და მიდის ჯერ შორაპნამდის სამხრეთ-დასავლეთისაკენ, შემდეგ კი წარმოადგენს ჩრდილოეთისაკენ მიღუნულ ოდრიკალს და მიდის დასავლეთისაკენ რიონთან შეერთებამდის. მეორე მდინარეს, ცხენის-წყალს (ძველ. იპოსს) სათავე ფასის-მთაში აქვს. უმთავრესი მიმართულება ამას სამხრეთ-დასავლეთისაკენ აქვს და ჩაერთვის რიონს; და მესამე—ტეხური (ძველ. ბლავკოსი) თითქმის ცხენის-წყლის გამსწვრივად მიმდინარეობს და ჩაერთვის მის შესართავს ქვევით 20 ვერსზე.

ძველ დროებში მდდ. მტკვარი და რიონი გემსავალ მდინარეებად ითვლებოდენ: პირველი—შესართავიდან სურამამდის, და მეორე—შესართავიდანვე ცვირილას შეერთებამდის. თუმცა ეს მდინარეები ახლაც გემსავალია, მაგრამ ზღვიდან

იმდენზე კი არა, როგორც ძველად. ეს ცვლილება რამდენადმე ალბათ წყლების დაკლების გამო მოხდა, რამდენადმე—კალაპოტის ჩანგავების გამოც; ესეც შესაძლებელია, რომ მათში მავალი გემები პატარები და სხვაგვარ მოწყობილობის იყვენ, მაგალ. ბენიოხიის კამარების მსგავსნი, რომელთაც სტრაბონი იხსენიებს, ან და ძველებურის ქართულ ნავტიკების მსგავსნი, ე. ი. ნავებისა, რომელსაც ქვეშ ამოკრული ჰქონდა გაბერილი ტიკები.

ხობი მოდის სვანეთის სამხრეთის ქედიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და ჩადის შავ ზღვაში 15 ვერსით უფრო ჩრდილოეთისაკენ, ვიდრე რიონი.

ენგური ანუ ინგური გამოდის ფასის-მთიდან, თავდაპირველად მიდის დასავლეთისაკენ, შემდეგ სტოვებს სვანეთის ხეობას, მიიმართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ და ჩაერთვის შავ ზღვას 16 ვერსით უფრო ჩრდილოეთით, ვიდრე ხობი.

ჭოროხი თავის ჩასართავებით რწყავს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილებს და ჩაერთვის შავ ზღვას ბათუმიდან სამხრეთისაკენ 3 ვერსზე.

როგორც ხობის, რიონის, ჭოროხისა და მტკვრის ნაპირებზე, აგრეთვე ურიცხვ ხეობაშიაც, სადაც ამ მდინარეების ტოტები მიდის, ესახლენ საზოგადოებანი, რომელთაც მჭიდროდ მოსახლებულ სოფლებში საცხოვრებლად ყოველგვარი საშუალებანი ჰქონდათ, სიმდიდრესა და ცხოვრების საშუალე-

ბას შეადგენდენ მიწის ნიადაგი და ჰავა; საქონლის მოსაშენებლად ყოველგან ძლიერ სასარგებლო პირობანი არსებობდენ; საქონლის მოშენება ძველადანვე ალბათ კარგ მდგომარეობაში ყოფილა, რადგან საქონლის რამდენიმე ნაწილი გარეშე მოვაჭრეთათვის იყო დანიშნული. ამ ქვეყნის მიწის მუშაობა და ბაღოსნობა თავისის ნაწარმოებით ცნობილი იყო ჰომერის დრომდისაც. შეიძლება ყველა ის მშვენიერი და ნაზი ნაყოფები, რომელნიც დღეს საქართველოში მოდიან, ამ ქვეყნის ნიადაგის პირველყოფილ ბუნებრივ ნაწარმოებთა ეკუთვნოდენ, და თუ ეს არა, ყურძნის სამშობლოდ ხომ მაინც რიონის ნაპირებს თვლის მეცნიერება. დაფნისა და ლიმონის ხეები ტყეებივით იზდება ძველ ქოლხიდის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილებში. მხოლოდ სვანეთის ხეობა კი უნდა გამოვრიცხოთ აქედან. აქაურს მაღლობ ადგილებში სოფლელები ვერ პოულობენ იმდენ სარგებლობას, რამდენსაც საქართველოს სხვა ხეობათა მცხოვრებნი. ამ ხეობაში ყველაზედ უფრო დაბალი ადგილია ინგურის კალაპოტი, რომლის სიმაღლეც სვანეთის ხეობაში ადის ზღვის დონეს ზევით 6000-დან 3500 ფუტამდის, და საქართველოს სხვა ხეობათა საშუალო სიმაღლე კი 1300 ფუტია. ხსენებულ ხეობის წლიურ საშუალო ტემპერატურად შეიძლება ჩავთვალოთ 9—დან 11 გრადუსამდის. ძავკასიის ქედი იცავს იმის ნაყოფიერობას ჩრდილოეთის სიცივისაგან, რომელიც გაზაფხულში მოილტვის

საყინავ ოკეანიდან სამხრეთისაკენ, დაუბრკოლებლად გამოივლის მთელს ევროპის რუსეთს და გზაზე ხვდება მხოლოდ სამხრეთიდან დაძრულ სითბოს; ამგვარადვე არის დაცული ჩრდილოეთის Italia Alpebiთ და Tokaiის ყურძენი Karpatiის მთებით.

ხეობათა მცხოვრებნი ერთმანერთ შორის, როგორც ჩვენს დროშიაც, ბილიკებით მიმოდიოდენ, რომელიც მდინარეების ნაპირ-ნაპირ იყო გაყვანილი, და აგრეთვე მთებში გადასავალ გზებით, რომელიც წვიმებისაგან და წყლების გადმოსვლის გამო ხშირად ისე ხდება, რომ იქ გასვლა არ შეიძლება. მაგრამ ძველადანვე იმისთანა შემაერთებელი გზებიც ყოფილა, რომლის გაუმჯობესობისათვის არათუ ადგილობრივი მცხოვრებნი, არამედ უცხო ქვეყნელებიც კი ზრუნავდენ. Mtkvris, Svirilasi და Rionis ხეობანი და Surami ქედზე გადასავალი გზა ისე საყურადღებონი იყვენ, რომ გულმოდგინედ ზრუნავდენ მათზე ყველა ის ხალხები, რომელთათვისაც Indoეთთან ვაჭრობა საგულისხმო იყო. Straboნსა და Plinis რომ უზარმაზარი შენობანი უნახავსთ Svirilas ნაპირებზე, ესეც კმარა იქის დასამტკიცებლად, რომ ადგილობრივი საზოგადოება და მართებლობა ყურადღებით ყოფილან და შეუგნიათ მათ ამ სავაჭრო გზების კარგ მდგომარეობის სარგებლობა. ეს მწერალნი გვარწმუნებენ, რომ აქ 120 ხიდი არსებობდაო და ამით გაადვილებული იყო ამ ჩქარ მდინარეზე იმ საქონლის გადატანა, რომე-

ლიც Იბერიიდან ხმელეთით Ფორაპნის ციხესთან მიჰქონდათო, და ეს ციხე ფრიად დიდ საწყობ ალაგს შეადგენდა, ასე რომ იმაში მთელი ქალაქი დაეტეოდაო [1]). რიონის ქვემო ნაწილის ნაპირები ამოშენებული იყო ჯებირებით, რომ წყალი არ გადმოდენილიყო ჭალებში, და ჭაობიან ადგილებს დიდის მეცადინეობით აშრობდენ [2]). რასაკვირველია, ყველა ეს ხსენებული შენობანი სტრაბონისა და პლინის მოგზაურობის დიდის ხნით უწინდელი იყვენ. დასასრულ, კიდევ იყო სარმატებისა და სკვითების ვაკის შემაერთებელი გზები; ეს გზები ბუნებით გაჭრილი იყო, ძაკასიის ქედის გაყოლებით, და ბარბაროსები იმათ შემწეობით ესეოდენ საქართველოსა და სამხრეთის სხვა ქვეყნებს. ეს გზებივე საქართველოს აერთებდა დიდ სომხეთთან და სპარსეთთან. ძველი მწერალნი მთის ოთხ გასავალს იხსენიებენ, რომელნიც მათ სცოდნიათ Იბერიაში, მაგრამ მათის აწერილობით მხოლოდ სამია გასაგები ანუ მისახვედრი: Დარიალისა (Pilae Caucasae), Ალვანიისა (Pilae Albanae) და Დარუბანდისა (Pilae Caspiae). ამ გასავალებში მცველებად ქართველები იდგენ. მეავე წყაროებთან მდებარე Დარიალის ვიწრობს როცა აგვიწერს, პლინი ამ-

---

[1]) *Strab. I. XI, p 343.*

[2]) *St. Martin, Recherches sur l'hist. de l' Asie, ch. XX.*

ბობს, რომ ეს ვიწრობი შეჭედილ ნაბორებით იკეტებოდაო და მის მახლობლად, სამხრეთის მხრით, მთაზე იყო სიმაგრე, რომელსაც სახელად ჟუმანია ჰქვიოდაო [1]): ახლა იქ არის სოფელი ჟუმნის-ციხე (რუსის ინჟინერები იმას ეძახიან ჟალმუჩიხას, რომელსაც არცერთ ენაზედ არავითარი ეტიმოლოგიური აზრი არ აქვს). მთების ამ სამ გასავალისაგან უკანასკნელი მხოლოდ ხანდისხან შეიდიოდა საქართველოს უფლებაში. ტაციტის მატიანეთაგან სჩანს, რომ ქრისტიანეთა წელთაღრიცხვის I საუკუნეში ამ გასავალსაც ქართველები იკავდენ [2]). ხალხის გადმოცემათა III თავში ჩვენ ვიპოვეთ, რომ ეს ვიწრობი თავდაპირველად იმ დროს იყო გამაგრებული, როცა შიშდადიანის დინასტიისაგან შთამომავალი სპარსეთის მეფეები მფლობელობდენ. ამ გადმოცემათა მოწმობით იმ დროშივე აშენებულა დარუბანდის ქალაქი. ამ ქალაქიდან იწყება ძავკასიის კედელი, რომელიც, უეჭველია, თავისის სიდიადით ეკუთვნის ფრიად შესანიშნავს ძველ შენობათა რიცხვს, რომელთა ნაწილი საქართველოს საზღვრებში არის მოქცეული. დღესაც მოჩანს მათი ნაშთები, რომელიც აქა-იქ კარგად შენახულა. დარუბანდიდან აღმოსავლეთით ეს კედელი შესულია ქასპიის ზღვაში, შემდეგ ამ ქალაქიდან დასავლეთისაკენ მი-

---

[1]) *Plin I. VI, c. 12.*

[2]) *Annal de Tacite, I. VI, ch. 33.*

დის, ადის ზევით მთა-მთა და მიიმართება ᲣᲐᲖᲘ ᲣᲣ-ᲛᲣᲮᲘᲡ საპოვაროს გაყოლებით მაღალ ᲭᲣᲨᲐᲜ-ᲓᲐᲦᲘ-ᲡᲐᲙᲔᲜ, შემდეგ ის ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მთების ჩრდილოეთის კალთებში იკარგება და ხელახლავ ჩნდება ძველ ᲐᲚᲕᲐᲜᲘᲘᲡ ᲭᲐᲚᲔᲑᲨᲘ, ᲛᲣᲮᲐᲮᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲡ პირდაპირ, და გაელებულია სოფელ ᲙᲐᲢᲔᲮᲘᲡ მთელ სიგძეზე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ მცხოვრებთა გადმოცემით, ეს კედელი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲔᲚᲡᲗᲕᲘᲡ უნდა აეშენებიოს, და ეს გადმოცემა ᲭᲐᲚᲐᲭ ᲓᲐᲠᲣᲑᲐᲜᲓᲘᲡ აშენების გადმოცემებთან არის შეერთებული. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲔᲕᲠᲘ უფრო ფრთხილი მწერალი, რომელნიც შესანიშნავი არიან თავიანთ სამეცნიერო მოღვაწეობით, პოულობენ საფუძველს და ამბობენ, რომ «ᲓᲐᲠᲣᲑᲐᲜᲓᲘᲡ აშენება მე-VI საუკუნეზედ უფრო ადრე არ ყოფილაო», იმ საუკუნეზედ, როცა სასანიანთა დინასტიის ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ მეფეები მართველობდენო [1]). ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲔᲪ კია, რომ ამ გადამეტებულ სიფრთხილეს შეცთომაში შეყავს ისინი და თავისს წინააღმდეგს ამბობენ, რადგან თვით მათვე იციან, როგორც სჩანს იმათ ნაწერებში, რომ ᲓᲐᲠᲣᲑᲐᲜᲓᲘᲡ არსებობა მე-IV-ისა და მე-V საუკუნის გეოგრაფებსაც კი სცოდნიათ [2]).

---

[1]) Березинъ, Путешествіе по Дагест. и Закавк., стр. 120.

[2]) Березинъ, примѣч. къ Путеш по Дагест. и Закавк., стр. 61; географія Папа Александрійскаго ясевд Моисея Хорен., описаніе Сарматіи.

დარუბანდოს კედლები უზარმაზარ ქვებისაგან არის აშენებული; იმათი სიმაღლე 28-დან 40 ფუტამდის ადის და სიგანე 4-დან 7 ფუტამდის. ქალაქის სამხრეთის კედლიდან მიდის მიხვეულ-მოხვეულად ძავკასიის კედლის ნაშთების გაგძელება, იმ მთების მიმართულებით, რომელსაც წინეთ მიყვებოდა; ეს კედელი იმგვარვე მასალით არის აშენებული და იმავე სიმაღლისა და სიგანისაა, როგორც ქალაქის კედლები; მასთან გაყოლებული იყო მრავალი სიმაგრე და კოშკი. მაგრამ მთების სამხრეთის მხარეზედ ეს კედელი სხვა მასალისაგან ყოფილა აშენებული: აქ უმეტეს ნაწილად სიპის ქვაა დაწყობილი და კირით დაშენებული; ძატეხში შენიშნავთ, რომ უძველესი კედელი თიოქის სულ ძირამდი დაუნგრევიათ და იმის გასწვრივ, ძლიერ ახლოს, სხვა კედელი აუშენებიათ, რომელიც ახლა მაინც ძლიერ ძველი უნდა იყოს, ასე მე-VI საუკუნისა მაინც. დარჩენილი კვალი გვიჩვენებს, რომ ამ კედლის მთელი სიგძე 360 ვერსს შეადგენდა. ისტორიკოსები ერთხმად აღიარებენ: ამ ვეებერთელა კედლის აშენების მიზანი ის იყო, რომ სამხრეთის მხარეები ბარბაროსთა შემოსევისაგან დაეცვათო; მაგრამ ახლრებული ეს არის, რომ ძატეხის კედელს, რომელიც ჩვენის თვალით დავათვალიერეთ და რომელიც ძავკასიის უმთავრეს ქედის ძირ-ძირ არის გაყოლებული, სასროლი სარმკლები ჩრდილოეთისაკენ აქვს მიწყობილნ.

ეს მთის გასავალები მარტო ომების დროს კი არ ყოფილა დანიშნული ხალხთა ერთმანერთშორის მიმოსვლისათვის, არამედ მშვიდობიანობის დროსაც. პორსები (ალბათ ოსები), რომელნიც დონის ანუ ტანაისის ნაპირებზე ცხოვრობდენ, სავაჭროდ ამ გასავალებით მიმოდიოდენ და თავიანთ ოქროთი ყიდულობდენ ინდოეთისა და ბაბილონის საქონელს და აქლემებით გადმოჰქონდათ თავიანთ ქვეყნებში [1]).

სადაც ვაჭრობის ამისთანა მოძრაობა არსებობდა, შეუძლებელია—ქალაქებიც არ ყოფილიყო იქ, რადგან ისინი არიან მოქალაქობრივ ცხოვრების მიმზიდველი პუნკტები. საქართველოში ძლიერ ადრე გაუმართავთ მოსახლობანი, რომელთათვისაც, ხალხის გადმოცემის მოწმობით, ქალაქები და ციხეები უწოდებიათ. თავდაპირველად იმათის მოშენების მიზანი თავის დაცვა იყო და ამიტომაც ისინი სიმაგრეების მსგავსნი უნდა ყოფილიყვენ. ადგილობრივ მატიანეთა ჩვენებით, იმ დროს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, საქართველოში შემდეგი ქალაქები და ციხეები არსებობდენ:

ქართლი, რომელიც ძველისძველ დროში არის აშენებული ქართლოსის შტოის ქართველთაგან. ის ააშენა (სიგანის 41° 43'-ისა და სიგძის 62° 10'-ის მახლობლად) ქართლოსმა იმ მთაზე, რომელიც ამარ-

---

[1]) *Strab. I. XI. p. 349.*

თულია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, იქ, სადაც მას არაგვი ჩაერთვის. ფარნავაზის დროს ამ ციხეს არმაზი ანუ არმაზ-ციხე ერქვა—იმ მიზეზით, რომ ამ მეფემ იქ ღვთის ურმუზდის სახელზე საკურთხეველი ააგო. ძველი გეოგრაფები იმას სხვადასხვა სახელს უწოდებენ: სტრაბონი—ჰარმოზიკს (Harmosica), პლინი—ჰარმასტის (Harmastis) და პტოლომეი—ჰარმასტისას (Harmastisa).

ძველ საქართველოს ქალაქების აწერა ჩვენ იმ რიგზე ვამჯობინეთ, როგორც ნაჩვენებია იმათი აშენება ერთი-მეორეზე ხალხის მატიანეებში; თუმცა ეგ სისტემა უფრო გამოუდეგარია, ვიდრე გეოგრაფებისაგან საზოგადოდ მიღებული სისტემა, ე. ი. როდესაც ერთის ქალაქიდან გადადიან მეორეზედ, რომელიც მანძილით იმის უახლოესია,—მაგრამ აქ მხედველობაში ის გარემოება ვიქონიეთ, რომ პირველ რიგით ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ ძიიმართებოდა და როგორ ფართოვდებოდა საქართველოს ხალხის მოსახლეობა.

ქართლს შემდეგ ამ რიგით არიან: ორბისი (სამშვილდე), ე. ი. სიმაგრე, რომელიც ქართლოსმა მდინარე დებედას ჩასართავის ქციის ანუ ხრამის მარცხენა ნაპირზე ააშენა. ჩვენს დროშიაც მოჩანს იმის ნანგრევები, სადაც არავინ ცხოვრობს. უცხო ქვეყნის მწერალთა ცნობებიდან არა სჩანს, თუ ეს ქალაქი რამდენად შესანიშნავი იყო ძველად; მისი არსებობა, როგორც ქართველების ქალაქისა, მოხსე-

ნებულია პაპის გეოგრაფიაში (ეს იყო ალექსანდრიის სასწავლებლის მათემატიკოსი და ჩვენის წელთაღრიცხვის მე-IV საუკუნეში ცხოვრებდა): ამ გეოგრაფიას აწერენ მოსე ხორენელს.

მტკვრის-ციხე ანუ ხუნანი, სიმაგრე, რომელიც ააშენა აგრეთვე ქართლოსმა იმ ადგილის მახლობლად, სადაც დებედა მტკვარს ჩაერთვის. ეს ორი სიმაგრე ალბათ ქართლოსის მოსახლებულ სამფლობელოთა სამხრეთის საზღვრების დასაცველად ყოფილა აშენებული.

დედა-ციხე და ბოსტან-ქალაქი, რომელსაც რუსთავს ეძახიან, ხალხის მატიანეთა სიტყვით, ქართლოსის ცოლს აუშენებია: დედა-ციხე ქალაქ ქართლის მახლობლად, პაწია მდინარე თეძამაზე, რომელიც მტკვარს ჩაერთვის მარჯვენა მხრით, და ბოსტან-ქალაქი მაღლობზე, რომელსაც ახლა იაღლუჯას უწოდებენ (თფილისიდან 15 ვერსზეა).

გაჩიანი ანუ სანადირო-ქალაქი აშენებულია ქართლოსის შვილის ბაჩიოსისაგან, ქციის მარჯვენა ნაპირზე, იმ ალაგას, სადაც ამ წყალს მაშავერი ჩაერთვის. ამ ქალაქის ნანგრევები დღესაც კი მოჩანს.

ჩელთი ანუ ბერი: დღეს ეგ არის ძლიერ დიდი სოფელი ქახეთში, მდინარე ჩელთზე მდებარე, და სახელად შილდა ჰქვია, სიგან. 42° 0' და სიგძ. 53° 23'.

უცხო ქვეყნის ძველმა გეოგრაფებმა სრულიად არ იცოდენ მტკვრის-ციხის, დედა-ციხის, ბოსტან-

ქალაქის, ბაჩიანისა და ჩელთის არსებობა.

მცხეთა აშენებულია მცხეთოსისაგან მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სადაც მას არაგვი შეერთვის (სიგან. 41° 50' და სიგძ. 62° 23'). ეს იყო სატახტო ქალაქი აშენების დროიდან ჩვენის წელთაღრიცხვის მე-V საუკუნემდის. აქ არის სიდიდითა და არხიტექტურით ფრიად შესანიშნავი ეკლესიები და გარდა ამისა აქვე დღესაც შეგიძლიათ შენიშნოთ, რომ მტკვრის ნაპირები ამოშენებული ყოფილა გარეულ ლილის ქვით. ამ ქალაქს პტოლომეიმ მესტლეტა დაარქვა [1]). ახლა მცხეთა პატარა სოფელია, სადაც დარჩენილან ხუროთმოძღვრების სახსოვარნი, ვითარცა მის წარსულ დიდების ბეჭედი.

მცხეთოსს შემდეგ მისმა შვილებმა თავიანთ წილხდომილ მხარეებში ააშენეს შვიდი ქალაქი: ოძრხე, ოუხარისი, წუნდა, არტანისი (ძაჯთ-ქალაქი ანუ ბური), შფლის-ციხე, ურბნისი და ძასპი.

ქალაქი ოძრხე ახლანდელ ახალციხის ახლოს მდებარეობდა, მტკვრის ერთერთ ჩასართავზე; ამის მახლობლად, ბოროხის აუზში, იყო ოუხარისი; წუნდა—მტკვრის სათავეებში; არტანისი მდებარეობდა წუნდის მახლობლად, აგრეთვე მტკვრის აუზში. ძველ დროის გეოგრაფები იმას ამავე სახელს უწოდებენ, მაგრამ ახლა თურქების ხელში მას არდაჰანი ეწოდება. დასასრულ, სიმაგრეებიანი ქალაქები შფლის-

---

[1]) *Ptolém. Geogr. I. V, cap. 11.*

ციხე, ᲨრᲑᲜᲘᲡᲘ და ᲥᲐᲡᲞᲘ ᲛᲪᲙᲕᲠᲘᲡ მარცხენა ნაპირზედ იყვენ, შუაგულ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ. ᲨᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ორის ქალაქის ნაშთები ახლა პატარა სოფლებია (ᲥᲐᲡᲞᲘ მდებარებს სიგანის 41° 5Ნ'. და სიგძის 62° 4'-ზედ), და ᲨᲤᲚᲘᲡ-ციხე კი სრულიად უდაბურია. ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ამბობს: ეს იყო «შენობა უცხო კლდისაგან გამოკვეთილი. ᲞᲐᲚᲐᲢᲜᲘ დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი კლდისგანვე; გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული ᲛᲪᲙᲕᲠᲐᲛᲓᲔ, დიდი. დასავლით აქვს ᲥᲐᲠᲐᲤᲘ მაღალი, და მას შინა გამოკვეთილნი ქვაბნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუალ-არს» [1]).

ᲛᲪᲙᲕᲠᲘᲡ აუზში კიდევ იყო ერთი ქალაქი, სურამი ანუ სურიუმი [2]), მამასახლისების მართველობის დროს აშენებული იმ ალაგას, სადაც ახლა ამ სახელის დაბაა და სადაც დღემდის მოჩანს ციხის ᲰᲡᲒᲐᲕᲘᲡᲘ კოშკების ნაშთები. ᲘᲡ იყო ძველად ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ სავაჭრო საქონლის საწყობი ალაგი. ᲘᲛᲘᲡ აშენების შესახებ თითქმის მთელს ადგილობრივ დაბალ ხალხში გავრცელებულია ერთი ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ,— მაგრამ ჩვენის წერილებისათვის ის ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲐ.

ᲠᲘᲝᲜᲘᲡ აუზში თითქმის იმავე დროს მოშენდა ქალაქები, როდესაც ᲛᲪᲙᲕᲠᲘᲡ აუზში. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗ მატიანეები ამათ აშენების დროს არ გვიჩვენებს ისე ცხადად, როგორც ზემოხსენებულ ქა-

---

[1]) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 244.

[2]) *Plin. l. VI. cap. 14.*

ლაქებისას, მაგრამ უცხო ქვეყნელთ ნაწერებიდან ჩვენ ვიცით, რომ ეა და ქუთაისი ძველისძველათვე არსებობდენ: პირველი იყო მდიდარი ქალაქი—რიონის შესართავის მახლობლად (სიგან. 42°0' და სიგძ. 59°19'). ეს ქალაქი იხილეს და შეამკეს ბერძნებმა თავიანთ საგმირო ხანებში. ტროადის ომს შემდეგ, როცა ბერძნებმა აქით-იქით ყველა მხარეში გადასახლება იწყეს, მილეტელებმა დაიპყრეს იგი და მის ნანგრევებზე დააარსეს ახალშენი, სახელდობ ფაზისი, რომელსაც ახლა ფოთს ვუწოდებთ. ქუთაისი (ქოტა ანუ ქიტა) იყო ქოლხიდის მთავართა სამყოფი ქალაქი. ეს დღესაც რიონზე მდებარებს (სიგან. 42° 16' და სიგძ. 60° 22').

გარდა ამისა ფარნავაზის მეფობის დროს სხვა ქალაქებიც აუშენებიათ, რომელთ შორისაც უფრო შესანიშნავი იყვენ შემდეგნი: შორაპანი, რომელზეც ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ, და არქიოპოლისი. ბროსეს აზრით, ეს უკანასკნელი არის ახლანდელი ნოქალაქევი, ძველებური ციხე-გოჯი, რომელიც ფარნავაზის პირველმა თანამოღვაწემ ერისთავმა ქუჯიმ ააშენა მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირზე.

საქართველოს ძველი ისტორია.

(საქართველოს სამეფოს დაარსებიდან ქართველებისაკენ ქრისტიანობის მიღებამდის).

I

გარემოებანი სამეფოს დაარსებიდან რომის ომებამდის.

საურმაგის მეფობა (237—162).—ურთიერთშორისი ომი ერისთავების დამოუკიდებლობისათვის მეფეთ უფლებისაგან.—არტაშისისა და ზადრიადის შემოსევა.—მირვანის მეფობა (162—112); ურთიერთშორისი ომი საურმაგის ორ სიძეს შორის ტახტის მემკვიდრეობისათვის.—სამეგრელოს და ზღვის ნაპირას მდებარე სხვა ადგილების მოცილება საქართველოს სამეფოსაგან.—ბალკართა შემოსევა.—ფარნაჯის მეფობა (112—93); ომი სარწმუნოებრივ რეფორმებისათვის; არშაკ 1-ის ტახტზე მოწოდება (93—81) და ფარნაჯის განდევნა; პონტოელის მეფის მიტრიდატის შემოსევა.—საქართველოს შინაგანი მოწყობილობა და მდგომარეობა ფარნავაზის სიკვდილიდან რომის ომებამდის.

1. პირველ ომის მიზეზად გახდა ის გარემოება, რომ, როდესაც ფარნავაზის სიკვდილს შემდეგ ავიდა ტახტზე მისი შვილი საურმაგი, ქახეთის ერისთავმა ისარგებლა მით, რომ ტახტის მემკვიდრეობის უფლება ჯერ კიდევ არ ჰქონდა სრულად შეთვისებული ხალხის გონებას, და ცილობა დაუწყო

საურმაგის მეფურ უფლებას და შეადგინა შეთქმულობა, რომელსაც საგნად ჰქონდა—მეფის უფლება მოესპო და აედგინა ერისთავთა დამოუკიდებლობა. შეთქმულობა ალბათ ძალიან მარჯვედ და მოხერხებულად იყო წაყვანილი, მიტომ რომ ხალხის უმრავლესმა ნაწილმა დიდი თანაგრძნობა გამოუჩინა ამ განზრახვას. საურმაგი იძულებული შეიქნა, საქართველოდან გაქცეულიყო და შემწეობა ეთხოვა იმ ხალხებისათვის, რომლებიც ცხოვრებდენ ძავკასიის ჩრდილო ქვეყნებში.

ფარნავაზს სურდა, რომ თავისის შთამომავლობის უფლება და ხელმწიფება განემტკიცებინა საქართველოში ძლიერის ნათესაობრიულის და მოყვრულ კავშირით და ამიტომ თავისის მეფობის დასაწყისშივე შეირთო ცოლად ლურძუყის თემის მთავრის ქალი; ერთი თავისი და მიათხოვა თავისს მომხრესა და მეგობარს, სამეგრელოს ერისთავს, ძუჯის, მეორე კი ოსეთის მთავარს. საურმაგის გაქცევის მიზეზი რომ გაიგეს, მისი ძლიერი ნათესავები დაუყოვნებლივ აღიჭურვენ აჯანყებულ ერისთავების წინააღმდეგ, რომელნიც დასაჯეს, და საურმაგი კი მოიწვიეს თავისის მეფობის გასაგრძობად. ამ გვარად მეფის უფლების დამოუკიდებლობისაგან კათავისუფლებისათვის მეცადინეობამ ფუჭად ჩაიარა და ამას ბოლოს ის შედეგი მოყვა, რომ საქართველოს ხალხში თანდათან განვითარდა მისის მართებლობითის ერთობის რწმენა.

2. საურმაგის მეფობის დროს საქართველო, რომელიც ჯერ კიდევ აღიარებდა სელევკიანების მფარველობას, ეხმარებოდა თავისის შეძლებით ანტიოქ დიდს აზიაში მისის საბძანებელის სხვადასხვა მაზრების აჯანყების დროს. ამის გამო საქართველოს შემოესიენ სომხების ჯარები აჯანყებულ სარდლების არტაშისისა და ზადრიადის წინამძღოლობით; სომხების ისტორიკოსნი გვარწმუნებენ, რომ თითქო არტაშისსა და ზადრიადს კიდეც დაეპყრობოთ მთელი საქართველო [1]). თუმცა ადგილობრივ მატიანეებში არაფერი ამგვარი სრულიადაც არ მოიხსენიება, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ სარდლებმა სრულიად დაასუსტეს სელევკიანების ხელმწიფება აღმოსავლეთში და მისცეს უპირატესობა პართების დინასტიის არშაკუნიანებს, მაშინ შეიძლება მიეცეს რამოდენიმე რწმუნება იმ მოსაზრებას, რომ არტაშისმა და ზადრიადმა საქართველოს წინააღმდეგ მოახდინეს მხოლოდ დემონსტრაცია, რადგანაც საქართველო სელევკიანების მოკავშირე ქვეყანა იყო, და რომ თვით დემონსტრაცია გათავდა ნოსაზღვრე საერისთაოების მსუბუქის დარბევით.

3. მეორე ურთიერთშორის ომის მიზეზი ის იყო, რომ საურმაგს ვაჟი არ ჰყავდა; ჰყავდა იმას მხოლოდ ორი ქალი, რომელთაგან ერთი მიათხოვა

---

[1] *St. Martin, Recherches sur l'hist. de l'Asie, chap. 19.*

ცოლად სამეგრელოს ერისთავს, ძუჯის შვილის—
შვილს, ხოლო მეორე მირვანს, რომელიც შთამო-
მავლობდა ძველის ასურელ მეფეებისაგან უკა-
ნასკნელი, მირვანი, კიდეც აიყვანა შვილად საურ-
მაგმა და დანიშნა თავისს მემკვიდრედ. მაგრამ, რო-
დესაც საურმაგის სიკვდილს შემდეგ, 162 წლის
წინეთ ქრისტეს დაბადებამდის, აკიდა ტახტზე მირ-
ვანი, მაშინ სამეგრელოს ერისთავმა ააჯანყა დასავ-
ლეთის საერისთაოები, მოიშველა რამდენიმე მთიე-
ლი თემები და დაუწყო აოხრება საქართველოს ში-
ნა მაზრებს, რომელიც მირვანის ერთგული იყო.
სამეგრელოს ერისთავი სამეფო სახლთან მარტო
უკანასკვნელს თანასწორს ნათესაობრივ კავშირზე
კი არ აფუძნებდა თავისს უფლებას, არამედ ადრინ-
დელ კავშირზედაც, რომელიც შეერთებული იყო მის
შთამომავლობასთან (ვინაიდან იგი იყო ფარნავაზის
ის შვილისშვილი). ომი თითქო სამეგრელოს
ერისთავის სასარგებლოდ თავდებოდა და მირვანმა,
უკიდურეს მდგომარეობამდის მიყვანილმა, მიმართა
პართების მეფეს არშაკს და შეშწეობა სთხოვა; ამანაც
შეიწყნარა მირვანის თხოვნა და სამეგრელოს წი-
ნააღმდეგ გაუშვა თავისი ძმა, სომხეთის მეფე ვა-
ლარშაკი, რომელიც იმ დროს ეჩხუბებოდა მცირე
სომხეთის მთავარს მიტრობარზანს. ვალარშაკმა გაა-
თავა თუ არა უკანასკნელთან საქმე, შეესია სამეგ-
რელოს, და აჯანყებულმა ერისთავმა, ვალარშაკისა
და მირვანისგან გარეშემოზღუდულმა, თავისი საკუ-

თარი სამთავროებიც დაკარგა. ამ ომის შედეგი ის იყო, რომ მაღარშაკმა დაიტოვა თავისთვის შავ ზღვის ნაპირებზე მდებარე ქვეყნები, ხოლო ალბანიას მისცა ავტონომია თავის მეგობრის არანის [1]) მართველობის ქვეშე. რადგან ერთის მხრით იგი საკმაოდ სთვლიდა, მირვანის თხოვნის დასაკმაყოფილებლად მცხეთის ტახტი დაეტოვებინა მისთვის, და მეორეს მხრით იგი პოებდა, რომ თვისის სისუსტის გამო მირვანი ვერ შეიძლებდა, მოეთხოვა მისთვის საქართველოს უკანვე დაბრუნება უწინდელ საზღვრებს შორის. თუმცა სომხეთის მეფის ეს საქციელი უპატიოსნო იყო, მაგრამ, რადგან არშაკუნიანების ძლიერება სულ თანდათან მატულობდა, ამიტომ მირვანი იძულებული გახდა—მათი კეთილგანწყობილება ეძებნა, და რომ ნათესაობრიულის კავშირით უზრუნველ ეყო თავისი უფლება საქართველოს დანარჩენ ნაწილში, იმან მიათხოვა ცოლათ თავისი ასული პართების მეფის შვილს არშაკს.

4. ძლივს აღადგინა თუ არა მირვანმა მყუდროება და წესი საქართველოში, მაშინვე ამ ქვეყნის მშვიდობიანობა დაირღვა ბარბაროსების შემოსევით. კავკასიის ჩრდილო ქვეყნებიდან გამოჩნდა ახალი მრავალრიცხოვანი ხალხი, ბალკართა სახელით ცნობილი. თავდაპირველად ეს ხალხი დროებით დაბინავდა მალკისა და თერგის ნაპირებზე, აქიდან კი სკვითე-

---

[1]) *Recherches sur l' hist. de l' Asie, ch. 20.*

ბის თემებისგან შეიწროებული, თავის ბელადის ზანტის წინამძღოლობით, მიაშურა მთებს და ოსების ადგილებით და დარიალის ვიწრო ყელით შეესია საქართველოს. ბალკარების მოძრაობის სისწრაფე ისეთი ძლიერი იყო, რომ მათი შეჩერება, როდესაც ოგინი არაგვის ნაპირებზე გამოჩნდენ, შეუძლებელი საქმე შეიქნა. იმათ სწრაფად გაიარეს საქართველო და თავისს შემდეგ არავითარი ოხრების კვალი არ დაუტოვებიათ, როგორც ეს სჩანს მატიანეებისაგან. სომხეთს რომ მიაწიეს, ბალკარები სომხეთის მეფის თანხმობით დაესახლენ ერთ მაზრაში, რომელსაც ერქვა ანპეტ-პასერი ანუ ზანანდი [1]).

5) საქართველოს მატიანეები გვარწმუნებს, რომ მესამე ურთიერთშორის ომის მიზეზი, როგორც კიდეეაც გვითქვამს, იყო სარწმუნოებრივი ცვლილებანი, რომელთა შემოღებაც დააპირა მირვანის შვილმა ზარნაჯომმა. ვიცით, რომ ზოროასტრის მოძღვრება, ბუნების გალმერთებაზე დაფუძნებული, სანამ ის წმიდად და შეუცვლელად იყო შენახული, არ ითხოვდა არც ტაძრებს და არც სტატუებს; მსხვერპლის შეწირვა სრულდებოდა მთის მშვენიერ მალლობებზე ან ანკარა წყლების ნაპირებზე; მაგრამ იმ დროიდან, ირანელები რომ თანდათან დასავლეთის ხალხებს დაუახლოვდენ და მისვლა-მოსვლაც გაიმართა მათ შორის, ღვთისმსახურების წესებმა რამო-

[1]) *Recherches sur l' hist. de l' Asie, ch. 20*

დენიმე ცვლილება მიიღო: წესი უფრო დღესასწაულებრივი შეიქნა ყოველგან, სადაც კი ეს მოძღვრება სუფევდა, დაიწყეს ტაძრებისა და სტატუების ამართვა. ეს ცვლილება შემოვიდა საქართველოსაც და, როგორც სჩანს, იგი მოსწონდათ ქართველებს. პირველი სტატუა იყო ამართული ფარნავაზისაგან ორმუზის სამსხვერპლოსთან, ქალაქ ძართლში, როგორც უზენაესის ღვთაების გამომხატველი, და სახელად დაარქვეს არმაზი [1]).

საურმაგი და მირვანი გულმოდგინედ ეწეოდენ სარწმუნოების გარეგნობის სიმშვენიერეს, როგორც ხალხის გემო და გონება მოითხოვდა; მაგრამ ფარნავაზს შემდეგ გავიდა თითქმის ას ორმოც და ათი წელიწადი,—უეცრად ფარნაჯომმა მოიწადინა, დაბრუნებოდა ძველ დროის მივიწყებულ წესებს, რომელსაც მცირე მიმზიდველობა ჰქონდა. ამან ააშფო-

---

[1]) ვახუშტი (გეოგრ. აღწ. გვერ. 6 და 26) სწერს, რომ არმაზის სტატუა უზარმაზარ ხიდიდის იყო და ოქროთი იყო შემოსილიო; მისი თვალები გაკეთებული იყო ძვირფას თვლებისგან და ძვირფას თვლებისგანვე გაკეთებული ბრწყინვალე გვირგვინი უშვენებდა მას თავსო; მისთვის დაწესებული იყო სარწმუნოებრივი სადღესასწაულო დღე, და ამ დღესასწაულს იხდიდენ ამ სტატუის კვარცხლბეკთანო. ბრავალ ხალხით შემოზღუდული, იქ მიბრძანდებოდა მეფე თავისს დიდებულებითურთ და წინწილათა და დაფდაფთა ხმაზე ასრულებდენ მსხვერპლწირვას. ზოგი ხარებს კლავდა, ზოგი ცხვრებს, ირმებს და შველებსო, და ზოგი კი იმგვარ საშინელ ფანატიზმამდი მიწევდა, რომ მსხვერპლავდენ თავისს შვილებსო. შემდეგ იწყებოდა ნადიმი, ცეკვა და სხვა გართობანი, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა. ამგვარივე დღესასწაული იყო დაწესებული სხვა ღმერთებისთვისაც.

თა ქართველები და იმათ მალე გაუგზავნეს დეპუტაცია არშაკუნიანებს და თხოვეს, რომ ჩამოეგდოთ შარნაჯომი და საქართველოს ტახტზე აეყვანათ მირვანის სიძე არშაკი. არშაკუნიანების განზრახვა და ვერაგობა, რომელმაც, უეჭველია, უფრო აიძულა ქართველები ამ თხოვნაზე, ვიდრე მემატიანისგან მოყვანილ მიზეზებმა, სრულიად დაკმაყოფილებული იყო ამით, და ამიტომ არშაკს დაუყონებლივ უბოძეს ფარმანი და პართების თუ სომხების ჯარების თანხლებით გაამგზავრეს საქართველოს, რომლის მცხოვრებლებიც შეუერთდენ მას და ერთხმად აირჩიეს თავიანთ მეფედ. შარნაჯომი გაიქცა პონტოს [1]).

6. ჩვენ კიდევაც ვნახეთ, რომ იმ ომის გათავების შემდეგ, რომელიც მოხდა მირვანსა და სამეგრელოს ერისთავს შორის, უკანასკნელის სამთავრო დაიტოვა თავისთვის სომხეთის მეფემ შალარშაკმა. ამან დააყენა იქ თავისი მოადგილეები და ვალდებულ-ჰყო ისინი, რომ ეზრუნათ ქვეყნის კეთილგანწყობილებისათვის; მაგრამ ამ მოადგილეებმა თავისის ანგარებისმოყვარებით მცხოვრებლები იძულებული გახადეს—აჯანყებულიყვენ, თუმცა ეს აჯანყება მალე მოსპო ბრშაკმა [2]). არტაშესის მეფობის უკანასკნელ წლებში, დაახლოებით 98 წელს ქრისტეს მოსვლამდის, ქოლხთა აჯანყება კიდევ

---

[1]) ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა, გვერ. 121.

[2]) Моисей Хорен., кн. II, гл. 8.

ხელმეორედ მოხდა. მაშინ არტაშესმა შავ ზღვის ნაპირებზე მდებარე ყველა ადგილების დამშვიდება და უფლება მიანდო თავისს სიძეს, პონტოს მთავარს, მიტრიდატს, რომელსაც ბერძნულის ენით ᲓᲘᲝᲜᲘᲡᲘᲔᲕᲞᲐᲢᲝᲠᲘᲡ ეძახდენ და რომელიც იყო ძველ დროის ერთი უდიდებულეს სარდალთაგანი [1]). მიტრიდატის წინაპარნი, როგორც ჩვენ ზევით ვაჩვენეთ, ჩამომავლობდენ იმავე ოჯახიდან, რომლიდანაც ჩამომავლობდა შარნავაზი, საქართველოს პირველი მეფე, და უეჭველად საქართველოს ადგილების ხსენებულ ნაწილის მაზედ გარდაცემა დაფუძნებული იყო მის ჩამომაკლობითს უფლებაზედაც. მიტრიდატი შემოვარდა საქართველოს და დაიკავა არათუ ზღვის პირას მდებარე ადგილები, არამედ სხვა მესაზღვრე საერისთაოებიც, და დააყენა იქ თავისი მართველები. 84 წელს ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ მოსვლამდის აᲔ მაზრებში მოხდა მესამე აჯანყება. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა განდევნეს პონტოელი მართველები და მოთხოვეს მიტრიდატს, რომ დაენიშნა მათ მეფედ თავისი შვილი მახარა [2]). მიტრიდატი ისე ეჩვენათ, თითქო დააკმაყოფილებდა მათ სურვილს, და ამიტომ გაუგზავნა თავისს შვილს ოქროს ჯაჭვი, მაგრამ, რადგანაც მას ეწამებოდა თვისის ინტერესების წინააღმდეგ განზრახვას, მალე მოაკვლევინა იგი, დასაელეთის

---

[1]) Тоже, гл. 10

[2]) ისტორ. თეიმურაზ ბატონ., გვ. 125.

საქართველოს მართვა კი მიანდო ერთს თავისს უერთგულეს მოსამსახურეთაგანს, რომელსაც მისცა ძლიერი ჯარი [1]). ამ ოთხ მეფის მართველობა, მშვიდობიანობის დროს, წარმოადგენს უმეტეს ნაწილად მზრუნველობას ქალაქების აშენებისა, საზღვრების გამაგრებისა და მცხეთის შემკობისათვის ახალ შენობებით, ტაძრებით, სტატუებით და სამსხვერპლოებით. ქართველი მემატიანენი აჩვენებენ, რომ საურმაგმა ორი სტატუა ამართა: ანიანისა და დანიანისა; მაგრამ სომხური ქრონიკა მიაწერს მას ოთხის სტატუის აშენებას, რომელთ შორისაც, ზემორე ნაჩვენებს ორ სტატუას გარდა, ბროსეს აზრით, შეიძლებოდა ყოფილიყო ბატა-ბაიმის სტატუები. ფარნაჯომმა დააფუძნა ძახეთში ჩელთის ახლო ქალაქი ნელაქრისი, რომელიც ახლა აღარ არსებობს, მაგრამ რომლის ადგილსაც აქამდისაც ეძახიან ნეკრესს, და ამ ადგილზედ არის უკანასკნელ დროის შენობების ნანგრევები, იმ დროისა, როდესაც იგი აყვავებულ მდგომარეობაში ყოფილა. იმანვე ააშენა თავისს სატახტო ქალაქში «ბოგტა», სახლი, რომელიც ბოგვების თაყვანისაფარი იყო, და იმ სახლის პირდაპირ მშვენიერ მაღლობზე, მდინარე Არაგვის მარცხენა ნაპირზე, იმ ადგილის ახლოს, სადაც ის მტკვარს ერთვის, ააგო ტაძარი, სამსხვერპლო და ზადენის სტატუა. ძნელი გამოსარკვევია, თუ რომელ სარწმუ-

---

[1]) *Crevier*, *Hist Rom.*, *tom. X.*, *liv. 33.*

ნოებრივ სისტემას ეკუთვნოდენ, თავისის მომდინარეობით, ის ღმერთები, რომელთ პატივსაცემადაც აგებული იყო ეს სტატუები: მათი სახელები არ არის არც საბერძნეთისა და შგვიპტელ ღმერთთა რიცხვში და არც ზენდ-ავესტის სულთა დასში. ბროსეს აზრით, დანიანი არის ბერძნების ღმერთის დიანას სახელი, ქართველებისაგან დამახინჯებული. ამავე დროის შენობებს ეკუთვნის ბარიალის ხეობის სიმაგრეც, მეავე წყაროების ახლოს. «ქართლის-ცხოვრება» მოგვითხრობს, რომ მირვანმა, ბურსუკიელებთან ომის გათავების შემდეგ, «ჩამოკიდა კარები ძურძუკიის გასავალში და დაამაგრა ისინი ვირით ქვის კედელშიო». პლინი ამ კარების აწერაში განმარტებს, რომ ისინი გაკეთებულნი იყვენ ჩრდილოეთის ხალხების შესაკავებლადო და ამ კარების სამხრეთით აშენებული იყო მთაზე ძუმანიის ციხეო [1]. ადვილი სიფიქრებელია, რომ ეს კარები და ციხე აშენებული იყვენ ბალკართა შემოსევის შემდეგ, სხვა მიიელ თემების შესაკავებლად, რომელნიც ბალკართა ნაკვალევზე მოისწრაფოდენ სამხრეთისაკენ.

მუმცა. მეფეები ასე მეცადინეობდენ ქვეყნის კეთილგაწყობილებისათვის, მაგრამ საქართველოს სამეფოს ყველა ნაწილებს არ აქცევდენ ისინი ერთნაირ ყურადღებას. დასავლეთის ადგილები, რომელიც უფრო დაშორებული იყო საქართველოს შუა-

---

[1]) *Plin. lib. VI. cap 12.*

გულს, ფრიად განსხვავებული იყო შუაგულ მაზრებისაგან. სომხეთის ისტორიკოსნი დაბეჯითებით ამბობენ, რომ, როდესაც ვალარშაკმა სამეგრელო, ქალიბთა და ლაზთა ადგილები დაიფლო, შენიშნა რომ ეს მშვენიერი და ბუნების ყოველგვარ სიკეთით მდიდარი ქვეყნები დაუდევრობით გაეერანებული იყო. მიწის მუშაობისათვის თავი მიენებებიათ, მდინარე რიონის ჯებირებს ყურს აღარავინ უგდებდა და მინდვრებში, რიონის ნაპირებზე, წყლის გადავლის გამო, სავსე იყო დიდროანი ჭაობები, გზები დაფარული იყო დაბურულ ტყეებით, მცხოვრებლები კი მხოლოდ ცარცვა-გლეჯის მეტს აღარას აკეთებდენ. ამგვარ მდგომარეობის მიზეზს შეადგენდა ის გარემოება, რომ, როდესაც მგვიპტეში ალექსანდრიის ქალაქი აშენდა და ინდოეთისაკენ სხვა სავაჭრო გზები გაიხსნა, შარნავაზის ყოველგვარ მეცადინეობის და ზრუნვის მიუხედავად ძველი ვაჭრობა რიონისა და მტკვრის გზით დაეცა, და მაშინ მცხოვრებლები, რომელნიც ძველადანვე შეჩვეულნი იყვენ მცირე შრომით, თავიანთ ქვეყნის განსაკუთრებულ სასარგებლო მდგომარეობის მეოხებით, და მიწის მუშაობის გარეშე, არა თუ ცხოვრების უსაჭიროესის, არამედ მცირე საჭირო საგნების მოპოებასაც,—ამ განსაკუთრებულ მდგომარეობის დაცემას შემდეგ აღარ ხედავდენ საჭიროდ, რომ რიონის კალაპოტი კარგად შეენახათ, და ამიტომ იმათ მიმართეს უზრუნველს მტაცებლობითს ცხოვრებას,

ურთიერთშორის ომების მსგავსად, რომლისთვისაც გამოწვეული იყვენ თავიანთ ერისთავებისაგან. ხომ-ხეთის ისტორიკოსთა მოწმობით, შალარშაკს სურდა, რომ თავისს ახალ ქვეშევრდომების ყოფა-ცხოვრება გაეუმჯობესებია, და ამიტომ გაგზავნა იმ მხარეში ოც-და-ათი ათასი მუშა, რომელებმაც გათხარეს არ-ხები რიონში წყლების გასაყვანად და ჭაობების და-საშრობად, ბევრი მაღლობი ადგილები მოასწორეს, ააესეს და აამაღლეს დაბალი ჭაობიანი ადგილები, გაასწორეს ჯებირები, ტყეები მოსჭრეს და ზედ ხელ-ახლად გაიყვანეს გზები [1]).

ამ დროის საქართველოს სამეფო სახლს, რო-გორც სჩანს, კარგძალი სიმდიდრე ჰქონია. არა მარ-ტო შენობების გამო შეიძლება ვიქონიოთ მსჯე-ლობა მის მდგომარეობაზე. მარტო შარნაეაზმა, რო-დესაც პონტოს გაიქცა, გაიტანა საქართველოდან იმდენი განძი, რომ იმას ყოველთვის დაქირაებული ჯარები ჰყავდა ათის წლის განმავალობაში, როდესაც ის მუდამ უილბლოდ ომობდა არშაკის წინააღმდეგ. მეფეების სიმდიდრეს შეიძლება შეადგენდა ევრო-პიული ლითონი და ინდოეთის თვლები, ფული და მდიდრული ნივთები. იმ დროის ადგილობრივ თეთრს ეძახდენ «ხვასტანგს», რომელიც გამოხატავდა ცხვრის ფასის რაოდენობას. ჩვენის საუკუნის ნუმიზმატების სიტყვით, ბევრგან მუზეუმებში აქამდისაც იპოება

---

[1]) *Recherches sur l' hist. de l' Asie, ch. 20.*

საქართველოს ამ ძველ თეთრის ნიმუშები. თუ მხედველობაში მივიღებთ მცირე შრომისმოყვარეობისადმი ხალხის მიდრეკილებას, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ამ სიმდიდრის საფუძველს იმდენად ნიადაგის წარმოებითი ძალა კი არ შეადგენდა, თუმცა ეს ნიადაგი შეიძლებოდა გამხდარიყო სიმდიდრის დაუშრეტელ წყაროდ, რამდენადაც ბაჟი, რომელსაც ახდევინებდენ ქართველები მათ ადგილებზე საქონლის გადატანისათვის ევროპიდან ინდოეთს და ინდოეთიდან ევროპას. როდესაც ეს გზა აღარ ყოფილა ძველ ხალხების ერთად-ერთ სავაჭრო გზად, როგორც პლინი გვარწმუნებს, მაშინც კი ყოველ წლობით რომი გზავნიდა შორაპანს ას მილიონს სესტერციას [1]) იმ საქონლის ბაჟად, რომელიც ამ ქალაქით რომაელთათვის მიდიოდა; თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ცხადია, რომ ფარნავაზისაგან შორაპნის აშენებამდის ძველ დროებში და აგრეთვე იმ დრომდის, რომელზედაც აქ ამბობს პლინი, საქართველოს მეფეების შემოსავალი კიდევ უფრო. დიდძალი იქნებოდა. ფრიცხვი საუნჯე, რომელიც მოულოდნელად იპოვა ფარნავაზმა მღვიმეში, გვაძლევს საბუთს, ვიფიქროთ, რომ ის საუნჯე ყოფილა მისისავე წინაპრებისაგან შეკრებილი და დამალული არეულობის დროს, რომელიც ალექსანდრემ მოახდინა აზიაში, და რომ არ შეიძლება—არ

---

[1]) *Plin. lib. VI.*

სცოდნოდა ეს ზარნავაზის დედას, იმ საუნჯის ფარულად გატანის თანამოზიარეს; აქიდან შეგვიძლია ვსაჯოთ ერისთავებისა და ხალხის სიმდიდრეზედაც; ქართველი ხალხი არაოდეს არ უყურებდა თავისს მეფეებს ისე მონურად, როგორც აზიის სხვა ხალხები, რომელნიც თავიანთ დესპოტების დაუფარველი მსხვერპლნი იყვენ.

II

რომაელთ ომების ეპოქა საქართველოში

საქართველოს დამოკიდებულება მეზობელ სამეფოებთან რომაელთ ომების დასაწყისში.—რომაელთ ომების მიზეზები.—არტაგის კავშირი მიტრიდატ დიდთან, სომხეთის მეფეს ტიგრანთან და ალბანიის მეფეს ორეზთან.—საქართველოს სამხედრო საშუალებანი.-რომაელებთან ომი.--კავშირის დარღვევა.--არტაგის ზავი პომპეისთან.—რომაელთ ჯარების ყოფნა საქართველოში.--ამ ომების შედეგი.

არშაკ I-ს შემდეგ, 81 წელში ქრისტეს დაბადებამდის, საქართველოს ტახტზედ ავიდა შვილი მისი არტაგი. როგორც ადგილობრივი მემატიანენი მოგვითხრობენ, არტაგის მეფობის დროს სპარსებმა დაიწყეს ომი მის წინააღმდეგ თითქო მიტომ, რომ მისთვის შური ეძიათ, რადგან მამა მისმა, არშაკმა განდევნა საქართველოს მეფე ზარნაჯომი, მირვანის შვილი, რომელიც სპარსეთიდან შთამომავლობდა. მაგრამ ქვემორე მოყვანილ გარემოებათა თუ მივიღებთ მხედველობაში, დავინახავთ, რომ მემატიანენი სცდებიან ამ ომის დროისა და იმ ხალხის შესახებ, რომელიც ომობდა საქართველოს წინააღმდეგ. ეს გარემოებანი: პირველი,—რომ არც მირვანი და არც ზარნაჯომი არ ეკუთვნოდენ იმ არშაკიანების დინასტიას, რომელიც იმ დროს სპარსეთში მეფობდა, მაშინ როდესაც, წინააღმდეგ ამისა, არტაგი

იყო სპარსეთის მეფის ძმისწული; მეორე, თვითონ ფარნაჯომს, რომელიც საქართველოდან პონტოს სამთავროში გაიქცა და რომელსაც არშაკთან ბრძოლის დროს ჰყავდა ყოველთვის პონტოსა და საბერძნეთის ჯარები, არაოდეს არ უთხოვია შემწეობა სპარსეთის მეფეებისათვის: ალბათ სცოდნია, რომ არშაკის ინტერესები შეერთებული იყო სპარსეთის მეფეების ინტერესებთან; მესამე: თუ ვისმე უფლება ჰქონდა, შური ეძია ფარნაჯომის გულისათვის, ეს უფლება ექნებოდა მხოლოდ მიტრიდატ დიდს, ვინაიდან ფარნაჯომი იყო მიტრიდატის ნათესავი და მასთან სტუმარიც, რომელმაც მის მფარველობას მიაშურა: მიტრიდატი იყო შთამომავალი სპარსეთის ძველ დინასტიის აქამენიდებისა, როგორც ფარნაჯომის დედაც, და ბოლოს, მეოთხე: მიტრიდატი, როგორც უკვე ვაჩვენეთ, მართლაც ომობდა საქართველოში, რაზედაც საქართველოს მემატიანენი არაფერს ამბობენ.

არტაგის მეფობის დროს კი მიტრიდატ დიდი და მეკავშირე მისი, სომხეთის მეფე ტიგრანი, რომლებიც რომაელებთან ჩხუბის მზადებაში იყვენ, ყოველივვარ საშუალებას ხმარობდენ, რომ ყველა მესაზღვრე მეფეებს, და განსაკუთრებით საქართველოისა და ალბანიის მეფეებს დაახლოებოდენ. სპარსელი არშაკიანები კი, რომლებმაც არტაშეს I-ს შემდეგ გვარის პირველობა სომხეთის არშაკიანებს დაუთმეს, სუსტები ყოფილან და ამ დროს არაფითარი

შესამჩნევი მნიშვნელობა ისტორიისათვის არ ჰქონიათ.

სელევკიანების დაცემამ გააღვიძა არშაკიანებშიაც აზიის დაფლობის სურვილი; არშაკიანებმა დაიწყეს თავიანთ სამთავროების გავრცელება — ზოგმა დასავლეთით და ზოგმა აღმოსავლეთით. მაგრამ, სანამ რომაელები შინაურის განხეთქილებით მოცულნი იყვენ, არშაკიანებმა ბოლოსწრეს — დაეკავებინათ თავიანთ უფლებას ქვეშ მთელი ძველ დროის სპარსეთი მდინარე მფრატამდის და მცირე აზიის მრავალი მაზრები, ამ მდინარის დასავლეთით. რომის სენატი აშფოთებით უყურებდა არშაკიანების ამგვარს სწრაფ მსვლელობას, მაგრამ არ შეეძლო მათთვის იარაღით წინააღმდეგობის გაწევა. როდესაც. არტაშესმა თავისი ქალი მიათხოვა ცოლად მიტრიდატ დიდს და უკანასკნელს მისცა შავ ზღვის პირას მდებარე ყველა ადგილები და მთავრობის უფლება კავკასიის ხალხებსა, ბოსფორის სამეფოსა და სკვითიაზე, მაშინ სენატს შეეშინა, რომ აზიაში თავისი გავლენა არ დაეკარგა, და ამიტომ მოთხოვა მიტრიდატს — სკვითიიდან გასულიყო და ბოსფორის სამეფოსა და კავკასიის ხალხების დაფლობის სურვილისათვისაც თავი დაენებებია. პონტოს მეფემ, რომელიც გათამამებული იყო ადრინდელ თვისის ბრწყინვალე გამარჯვებით და რომელსაც ზურგი გამაგრებული ჰქონდა არტაშესთან მტკიცე კავშირით, პირდაპირი პასუხი არ მისცა სენატს; და-

ამას შემდეგ არტაშესმაც გაილაშქრა მცირე აზიაში ახალ ადგილების დასაფლობად დასავლეთისაკენ. როგორც სომხების მწერალნი მოგვითხრობენ, იმან კიდევაც მიაწია მგეის ზღვის ნაპირებამდის, მაგრამ აქ 96 წელს ქრისტეს მოსვლამდის მოკლა იგი ერთმა აჯანყებულ მხედართაგანმა. არტაშესს შემდეგ სომხეთის ტახტზედ ავიდა შვილი მისი ტიგრანი, თვისის მამის პოლიტიკის ერთგული; მაგრამ ამ დროიდან აზიაში რომის უფლების თავიდათავი მტერი შეიქმნა არა იგი, არამედ მიტრიდატ დიდი. ამას შემდეგ ათის წლის განმავლობაში მიტრიდატი იქამდის გაძლიერდა, რომ დაიფლო აზიაში რომის ყველა მაზრები, მგეის არხიპელაგი, სადაც, მისის ბრძანებით, დაიხოცა თითქმის 80,000 რომაელი, შემდეგ შეავიდა ევროპაში და დაიკავა ფრაკია და ათინა. ამ მრისხანე მტერმა რომს შიშის ზარი დასცა და რომმაც ალარ მიხედა შინაურ განხეთქილებას და 87 წელს გაგზავნა მიტრიდატის წინააღმდეგ ლუკეთესის ჯარებით გამოჩენილი სარდალი სილა. სამის წლისა და ნახევრის განმავლობაში, რომელიც სახსოვარია სისხლის მღვრელ მრავალ ჩხუბებით, სილამ, როგორც იყო, შეიძლო მიტრიდატის განდევნა საბერძნეთიდან და მცირე აზიიდან და შეაკვრევინა მას ზავის პირობანი პონტოს ქვეყანაში. მაგრამ მიტრიდატმა მშვიდობიანობის დროსაც დაიწყო პლანის შედგენა ახალის ომისათვის, რადგანაც სენატი მის კანონიერ მოთხოვნილებასაც კი არ

იწყნარებდა, და მასთან კიდევ არ კარგავდა მიტრიდატი იმედს, რომაელები აზიიდან გაედევნა. თვითონ რომაელებიც აძლევდენ ამის საბაბს და თავიანთის მხრითაც მზად იყვენ ომისათვის; ამიტომ პირველ შემთხვევისათანავე 73 წელში გაელაშქრენ მიტრიდატის წინააღმდეგ ლუკულის წინამძღოლობით. რამოდენმე გამარჯვებას შემდეგ ლუკულმა დააცილა ერთმანერთს ორი მოკავშირე ჯარი, პონტოსი და სომხეთისა, თავდაპირველად დაარბივა ნახევარი სომხეთი, შემდეგ კი მდინარე არეზიდან გაემართა მიტრიდატის წინააღმდეგ, გაიარა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საერისთაოები, რომელთაც პლუტარხი ტიბარენების ქვეყანას ეძახის, [1]) და რაც კი რამ შეხვდა იქ, ყოველიფერი თვისის გაუმაძღარ ანგარებისმოყვარების მსხვერპლად გახადა.

არტაგი აქამდის არ იღებდა მონაწილეობას მიტრიდატისა და ტიგრანის ომში რომაელებთან, მაგრამ ლუკულის ამგვარმა საქციელმა იძულებულჰყო იგი, რომ თავისი სამთავროები დაეცვა, თუმცა ლუკული ამას შემდეგ სენატმა მალე მიიწვია რომს. საქართველოს მეფემ იცოდა, რომ მისი საკუთარი ძალა არ იქნებოდა საკმაო,—რომაელებთან ომი გაეწია მარტო მას, თუ სხვა ვინმე მომხმარე არ ეყოლებოდა, და ამიტომ მიტრიდატსა და ტიგრანს წინადადება მისცა—ერთმანერთს დახმარებოდენ. იმათ

---

[1]) *Plutarque, vie de Lucul.*

შეუკრეს მას კავშირი და მოიწვიეს აგრეთვე ალბანიის მეფე Mრეზიც [1]), რომელიც, როგორც საქართველოს უკანასკნელი ერთი მემატიანეთაგანი გვარწმუნებს, იყო არტაგის ლვიძლი ძმა, იმისგანვე აყვანილი ალბანიის ტახტზე [2]), რატომაც იგი სიამოვნებით შეუერთდა მათ. როგორც პლუტარხი მოწმობს, არტაგს ჰყოლია 40,000 ჯარის კაცი [3]), ხოლო აპიანის სიტყვით 70,000 [4]).

საქართველოს ჯარი ყოველთვის განთქმული იყო თავისის მამაცობით და კარგის გაწყობილებით; ამას საქართველოს ჯარი ალბად ფარნავაზ მეფეს უნდა უმადლოდეს, რომელმაც მრავალ დაწესებულებათა შორის, «ქართლის ცხოვრების» სიტყვით, დააფუძნა საქართველოში სამხედრო იერარქია. ისტორიკოსნი და ლათინელი პოეტები, ჰოლიბისაგან დაწყებული, რომელიც სცხოვრებდა მეორე საუკუნეში ქრისტეს მოსვლამდის, ჩვენის დროის პირველ საუკუნის გამოჩენილ მემატიანე ტაციტამდის, ვირგილი, ჰორაცი და ლუკანი, რომელნიც თითქმის რომისა და საქართველოს პირველ ჩხუბების თანამედროვენი არიან, დიდის ქებით მოიხსენიებენ საქართველოს ჯარებს. ამ მწერალთ იქის

---

[1]) *Plutarque; vie de Pomp.*

[2]) ისტორ. თეიმურ. ბატონიშვ., გვ. 126.

[3]) *Plutarque; vie de pomp.*

[4]) *Appien. tom. I, p. 339.*

შესახებაც კი დაუტოვებიათ ჩვენთვის ცნობები, რომ საქართველოს ჯარებს წითელი კაფთანები ეცვათო და გაიყოფოდენ ცხენოსანსა და მშვენიერ ქვეით ჯარადო. ამ ჯარს გარდა, რომელსაც შეეძლო სხვადასხვა ადგილას გადასვლ-გადმოსვლა, როგორც გარემოება მოითხოვდა, საქართველოს ჰქონია დიდი თავდასაცველი საშუალებანი როგორც ადგილის მდებარეობაში, ისე მცხოვრებთა მეომარ ხასიათშიაც. სტრაბონის ჩვენებასაც რომ არ დავუჯეროთ, თითქო მარტო სვანეთს შეეძლო გამოეყვანა 200,000 დაიარაღებული კაცი, მაინც დაჭეშმარიტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი ქართველი მშვენიერად ხმარობდა იარაღს და მამაცურად იცავდა თვისის სამშობლოის მჭიდროდ დასახლებულ ხეობათა. მეფობის დაარსების პირველ საუკუნოებში საქართველოს სამხედრო სახსარი იმაში მდგომარეობდა, რომ შეიძლებოდა ქართველები წარმატებით წინააღდგომოდენ ყოველ მტერს, თუ კი საქართველოს მეფეებს ყოველთვის შეეძლებოდათ მათი წინამძღვრობა.

ლუკულის წასვლის შემდეგ მიტრიდატი, ახალის კავშირით გამხნევებული, რომაელებისათვის შეიქნა იმგვარივე საშიშარი მეფე, როგორიც უწინ იყო. 67 წელს იმან დაამარცხა ზელესთან რომაელების ჯარი, რომელიც იმყოფებოდა პონტოში ლუკულის მოადგილის, ტრიარის, უფროსობის ქვეშე. მაგრამ სენატმა ეს შეიტყო თუ არა, მაშინვე

შეკრიბა დიდი ჯარი და გაგზავნა იგი პომპეის წინამძღოლობით. ამ სარდალმა თავდაპირველად მოსყიდვით და ცბიერის შეპირებით მოიმხრო თავისაკენ მიტრიდატისა და ტიგრანის შვილები და მათის შემწეობით დაარღვია შინაგანი განწყობილება პონტოსა და სომხეთში, და ბოლოს 66 წელში თავს დაეცა კიდეც მიტრიდატს, რომელიც დაბანაკებული იყო მფრატის მდინარეზე. ღამის ბრძოლამ გადასწყვიტა ომის ბედი. მიტრიდატი გაიქცა სამეგრელოთი ბოსკურიას, და პომპეიმ მაშინვე გამოაცხადა იგი ტახტიდან ჩამოგდებულად. პონტოს მეფედ დანიშნა მიტრიდატის შვილი ფარნაჯომი, თვითონ კი გაემგზავრა სომხეთს ტიგრანის დასამარცხებლად, და სომხეთი, ადგილობრივის ბატონიშვილის დახმარებით, თითქმის უწინააღმდეგოდ დაემორჩილა მას. აქიდან პომპეი წავიდა მტკვრის ნაპირებისაკენ, ზამთარი იქ გაატარა, და ზაფხული დადგა თუ არა, გავიდა ამ მდინარეში და შეეტაკა ალბანიის მეფეს, რომელიც ელოდებოდა მას თავისი სამეფოს საზღვარზე. რამოდენმე ჩხუბს შემდეგ ორეზმა ზავი თხოვა და კიდეეაც მიიღო, მაგრამ მძევლად თავისი შვილები მისცა.

ალბანიის დამორჩილების შემდეგ პომპეიმ გაილაშქრა საქართველოში. ამ გალაშქრების შესახებ ცნობებს მოგვითხრობენ: ბიონ-ძასი, აპიანი და

პლუტარხი [1]) ისე გაურკვეველად, რომ არა თუ ამ გალაშქრების აწერა არ შეიძლება დალაგებით და თანდათანობით, არამედ თითქმის მისი თქმაც კი არ შეიძლება, თუ საიდან მოვიდა პომპეი საქართველოს: სომხეთიდან, თუ ალბანიიდან; შუაგულ მაზრებში გაიარა მან, თუ მისი მოქმედება განისაზღვრებოდა საქართველოს რომელმე ნაწილით. ჩვენ გვგონია, რომ პომპეი უნდა დაცემოდა მხოლოდ მესხთა ქვეყანას, ახლანდელ ახალციხის მაზრას, და ბორჯომის ვიწრო ხეობას სურამამდის. ამ ლაშქრობაზედ არავითარი ხსენება არ მოიპოება საქართველოს უმთავრეს მატიანეში «ქართლის-ცხოვრებაში», რომელიც საზოგადოდ ღარიბია ცნობებით იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც ქართლში არ მომხდარა. როგორც მოგვითხრობენ რომაელი მწერალნი, პომპეი შემოვიდა საქართველოს საზღვრებში გაზაფხულს, 65 წ. ქრისტეს მოსვლამდის. პრტაგს უნდოდა, რომ პომპეი კიდევ უფრო წინ აღარ გაეშვა და ან შეეჩერებია მაინც იმდენად, რომ მოკავშირენი მოშველებოდენ, და ამიტომ გაუგზავნა დესპანები მოსალაპარაკებლად. პომპეი ალბათ მიხვდა მოლაპარაკების ნამდვილ მიზანს, და ამიტომ არ შეჩერებულა, და მიაწია რომელღაც აკროპოლი-

---

[1]) *Plut. vie de Pomp.*: *Dion-Cassius*; *I. XXXVI, c. 33, 36 et 37, et I. XXXVII, c. I*; *Appien t. I, p. 399*.

სამდი, რომელიც იდგა მტკვრის ნაპირზე, ორ მთის ქედს შორის. მეფე გავიდა მდინარეში და დაწვა ხიდი, რომელიც ამ მდინარეზედ იყო გაკეთებული. ამით პომპეი შეაჩერეს იქამდის, სანამ იმან აკროპოლისის მეცხოვნე ჯარი არ აიძულა დამორჩილებოდა. რომაელთა ჯარი გავიდა მტკვარში ათი ათასის ნავით და ტყიანის ვიწრო ხეობით გამოედევნა არტაგს. ხეობის მცხოვრებნი შეცვინდენ ხეებზე და ახლო-მახლო გორებზე და იქიდან დაუშინეს მტრებს ისრები და ქვები სეტყვასავით. მითოეულ ნაბიჯის გადადგმა ძალიან ძვირად უჯდებოდათ რომაელებს; ამასთანავე ისინი მალე შეხვდენ ახალსა და უფრო ხანგრძლივ დაბრკოლებას. არტაგი გავიდა მდინარე ჭელფრში (?) და ხიდის დაწვა ბრძანა. პომპეი უნდა მდგარიყო აქ, სანამ წყალი არ დაიკლებდა, ეპრა და ეწვა გარშემო მდებარე ტყეები, რომ გადაერჩინა თავისი ჯარები ყოველდღიურის დიდ ზარალისაგან. ბოლოს, როდესაც წყალმა იმდენად დაიკლო, რომ ფონად გასვლა შეიძლებოდა, და როდესაც არტაგმაც შეიტყო, რომ წინანდელ გარემოებათა გამო კავშირი დარღვეულიყო, გადაწყვიტა, საკუთარის ძალით გაეცა პასუხი მტრისათვის. მდინარეში გასვლის დროს მოხდა დიდი ბრძოლა, რომელშიაც, პლუტარხის სიტყვით, საქართველოს ჯარი დამარცხდა და ქართველებმა დაკარგეს 1000 კაცი მოკლული და 9000 ტყვედ წაყვანილი. მეფემ დაიწყო სისწრაფით უკან დაწევა და მალე

გაუგზავნა კაცი პომპეის და ზავი თხოვა. რომის სარდალი თანხმდებოდა ზავზე, მხოლოდ იმ პირობით კი, თუ არტაგი მძევლად მისცემდა მას ერთ-ერთს თავისს შვილს, თვითონ კი დევნა განაგრძო, თუმცა იგივე დაბრკოლება ხვდებოდა წინ, როგორიც შეხვდა ხეობაში შესვლის დროს. პომპეის მოთხოვნილებამ რამდენათმე შეარყია მეფე, მაგრამ ხედავდა, რომ მისი შეჩერება არ შეეძლო, და ამიტომ ბოლოს გაუგზავნა თავისი შვილი და საჩუქარი, რომელსაც შეადგენდა ლოგინი, სუფრა და ხალას ოქროსგან ამოსხმული სკამი [1]).

არტაგთან ზავის შეკვრის შემდეგ პომპეი გადავიდა რიონის ხეობაში და მივიდა სამეგრელოსა და საქართველოს სხვა ნაპირა მაზრებში, რომელნიც, როგორც ზევითაც გვითქვამს, ვალარშაკის დროიდან მოსცილდენ სამეფოს და შემდეგ არტაშესის მეფობის დროს გადავიდენ მიტრიდატის მფლობელობაში. ამ მაზრების მცხოვრებნი, რომელნიც მუდამ აწუხებდენ თავიანთ მეფეებს მათის მოადგილეების წინააღმდეგ აჯანყებით, ბოლოს, ლუკულის წინააღმდეგ ომების დროს, 72 წ. ქრისტეს მოსვლამდის მიიღეს მიტრიდატისაგან უფლება, თვითონვე ამოერჩიათ თავიანთი მართველი. იმ დროიდან მათ მართავდა ადგილობრივ მცხოვრებთაგანვე, ვიდაც ოლტაკი. პომპეიმ გამოაცხადა იგინი რო-

---

[1]) *Plut.; vie de Pomp.*

მის ქვეშევრდომებად, Ოლტაკი მძევლად წაიყვანა, ხოლო მის მაგიერ დანიშნა ერთი თავისს თანამოღვაწეთაგანი, Არისტარხი. საბეგრელოიდან ის გაემართა აუხაზეთისკენ და უნდოდა—Დიოსკურიამდის მისულიყო, რადგან ფიქრობდა, რომ იქ მიტრიდატს მიუსწრებდა, მაგრამ ძნელმა მგზავრობამ, მუდმივმა ზარალმა, რომელსაც მთიელებისაგან ითმენდა, და Ალბანელების აჯანყების ამბავმა აიძულეს იგი, დაბრუნებულიყო და ისევ Ალბანიას წასულიყო. ამ ქვეყნის დამშვიდების შემდეგ იმან გაილაშქრა ჰელების, ლეკებისა და ჰირვანელების წინააღმდეგ და შემდეგ სომხეთის ქვეყანა გაიარა და სირიას გადავიდა.

საქართველოში ყოფნის დროს პომპეის ცნობამდის მიაწია, რომ მტკვარსა და რიონზე შეიძლებოდა საქონლის გადატანა ინდოეთიდან შავ ზღვაზე. მარკ-ტერენტი ვარონმა, რომელსაც ამის გამოკვლევა მიანდვეს, შეკრიბა ამის შესახებ ნამდვილი ცნობები; მაგრამ არ ვიცით, თუ რაში გამოადგათ ეს გამოკვლევა. Ალბათ, სამხედრო გარემოებათა გამო, პომპეის დრო არ ჰქონდა ამ საჭირო საქმისათვის ხელი მოეკიდა, და საქართველოში მიმავალი საავტრო გზა იმავე ცუდ მდგომარეობაში დარჩა, რომელშიაც ის იყო იმ დროამდის.

ლუკულს მიაჩნდა ძავკასია ათას მეფის ბუდედ. იმას შემდეგ პომპეი დარწმუნდა ძავკასიაში მცხოვრებთ ხალხთა მეომრობაში და ამ დროიდან ყო-

ველთვის, როცა კი რომაელები დიდ ომების გამართვას განიზრახავდენ სომხეთსა და სპარსეთში, (ეხადია, იმავ, ეშინოდათ ამ ხალხებისა და მათ შორის უფრო ქართველების თავდასხმისა, რადგანაც ქართველების სამეფო დინასტია წარმოსდგებოდა იმავე დინასტიებიდან, რომელიც მეფობდა სომხეთსა და სპარსეთში. ეს თავდასხმა შეიძლებოდა მომხდარიყო მარცხენა მხრიდან და ან უკანიდან იმისდა მიხედვით, თუ როგორ შორს წავიდოდენ რომაელები აღმოსავლეთისაკენ. ესევე საშიშროება მოსვენებას არ აძლევდა რომაელებს იმ ხანებში, როდესაც ეფრატსა და ტიგრზე კორდონები ჰყავდათ, და ამიტომ იგინი პომპეის დროიდან მოკიდებული ყოველთვის ცდილობდენ საქართველოს მეფეების დამორჩილებას. იმათ იცოდენ, რომ ქართველები თეითონაც მეომარნი იყვენ და ამას გარდა იმათ ეპყრათ ძავკასიონის მთების გასავალი ადგილები, რომელიც იმათის სურვილით იხსნებოდა სარმატიის ველურისა და მტაცებელ ურდოებისათვის, რომელთ შემოსევა ისეთივე ამაოხრებელი იყო ზედა აზიის ხალხებისათვის, როგორი საშიშიც იქ მყოფ რომაელთა ჯარებისათვის. ეს იყო იმის მიზეზი, რომ რომაელებმა თავის დღეში ვერ შეიძლეს — თავიანთი მფლობელობა ტიგრს იქით გაევრცელებიათ. საქართველოს ამგვარი გეოგრაფიული მდებარეობა იმ სახელმწიფოებისათვის, რომელსაც ეფრატისა და ტიგრის მდინარეები ყოფდენ, უმთავრესი მიზეზი იყო, რომ

თითოეული ამ სახელმწიფოთაგანი თავისის სტრატეგიულ მოსაზრებათა გამო ყოველთვის მეცადინეობდა საქართველოს დაფლობას. ასე იქცეოდენ ერთის მხრით რომაელები პომპეის შემდეგ, საბერძნეთის იმპერატორები რომაელებს შემდეგ და თათრები ბერძნებს შემდეგ, და ასევე იქცეოდენ მეორეს მხრით სპარსელები უხსოვარ დროებში და მასუკანაც, სანამ კი მათ ეტოქებოდენ რომაელები, საბერძნეთის იმპერატორები და თათრები.

III

ბარემოზებანი არტაგის სიკვდილს შემდეგ ფარსმან I-ის გამეფებამდის

ბარტომის მეფობა (65—33).—მისი ზრუნვა საქართველოს კეთილგანწყობილებისათვის.—ომი შირვანთან.—მირვან II-ის მეფობა (33—23).—არბაკის მეფობა (23—3).—მისი მოკვლა.—საქართველოს დასავლეთის მაზრების ბედი ამ დროის განმავალობაში.

საქართველოდან რომაელ ჯარების გასვლის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ არტაგი მოკვდა და იმის მემკვიდრე შეიქნა მისივე შვილი ბარტომი. ადგილობრივი მატიანენი მოგვითხრობენ, რომ ბარტომმა თავისს ხანგრძლივ მეფობის უმეტესი ნაწილი იმაში გაატარა, რომ ზრუნავდა სამეფოს კეთილგანწყობილებისათვის, ქალაქების გაშენიერებისა და შემკობისათვის და მცხეთის გალავნის გავრცელებისათვისო. და რომ ბარტომის მეფობის დასასრულში საქართველოს მყუდროება დაირღვა უცხო ქვეყნის ჯარების შემოსევით მირვანის წინამძღოლობითო, იმ მირვანისა, რომელიც იყო საქართველოს მეფის, არშაკიანებისაგან განდევნილის, ფარნაჯომის შვილი და რომელიც ცთილობდა, ხელში ჩაეგდო თვისი უფლება საქართველოს შესახებ. მაგრამ სხვა წყაროებიდან სჩანს, რომ მირვა-

ნის შემოსვლის მიზეზი იმ უფლებათა გარდა, რომელიც მას ჰქონდა შთამომავლობით, სხვა გარემოებანიც ყოფილან. 34 წელში ქრისტეს მოსვლამდის მარკ ანტონიმ გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ და სომხეთის მეფეს არტავაზდს მოთხოვა, რომ იგი რომაელ ჯარებს მოხმარებოდა, მაგრამ. გადრეკილება რომ შენიშნა და სპარსეთშიაც საქმე წააგო, იმან მთელი თავისი ძალა სომხეთის წინააღმდეგ მიმართა. არტავაზდის თხოვნით, ქართველები მიეშველენ სომხეთს [1]). მიკითხ, რომ ეს ომი გათავდა არტავაზდის დატყვევებითა და იმის მოკვლით და სომხეთის ნაწილებად დაყოფით. ბარტომიც ვერ დარჩებოდა დაუსჯელად და უსათუოდ მირვანის შემოსვლაც საქართველოს დამოკიდებული იყო მარკ ანტონის პოლიტიკაზე. მით უმეტეს, რომ მირვანს მთელ თავისს სიცოცხლეში ღრმა მოხუცებულობამდის არ გამოუჩენია საქართველოს დაპყრობის წადილი

როგორც «ქართლის ცხოვრება» ამბობს, მირვანის მოძრაობა რამოდენმე ხანს იყო შეყენებული მდინარე დებედის მარცხენა ნაპირზე, ხუნანის ციხის ახლოს. ომი წარმოებდა ფალავნების გამოწვევით ორივე მხრიდან, და თვითონ მირვანმა, თუმცა მოხუცებული კი იყო, მოკლა პირისპირ ბრძოლაში ბარტომის სამი უკეთესი მოლვაწეთაგანი. ეს ომი გათავდა 33 წელში მით, რომ ბარტომი მოკლეს

---

[1]) Моисей Хорен., кн. II, гл. 22.

და იმას შემდეგ გამარჯვებული მირვანი აირჩიეს საქართველოს მეფედ მირვან II-ის სახელით.

მირვან II-ის ათის წლის მეფობა არავითარის ისტორიულის გარემოებით არ არის ცნობილი. იგი გადაიცვალა 23 წელში და ტახტზედ ავიდა შვილი მისი არბაკი [1]). საქართველოს მემატიანენი უწოდებენ მას არშაკად, მაგრამ უფრო საფიქრებელი და ნამდვილი უნდა იყოს, რომ არშაკიანების მტერი მირვანი, რომელიც თვითონაც ძველ სპარსულ სახელს ატარებდა, უფრო არჩევდა — თავის შვილისთვის არბაკი დაერქმია, ვიდრე არშაკი

არბაკის მართველობა ქალაქების გამშვენიერებისა და სიმაგრეების გავრცელებისათვის ზრუნველობის შესახებ წარმოადგენს ბარტომის მეფობის დამატებას. ამ მეფეებმა საქართველოს ბუნების სიმშვენიერე გააორკეცეს მით, რომ ამ ბუნებას შეუერთეს ხელოვნება და თავიანთი სამეფო აყვავებულ მდგომარეობამდის მიიყვანეს. არბაკის თანამედროვე, სტრაბონი, რომელიც კრებდა ცნობებს საქართველოს შესახებ, თუმცა კი იმაზე ცოტა შემდეგ, ამბობს, რომ ეს ქვეყანა იყო მოფენილი მდიდარ ქალაქებით, რომელიც გაირჩეოდა არხიტექტურის ყოველგვარ წესზე აშენებულ სახლებითაო, ჰქონდა მშვენიერი ფორუმები და საჯარო შენობანიო; სახლებს აშენებ-

---

[1]) *Additions et eclairsissements à l'hist. de la Géorgie, p. 12.*

დენ უმეტესად აგურისას და ხურავდენ კრამიტითო [1]); ამას გარდა, როგორც ზევითაც გვითქვამს, ქართველებს ძველადანვე სცოდნიათ ველურის თლილ ქვისა და კირის ხმარებაც.

არბაკს იგივე ბოლო ჰქონდა, როგორიც ბარტომს. 3-ის წლის წინედ ქრისტეს დაბადებამდის საქართველოში გამოჩნდა უცხოელთა ჯარით ბარტომის შვილის-შვილი ფარსმანი, რომელმაც გამოითხოვა პირისპირ ბრძოლაში არბაკი, მოკლა იგი და თვითონ ავიდა თავისუფალ ტახტზე.

როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი ცვლილებანი ხდებოდა, დასავლეთის საქართველოს ადგილები, რომელიც შეადგენდა მიტრიდატ დიდის სამფლობელოს და რომელსაც ჩვეულებრივ ქოლხიდას ეძახდენ, აგრეთვე გარდადიოდა ერთის ხელიდან მეორეში. ბოსფორის მეფემ, მიტრიდატის შვილმა ფარნაკმა, ისარგებლა ცეზარისა და პომპეის ერთმანერთში განხეთქილებითა და ბრძოლით 48 წელში ქრისტეს მოსვლამდის, შემოვიდა ამ ადგილებში, არისტარხი გააგდო და ადგილები თვითონ დაიმორჩილა. მაგრამ იგი ჩქარა გადაიცვალა და მისი ადგილი დაიკავა მისმა სიძემ და სარდალმა ასანდრ I-მა. ამავე დროს მიტრიდატ დიდის ერთმა შვილთაგანმა, მიტრიდატმა, რომელიც ცეზარმა გაათავისუფლა სომხეთის მეფის ტიგრანის თაოდებობით,

---

[1]) *Strab. l. XI, p. 499.*

მოინდომა ქოლხიდის დაფლობა. ასანდრმა მოკლა იგი, მაგრამ რომის სენატის მრისხანების შეეშინა და ამიტომ მიიღო არხონტის დაბალი წოდება. ავგუსტმაც, რომისადმი მისის ცფიერის ერთგულებით მოტყუებულმა, 36 წელში ქრისტეს მოსვლამდის დააჯილდოვა ის მეფის ხარისხით. ამგვარად ასანდრი მეფობდა 32 წელს და ამ დროს განმავალობაში ახერხებდა—ესიამოვნებინა როგორც თავისის ქვეშევრდომებისათვის, ისე რომისა და სხვა მეზობელ მეფეებისათვისაც. 14 წელს ქრისტეს მოსვლამდის ის გადაიცვალა უმემკვიდროდ და ტახტზედ ასვლა მოინდომა სკრიბონიუსმა, რომელიც თავისს თავს მიტრიდატ დიდის ძმისწულად უწოდებდა; მაგრამ რომის სარდალმა მარკ აგრიპამ ბრძანა მისი მოკვლა, ხოლო ბოსფორის სამეფო და ქოლხიდა მისცა პოლემონს, ზენონ ლაოდიკიანელის შვილს.

ქოლხიდის ნიადაგი სინოყიერით და მოსავლით თუ არ აღემატება, არ დაუვარდება მაინც შუა საქართველოს უკეთეს ნაწილებს, მაგრამ იმის აყვავების და კეთილდღეობის შესახებ იმ დროს, რომელზედაც ჩვენ ვამბობთ, არ შეიძლება ითქვას იგივე, რაცა ვსთქვით საქართველოს სამეფოს მდგომარეობაზე. სტრაბონი ცხადად ამბობს უკანასკნელის უაღრესობაზე. სჩანს, რომ ქოლხიდის მართველები უფრო თავიანთ თავზე ზრუნავდენ, სანამ იმ ქვეყანაზე, რომლის ბედი მათ ჰქონდათ რწმუნებული.

IV

ფარსმან I-ის მეფობის პერიოდი

(ქრისტეს წინეთ მე-3 წლიდან ჩვენის წელთაღრიცხვის მე-III წლამდე).

საქართველოს დასავლეთის ნაწილების დაბრუნება.—პართელებთან ბრძოლა: არტაქსადის აღება, სომხეთის ტახტზე მიტრიდატის აყვანა.— მიტრიდატის წაყვანა რომს.—მისი გათავისუფლება და ხელმეორედ სომხეთის ტახტზე აყვანა.—მისი ჩამოგდება ტახტიდან და სიკვდილი; სომხეთის მეფედ რადამისტის დანიშვნა.—რადამისტის გაქცევა სომხეთიდან და მისი მოკვლა.--სომხეთის ნაწილის შემოერთება საქართველოს სამეფოსთან,—წმ. მოციქულთა ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მოგზაურობა საქართველოს კუთხეებში.—განმარტება: დასავლეთ საქართველოს რომელი ნაწილები დარჩა პოლემონების უფლებაში ფარსმანის მეფობის დროს.—მცხეთის გაერცელება არაგვის ორივე ნაპირზე.—დუარქიულ მართველობის დაწესება საქართველოში.—ფარსმანის სიკვდილი.

ფარსმანის მეფობა (რომელსაც ქართველი მემატიანეები ადერკის უწოდებენ და «სომხური ქრონიკა»—ენდრიკს), როგორც «ქართლის ცხოვრება» გვარწმუნებს, იმით იწყება, რომ ის იპყრობს სამეგრელოს და ყველა იმ ქვეყნებს, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა. ეს შეიძლება რამდენადმე მართალი იყოს, მიტომ რომ ჩვენის წელთაღრიცხვის პირველ წელში პონტოს მეფე პოლემონ I მოკლეს და მისი სამეფო, რომელიც შეიცავდა პონტოს, ძოლ-

ხიდას და ბოსფორის სამფლობელოებს, ნაწილ-ნაწილად დაიყო. რადგან პოლემონის შვილები მცირეწლოვანები იყვენ, მისმა ცოლმა პითოდორამ, რომელიც სამეფოს მართავდა, ძლივს შემოიცვა პონტო და ალმოსაელეთის მხრით მდებარე უახლოესი ადგილები: საერომატმა დაიმორჩილა ბოსფორი, და ალბათ ფარსმანმაც ამ გარემოებით ისარგებლა, სამეგრელო და ძლარჯეთი რომ დაიპყრო.

ფარსმანმა 63 წელი იმეფა. ეს ხანგრძლივი მისი მეფობა მდიდარია მრავალგვარ გარემოებით, რომელსაც ეჭიდრო კავშირი აქვს ძველ ხალხების მსოფლიო ისტორიასთან; რამდენიმე ამ გარემოებათაგანი ჩვენ შეტყობილი გვაქვს ტაციტისაგან, და იმდენად საგულისხმო არიან ისინი, რომ საქართველოს ისტორიაში საუკეთესო ადგილის დაჭერა შეუძლიათ; მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ადგილობრივი მატიანეები იმათ შესახებ ერთ სიტყვასაც არ ამბობენ.

ტაციტი მოგვითხრობს, რომ 35 წელს ქართველთ მეფემ არტაბანმა, იმით გატაცებულმა, რომ მეზობელ ხალხებზე რამდენჯერმე გაიმარჯვა, სომხეთის ტახტზე თავისი შვილი არშაკი აიყვანა და იმპერატორ ტიბერის მოთხოვა, რომაელები სპარსეთ-მაკედონიის სახელმწიფოს საზღვრებს არ შეხებოდენ: ამ სახელმწიფოს კანონიერ მფლობელად ის მხოლოდ თავისს თავს აჩენდა. ამასობაში, მასთან უკმაყოფილოდ მყოფმა ქართველებმა იმპერატორს

თხოვეს, რომ მათთვის სხვა მეფე დაენიშნა. ტიბერი, რასაკვირველია, უფრო უკანასკნელთ თხოვნაზე დათანხმდა, ვიდრე არტაბანის თავხედურ მოთხოვნაზე. იმან პართიის მეფედ ტირიდატი დანიშნა. მაგრამ, რადგან ეშინოდა, რომ ამის გამო რომაელებისათვის არ გადაეკიდებია სისხლსაღვრელი ომები იმათთან, რომელთაც ძრასი დაამარცხეს, ტიბერიმ სთხოვა საქართველოს მეფეს ფარსმანს, მფარველობა ამოეჩინა ტირიდატისათვის, და ამ სამსახურის გაწევისათვის ნება მისცა მას, ქართველი მეფისწული მიტრიდატი, ფარსმანის ძმა, სომხეთის ტახტზედ აეყვანა.

ფარსმანმა მიიღო იმპერატორის წინადადებანი და იმათ ასასრულებლად იხმარა საქართველოს ყოველი ძალა და თავისის ჭკუის ცფიერება. თავდაპირველად იმან მიმართა ვერაგობას: მოიყიდა კარისკაცნი და მათ მოაწამლვინა არშაკი. შემდეგ წაიყვანა ჯარები სომხეთს, დაიპყრო იმის სატახტო ქალაქი არტაქსადი და დაემკვიდრა ამ ქვეყანაში. როდესაც არტაბანს ეს აცნობეს, შეკრიბა მან დიდი ჯარი, მიუმატა მას დაქირავებული სკეპტების რაზმები და უბძანა თავისს მეორე შვილს, ოროდს, წაეყვანა ისინი ფარსმანის წინააღმდეგ, რომელსაც, თავისის მხრით, ალბანელები და სარმატები შეეგროვებია და მთელი სომხეთი ჯარებით აევსო. ოროდს მხოლოდ ცხენოსანი ჯარები ჰყავდა, ფარსმანს კი— მშვენიერი ქვეითი ჯარები, ჯაჭვშანჩაცმული და ამაღელვებელ სიტყვებით გამხნევებული. ფარსმანმა

იწყო იერიშით მისვლა. ქართველებმა გაიმარჯვეს; ოროდი მძიმედ დაიჭრა ფარსმანისაგან და ბრძოლის ველზე მოკვდა.

ამ ახალ უბედურებამ მეტისმეტად გაამწარა არტაბანი. იმან კიდევაც მოამზადა თავის სახელმწიფოს ყოველივე ძალა ფარსმანის შურის საძიებლად; მაგრამ რომის სარდლის ვიტელის ცბიერობამ, რომელიც აღმოსავლეთის მოძრაობის მეთვალყურედ იყო დაყენებული, აიძულა ის, არათუ ამ განზრახვისათვის დაენებებია თავი, არამედ სრულიადაც ამოერეცხა გულიდან სომხეთის ხელთჩაგდების წადილი. მართლაც ცოტა ხანს შემდეგ არტაბანი იძულებულყვეს, დაეტოვებია პართია და სკვითიას გაქცეულიყო. ასე გათავდა ეს ომი: სომხეთი მიტრიდატს დარჩა, და პართია ხვდა ტირიდატს. ისინი ფარსმანის უახლოეს მფარველობის ქვეშ ავიდენ თავიანთ ტახტზე.

მაგრამ როდესაც ტიბერი მოკვდა და მის მაგიერ ქაი-ქალიგულა გამეფდა, ვინაიდან ახალ იმპერატორის შეხედულება ამ გარემოებათა შესახებ არ იცოდა, ფარსმანმა თავისს საკუთარ უშიშროებისათვის აუცილებელ საჭიროდ დაინახა, არ გარეოდა პართიისა და სომხეთის საქმეებში. ამასობაში, შეიტყო თუ არა რომში მომხდარი ცვლილება, არტაბანი ანაზდად პართიაში გაჩნდა სკვითების ურდოებითურთ, გამოაგდო იქიდან ტირიდატი და ხელახლავ დაიჭირა ტახტი, შემდეგ კი მორჩილებით და

ფეშქაშებით მოიგო ძალიგულას მეგობრობა. ამ მეგობრობამ ბალე ცუდი გავლენა იქონია მიტრიდატზეც, რომელიც არტაბანის თხოვნით რომაელებმა დაიჭირეს, დააბორკილეს და რომს გაგზავნეს, სადაც ის თითქმის შვიდ წელს იყო დაპყრობილი.

ფარსმანი ახლა იმდენადვე ძლიერი და რომაელებისაგან იმდენადვე პატივცემული იყო, როგორც წინეთ; ძალიგულას სიკვდილს შემდეგ მან თხოვა იმპერატორ ძლავდის, რომ მისი ძმა გაეთავისუფლებია. ძლავდიმ მიტრიდატს თავისუფლება მიანიჭა და მისცა უფლება, დაებრუნებია თავისთვის სომხეთი, რომელიც მაშინ არტაბანის მემკვიდრის ბარდანის ხელში იყო. აქაც საქართველოს მეფის ახალ გამარჯვების მეოხებით მიტრიდატს გზა გაეხსნა ტახტზე ასავალად.

ამას შემდეგ ფარსმანს განზრახვა ჰქონდა, ალბანია დაეპყრო, მაგრამ ეს განზრახვა რატომღაც ვერ განხორციელდა. ამასობაში იმას აცნობებს: «შენი შვილი რადამისტი დღითი-დღე საშიშარი ხდება შენის სიცოცხლისა და ტახტისათვისო» ფარსმანმა მოიხმო ის თავისთან, და ვითომ სრულიადაც არ ცოდნოდეს მისი განზრახვები, ისე გამოუცხადა მას: «სომხეთი მე დავიპყარ პართელებისაგან და ამიტომ ის კანონიერ უფლებით მიტრიდატს კი არა, შენ უნდა გეკუთვნოდესო». ფარსმანმა ჩხუბის საბაბიც მოიგონა: ის ამტყუნებდა მიტრიდატს, ვი-

თომ ამ უმადურ ძმას ხელი შეეშალოს რომაელებისათვის, რომ ისინი მას, ფარსმანს, ალბანელების წინააღმდეგ მოხმარებოდენ. შემდეგ რადამისტს უბძანა, სალაშქროდ სომხეთს წასულიყო, მიტრიდატი გამოედევნა იქიდან და ტახტი დაეჭირა.

მიტრიდატი ამ მოულოდნელ საშიშროების გამო შეშინდა; იმან დატოვა თავისი სატახტო ქალაქი და ჩაიკეტა ხორნეაზის (ხორენის) ციხის კარები, სადაც პრეფექტის ცელი პოლიონის და ცენტურიონის ქასპერის ზედამხედველობის ქვეშ რომაელების ჯარი იდგა მცველად. რადამისტმა გარშემოარტყა ამ ციხეს ჯარი და, თუმცა ცხადის ძალით უნდოდა იმის აღება, მაგრამ ვერ შეიძლო; ამიტომაც რომაელების მოსყიდვას მიყო ხელი. მოსყიდულმა რომაელებმა აიძულეს მიტრიდატი, ციხიდან გამოსულიყო და რადამისტის დიდსულოვნობას მინდობოდა.

ორი მტერი შეიყარა ერთად. თავდაპირველად ისინი მეგობრულად მოეხვიენ ერთმანერთს და პირობა დადვეს ნათესაობის სიწმინდით დაცვისათვის (მიტრიდატი ფარსმანის ძმა და სიძე იყო და რადამისტის სიმამრი). შემდეგ უახლოეს ტყეში შევიდენ, სადაც მსხვერპლი იყო მომზადებული და სადაც ღმერთების წინაშე, პირობისამებრ, იმათ ერთმანერთისათვის მორიგება უნდა შეეფიცათ. ამ ფიცის წესი შემდეგში მდგომარეობდა: მათ ხელი მისცეს ერთმანერთს და ამალამ ცხენის ძღა მოუჭირა

მათს ცერებს ისე მაგრად, რომ სისხლმა კანში ამოცვარა; როგორც კი გამოჩნდა სისხლი, ამოწოვეს ის ერთმანერთს. ეს კავშირი ადგილობრივ მცხოვრებლებში უგულითადეს კავშირათ ითვლებოდა, რადგანაც ის მოკავშირეთა სისხლით იყო განმტკიცებული. მაგრამ, ამ წმინდა ჩვეულების ასრულების შემდეგ უეცრად ყოველივე შეიცვალა: რადამისტმა ანიშნა თავის მხედრებს—და ისინი მივარდენ უმფარველო მიტრიდატს, შეკრეს ჯაჭვებით და მის ცოლისა და მცირე წლოვან შვილების თვალწინ ტყვეთ წაიყვანეს; მსგავსათვე მთელს მის ოჯახსაც იგივე ხვედრი ეწია. მალე ყველა ისინი გააწვინეს ბიწაზე და მძიმე ტვირთს ქვეშ დაახჩვეს.

სირიის მართველმა, ეშიდი ქვადრატმა, როცა ეს შეუბრალებელი საქციელი შეიტყო, მოთხოვა ფარსმანს, რომ სომხეთი დაეტოვებია და თავისი შვილი გამოეთხოვა იქიდან; მაგრამ, მეორეს მხრით, ქაბადუკიის მართველი, იული პელიგნუსი, მივიდა რადამისტთან და ურჩია მას, რომ თავს დაედგა გვირგვინი, და ცერემონიის დროს თვითონაც დაესწრო, როგორც ქეშიკი. ამგვარად, ყველა დაბრკოლების მიუხედავად, რადამისტმა მაინც მიიღო სომხეთის მეფის წოდება.

ამასობაში პართების მეფემ ფოლოგეზმა იფიქრა, ახლა არის კაი შემთხვევა—დავიბრუნო ის სამეფო, რომელიც ერთხელ ჩემის წინაპრების ყოფილაო; შეკრიბა ჯარი და გაემართა სომხეთს იმ მი-

ზანით, რომ, სომხეთის ტახტზე თვისი ძმა ტირიდატი აეყვანა. რადამისტი გამოაგდეს და სომხეთი ისის იყო პართების სელში გადადიოდა, მაგრამ მკაცრმა ზამთარმა ვოლოგეზს განზრახვის ასრულება შეუშალა. როცა ვოლოგეზი წავიდა, რადამისტი ხელახლავ გამოცხადდა სომხეთში და სასტიკად დასაჯა ყველა მცხოვრები, რადგან მათ ყველას ბოლალატეთ თვლიდა. უკიდურეს მდგომარეობაში შეყვანილი სომხები შეიარაღდენ და გარს შემოერტყენ რადამისტის სასახლეს; მაგრამ რადამისტმა მოასწრო გაქცევა და თან წაიყვანა თავისი ცოლი ზენობია, რომელმაც, ორსულობის გამო ვერ აიტანა აჩქარებული ცხენოსნობა და გზაში გადაიქცა. რადამისტს თავზარი დაეცა, და რადგან ეშინოდა, რომ მდევრებს ხელთ არ ჩაეგდოთ ზენობიას გვამი, თავის ხელით დაჭრა ის, არეზის მდინარეში ჩააგდო და თვითონ საქართველოს გაიქცა.

რამდენმე დღეს შემდეგ არეზის განაპირის მწყესებმა ნახეს ზენობია, წყლისაგან მოცოცხლებული, და ფარსმანის სასახლეში მიიყვანეს.

როდესაც ნერონმა ტირიდატი სომხეთის მეფეთ დაამტკიცა, უკანასკნელმა თავის მდგომარეობის გასამაგრებლად საჭიროდ დაინახა—იმპერატორის ყურადღება რადამისტისათვის მიექცია. ფარსმანიც, თავის მხრით, არ ეწინააღმდეგებოდა თავის შვილს და თავის დასამშვიდებლად მისი დაღუპვა მოიწადინა. 58 წელში რადამისტი მოაკვლევინა

შარსმანმა, ვითომ და იმიტომ, რომ ამით იმპერა-
ტორის პატივისცემა ნდომოდეს, და მართლაც ამის-
თვის შარსმანმა ნერონისაგან სომხეთის ერთი ნა-
წილი მიიღო საჩუქრად.

ეს ისტორია საფრანგეთის მწერალს ქრები-
ლიონს თავის ტრაგედიის «რადამისტის» საფუძვლად
აუღია.

შესანიშნავ გარემოებათა რიცხვს, რომელნიც
ამ მეფობის განმავალობაში მიმხთარან, საქართვე-
ლოს საზღვრებში. ქრისტიანობის პირველ მქადა-
გებელთ გამოცხადებაც უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა
ამ გარემოებას არავითარი შესანიშნავი შედეგი არ
ქონია.

მე-40 წელს მახლობლად წმ. მოციქულები
ანდრია პირველწოდებული და სიმონ ქანანელი,
ქოვლად წმინდა ღვთისმშობლის მონდობილობით,
როგორც ადგილობრივი გადმოცემა ამბობს, გაე-
მართენ სამოგზაუროთ იმ ქვეყნებში, რომელიც
წილათ ხვთა ღვთისმშობელს სახარების საქადაგებ-
ლად; ისინი ტრაპიზონიდან აჭარას მოვიდენ და
ბევრ დაბრკოლებასა და შრომას შემდეგ იქაური
მცხოვრებნი ქრისტეს სჯულზე მოაქციეს. აჭარი-
დან ისინი მესხეთს მოვიდენ, შემდეგ ქლარჯეთს,
ტაოსკარს, ჭოროხის ნაპირებთან, სამეგრელოს და
აფხაზეთს — და ყოველგან იმათს ქადაგებას წარმა-
ტება ქონდა. მცხოვრებლები ინათლებოდენ, ტა-
ძრებს ანგრევდენ და კერპებს თავდალმა ამხობდენ.

ამ გარემოებამ, რასაკვირველია, ფარსმანის ყურადღება მიიქცია, და რადგანაც გარეგან შეხედულობით ახალმორწმუნეთა მოქმედებას არავითარი სიკეთე ეტყობოდა, ამიტომ ის გაუჯავრდა ძლარჯეთის ერისთავს უყურადღებობისა თუ თანაგრძნობისათვის, რომ თვის მაზრაში მცხოვრებლებს სარწმუნოების გამოცვლის ნება მისცა, და უბრძანა მას, დაუყონებლივ მოესპო იქ ქრისტიანობის ყოველგვარი ნიშნები. ამას უნდოდა მოციქულების შეპყრობა, მაგრამ ანდრია ბოსფორს წავიდა და სიმონი ნიკოფსიაში გადაიცვალა. სახარების სწავლის დევნა იმ ხანებში ჩვეულებრივი მოვლინება იყო, მაგრამ საქართველოში მაინც ფარსმანი ისე ძლიერად დევნიდა მას, რომ მალე სრულიად მოისპო იქ ქრისტიანობის კვალი.

თუმცა ფარსმანი აზიაში თავის თანამედროვე მეფეთა შორის ძლიერი იყო და თუმცა საქართველოს საზღვრები შორს გაავრცელა მან, მაგრამ წმინდა მოციქულთა აწერილობიდან სჩანს რომ ქართველთ კუთხეები, მესხეთი და ტაოსკარი, საქართველოს საზღვრებში არ შედიოდა. როდესაც მოციქულები ამ ორ მაზრაში მივიდენ, «ქართლის ცხოვრების» ჩვენებით, ისინი იმ დროს ერთის ქვრივ-ქალის მფლობელობაში ყოფილან. ჩვენ ვიცით, რომ იმ დროს პონტოს სამეფოს მართავდა მოკლულის პოლემან I-ის ცოლი, პითოდორე; მაშასადამე ფარსმანს საქართველოს დასავლეთის ყველა ნაწილები არ დაუ-

ბრუნებია. ხოლო მისი სამეფო მაინც ბევრად უფრო ფართო შეიქნა, ვიდრე მის წინაპრების ხელში ყოფილიყო: როგორც ზევით ვცანით, ქართველებით მოსახლებულს რამდენმე მაზრას გარდა, რომელნიც მირვან I-ის დროს განცალკევდენ, იმპერატორ ნერონმა ფარსმანის სამეფოს აგრეთვე სომხეთის ნაწილიც მოადვა. ფარსმანი მარტო გარეშე საქმეებისათვის კი არ ზრუნავდა, არამედ მსგავსათვე მეცადინეობდა საქართველოს შინაურ კეთილდღეობისათვისაც. მის დროს მცხეთამ უწინდელზედ უფრო დიდი ალაგი დაიპირა და არგვის ორვე ნაპირზე გავრცელდა.

ფარსმანი მოკვდა 60 წელში. იმას უნდოდა, რომ თავის ორ შვილს, ბარტომსა და ძარტამს შორის, მოესპო შური და ქიშპობა და მით თავის სიცოცხლეშივე საქართველოში მშვიდობიანობა და უშიშროება დაემკვიდრებია; ამიტომ, ცოტა ხნით თავის სიკვდილის წინეთ, მდინარე მტკვრით თავისი სამეფო მან ორ ნაწილად გაყო და ხსენებულ შვილებს განუსაზღვრა უფლებანი და ვალდებულებანი როგორც ერთმანერთის შესახებ, ისე ქართველ ხალხის საერო საქმეების შესახებაც.

V.

დუარქიულ მართველობის პერიოდი.

(60 წლიდან 129 წლამდი).

წესები, რომელზეც დუარქიული მართველობა იყო დაფუძნებული.— ამ პერიოდის მეფეები.—გარემოებანი: ომი სომხებთან, იმპერატორის ტრაიანის დაპყრობანი და მეფეების ფარსმან III-ისა და მირდატის ურთერთშორისი ბრძოლა.--ფარსმანის მოგზაურობა რომს.

იმ ცნობებიდან, რომელიც ქართულ მატიანეებში მოიპოება და რომელიც მოგვითხრობს. თუ რა უფლებანი და ვალდებულებანი ქონიათ ამ პერიოდის მეფეებს როგორც ერთმანერთ შორის, ისე ხალხის საერთო საქმეებშიაც, შეგვიძლია გავიგოთ, რომ ამ უფლებათა და ვალდებულებათა საფუძველნი შემდეგნი ყოფილან 1) ერთს ამ ორ მეფეთაგანს მცხეთაში უნდა ეცხოვრა და უნდა ეფლო მტკვრის მარცხენა მხარეზე მდებარე ყველა ადგილები და აგრეთვე რიონისა და ჭოროხის აუზების მაზრები; მეორეს კი არმაზში უნდა ეცხოვრა და მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან დაწყებული საქართველოს სამხრეთის საზღვრამდი ყველა მაზრები უნდა ემართა 2) როცა რომელიმე მათგანი მოკვდებოდა, იმ წამსვე მის მაგიერ მის უფროს შვილს უნდა მიეღო მამის სამფლობელოც და მისი ყველა ვალდებულებაც. 3)

როგორც ერთი, ისე მეორეც თავის სამფლობელოში აღჭურვილი იყო დამოუკიდებელ მეფის უფლებით. 4) მშვიდობიანობის დროს, საერთო სახალხო კითხვების გადასაწყვეტად, რომელიც ორივე სამფლობელოს შეეხებოდა, ისინი უნდა შეკრებილიყვენ და გადაწყვეტილება ერთად უნდა დაედგინათ, და 5) ომიანობის დროს კი ერთი მათგანი მთელს საქართველოს სამხედრო საქმეებს მართავდა, და მეორე—სამოქალაქოს; ამასთანავე პირველი ჯარებს წინამძღოლობდა და მეორე სურსათსა და იარაღს უმზადებდა მაი.

ხსენებულ პერიოდში შემდეგი პირები მეფობდენ: ფარსმან I-ის შვილები ბარტომი და ქართამი; თავიანთ ხვედრ მამულების მართვა იმათ 60 წელში დაიწყეს; ქართამი სამ წელს შემდეგ, 63 წელში, მოკვდა და იმის ადგილი მისმა შვილმა ფარსმან II-მ დაიჭირა. ბარტომი 72 წლამდი მეფობდა, და მას შემდეგ ფარსმან II-ის ამხანაგად ბარტომის შვილი ქაოსი გახთა. ესენი 87 წელში მოკვდენ და იმათ მაგიერ სამეფო ტახტზე აზორკი და არმაზელი ავიდენ. აზორკისა და არმაზელის სიკვდილისა და იმათ შვილების დეროკისა და ამზასპისამიერ მართველობის ჩაბარების დრო ნამდვილად ცნობილი არ არის, მაგრამ 103 წელში პირველი ორი აღარ ყოფილა ცოცხალი და სამეფო უკანასკნელ ორ პირს ეჭირა. აგრეთვე არ არის ცნობილი: პირველი—ამ მეფეთა გადაცვალება და იმათ მემკვიდრეების მარდატისა

და ფარსმანIII-ის მართველობის დასაწყისი, რომელნიც 113 წელში უკვე მართავდენ საქართველოს; და მეორე— როდის განდევნეს საქართველოდან მარდატი. და ამგვარად როდის გადავიდა ერთათერთის ფარსმან III-ის ხელში ყოველგვარი მეფური ხელმწიფება. ეს ეს გამოურკვევლობა გვაიძულებს ჩვენ— დუარქიულ მართველობის საზღვარათ მივიღოთ ფარსმანისა და მარდატის სიკეკლისა და საქართველოს მეფედ აღამის დანიშვნის წელიწადი, და ეს მარდატის განდევნის წელი.

ამ პერიოდის განმავალობაში ფრიად შესანიშნავი გარემოება სომხებთან ბრძოლაა, რომელიც იმ დროიდან დაიწყო, რა რომ ფარსმან III-მ სომხეთის მეფის წულის არტაშანის წინააღმდეგ გაილაშქრა ამ მხარეში ეროვანდის დასახმარებლად. ეროვანდს უკანონოთ ეჭირა სომხეთის ტახტი; კანონიერი მემკვიდრე არტაშანი, თავის მცირეწლოვანობის დროს, მის დეინისაგან თავს სპარსეთში იფარავდა, სომხეთის ერთის დიდებულთაგანის სემბატის მფარველობას ქვეშ. 78 წელში, როცა ეს მეფისწული დავაჟკაცთა, სემბატმა მოიმხრო სპარსეთის მეფე მომხმარეთ, რომ დაებრუნებია არტაშანისათვის მამის ტახტი. სემბატმა, რაკი სპარსეთიდან ჯარი მოუვიდა, წაიყვანა თან არტაშანი და სომხეთს შევიდა. ეროვანდი სპარსელთა მოსვლამ ძლიერ შეაშინა და მტრის წინააღმდეგ დახმარება თხოვა ფარსმანს. ქართველები სომხეთს შევიდენ და

ერეოვანდის ჯარს შეუერთდენ იმ დროს, როცა თითქმის მთელი მხარე არტაშანს დამორჩილებოდა. ოოტა ხანს შიგნით ერეოვანდი დამარცხდა და მოიკლა სემბატის მიერ; მისი ჯარები გაიფანტა, და ფარსმანი საქართველოს უკუიქცა.

სემბატმა, როდესაც არტაშანი ტახტზედ აიყვანა, მთელ სომხეთის განწესიერებასა და მორჩილებაში მოყვანას მიყო ხელი, და ფარსმანმა რომ ერეოვანდს შემწეობა ამოუჩინა, ამისთვის შურისძიების განზრახვას კი ჯერ ჯერობით გულში მალავდა. 87 წელში სემბატმა ომის გამოუცხადებლად გაიარა საქართველოს საზღვარი და არტანისსა და წიგონდას გარშემოერტყა. რადგან ამ ციხეების ჯარებმა ძლიერი წინააღმდეგობა ამოუჩინა მას და რადგან სემბატს ეშინოდა, რომ კიდეე შემწეობა არ მიეღოთ, ამიტომ მათი უფროსები მოისყიდა; მაგრამ როცა ამ საშვალებითაც ვერ აიღო ციხეები, მოსყიდულთა თანხმობით მეციხოვნე ჯარებს ძაოსისა და ფარსმანის სახელით ყალბი წერილი გაუგზავნა, რომელშიაც ბძანება იყო, ციხეები სომხეთის მეფისათვის გადაეცათ, ვითომ იმისთვის, რომ იმასთან მეგობრებად დარჩენა სურვებოდესთ მათ. ალბათ, როცა ერთ შიკრიკს ეს წერილი ციხეებში მიქონდა, მეორე გაგზავნილი იყო საქართველოს მეფეების მოსაწამლავად; ეს იმიტომ არის საფიქრებელი, რომ იმავე დროს, როდესაც მოტყუებული ქართველთ მეციხოვნე ჯარები სომხებს წუნდასა და არტანისს

აბარებდენ. ქაოსი უეცრად მოკვდა.

ფარსმანი უზენაეს მწუხარებაში ჩავარდა ამხანაგის სიკვდილის გამო, რადგან თავის ღრმა მოხუცებულობაში ყოველი იმედი იმაზე ქონდა დამყარებული; ამასთან მას მეორე მოულოდნელი მწუხარებაც ეწია, როცა გაიგო, სომხებმა ციხეები აიღესო. დაუყონებლივ მოიხმო აზორკი და არმაზელი და თავისი და ქაოსის უფლებანი მათ გადასცა, თვითონ მძიმე ავათმყოფი შეიქნა და მალე კიდევაც მოკვდა.

საქართველოს ახალი მეფეები შურით ავსებული იყვენ სომხების წინააღმდეგ; ამიტომ იმათ სომხეთის ასაოხრებლად გამოიწვიეს ოსები და მთის ყველა ხალხები [1]), რომ ქართველებს შემოერთე-

---

[1]) «ქართლის ცხოვრება» რომ სამხრეთის ქვეყნებისაკენ ოსთა გალაშქრებისა და სომეთში იმათ ბრძოლას მოგვითხრობს, მისე ქორონიკონი ამ ლაშქრობისა ალანთა მეფეს -ურდიეს. ჩვენის აზრით, უძველეს დროიდანვე კავკასიის ქედის ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კალთებზე მეზობელი სალხები ცხოვრობდენ: 1) კავკასიის ქედიდან დაბყენული კასპიის ზღვამდე და ანდის მთებიდან მდინარე სამურამდე სახლობდენ ბევრ გეოგრაფიისაგან ესტოთწოდებული ლეკები, ე. ი. ქართველთ ლეკები 2) სუნჯის სათავიდან დაბყენული ამ მდინარის ნაპირ-ნაპირ გაყოლებით ანდის მთებამდი მეზობელი ანუ მესაგები ცხოვრობდენ ე. ი. ღეკანელი ჩეჩნები, და ამათ მსარეს სახლად მიჯნეთი ანუ მაკაკეთი ქვეყნდა; 3) მდინარე სუნჯასა და თერეკს შუა მდებარე ადგილებზე ბევრ გეოგრაფიების გ�eები ცხოვრობდენ; ამათ მხარეს, რომელშიც ღეს ესეა სალსი ცხოვრობს, აქამდის ვეოასსაცანი ქვეა; ხოლო მის მთებიან ნაწილებში ამ სალსის შოამომავლობა ცხოვრობს, რომელსაც სასეოდ გალაშეკილებია და გალაკავკილებს ურდიეს და რომელნიც ჩეჩენთ ენაზე ლაპარაკობენ; 4) თერეკიდან

ბოდენ, და 88 წელში სომხეთის ჩრდილოეთის ნაწილს შეესიენ და იქ ყოველიფერი იავარყვეს და ააოხრეს. როდესაც შურისძიებით კარგად გაძღენ, ისინი Iორის ნაპირებისაკენ დაბრუნდენ, გაჩერდენ იქ და ის-ის იყო ნადავლისა და ტყვეების გაყოფას მიყვეს ხელი, რომ ამ დროს იმათ თავს დაესხა სომხეთის დიდი ჯარი სემბატის წინამძღოლობით, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დაბანაკდა და მათთან დესპანები გაგზავნა ტყვეების დაბრუნების სათხოვნელად. როდესაც უარი შიიღო, სემბატი მდინარეში გავიდა, ეომა ქართველებსა და მათ მოკავშირეებს და ისე სასტიკად დაამარცხა ისინი, რომ მოკავშირეებმა თავიანთი ნალაფევი და

მარცხნით შდ. ყუბანამდე და ამ უკანასკნელის შარჯვენა ნაპირიდან შდ. ლოანამდე სხვადასხვა სასოლრეოდენის ოლო ტომის ხალხები ცხოვრობდენ: 5) კავკასიის ქვეშა, შდ. ყუბანს და ბავ ბღვას შუა ადგილები ანუ რეჩქიები ცხოვრობდენ, რომელნაც სხვადასხვა სახელრეოდენის მრავალ საზოგადოებათ იყვენ გაყოფილნი, და 6) ბავ ბღვის ჩრდილოეთ აღმოსავლეთის ნაპირზე, როგორც დღევანდელ დღეს, ისე ბინეთაც ადგსაბენი ცხოვრობდენ.

ყველა ეს ხალხები მთელას თავის ცხოვრებას განმავლობაში ნასეკრათეულენ შეგომარეობაში ყოფილან, მეომრობა არ ქონიათ; იმათი გადმოცემანი მნელი და მუქარე არიან, და ამის გამო იმათი ცხოვრებაც ისტორიულ თანამიმდევრობით ცნობილი არ არის. ეს კი ვიცით, რომ, ადგსაბენსა და ლეკებს გარდა, ეს ხალხები მშორვადი იყვენ და ხანდასან სვეთ-ალარმავთა სხვა ხალხების მიბეგვის დამორვადენ; ხანდასან კი თვით იმათ ცნობენ სხვა ხალხნი, რომელნიც, ალბეთარს იმათ მსარეებნი ბეკარდებოდენ ოლეს და ზედა-ადგიანი შედიოდენ, მაგალითად: კიმერიელები, საბარები და შალკარები ანუ მასიაცენი, ე. ი. მასიელები ანუ მარსელიელები. სარმატიანი და სკვითიანი ამგვარ მორგვის დროს ისინი წახლოვდენ სხვა ხალხებს და ხანდასან ბოვნი მათგანნი

ტყვეები დატოვეს და გაიქცენ, ქართველები კი თავიანთ ციხეებში ჩაეკეტენ. სემბატი შეესია საქართველოს შუაგულ მაზრებს, გაიარა მთელი საქართველო ქიზიყიდან დაწყებული მესხეთამდი და გზა-გზა ერთიანად ააოხრა უმფარველო სოფლები. სომეხთ მფლობელობა რომ გაემაგრებია მესხეთში, სემბატმა მესამე ციხე დემოტი ააშენა, იმაში ძლიერი ჯარი დააყენა და შემდეგ სომხეთს დაბრუნდა.

საქართველოს მეფეებმა, თავიანთ თავშესაფარ ალაგებიდან რო გამოვიდენ, ხელმეორედ მოიწვიეს მთიელები სომხეთს გასალაშქრებლად, მაგრამ იმათ არტაშანმა მოასწრო. იმან გამოსწია საქართველოსკენ, აიღო მცხეთა და მთელ ქართლს ნაცარტუტა

იმათ ეჯერთდებოდენ, და სანდასან კი თვითონ იმაკეთებენ ეკლესიის ხალსებს; აქედან ის წარმოდგა, რომ, ამ ექვს ცომის მაგიერ, ბეღლისა და სანეკალო ნაჯიენოების მეჯერალები კეკუსიანი ერიცხა ცომს ეოფლობენ სსვა სასყლობოდენითად.

ამავ მიზეზით ოსეთა სსვადასსვა დროს და სსვადასსვა ხალხის პირში სსვადასსვა სახელეოდენა ქონიათ: ქართველები, მეჯერლობენიან ხალსებში ეათი ეასლოფსი მეზობლები, იმათ ოსებს ეეოდებენ; ირდილოეთის ცომემი—იასეთს ეუსმობენ; დასავლეთის—სანასეებს ანე ანეს ანე ალანებს, ბან სარმაკებს ანე მეოკებს: თავიანთავს კი ისინი ირონებს ეეოდენენ. ირონი, მოსე ქორეენელი, ეოანე კათალიკოსი და ეონაცანცენი ეორეიერთსანმონილი ოსებს ალანებს ეუსმობენ, და ბოგიერთი მეჯერალნი ალანებს და ალანენლებს ერთმანერთში რეკენ; ამეტლიკენს ალანეთი დალიანენისა და ბეჩენეთის სიერცეენ დაეეიშნაკს. ეკლაკრთეკი კი იმ აპრიასა, რომ ოსები და ალანები ერთი და იგივე ხალხი—ირონები ირიანო. ბეკლი გადასაბეკეკი კია, თუ ვინ იყვენ ალანები: ოსები თუ სსვა ცო

; ასლა კეკუსიანა მხოლოდ ერთათ-ერთი ხეკი, ალან-ხეკი, დარჩენილა ალანების სასყლის მოსაგონებლად; მაგრამ ეს აკეკილიც ლეკთა ეორის მგეკარეენ.

თავისი ჯარები თავის სამის შვილის წინამძღოლობით საქართველოს წინააღმდეგ გაგზავნა. ისინი თრიალეთამდი მივიდენ და იქიდან ქართველებთან მოლაპარაკება გამართეს. ეს ომი სისხლის დაუღვრელად გათავდა: ქართველებმა სომხებს მეფისწული ზარენი მისცეს, და სომხებმა საქართველოს დაუბრუნეს ის ციხეები და მესხეთის ის მიწები, რომელნიც სემბატმა არტაშანის მეფობის პირველ წლებში ღალატობით დაიჭირა.

ძართული მატიანეები ამგვარად მოგვითხრობს ქართველებსა და სომხებს შორის მომხთარს ხანგრძლივ ომის მსვლელობას. ამ გარემოების შესამოწმებლად ჩვენ მოსე ქორენელს გარდა არაფითარი ძველი წყარო არა გვაქვს მხედველობაში; მაგრამ, ვინც კი შედარებას ხელს მიყობს, ის უნებლიეთ ქართულ მატიანეებს მისცემს წარჩინებას, და არა სომხურს, რომელიც დამახინჯებულია არაისტორიულ გადმოცემებით.

ჩვენ კიდევაც შევნიშნეთ, რომ «ქართლის ცხოვრებაი» იხსენიებს არტაშანისა და რომაელებს შორის მომხდარ ჩხუბსაო; როგორც ლათინთა და ბერძენთ ისტორიკოსებისაგან სჩანს, ეს ჩხუბი იმ უკმაყოფილების გამო წარმოშდგარა, რომ არტაშანი სპარსელთ შემწეობით ფლობდა სომხეთს, და არა რომაელებისაგან იყო დანიშნული. როცა ტრაიანი იმპერიის ტახტზედ ავიდა, მან განაგრძო ეს უკმაყოფილება, მაგრამ უფრო პართელების წინააღმდეგ.

ტრაიანს უნდოდა, რომ ამ დინასტიის, ოდესმე საშიშარის, დამმორჩილებელის სახელი მოეხვეჭა, და ამისთვის არტაშანის განდევნა მოითხოვა. ეს გარემოება ტრაიანის აღმოსავლეთს გალაშქრების საბაბი შეიქნა. სპარსეთის მეფეს ხოსროს იმასთან ბრძოლის ეშინოდა და ამიტომ არტაშანი აიძულა— სომხეთიდან გასულიყო, და მის მაგიერ პართელთ თავადი პართამაზირი დაეყენა, რომელიც რომის ვასალობის თანახმა იყო; მაგრამ ტრაიანმა ისიც განდევნა და სომხეთი იმპერიის პროვინციათ გახადა. მარტო სომხეთის შეძენასაც არ დაკმაყოფილდა ის— და საქართველოზე გაილაშქრა. და როგორც ისტორია გვიჩვენებს, გაუპირებლად დაიპყრო ეს მხარე. ხოლო, როგორც შლოსერი ამბობს, ამ ქვეყნის მფლობელნი იმ დროიდის დარჩენილან მორჩილებაში, სანამ რომაელთ ჯარი იყო მახლობლად [1]).

მეორე გარემოება, იმდენათვე შესანიშნავი, რამდენათაც ეს ჩხუბი რომაელებთან, მეფეების ფარსმან III-ისა და მირდატის ურთერთშორისი ბრძოლა იყო

ეს ორი კაცი ერთმანერთს ხასიათით არაფრით არ გავდენ. ფარსმანს გარეგან სიმშვენიერით, მეომრობითა და სათნოებით დიდი სახელი ქონდა. გათქმული მთელს ქართველ ხალხში; მირდატი კი სასტიკრბისა და უსამართლობისათვის ყველას სა-

---

[1]) Ф. Шлоссеръ, Всемірн. истор., томъ IV, стр. 286.

შინლად სძულდა. მირდატს ფარსმანის შური ედვა გულში, რადგან ეს ხალხს უყვარდა, და ამიტომ მოინდომა—ამ სამძიმო ფიქრისგან გათავისუფლებულიყო მით, რომ ფარსმანი მოეკლა ნადირობის დროს, რომელიც მან განგებ გამართა. მაგრამ მირდატისაგან გაგზავნილმა კაცმა, როცა ფარსმანი საანადიროდ გამოიწვია, აცნობა მას აგრეთვე მის ამხანაგის საზიზღარი განზრახვაც. ფარსმანმა ნადირობაში მონაწილეობის მიღებაზე უარი თქვა და მირდატის განზრახვა ხალხს გამოუცხადა. ქართველები წინეთაც ეძებდენ შემთხვევას—ამ ბოროტ მოქმედის ჯავრი ამოეყარათ გულიდან,—და მირდატი განდევნეს სამშობლოდან; ის გაიქცა თავის სიმამრთან, სპარსეთის მეფესთან. ოარი შემოსევა, რომელიც მირდატმა სპარსელთ შემწეობით მოახთინა, ქართველებმა მამაცურად უკუაქციეს, ბოლოს ფარსმანმა თავის ჯარებს სომხების ჯარები შემოუერთა, რომელიც მისმა სიმამრმა, სომხეთის მეფემ მისცა მას, და თვითონ გაელაშქრა სპარსეთს. ფარსმანის გაბედულმა შესევამ და მისმა წარმატებამ ისე შეაშინეს სპარსეთის მეფე, რომ ამ უკანასკნელმა მეტი ღონე ვერ მოიპოვა თავის სახელმწიფოს აოხრების ასაცთენად და გადაწყვიტა ფარსმანის მზარეულის მოსყიდვა მის მოსაწამლავათ. ფარსმანი ანაზდათ მოკვდა, და ქართველებმა უკან დაიწიეს; სპარსელი ურიცხვი ჯარები მათ უკან დაედევნენ. სპარსელებმა საქართველო დაიპირეს და ტახტზე მირდატი

აიყვანეს. მაგრამ შემდეგ ფარსმანის შვილი ადამი, რომელსაც რომაელები [1]), სომხები და დასავლეთის მაზრების ქართველები ეხმარებოდენ, თავს დაეცა მათ და დაბა რეკანან, მდინარე ლიახვზე მომხდარ ბრძოლაში მირდატის ბედი გადაწყდა—მისი მოკავშირეები ძლიერ დამარცხდენ, და თვითონ ის ჩხუბში მოიკლა. ამგვარად დუარქიული მართველობა გათავდა და 129 წელს საქართველოს ტახტზე ადამი ავიდა.

ფარსმან III ადრიან იმპერატორის მეფობის დროს რომს გაემგზავრა, და როგორც უცხო ქვეყნელ მემატიანეებისგან სჩანს, იქ ის დიდის პატივით მიუღიათ. ერთხელ როდესაც ბელონის ტაძარში ის მსხვერპლსა წირავდა, ღვთაებრივ სტატუებს შორის მას საკუთარი მისი გამოხატულებაც აჩვენეს, რომელიც წინდაწინვე დაედგა იქ რომის მართებლობას [1]). ცხადია, ეს პატივისცემა იმის ნიშანი იყო, თუ რა დიდი აზრი ქონიათ რომაელებს იმ დროში საქართველოს ძალსა და იმ სარგებლობაზე, რომლის მოპოებაც შეეძლოთ მათ, თუ კი ეგ სამეფო იმპერიასთან დამეგობრებული იქნებოდა. საკვუხაროთ, ეს აზრი ნაწყვეტ-ნაწყვეტათ არის გამო-

---

[1]) «ქართლის ცხოვრებაში» რომაელები როგორც წინათ, ბერძნებათ იწოდებიან, და ამის საფუძველი ალბად ის იყო, რომ აღმოსავლეთში რომაელთ ჯარებში ბერძნების რიცხვი მეტი იყო.

[2]) *Zonaras, tom. I, p. 590.*

თქმული რომის ისტორიის სხვადასხვა ადგილას, და არ არის ზედ-მიყოლებით აწერილი, თუ რა მნიშვნელობა ქონია საქართველოს ამ ძველ მსოფლიო სახელმწიფოს თვალში. ამის მიუხედავათ, ეს ნაწყვეტებიც ღირს შესანიშნავია და ყურადღებით გამოსარკვევი, თუ კი გვინდა—ღირსეულად დავაფასოთ ქართველთ ეს პატარა, მაგრამ მშვენიერი საძმობლო.

VI.

დუარქიულ მართველობიდან საქართველოს უკანასკნელ მეფის, არშაკუნიანთა დინასტიის, ასფაგურის სიკვდილამდის (129 წლიდან 265-მდის).

ამ პერიოდის მეფენები.—მთიელთშემოსევა და ამზასპისაგან მათი უკუქცევა.—ამზასპის გალაშქრება კავკასიის ჩრდილოეთისაკენ. სამხედრო წოდების თვითნებობა.—ამზასპის წინააღმდეგ აჯანყება.—რევის მართველობა.—მეფეების ვაჩეს და ბაკურისაგან მონაწილეობის მიღება სომხების ომში სპარსეთის წინააღმდეგ.—გოთფების შესევა საქართველოში.—საშიშროება, რომელიც საქართველოს მოელოდა სპარსეთის მხრით, და ასფაგურის სიკვდილი.

ადამი სამ წელს მეფობდა, 129-დან 132-მდი. მის სიკვდილს შემდეგ, მის შვილის ფარსმანის მცირე წლოვანობის გამო, საქართველოს მართავდა თოთხმეტის წლის განმავალობაში ადამის დედა ბადანა. 146 წელს თუთხმეტის წლის მისი შვილი აიყვანეს ტახტზე. ფარსმან IV-ის მემკვიდრეთ გახთა მისი შვილი ამზასპ II, რომელიც 184 წლიდან 185-მდი მეფობდა. ამზასპს შემდეგ საქართველოს ტახტზე სომხეთის მეფისწული რევი აიყვანეს. რევის სიკვდილს შემდეგ მისი შვილი ვაჩე მეფობდა, 213 წლიდან 231-მდი. ამისი მემკვიდრე ბაკური იყო; ბაკურის მემკვიდრეთ 246 წელს მირდატ II გახთა, და მირდატს შემდეგ 262 წელს ტახტზედ ასფაგური ავიდა.

როგორც ადგილობრივი მატიანეები გვიჩვენებს და როგორც უცხო ქვეყნელ ისტორიულ თხზულებებიდანაც სჩანს, მთელის იმ ხნის განშავალობაში, როცა ადამი, ბადანა და ფარსვან IV მეფობდენ, საქართველო სრულიად დამშვიდებული ყოფილა: არც შინ და არც გარეთ არაფერი აწუხებდა მას, მაგრამ ამ ხანგრძლივ მშვიდობიანობას შემდეგ, ამზასპ II-ის მართველობის დასაწყისში, მტაცებლობის სურვილით გატაცებული ოსები უეცრივ შემოცვივდენ ქართლში ისინი შეუერთდენ სხვა მთიელ ხალხებს, გადმოლახეს ღვალეთის მთები და ლიახვის ხეობაში შემოვიდენ. აქ რამდენმე ხნით შეჩერდენ ოსები, შეგროვდენ ერთათ ყველანი და მცხეთისკენ გაემართენ. ამზასპმა, შეიტყო იმათი შემოსევა თუარა, იმ წამსვე შიკრიკები გაუგზავნა ერისთავებს და მოუხოვა მათ, საჩქაროთ მიშველებოდენ ჯარებიანათ; მაგრამ როდესაც დაინახა, რომ სატახტო ქალაქს მტერი ძალიან მიუახლოვდა, ერისთავებს აღარ მოუცადა, რაც თან ჯარები ახლდა, ქალაქიდან გამოიყვანა, ქვეითი ჯარი ჩრდილოეთის მხრით ქალაქის მცველად დატოვა, და ცხენოსან ჯარით კი მთიელებს შეეგება წინ და შეაჩერა ისინი იმ ადგილას, რომელსაც საფურცლეს ეძახიან.

თუმცა ჯარების რიცხვში ფრიად დიდი განსხვავება იყო, მაგრამ ქართველთ მხნეობამ მტრის ყველა შეტაკება სასახელოდ სძლია ამ დღეს. ღამემ შეწყვიტა ბრძოლა; ამით ისარგებლა ამზასპმა და

თავის მამაცის, მაგრამ მეტად დაღალულ ჯარის ნაშთით ქალაქისკენ დაიწია, სადაც ქვეითი ჯარი უცთიდა მას. მეორე დღეს ახალი ბრძოლა უნდა მომხთარიყო, რომელიც, რაც უნდა სახელოვანი ყოფილიყო, ქალაქს ველურთაგან დამცველებს უკარგავდა. ღილას ადრე მცხეთის მეციხოვნე ჯარი უკანასკნელის თავგასაწირ ბრძოლისათვის ემზადებოდა; ამ დროს უეცრად, დამწყვდეულთ სასიხარულოთ, ყოველ მხრით ერისთავებისაგან შეკრებილი ჯარები გამოჩნდა. ისინი საჩქაროდ შემოუერთდენ ქალაქის მცველებს და ცხარე ბრძოლა გაუბეს მთიელებს. ოცრის დღის ბრძოლას შემდეგ მტერი სრულიად დაამარცხეს და დიდად ნაზარალევი საქართველოდან განდევნეს.

მტრების უეცარ შემოსევის ამგვარმა სახელოვანმა გაძეკებამ მებრძოლი ამზასპი იმდენად გაამხნევა, რომ მეორე წელსვე ძავკასიის მთების ჩრდილოეთის მხარეს გაელაშქრა. ვერავინ გაუმაგრდა მას, და ერთი წელიწადი არ გასულა, ისე ყველა ხალხი, ალანებისგან დაწყე'ული აფხაზებამდი, იძულებულნი შეიქნენ, დამორჩილებოდენ მას.

მაგრამ ამზასპის ამ ბრწყინვალე საქმეებმა ნაღლე დაკარგა ქართველების თვალში ყოველივე მნიშვნელობა. ადგილობრივი მატიანეები ამბობს, რომ ამზასპი გატაცებული იყო მეტის მეტ სურვილით, რითმე მადლობა გამოეცხადებია თავის სამხედრო თანამოღვაწეებისათვის, და ამიტომ, როცა საქართვე-

ლოს დაბრუნდა, მთელს სამხედრო წოდებას სრული თავისუფლება მიანიჭა, ისე ეცხოვრა, როგორც მას სურდაო. ამის შედეგი ის იყო, რომ სწრაფად გაერცელდა საქართველოში უზნეობა, თვითნებობა და მტაცებლობა, და რადგან შეურაცხყოფილები მართლმსაჯულებას ვერსად პოულობდენ, ამიტომ ხალხი მალე საშინლათ გამწარდა.

მხედრების ამგვარმა უფლებამ, რომელსაც საზოგადო მშვიდობიანობისათვის საზარელი შედეგი ქონდა, აიძულა ხალხი, ერისთავებისათვის შემწეობა ეთხოვა. ერისთავებმა მაშინვე იფიქრეს, რომ ხალხს თუ არ შეეწიეთ, მათ შორის ყოველგვარ გავლენას დაეკარგავთო და ამას გარდა თვით ჩვენც საერთო უწესოების უმფარველო მსხვერპლი შეეიქნებითო. სამეგრელოს, ოძრხის, ძლარჯეთისა და წუნდის ერისთავებმა, რომელნიც მეფის კარისკაცთა გზირობას ბოშორებულნი იყვენ, შეადგინეს აბზასპის წინააღმდეგ შეთქმულობა, რადგან ის იყო უწესოების მიზეზი, და სოფხეთის მეფეს მალარშს [1]) მიმართეს, რომ თავის შვილი რევისათვის ნება მიეცა, აბზასპის მაგიერ დამდგარიყო. რევი აბზასპის ძმისწული იყო. სოფხეს გარდა რევის სასარგებლოთ ამ საქმეში რომაელებიც და თვით მთიელი ხალხებიც გაერიენ. თუმცა აბზასპის მხარე სპარსელებმა დაი-

---

[1]) ეაღარში მეფობდა 178 წლიდან 198-მდი. *St. Martin, Mémoire sur l' Arménie, tom I. p. 412.*

ჭირეს, მაგრამ ომი მაინც დიდხანს არ გაგრძელებულა: ერთს ბრძოლას შემდეგ ქართლიც რევის მხარეს გადავიდა, და მალე ამბასპი მოკლეს.

იმ ქებათაგან, რომელთაც მემატიანეები რევს უძღვნიან, ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ მის მეფობის დროს სამხედრო წოდების თვითნებობა მოუსპიათ, თუმცა ისინი ამ გარემოებისას ცრაფერს ამბობენ. რევს ისინი ნათელ ცხრების მქონეთ, მგრძნობიარეთა და დიდსულოვან კაცად გვიხატავენ. მისი გადაწყვეტილება, რომელიც ღმერთებისათვის ადამიანების მსხვერპლად შეწირვას უკრძალავდა, მის მაღალზნეობრივ ღირსებათა საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია. ეგ სასტიკი სარწმუნოებრივი ჩვეულება, რომელიც საქართველოში მე-III საუკუნემდი არსებობდა, ოდესღაც მთელ დედამიწაზე მძვინვარებდა. მეორე პუნიკურ ომის დროს ეს ჩვეულება დიდის ამბით შეასრულეს რომში იმ თავზარ დაცემას შემდეგ, რომელიც ქანასთან ბრძოლამ რომაელებს მიაყენა. მაგრამ იქა და საბერძნეთში განათლების წარმატებამ ბევრით უფრო ადრე მოსპო ეს ჩვეულება ძირეულად. როგორც ეს განკარგულება, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ რევმა ბერძნის განათლებული ქალი, ვიღაც ლაგოფეტის ასული სეფორა შეირთო ცოლათ და იმის პატივსაცემლათ აფროდიტეს კერპი ააშენა, იმას ამტკიცებს, რომ ამ მეფის გემოვნება და შეხედულება უფრო ბერძენ-რომაელთ განათლებას ეთანხმებოდა, ვიდრე დაძვე-

ლებულისა და დაერდომილ აღმოსავლეთისას. რო-
გორც გადმოცემა ამბობს, მანვე დიდი რჯულთ მო-
თმინება გამოიჩინა მით, რომ ცხადათ მიემხრო ქრი-
სტიანებს, რომელნიც აქა-იქ მის ქვეშევრდომთა
შორის ამოჩნდენ. რევისა და იმის პოლიტიკის ბიმ-
დევარ მოადგილეთა მეფობამ და ყოფაქცევამ დიდი
საშვალება ამოუჩინეს ქართველებს იმ დიდის ზნეო-
ბრივ საქმისათვის მოსამზადებლათ, რომელიც მე-IV
საუკუნეში მოხდა.

მაჩეს მართველობის დასასრულს და ბაკურის
მეფობის დასაწყისში საქართველოს ყოველი ძალა
იმაზედ იყო მიმართული, რომ სომხეთის მეფის ხო-
სროს სახელით სპარსეთის მეფის არდაშირის ძალ-
მომრეობისაგან დაეცვათ არშაკუნიანთ გვარეულო-
ბის უფლებანი სომხეთის შესახებ. ქართველები
მიიელებს იწვევდენ და იმათთან ერთად სპარსეთს
მიემართებოდენ სალაშქროდ, მაგრამ ყოველი მე-
ცადინეობა ამაო შეიქნა, და 343 წელს სომხეთი
არდაშირმა დაიპყრო.

ამ პერიოდს ეკუთვნის გოთფების შემოსევა
შავ ზღვის ნაპირათ მდებარე საქართველოს კუთ-
ხეებში: ეს გარემოება ქართველთ მატიანეებში არ
არის მოხსენებული. გოთფები, რომელნიც ოდენის
სახელს ცემდენ თაყვანს, პირველათ აზოვის ზღვის
ნაპირებზე გამოჩნდენ, და მხოლოდ ასის წლით
ქრისტეს წინეთ იძულებულნი შეიქნენ, თავიანთი მი-
წები მიტრიდატ დიდის ძლიერებისათვის დაეთმოთ.

Ოდენმა ეს ხალხი ჩრდილოეთის უშორეს მხარეს წაიყვანა, იქ მისცა მას სარწმუნოება და კანონები და უანდერძა მათ, თავიანთი ძველი მამული და შემავიწროებელი მტრები არ დაევიწყებიათ. სკანდივიაში მათ ყავდათ მემკვიდრეობითი მეფეები; იქიდან შემდეგში ბალტიის ზღვის გაღმა ნაპირას გაემართენ, და იმპერატორის ალექსანდრე სეველრის მეფობის ხანებში ისინი შვქსინის პონტის ნაპირებზედ იყვენ და ამ დროიდან მოკიდებული ხშირად ესეოდენ რომაელების პროვინციებს დუნაის ნაპირებზე. ბოლოს, მირდატის მეფობის დროს, 258 წელში, გოთფებმა შავ ზღვაზე ძლიერი ფლოტი მოაწყვეს და 15000 კაცით მოახთინეს ლაშქრობა, რომელიც ცნობილია გოთფების პირველ ლაშქრობათ ზღვაზე. როცა აფხაზეთის ნაპირებს მიუახლოვდენ, ისინი დაესხენ ბიქვინთას (პიტიუსს), რომელიც იმ დროს კარგის ნავსადგურისა და მაგარ კედლების მექონი ქალაქი იყო და რომელსაც ცავდა რომაელთ ჯარი. ბოთფებმა პირველათ ვერაფერი მოუხერხეს ამ ქალაქს, მაგრამ შემდეგ კი აიღეს და სრულიად დააქციეს. იქიდან გოთფები სამეგრელოს გაემართენ და ყველა ნიკი განაპირი ადგილები აოხრეს და იავარყვეს; დასასრულ გაცარცვეს მდიდარი ტაძარი რიონის შესართავთან და დაუსჯელათ ტრაპიზონს წავიდენ [1]). როგორც ზევით ვთქვით,

---

[1]) *Gibbon, Hist. de la décadance et de la chute de l'empire romain, ch. X.*

ამ გარემოებას არ მიუქცევია თავისკენ ადგილობრივ მემატიანეთა ყურადღება; ამის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ საქართველოს იმ ხანებში თვალ-ყური მარად სპარსეთისკენ ეჭირა, რომელიც მას მუქარით შეყურებდა. ᲐრდᲨირის მემკვიდრემ, საფორმა, როცა თავის საბძანებელს სომხეთს იქით ავრცელებდა, ისე შეაშფოთა საქართველო, რომ მირდატის მემკვიდრე, Ასფაგური, თვითონ წავიდა, მთიელებთან შემწეობის სათხოვრათ და არწმუნებდა მათ, რომ აუცილებლად საჭიროა—Ძტრების წინააღმდეგ ყველანი შეიარაღდენო; მაგრამ 265 წელს ავათ გახდა და იქვე მოკვდა.

VII.

ალმოსავლეთის მდგომარეობა სასანიანთა დინასტიის დასაწყისში.

არდშირის დაბადება და აზრდა.—იმის აჯანყება არტაბანის წინააღმდეგ და სპარსეთის ტახტზედ ასვლა.—მისი ელჩობა რომს.—რომაელთა გამოსარჩლება სომხეთისათვის.—სომხეთის დამორჩილება არდშირისაგან.—რომაელთათვის ომის უბედური შედეგი.

მე-II საუკუნის დასასრულს სპარსეთში, ისტახარის მაზრაში ცხოვრობდა აქემენიანთა ერთი შთამომავალი, სახელდობ სასანი. ბადმოცემა ამბობს, რომ ერთხელ სასანი, როდესაც თავის მაზრას ივლიდა, სპარსეთის ერთს ვარსკვლავთ მრიცხველთან, ბაბეკთან, შეეიდა ღამის გასათევათო. ამ ღამეს ბაბეკს დაესიზმრა, ვიითომ ზოროასტროს სარწმუნოების სამი ღვდელმოსამსახურე პირი გამოეცხადა სასანს და, საღვთო პატივის მიცემის შემდეგ, გამოუცხადა მას, შენ იქნები ახალ დინასტიის თავიო. როცა გამოიღვიძა ბაბეკმა, იმ წამსვე უამბო სასანს თავისი სიზმარი და დატოვა იგი თავის ოჯახში. ბაბეკმა ამ სტუმარს შერთო თავისი ასული, და დიდ ხანსაც არ გაუვლია, რომ მათ დაებადათ ვაჟი, რომელსაც არდშირი დაარქვეს.

არდშირმა ყმაწვილობაში კარგი განათლება მიიღო ჯერ ბაბეკის სახლში და შემდეგ სასახლეში, სადაც არტაბან IV-ის შვილებთან ერთათ იზრდე-

ბოდა; მეფის ჰარემის ერთი ტურფა ქალთაგანი, ბულნარა, საიდუმლოთ მფარველობდა მას, და იმის მეოხებით არდშირმა ყმაწვილობაშიეე თვალსაჩინო ალაგი დაიჭირა სპარსეთის მხედართა და დიდებულთა შორის [1]).

მაგრამ, როდესაც იმპერატორებმა ქარაკალამ და მაკრინმა სპარსეთი აოხრეს, არიეს და სასოწარკვეთილებაში შეიყვანეს, არდშირმა ამ გარემოებით ისარგებლა და ბულნარას დახმარებით ჰარემისაგან წინათვე მოტაცებულ განძის შემწეობით აჯანყება მოახთინა არტაბანის წინააღმდეგ. მოკამათეთა სვებედი სამის დიდის შეტაკებით გადაწყდა. უკანასკნელ ჩხუბში, 226 წელს, მოკლეს არტაბანი, და ამით მოისპო პართელთა მეუფება სპარსეთში და არდშირი გახთა ახალ დინასტიის დამფუძნებლად, რომელსაც მამა მისის სასანის სახელისა გამო სასანიანთა დინასტია ეწოდა [2]).

ამ გარემოებამ შესამჩნევი გავლენა იქონია სომხეთზე, სადაც არტაბანის ნათესავი ხოსრო მეფობდა, და აგრეთვე რომის იმპერიაც ძლიერ შეაშფოთა. ხოსრომ რომაელებს არდშირის წინააღ-

---

[1]) *Jonis Dubent, l'Univers, la Perse, ed. 1841. p. 278 et 279.*

[2]) *St. Martin. Memoire sur l'Armenie. tom I, p 302—304; Gibbon, Hist, de la décadance et de la chute de l' empire romain, chap. VIII.*

მდეგ შემწეობა თხოვა; არდშირი ძლიერ ამაყობდა პირველ გამარჯვებით და ძირის მსგავსათ რომს ბრწყინვალე ელჩთ კრებული გაგზავნა, რომელიც 400-ის დიდებულ სახისა და შთამომავლობის სპარსელისაგან იყო შემდგარი, და უბრძანა მათ, გადაეცათ იმპერატორ ალექსანდრე სეევერისათვის, რომ პირველათ ძირმა დაიპყრო მთელი აზია, და მისი მემკვიდრეები დიდის ხნის განმავალობაში ბრძანებლობდენ იმაშიო: მათი საბრძანებელი ეგეის ზღვასა და ეთიოპლამდი მიაწევდაო; რომ მას, არდშირს, მისმა დაბადებამ და სიმხნემ მიანიჭეს წინაპართ უფლებანი და მათი ტახტი და ამიტომ ვალი ადევს, რათა აღადგინოს ძირის საბძანებელის დიდება და საზღვარნიო; დაე რომაელნი დაუყონებლივ უკუიქცენ იმ პროვინციიდან, სადაც ერთ დროს მისი, არდშირის, წინაპარნი მეფობდენო; იმათ შეუძლიათ ევროპაში დარჩენაო, და ის, არდშირი, თანახმაა—დაუთმოს მათ იმის სარგებლობის უფლებაო [1]).

ალექსანდრე იმდენად ვერ შეაშინა არდშირის ფრიად ვრცელმა პლანებმა, რამდენათაც სომხეთის სვეტედმა, და ამიტომ შეკრიბა მთელი თავისი ძალ-ღონე და გადაწყვიტა სპარსეთის წინააღმდეგ თავისვე წინამძღოლობით ჯარების წაყვანა. სომხეთის სამეფო, ამ ორის მოკამათე სახელეწიფოს ძლიერებასთან შედარებით, ისე დამცირებული იყო,

---

[1]) *Gibbon, Hist. de l'emp. rom., ch. VIII.*

რომ სრულიად მოისპობოდა პომპეისა და ანტონის დროიდანვე, მაგრამ მას მოეხმარა ის გარეშოება, რომ ძაეკასიის მეომარ ხალხებს, და მათ შორის მათს მეთაურს ქართველთ სამეფოს, ეჭირათ ადგილები სიგძის 59-სა და 67 გრადუსებს შუა სიგანის 40 გრადუსამდის, რის გამოც ისინი აწუხებდენ და აშინებდენ რომაელთ საბძანებელს აღმოსავლეთის 67 გრადუსს ზევით და სპარსეთისას—დასავლეთის 59 გრადუსზედ უფრო ქვეითაც. მაგრამ ავგუსტი და რომის სენატი, რომელსაც ამ იმპერატორის პოლიტიკა კარგად ესმოდა, დიდის მეცადინეობით იცავდენ სომხეთის ავტონომიას. სენატს სომხეთი აღმოსავლეთის მხრით ეფრატის მიდამოს საფარათ მიაჩნდა სპარსეთის წინააღმდეგ, და ჩრდილოეთის მხრით—ძაეკასიის ხალხების წინააღმდეგ: ამიტომაც სომხეთის შემოსაკალთა ნაწილს ის სიამოვნებით აძლევდა იმ პირს, რომელიც სომხეთის მეფის ტიტულის გულისათვის თავდაუზოგველად იცავდა რომაელთ საზღვრებს აზიაში.

ალექსანდრე სევერი ხოსროს შეუერთდა და სპარსეთს მიმართა სამის ლაშქრით; ერთს ამ ლაშქართაგანს, ბაბილონიის ჭაობიან ხეობებში მისულს, გარს შემოერტყა მტერი და სრულიად ამოწყვიტა ის; მეორემ გაიარა სომხეთი და მიდია და თავდაპირველათ დასაწყისში პირველ ლაშქარზედ უკეთესი ბედი ეწია მას: მან ააოხრა ყოველიფერი, რაც შეხვდა გზაზე, და რამდენჯერმე გაილაშქრა სპარ-

სელებზე; მავრამ, მთებზე გადასელის დროს საშინ-
ლათ დამარცხდა ის ძნელ გზისა და მკაცრ სიცივის
გამო. მესამე—უმთავრესი—ლაშქარი, რომელსაც
თვით იმპერატორი წინაუძღოდა, პირველის ორის მო-
მხმარე უნდა ყოფილიყო და ამგვარათ შეაგულ სპარ-
სეთისაკენ უნდა წასულიყო, მაგრამ მან ვერ ისარ-
გებლა რამდენისამე კარგის შემთხვევით, და რადგან
ამასთანავე სნეულებაც გაჩნდა ამ ჯარში და ბევრი
დაიხოცა, ამ მიზეზით ფრიად შემცირებული და სუ-
ლით დაცემული ჯარი იძულებული გახდა—უკანვე
დაბრუნებულიყო [1]).

ამას შემდეგ ხოსრო მარტო დარჩა, მავრამ
მაინც საკვირველათ გამაგრდა და მხნეთ იცავდა თა-
ვის დამოუკიდებლობას; ის დიდის მოფერებით იღებ-
და გამოქცეულებს და უკმაყოფილო პირებს, რო-
მელნიც განუწყვეტლივ მოდიოდენ მის სასახლეში.
მაგრამ ხედავდა, რომ ამგვარი მისი მდგომარეობა
საიმედო არ იყო, და ამიტომ ყველა არშაკიანს
ეეედრებოდა—შეერთებულიყვენ მასთან ერთად სა-
ზოგადო მტრის წინააღმდეგ; ამათ შორის მხოლოდ
ქართველთ მეფეებმა და მათ მიერ გამოწვეულმა
ძაკასიის ხალხებმა ამოუჩინეს ხოსროს თანაგრძნო-
ბა, და ამგვარად შეერთებულმა ძალამ შიშიც კი
მიაყენა სპარსეთს [2]). დანარჩენ არშაკიანებს არა-

---

[1]) *Gibbon, Hist. de l'emp., rom., ch. VIII.*

[2]) «ქართლის ცხოვრება»; მაგრამ ეს მატიანე რასაკვირვე-
ლია ცთება, როცა ამბობს, რომ ხოსროს ქართველთ მეფე ასეა-
გური ეხმარებოდაო.

თუ მხურვალე მონაწილეობა არ მიუღიათ ამ ბრძოლაში, არამედ მათ შორის ერთი ისეთიც გამოჩნდა, სახელდობ ანაგი, თვისის მუხთლობითა და თავის შვილის სახელოვნობით შესანიშნავი პირი, რომ მიიღო არდშირისაგან კარგძალი სასყიდელი და მოწამლა ხოსრო 232 წელში. სომხებს სურდათ—ტახტზე დაესვათ ხოსროს მცირე წლოვანი შვილი, მისი ერთათ-ერთი მემკვიდრე, ტირიდატი, და ამ საქმეში მფარველობა სთხოვეს რომაელთ; მაგრამ, სანამ რომაელნი დაეხმარებოდენ, სპარსელთ მეფე 233 წელს სომხეთს შევიდა, და მხოლოდ ერდგულმა მსახურმა გადაარჩინა ტირიდატი მით, რომ გააქცია ის რომს და ამ მეფისწულის აზრდა და შემდეგი მისი ბედ-ილბალი ამ ქალაქს მიანდო [1]).

მუმცა რომაელნი ასე ძვირათ აფასებდენ სომხეთის ავტონომიას, მაგრამ 233 წლიდან 287-მდის ამაო შეიქნა ყველა მათი ცთა სპარსეთისაგან ამ საშეფოს განთავისუფლებისათვის. არდშირის შვილმა საფორმა დაიჭირა სომხეთი და ამას შემდეგ, რადგან იმედი ქონდა რომაელთ სისუსტისა, ქარისა და ნიზიბისის ქალაქების ჯარები განდევნა ეფრატის ნაპირებიდან და ეს ადგილები სულ ერთიანად ააოხრა და შიშის ზარი მოფინა მათ. რომს თავზარი დასცა

---

[1]) *St. Martin, Mém. sur l' Armenie, tom. I. p. 302—304; Gibbon. Hist de l'emp. rom., ch. x; Debeu, Hist. du Bas—empire, tom. I, p. 77.*

იმ შეურაცხყოფამ, რომელიც მის დიდებას მიაყენეს, და იმ საშიშროებამ, რომელიც მას მოელოდა.

260 წელს იმპერატორმა ვალერიანემ, თავის ლრმა მოხუცებულობის მიუხედავათ, გადაწყვიტა, თვით წასულიყო რომაელთ იმ მაზრების დასაცველათ, რომელიც ეფრატზე მდებარებდა. ის გავიდა ამ მდინარეში, მაგრამ მალე გარს შემოერტყა მას მტრების დიდძალი ჯარი და იძულებულყო, დესპანების ხელით საფორისთვის უანგარიშო ფული მიერთმია და სასირცხვო უკუქცევის ნება გამოეთხოვა.

საფორმა ამ ფულის მიღებაზე ზიზღით უარი გამოაცხადა და მოითხოვა პირისპირ შეყრა ვალერიანესთან. ეს შეყრა იმით გათავდა, რომ იმპერატორი დააბორკილეს და რომაელმა ლეგიონებმა იარაღი აიყარა. სიამაყის ამ დღესასწაულობის წამს პოლიტიკამ აიძულა საფორი, დაენახებინა მთელის ქვეყნისათვის, რომ რომაელთ ტახტის ბედ-იღბალი სრულიად მაზედ იყო დამოკიდებული: მან აირჩია იმპერატორათ ანტიოქიის ერთი უცნობი მცხოვრები, ქირიადი, და მორჩილმა ლეგიონებმაც იმ წამსვე მიიღო იგი. ამ გარემოებათ ამბავი მთელ ქვეყანას სისწრაფით მოეფინა და ყველას თავზარი დასცა.

ამბობენ, რომ ბორკილებით დატვირთულ ვალერიანეს იმპერატორის სამოსელში აჩვენებდენ ყოველგან დაბალ ხალხს, რომ დაეცინათ მისთვისო,

და როცა კი საფორი ცხენზე შეჯდომას მოისურვებდა, ფეხს დაადგამდა რომაელთ იმპერატორის კისერზე და ისე შეჯდებოდაო; და როდესაც ვალერიანე სირცხვილისა და წწუხარების გამო მოკვდა, მისი ტყავი თივით გატენეს და გამარჯვების ნიშანთა შორის დაკიდესო [1]).

Ოტა ხანი გავიდა ამას შემდეგ—და სპარსეთის ჯარებმა აიღო ანტიოქია, ტარსი და ტესარია და აოხრა ისინი. რომის ახალი იმპერატორი, საბრალო ვალერიანეს შვილი, ვერ ბედავდა ვერც მამის მაგიერ შურის ძიებას და ვერც სახელმწიფოს საზღვრების დაცვას.

---

[1]) *Gibbon, Hist de l'emp. rom., ch. X.*

VIII.

სასანიანთა დინასტიის ასვლა საქართველოს ტახტზე.

საფორთან მოციქულობა და საქართველოს მეფეთ მირიანის დანიშვნის თხოვნა.—საფორის განკარგულებანი.—მირიანის საქმენი დიოკლეტიანეს მიერ სპარსეთთან ომების გამართვამდის.—ალანთა და ფრანგთა მოძრაობანი.

როცა აღმოსავლეთი ამგვარ მდგომარეობაში იყო, საქართველოს მეფე ასფაგური გადაიცვალა 265 წელს და ამით მოისპო არშაკუნიანთა მამრობით სქესის შთამომავლობა და ტახტის მემკვიდრეთ ამ მეფის ერთათ-ერთი ასული რჩებოდა; მაგრამ ის ჯერ ისე მცირეწლოვანი იყო, რომ იმისთანა საშიშარ დროს მართველობის თავის თავზე მიღება არ შეეძლო. საშიშარ გარემოებათა გამო შეერთდენ ერისთავები, მოახთინეს თათბირი და გადაწყვიტეს—საფორთან მიქცეულიყვენ და ეთხოვათ, ერთ-ერთი თავის შვილთაგანი საქართველოს მეფეთ დაენიშნა და ასფაგურის ასულთან დაექორწინებია. ქართველ ხალხის სახელი და მატერიალური მხარე საშიშარ მდგომარეობაში იყვენ, და ზემოხსენებული საშველება იყო ერთათ-ერთი, რომელიც აძლევდა მას ამ მდგომარეობიდან გამოსავალ გზას. ამასთანავე ქართველი საზოგადოება იმით ინუგეშებდა თავს, რომ

თუმცა საფორი რომაელთა და იმათ პროვინციებს მცირე აზიაში უღვთოთ ეპყრობოდა, მაგრამ სომხეთში კეთილის მომქმედ სჯულის მდებელათ იჩინა თავი [1]).

როცა ქართველთ ელჩებმა საფორს ხალხის თხოვნა წარუდგინეს, მან კითხა: «სად არის ქალაქი მცხეთა და დიდი თუ არის იგია; ხაზარები და ოსები რა მანძილზე ცხოვრობენ ამ ქალაქიდანაო, და ქართველთ მეფის ასული რომელ დინასტიიდან შთამომავლობსო?» როცა ამ კითხვების პასუხი მიიღო, საფორი თვითონ წავიდა საქართველოს; ის კმაყოფილი დარჩა მით, რომ ყოველგან დიდის ამბით მიიღეს და დიდი პატივი სცეს მას; ის დათანხმდა ყველა თხოვნაზე და საქართველოს მეფეთ დანიშნა თავისი შვილი, შვიდის წლის მირიანი (რომელიც შეეძინა მას საყვარელ მხევალისაგან) და მიანიჭა მას სომხეთისა და ძავკასიის ყველა ხალხის პყრობის უფლება.

საფორმა რამდენიმე განკარგულება მოახთინა: მირიანისათვის მზრუნველის დანიშვნის შესახებ, შესახებ იმის აზრდისა ქართველთ თანამედროვე სჯულის კვალზე, რომელიც წარმოადგენდა ზოროასტროს სარწმუნოებასა და კერპთთაყვანისცემას, ერთათ შერეულსა, და აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში ჯარების დაწყობის შესახებ. ამას შემდეგ კი წავიდა სპარსეთს.

---

[1]) *Gibbon. Hist. de l'emp. rom., ch. X.*

მირიანი სწავლობდა ადგილობრივ ენას, სჯულსა და ადგილობრივ ჩვეულებათა და კიდევაც პატივისცემით ეპყრობოდა ყველა ამას; ამგვარ ქცევით მან მოიგო ხალხის გული და მისი სიყვარული დაიმსახურა და მით განამტკიცა კავშირი ახალ დინასტიისა და ქართველთ შორის. დაიწყო მეფობა თუარა, იმას მოუხთა დასაწყისშივე განუწყვეტელ ომების გამართვა ჩრდილოეთის ხალხებთან და განსაკუთრებით ხაზარებთან, რომელთაც ის ხან დარუბანდის კარებიდან დევნიდა და ხან დარიალის კარებიდან. მაგრამ სამხედრო ასპარეზზე მოღვაწეობის დროს ის ცდილობდა აგრეთვე ციხეების გამაგრებას და ქალაქთა, ტაძართა, საკურთხეველთა და შარნავაზის სასაფლაოს გამშვენიერებასაც. ყველა ამას გარდა ქართული მატიანეები კიდევ მოგვითხრობს, რომ მან გაიმარჯვა სპარსეთთან ომშიო, როდესაც იქ საფორის შვილისშვილი ბარამი მეფობდაო, და ლაშქრობაში ბაღდათამდის მივიდაო. მაგრამ ამ ფაქტის შესახებ ჩვენ ვერაფერს ვპოულობთ ვერც სპარსელთა და ვერც ლათინთა ისტორიკოსების ნაწერებში. ეს ფაქტი ერთობ დიდია ქართველთ სამეფოს ჩვეულებრივ ძალასთან შედარებით, ასე რომ არ შეიძლება, ეჭვში არ შევიდეთ, რადგან უცხო ქვეყნების მწერალნი არ ამოწმებენ იმას. რომელმე სახელმწიფოს ადგილობრივ მატიანეს, თუგინდ ძლიერ სარწმუნოც რომ იყოს, მხოლოდ მაშინ შეიძლება ერწმუნო, როდესაც საკუთრათ სა-

ხელმწიფოს შინაგან საქმეს ეხება, და ისიც მაშინ, თუ რომ ეგ საქმე ამ სახელმწიფოს შინაგან ძალას შეფერის; გარეგან საქმეთა ამბავნი კი გარედანვე დამოწმებას თხოულობს.

მირიანის მეფობის დროს მოხდა ორი გარემოება, რომელიც საქართველოს დასავლეთის მაზრებს, ზღვის ნაპირათ მდებარეებს, შეეხო და რომელსაც ადგილობრივი მატიანეები სრულიად არ იხსენიებს. ეს გარემოებანი არიან ალანთა და ფრანკთა მოძრაობანი.

პვრელიანის მეფობის დროს ალანებმა დასავლეთისაკენ გაიწიეს და იქ აზოვის ზღვის მახლობლათ, გაშალეს თავიანთი კარვები. იმპერატორს უნდოდა—მოეშორებია ისინი რომის საზღვრებიდან და ამისთვის შეპირდა მათ დიდ საჩუქრებს, თუ რომ უკან დაბრუნდებოდენ და სპარსეთს თავს დაესხმოდენ. მაგრამ პვრელიანი მალე გაეიცვალა და ეს დაპირება აღარ შესრულდა. ალანებმა ამგვარი საქციელი პირობის ვერაგულ დარღვევათ მიიღეს და გაბრაზებულებმა მაგიერის გადახთა და სასყიდლის აღება განიზრახეს. 276 წელს მათ გაიარეს აფხაზეთი და სამეგრელოსა და ძლარჯეთს შევიდენ; ამ მაზრების აოხრების შემდეგ მათ მიმართეს პონტოს და მცირე აზიის დანარჩენ პროვინციებს. იმპერატორი ტაციტი თავდაპირველად იძულებული შეიქნა—მიეცა მათთვის დაპირებული სასყიდელი და ეთხოვა, რომ რიონის მარჯვენა ნაპირს გასული-

ყვენ; შემდეგ კი მოინდომა, ეგრძნობინებია მათთვის იმპერიის ძლევა, და ამიტომ თავისთავათ გაილაშქრა მათზე, მაგრამ, მეტისმეტ მოხუცებულობისა გამო ვერ აიტანა ამ ლაშქრობის სიძნელე და შეაგულ მკაცრ ზამთარში ძავკასიის მთების ძირში გადაიცვალა.

ტაციტის მემკვიდრეს პრობს ეშინოდა, რომ ალანები ხელახლავ არ შესეოდენ რომის პროვინციებს, და ამიტომაც, საზღვრების მცველთა გასაძლიერებლათ, იმავე წელს პონტოს აღმოსავლეთის ნაწილებში დაასახლა ფრანკები, რომელთაც ის ენდობოდა. მაგრამ ფრანკებმა დაიმორჩილეს გემები, რომელიც პონტოს ერთს ნავსადგურთაგანში იყო გაჩერებული ღუზებით, და გაემართენ ძლარჯეთისა და სამეგრელოს განაპირებისაკენ; რიონის შესართავთან რომ მიაწიეს, შემდეგ გაშლილ ზღვაში შევიდენ და ბოსფორის ზღვისყელით გასწიეს ევროპისაკენ და გზა-გზა თავს ესხმოდენ და აოხრებდენ ყველა ქვეყანას, რომელსაც კი შეხვდებოდენ [1]).

რადგან ქართველთ მატიანენი ამ ფაკტებისას არაფერს ამბობენ, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია იმის გამორკვევა, თუ რა მონაწილეობას იღებდა მირიანი ამ საქმეებში.

---

[1]) *Gibbon, Hist. de l'emp., ch. XII.*

IX.

რომაელთ ომი სპარსეთთან და ამ ომის გავლენა საქართველოზე.

ტირიდატის დანიშვნა სომხეთის მეფეთ.—სომხეთის გათავისუფლება.—ტირიდატის შესვლა საქართველოს.—ქართველთა და სპარსელთა შეერთება და ტირიდატის განდევნა სომხეთიდან.—რომაელთა და სპარსელთა ჩხუბი სომხეთისათვის.—ნიზიბისის ზავი.

იმ დროს, როდესაც საქართველო, თვით ქართველთავე მოწმობით ბედნიერ მდგომარეობაში იყო, მისი მეზობელი ქვეყანა სომხეთი უცხო ქვეყნის ხელში იყო ნახევარ საუკუნის განმავლობაში და რომის იმპერიის აღმოსავლეთის მაზრებს შორის იგიც საჯიბრო საგანს შეადგენდა რომაელთა და სპარსელთ შორის. თუმცა ავრელიანის, პრობისა და ქარის ომებმა სპარსელთ ძლიერება და სასანიანთა უძლეველობაზე შემდგარი აზრი შესანიშნავათ შეარყია, მაგრამ ამ ომებმა ვერ შესძლო სომხეთის ავტონომიის აღდგენა. ბოლოს იმპერატორმა დიოკლეტიანემ დააფასა ტირიდატის ნამსახური და ბევრჯერ გამოეცადა მისი ერდგულობაც, და ამიტომ 287 წელს სომხეთის სამეფოს შესახებ ინვესტიტურა უბოძა ბატონიშვილს ტირიდატს და გაგზავნა ის აღმოსავლეთს.

ტირიდატის გამოცხადება სომხეთის საზღვრებ-

ში ხალხმა დიდის აღტაცებით მიიღო და ამით დაამტკიცა, რომ ის აღჭურვილი იყო თვისის თავისუფლებისა და მემკვიდრე მეფეების უფლებათა დაცვისათვის. ტირიდატი თავდალმა ამხობდა ყველა დაბრკოლებას, ასე რომ სპარსელებმა მისი წინააღმდეგობა ვერ შესძლეს და იძულებული შეიქნენ, საჩქაროთ გაქცეულიყვენ. სომხეთის აზნაურნი სიხარულით მიისწრაფოდენ ტირიდატის დროშისაკენ, და მის ღირსებებით გატაცებულნი, მზათ იყვენ სამსახურისათვის. რამდენმე ხანს ისე ილბლიანათ მიდიოდა ტირიდატის საქმე, რომ არათუ გარეკა სომხეთიდან თვისის სახლისა და თავის ხალხის მტრები, არამედ ასურეთსაც შეესია, რადგან შურის ძიების ჟინით აგზნებული ქონდა გული. მაგრამ დიდი ხანიც არ გასულა, რომ ბარამმა, რომელიც სპარსეთში მეფობდა 276 წლიდან 293-მდის [1]) შეუსია ტირიდატს ყველა თავისი ჯარი და დაატოვებია მას სომხეთი: ტირიდატი იძულებული შეიქნა, დაეტოვებია სომხეთი და ხელმეორეთ შეეფარებია თავი იმპერატორთა კარზე [2]). ქართველთ მატიანენი ამ გარემოებათა კიდევ უმატებენ, რომ მოიდგა ფეხი სომხეთში თუ არა, ტირიდატი რომაელთ ჯარების შემწეობით შეესია საქართველოს და ყველაფერი

---

[1]) *Jonis Dubeux; l'Univers, la Perse, p. 312 et 313.*

[2]) *Gibbon, ch. VIII.*

ალბრა, გარდა ციხეებისა და ქალაქებისა, რომლებშიაც თავშეფარებული იყვენ ადგილობრივი მცხოვრებლებიო. ამის სამაგიეროთ, სპარსელნია შემწეობით, მირიანი მსგავსათვე მოექცა სომხეთსო. ამგვარათ ამ მეფეთა შუღლი იმ დრომდის გაგრძელდა, სანამ მირიანი არ შეუერთდა სპარსელთ, მათგანვე გამოწვეული, და სანამ შეერთებულ ძალით ტირიდატი სომხეთიდან არ განდევნაო.

დიოკლეტიანე თანაუგრძნობდა ტირიდატს და მას ესმოდა აგრეთვე სომხეთის განთავისუფლების სარგებლობა, ამას გარდა ის კიდევაც შიშში იყო ნარცეზის მუდმივ წარმატების გამო და ყველა ამ გარეგნობამ იძულებული გახადა ის, გადაეწყვიტა სპარსეთთან ომი. 296 წელს დიოკლეტიანე დროებით გადავსახლა ანტიოქიას [1]) და იქიდან გაგზავნა ჯარები თავის მხნე ამხანაგის კეისარ ბალერის წინამძღოლობით ბარამ III-ის მემკვიდრის ნარცეზის წინააღმდეგ. [2]) ეს ლაშქარი მესოპოტამიის ქვეყნით წავიდა, მაგრამ ძლიერ დაბრკოლდა: რომის სარდალმა და მასთან ტირიდატმაც ლტოლვით უშველეს თავს და ჯარების უმეტესი ნაწილი უბედურების მსხვერპლათ დატოვეს. დიოკლეტიანე ამ გარემოებით არ შეშინებულა: მან შეკრიბა თავისი ვე-

---

[1]) *Dictionnaire universel de l'hist. et de géogr., ed. par Bouillet, p. 673.*

[2]) ნარცეზი მეუფობდა 294 წლიდან 302-მდის; *Louis Dubeux, p. 313.*

ტერანები, ჩააბარა იმავე ბალერის და უბრძანა— წარსულიყო სომხეთით და აღედგინა რომის ჯარის სახელი და თვისი უწინდელი დიდება. სომხების ერთობრივისა და ენერგიულ დახმარებით ბალერი უეცრივ თავს დაესხა სპარსელთა ბანაკს, სადაც ნარცეზი იყო, და სრულიად მოაოხრა იგი: დაჭრილი მეფე მიდიის ველებში გაიქცა და გამარჯვებულს მიუტოვა მთელი თავისი ოჯახი და აუარებელი განძი.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებას შედეგათ მოყვა ქალაქ ნიზიბისში შეკრული ზავი სპარსელთა და რომაელთ შორის. ამ ზავის უმთავრესი პირობანი იყვენ შემდეგნი: პირველი, უნდა განეახლებიათ სომხეთის სამეფო ტირიდატისა და მის შთამომავლობის ხელთ ქვეშ, და მეორე, იმპერატორებს უნდა გადაცემოდათ «საქართველოს მეფეების დანიშვნის უფლება, რადგან აზიაში რომაელთ მეუფების ძლიერება და სიმტკიცე ბევრნაირათ იყო ამაზე დამოკიდებული» [1]).

---

[1]) *Gibbon, Hist. de l'emp. rom. ch. XIII.*

X

საქართველოს შესახებ გარემოებანი ნიზიბისის ზავიდან მოკიდებული ქართველთ მიერ ქრისტიანობის მიღებამდის.

საქართველოსა და სომხეთს შორის მშვიდობიანობის დამყარება მათის მეფეების ნათესაობრივ კავშირის მეოხებით.—სამფლობელოთა დანაწილება მათ შორის და მათ ნათესავთა შორის.—მირიანისა და ტირიდატის ერთმანეთის დახმარება მთიელთა და სპარსელთ წინააღმდეგ ომებში.

თანამომდევარ თავში მოყვანილი გარემოებანი ქართველთ მატიანეებში თავიანთ აწერილობით არ ეთანხმებიან რომაელებისა და სომხების მწერალთა აწერილობას; ამგვარი უთანხმოება ახლანდელ დროშიაც ჩვეულებრივი მოვლენაა და ხშირად შეგხვდებათ იგი სხვადასხვა მოჩხუბარ ხალხთა სამხედრო რეალაციებში. მაგრამ ეს ერთი გარემოება კი გვაკვირვებს, რომ დიოკლეტიანე იმპერატორის მაგიერ ეს მატიანეები ყოველგან ძოსტანტინეს იხსენიებს, იმგვარათვე, როგორც მე-VIII თავში საფორის მაგიერ მამა მისი არდშირია მოხსენებული. მსეც კია, რომ, თუ გარემოებათა თანდათანობას და მათ მსგავსებას მივაქცევთ ყურადღებას და თუ რომ საერთოთ მიღებულ ქრონოლოგიას ვიქონიებთ მხედველობაში, იმ შემთხვევაში ყველა ამ შეცთომის გასწორება ძლიერ ადვილია. ამგვარათ, გარემოებათა

ზოგიერთი წვრილმანები, ხსენებულ მატიანეებში მოხსენებული, რომელიც უფრო საქართველოს შეეხება, ვიდრე სხვა სახელმწიფოებს, და რომლის შესახებაც სხვა ხალხების ისტორია არაფერს ამბობს,— მხოლოდ რამდენათმე არის დასაჯერებელი.

ეს მატიანეები მოწმობს, რომ სპარსელებთან გამარჯვებას შემდეგ იმპერატორმა დაიმორჩილა მირიანი და მოინდომა მის მორჩილებისა და აღმოსავლეთში მშვიდობიანობის მკვიდრ საფუძველზე დაყენება და ამიტომ მისი შვილი ბაქარი ამანათათ წაიყვანა რომსაო და მირიანი ტირიდატს დაამოყვრა მით, რომ იმის მეორე შვილს რევს შერთო სომეხთა მეფის ასული სალომეო. იმპერატორს სურდა, რომ ამ ორ მეფეს შორის მოესპო დაეა იმათ საპფლობელოთა საზღვრების გამო, და ამიტომაც დაადგინა, რომ ალბეზის აუზის მიწები სომეხთ მეფის უფლებაში ყოფილიყო, და ის მიწები კი, რომელსაც მტკვარში ჩამავალი მდინარეები რწყავს,—მირიანისაო; ამ უკანასკნელის საბფლობელოში შეიტანა მან აგრეთვე დასავლეთის საქართველო ინგურის მდინარემდისო. მირიანმა კი თავის მხრით ძახეთი თავის შვილს, ტირიდატის სიძეს, რევს მისცა სასარგებლოთ, და ხუნანის ციხესა და ბარდავის ქალაქს შუა მდებარე ადგილები, ე. ი. აწინდელი ბანჯის ველი—თავის სიძეს, სპარსეთის მეფის ნათესავს ფეროზსაო.

ეს ზავის წვრილმანები ჩვენ კიდევ იმიტომაც

მიგვაჩნია შესაძლებელათ, რომ ისინი სრულიად ეთანხმებიან დიოკლეტიანეს ხასიათს: იმას ძლიერ უყვარდა სომეხთ მეფე ტირიდატი, დარწმუნებული იყო, რომ იგი რომის ერთგული იყო და აგრეთვე იმის გაჭვრეტაც შეეძლო, რომ მირიანისა და ტირიდატის შესათანხმებლათ უმჯობესი იყო ნათესაობრივი კავშირი, ვიდრე ნაძალადევი პოლიტიკური კავშირი.

დიოკლეტიანეს ანგარიში გამართლდა: მირიანი იმ დროიდანვე ტირიდატის გულითადი მეგობარი შეიქნა,—ამას ამტკიცებენ სომეხთა მემატიანენი: ისინი მოგვითხრობენ, რომ ტირიდატი ერთხელ რომს მიდიოდა კონსტანტინე იმპერატორის სანახავათო და გზაზე დაეწია მას მირიანის შიკრიკი და შეატყობია, რომ სპარსეთის მეფის საფორ II-ის ჩაგონებით ჩრდილოეთის ხალხები შეესიენ მის (მირიანის) საბძანებელს, ქარანამდის მივიდენ და მცხოვრებნი ზოვნი დახოცეს და ზოგნი ტყვეთ წაიყვანესო. ტირიდატი იმ წამსვე უკან დაბრუნდა და ჯერ მომხმარე ჯარი გაუგზავნა მირიანს და შემდეგ თვითონ წავიდა ჩრდილოეთის ხალხების დასასჯელათო. აგრეთვე, როცა ტირიდატმა სპარსეთს ჩხუბი გაუმართა, მირიანმაც თავის მხრით იმის ჯარებს თავისი ჯარებიც შეუერთა და სომხების ერთის რაზმის წინამძღოლობა თვითონ იკისრა.

საქართველოს ძველ ისტორიის დაბოლოება.

ჩვენ ამით ვათავებთ საქართველოს ძველ ისტორიას, რომელიც შეიცავს იმ დროს, როდესაც ამ ქვეყანაში წარმართობის სარწმუნოება მეუფობდა; ჩვენის წერილების შემდეგ რვეულში ჩვენ დავიწყებთ საშკალო საუკუნეთა ისტორიას. ძველის ისტორიის საზღვრათ ჩვენ ავირჩიეთ ქრისტიანობის მიღების ეპოქა. სარწმუნოებაზეა დამოკიდებული მთელი შინაგანი ცხოვრება იმ ხალხებისა, რომელთ განათლებასა და ზნეობრივ განვითარებას იქამდის არ მიუწვევიათ, რომ მათ შეეძლოთ კაცის სურვილისა და მოქმედების მართვა. სხვადასხვა გზით საქართველოს შემოიტანეს სხვადასხვა სარწმუნოებრივი სწავლა, მაგ.: ეგვიპტელების, ზოროასტროსი და ბერძნების, და ამ სხვადასხვა სწავლამ იმგვარათ შეარყია ერთმანეთის ღირსება, რომ ქრისტიანობის მიღებამდი ქართველებს თითქმის არაოდეს არ ქონიათ განსაზღვრული სარწმუნოებრივი სისტემა. რადგან სარწმუნოებრივი სისტემები ასე სუსტი იყო, საქართველოს ბუნებას ყოველთვის ძლიერი გავლენა ქონდა ხალხის გონების წარმოდგენაზე და ამიტომაც ცრუმორწმუნეობა მცოვანთა უმთავრეს სწავლათ გადაიქცა. რომაელებს საქართველოსთან ქონდათ მრ-

მოსვლა,—და რამდენათ მტკიცე ყოფილა ეს მიმოსვლა, იმისგან სჩანს, რომ ლათინურ ძირის სიტყვები ფრიად ბევრი შესულა ქართველთ ენაში. მაგრამ ეს მიმოსვლა გაიმართა Ციცერონის თანამედროე პირების დროს, როდესაც რომაელნი, განათლებისა გამო, სრულიად გულგრილათ უყურებდენ წარმართთა სწავლას, რომელსაც, შლოსერის სიტყვით, მხოლოდ პოეტური ხასიათი ქონდა. მაშასადამე, რომაელთ არ შეძლებიათ რაიმე განსაზღვრულ სარწმუნოების მიცემა ქართველებისათვის. ამგვარათ, იმ დროს, როდესაც კანონი, მეცნიერება და ხელოვნება განსაზღვრულ სახეს აძლევდენ რომაელთა ქვეშევრდომ ხალხებს,—საქართველოს, ქრისტიანობის მიღებამდის, გარკვეული სარწმუნოებაც არ ქონიათ, და ამიტომაც არ შეიძლება, რომ იმას სრულიად საკმაო პრაგმატული ძველი ისტორია ქონდეს.

მიუხედავათ ამისა, საქართველოს ძველ ისტორიას ორგვარი ინტერესი აქს: ერთი—საზოგადო იმის გამო, რომ ის გვიხატავს, თუ რა მნიშვნელობა ქონია ძველ დროში საქართველოს, და მეორე—კერძო მით, რომ ძველ დროის გარემოებათა აწერილობანი მოყავს.

ძველ დროს მსოფლიო ისტორიაში საქართველოს დიდი მნიშვნელობა ქონდა ეთნოლოგიურის, კოვერსიულისა და სამხედრო-პოლიტიკურის მხრით.

საქართველოს ტერიტორია ხალხთა ნათესავის

აკვანს წარმოადგენს, ან და ამ აკვნის ძლიერ მახლობელი მეზობელია. თუ რომ ამ ქვეყნის პირველი მკვიდრნი გამოიკვლიეს, მაშინ ბევრის სხვა ხალხის დასაწყისიც ამოჩნდება,—იმ ხალხებისა, რომელნიც წინეთ არსებობდენ ან რომელნიც ახლაც არსებობენ. ეს მხარე რიონისა და მტკვრის საშვალებით, ორს იმისთანა ზღვას აერთებდა, რომელიც თავის ნაპირებით უშორეს ქყეყნებს სწვდებოდა, და აგრეთვე ესვე ქვეყანა, მთებში გასავალ გზების წყალობით, ხმელეთით აერთებდა ორ ქვეყნის ნაწილს— აზიასა და ევროპას. ამგვარის სასარგებლო მდებიარობით მან ადრე მიიქცია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრიად მომჭირნე ხალხების ყურადღება, და ამის გამო საქართველო ძველ დროის აღებ-მიცემობის შვაგულ ადგილათ გადაიქცა.

მთებში გასავალი გზები საქართველოს მეფეების ხელში იყო და ისინი თავიანთ ნებაზე კიდევაც აღებდენ ამ გასავალებს და კიდევაც კეტავდენ. როდესაც მოესურვებოდათ, მაშინვე შეეძლოთ —მოეწვიათ ჰავკასიის მთების მცხოვრებნი და სრულიად მოეფინათ ეფრატისა და ტიგრის ხეობანი; ამიტომაც ამ მდინარეთა შუა მდებარე ადგილები ან ნეიტრალათ ითვლებოდა და ან მცირე აზიისა და სპარსეთის მფლობელთა შორის სადაოთ. ჰირისაგან დაწყებული დიოკლეტიანემდი ვერცერთმა დამპყრობელმა ვერ შესძლო ამ საზღვარს იქით გაცილება, სანამ თავდაპირველათ არ ჩაიგდო ხელში საქართვე-

ლო. მაგრამ სპარსელებსა და რომაელებს ეძნელებოდათ იმის ხელში ჩაგდება.

საქართველოს ძველი ისტორია კერძოთ საყურადღებო უნდა იყოს—როგორც იმისთანა ხალხის ისტორიის დასაწყისი, რომელიც თუმცა რიცხვით ჩვენს დროში ერთის მილიონის მეტს არ შეადგენს, მაგრამ რომელსაც რამდენმე საუკუნის განმავლობაში თავგადადებით უბრძოლია აუარებელ ხალხის პირისპირ და თავისი ეროვნება დაუცავს.

პირველი რვეულის დასასრული

უმთავრესი შეცდომები.

მე-10 გვერდზე გამოშვებულია მთელი შენიშვნა: „ამ საუკუნოებში, როგორც გადმოცემა ამბობს, შემდეგი ციხე-ქალაქები აუშენებიათ: ქართლი, სამშვილდე (ოლრბისი), მტკვრის-ციხე (ხუნანი), ჰერეთი, მცხეთა, ბაჩიანი (სანადირო-ქალაქი), დედაციხე, ბოსტან-ქალაქი (რუსთაეი), ჩელტი, ოძრხე, თუხარისი, წუნდა, არტანი (ბაჯთ-ქალაქი ანუ ბუერი), შფლოს-ციხე, ურბნისი და ქასპი".

გვ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
13	გაჩენილია	გაჩენილა
22	რამდენდთმე	რამდენათმე
23	კიმერიელები	კიმერიანები
27	საქართველს	საქართველოს
29	კოლხიდები	კოლხები
29	ადაროდიელები	ადაროდიანები
33	ბირკანიაში	ჰირკანიაში
39	არამედ ანტიგონის	ანტიგონის
50	ცნებებით	ცხენებით
69	დარუბანდოს	დარუბანდის
76	სამეფოის	სამეფოს
76	ფარნაჯი	ფარნაჯომი
94	სილა	სულა

ტ3	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
121	პერეოდი	პერიოდი
123	საზღვარათ	საზღვრათ
124	წიგონდას	წუნდას
126	ნალაფევი	ნაალაფევი
132	ძალსა	ძალასა
140	სკანდივიაში	სკანდინავიაში
143	Jonis Dubent	Louis Dudeux
144	Ეთიოპლამდი	Ეთიოპიამდი
145	ტიტულის	ხარისხის
145	თავდაპირველათ დასაწყისში	დასაწყისში
147	Debeu	Debeau
148	ამ გარემოებათ ამბავი	ამ გარემობათა ამბავი
153	ახალ დინასტიისა	ახალ დანისტიასა
156	Jonis	Louis
157	Bonilbet	Bouillet
157	Iouis Dabeux	Louis Dubeux
158	წარსულიყო	წასულიყო
159	რეალაციებში	რელაციებში

•

VI. ლუარქიულ მართველობიდან საქართველოს უკანასკნელ მეფის, არშაკუნიანთა დინასტიის, ასფაგურის სიკვდილამდის (129 — 265 წლამდის ქრისტეს შემდეგ) . 134
VII აღმოსავლეთის მდგომარეობა სასანიანთა დინასტიის დასაწყისში 142
VIII სასანიანთა დინასტიის ასვლა საქართველოს ტახტზე . . 150
IX. რომაელთა ომი სპარსეთთან და ამ ომის გავლენა საქართველოზე . 155
X. საქართველოს შესახები გარემოებანი ნიზიბისის ზავიდან მოკიდებული ქართველთმიერ ქრისტიანობის მიღებამდის 159
საქართველოს ძველ ისტორიის დაბოლოება 162

საქართველო.

ისტორიული მიმოხილვა.

თხზულება დიმიტრი ბაქრაძისა.

პირველი რეული.

შესავალი: კავკაზია.

თბილისი.
მელიქიშვილისა და ამპ. სტამბა.
1871.

Дозволено цензурою. Тифлисъ.
5-го марта 1871 года.

კავკაზია.

წინა—სიტყვაობის მაგიერ.

1870 წელს 20 ნოემბერს აი რა წერილით მიჰმართეთ ჩვენს საზოგადოებას:

„ყოველი ხალხი, რომელიც განათლების გზას დასდგომია, იმას ცდილობს, რომ თავისის მამულის ისტორია იქონიოს. ისტორია გვიჩვენებს, საზოგადოდ, რა გვარი ცხოვრება ჰქონიათ ამა და ამ ტომის წინაპართ, რა ყოფილა მიზეზი იმათის კეთილ-დღეობისა, იმათის დამცირებისა. თვითოეულს ტომს თავისი ისტორია უნდა ჰქონდეს უკეთესს საკითხავ წიგნად და ხელთ-მძღვანელად. ბამოკელეული არის, რომ წარსულს დროზეა მჭიდროდ დამყარებული აწინდელი დრო. მინც ძველის დროს ამბები არ იცის, იმან ახალის დროს მნიშვნელობა არ იცის.—ჩვენ ჩვენს ენაზე ჩვენი ისტორია არა გვაქვს,—ისტორია ისე დაწერილი, როგორც ახლანდელი დრო და საზოგადოება მოითხოვს. ჩვენ არ ვიცით ჩვენი წარსული სვე და ამისთვის გულ-გრილად შეეცქერით აწინ-დელს ჩვენს მდგომარეობას და საზოგადო კეთილ-დღეობას“.

„ამ საჭიროებაში ჩვენის საზოგადოებისაგან ვითხოვთ შემწეობას. ჭეემორე ხელის-მომწერს კაი-ხანია ჰსურს საქართველოს ისტორიის გამოცემა. შრომა ნაწილ-ნაწილ მზად არის. მხოლოდ ფულია საჭირო. თუ ამ საქმეში „საქართველოს“ ავტორს საზოგადოება ხელს მოუმართავს, ის ხელს

მიჰყოფ' ბეჭდვას. „საქართველო“ დაიბეჭდება სამ რეეულად და გამოვა ცალ-ცალკე. შასის დანიშვნა წიგნისა თავ და პირველად, რა საკვირველია, ძნელია, რადგანაც ნამდვილად არ ვიცით, რამოდენა წიგნი შესდგება ისა ან რა ხარჯი მოუნდება იმას სტამბისა. ჩვენის აზრით თვითო რეეული ელირება ათ შაურად.

„ხელის—მომწერთ სია ჩაერთვის პირველსავე რეეულში. ხელის—მომწერნი მიიღებენ დაბეჭდის შემდეგ „საქართველოს“ რეეულ—რეეულ, რამდენს ეგზემპლიარსაც იხურვებენ იმის გვარად, ვინც რამდენს ფულს შემოიტანს. თუ ვინიცობაა სიის ფული იმოდენა შესდგება, რომ ხელის-მომწერთ დაკმაყოფილების შემდეგ ფული რამ დარჩება, ის ფული ქართულის წიგნების საბეჭდავს ფონდში შეეა“.

შემდეგ ამისა ჩვენის საზოგადოების წევრთ, ვისაც კი ეს წერილი შეეხვედა, კეთილ-ინებეს, ხელის-მოწერა „საქართველოს“ გამოცემაზე და ფული შემოიტანეს. ვალად ეხადით აქ თვით იმათი სია ჩაურთოთ. აი ეს სია:

I. თბილისში.

		მან.	კაპ.
1	თ. გრიგოლ ოერბელიანი — — —	20	
2	თ. დიმიტრი ჯორჯაძე — — —	15	
3	თ. რევაზ ანდრონიკაშვილი — —	15	
4	თ. ბ. კ. ბაგრატიონ მუხრანსკი — —	15	
5	ერეკლე — — — — — — —	10	
6	იოანე კოსტან. ძე ბაგრატიონ მუხრანსკი	20	
7	თ. ზაალ ბარათაშვილი — — —	3	
8	თ. გიორგი რევაზის ძე ერისთავი —	24	
9	თ. იესე ანდრონიკაშვილი — — —	12	
10	გიორგი ივანეს ძე მუხვლავილი —	1	50
11	მიხეილ ივანეს ძე მუსხელაშვილი —	1	50
	დიმიტრი ივანეს ძე მუხელაშვილი —	5	
	სულ	142	

ᲐᲛ ᲬᲘᲗᲣᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ:

1) Геологическіе очерки Кавказа Г. Щуровскаго, въ Русскомъ Вѣстникѣ за 1862 годъ, № №2, 3 и 4.

2) Очеркъ орографіи и геологіи Кавказа Н.Салацкаго, въ Запис. Кавк. отд. Русск. геогр. общест., первый выпускъ, кн. VII. Тифлисъ, 1866.

3) Газета „Кавказъ" за 1869 годъ, № 105.

4) Очерки этнографіи Кавказа Кавалевскаго, въ Вѣстникѣ Европы за сентябрь 1867 года.

5) Ethnogénie Caucasienne par Moreau de Jonnès. Paris, 1827.

6) Recherches sur les populations pimitives et les plus anciennes traditions du Caucase, par Vivien de Saint-Martin. Paris, 1847.

7) Страбоновы извѣстія о Кавказѣ Е. Эйхвальда въ Библіотекѣ для чтенія, т. XXX.

8) Tableau historique, geographique et ethnographique des peuples du Caucase, par J. Klaproth. Paris, 1827.

9) Voyage au Mont Caucase, par J. Klaproth, 2 vol. Paris, 1823.

10) Voyage autour du Caucase, par Frédéric Dubois de Montpéroux, 6 vol. Paris, 1839—1843.

11) Исторія адигейскаго народа, составленная по преданіямъ кабардинцевъ, Шора Бекмурзинъ Ногмовымъ, въ Кавказ. Календ. за 1862 г.

12) Общій взглядъ на страны, занимаемыя горскими народами, называемыми черкезами (адиге), абхазцами (азега)

и другими смежными съ ними, Л. Люлье, въ Записк. Кавк. отд. Русск. геогр. общ., кн. IV.

13) Journal d' une Résidence en Circassie pendant les années 1837, 1838 и 1839, par James Stanislas Bell, 2 vol. Paris, 1841.

14) Осетинскіе тексты Шифнера, въ прилож. къ XIV т. Зап. с-петерб. Импер. акад. наукъ.

15) ბეოგრაფიული აღწერა საქართველოისა, ბატონის-შვილის ვახუშტის მიერ. ს-პეტერბურგი, 1842.

16) Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Arménie, exécuté en 1847—1848 par M. Brosset, S-Pétersbourg, 1849.

17) Histoire de la Géorgie, depuis l' antiquté jusqu' au XIX siécle, traduite du géorgien par M. Brosset, 2 parties. S-Pétersbourg, 1849, 1856 et 1857.

18) Histoire de la Géorgie. . . . . Introduction et Tables des matiéres, par M. Brosset. S-Pétersbourg, 1858.

19) Additions el Éclaircissements á l' Histoire de la Géorgie, par M. Brosset. S-Pétersbourg, 1851.

20) Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, depuis l' antiquité jusqu' à nos jours, par Victor Langlois. Paris, 1850.

21) Mémoires historiques et géographiques sur l' Arménie, par M. Saint-Martin, 2 vol. Paris, 1819.

22) Histoire des décourertes géographiques des nations européennes dans les diverses parties du monde.—Asie Mineure, par Vivien de Saint-Martin. 2 vol. Paris, 1845.

23) L'Empire des Tsars au point actuel de la science, par M. Schnitzler, 2 vol. Paris, 1862.

24) Histoire du Bas-Empire de Lebeau, revue par Saint-Martin et Brosset, 21 vol. Paris, 1836. (შეიცავს მრავალს შესანიშნავს ცნობას ხომხეთზე, ალეკსანდრიაზე და თვით საქართველოზე).

25) Исторія умственнаго развитія Европы Джона Вилльяма Дрепера, первая часть. С-Петербургъ, 1866.

26) Всемірная исторія Шлоссера, первый томъ. С-Петербургъ, 1861.

27) Исторія землевѣдѣнія и открытій по этому предмету Карла Риттера. С-Петербургъ, 1864.

28) Лекціи по наукѣ объ языкѣ Макса Мюллера. С-Петербургъ, 1865.

სარჩევი.

I. საზოგადო მიმოხილვა.—შეველესს ქვეყნის ისტორიათ ირიცხებიან გეოლოგია და ენები. რას გეიცნობს გეოლოგია.—ენებით ვიცით, რომ კაცობრიობის წინაპარნი გაჩენილან საშუალო-აზიაში და იქიდამ გაკრცელებულან ქვეყნის პირზე.—სულ ძველად მეიდროდ დამყარებულს საზოგადოებას ეპოვულობთ შინაიაში და მეგიპტეში . . . ბეკერი. 1—20.

II. მცირე აზია.—რა მნიშვნელობა აქვს მცირე-აზიას ჩვენის ისტორიისთვის.—სულ ძველად მცირე-აზიაში ეპოვულობთ სემიტებს და არიელებს.—მოკლე ცნობა ამ ტომებზე. მცირე აზიის არიელებთ შორის შეინიშნებიან სომხებიც და ქართველებიც. ჰეროდოტე.—ჰეროდოტეს სიტყვით ჩვენი მხარე.—ქალხიდელნი . 21—46.

III. კავკაზია.—მისი გეოლოგიური ისტორია.—სხვა და სხვა თქმულება წარლენაზე.—ეს თქმულება გეიჩენებს უძველესს გეოლოგიურს მოვლენას.—საიდამ წარმოსდგა ლექსი კავკაზია.—ამ ლექსის ისტორია . 47—66.

IV. ბერძნების კოლონიები შავი-ზღვის პირად.—სტრაბონი.—როგორ გამოგვიხატავს სტრაბონი კავკაზიის ადგილებს და ტომებს.—სტრაბონის იბერია და ალბანია.—ქსენოფონტეს სურათით მესხეთი . . . 66—91.

V. შეველესს უცხო-ტომთ კვალი კავკაზიაში.—ამ კვალს ეპოვულობთ აქაურს ენებში, სხვა და სხვა გეოგრაფიულს სახელ-წოდებაებში, სარწმუნოებაებში, ზნეობაში და ყოფა—ცხოვრებაში. . . . 91—121.

საქართველო.

I

საზოგადო მიმოხილვა. — უძველესს ქვეყნის ისტორიათ ირიცხებიან გეოლოგია და ენები. — ენებით ვიცით, რომ. კაცობრიობის წინაპარნი გაჩენილან საშუალო-აზიაში და იქიდამ გავრცელებულან ქვეყნის პირზე. - სულ ძველად მჭიდროდ დამყარებულს საზოგადოებას ეპოეულობთ შინა-ეიაში და ეგვიპეტში.

„პირველად ღმერთმან შექმნა ცა და ქვეყანა, ხოლო ქვეყანა იყო უხილავი და შეუმზადებელი და ბნელი იყო პირსა ზედა წყვდიადისასა და სული მღვთისა იქცეოდა წყალთა ზედა". ასე იწყობს თავის „დაბადებას" უძველესი მსოფლიო წელთა-მწერალი მოსე, რომელიც ცხოვრებდა მეთექვსმეტე საუკუნეში ქრისტეს შობის წინ. ამ სიტყვებით და შემდეგის სტრიქონებით მოსე წარმოგვიდგენს ქვეყნის დასაწყისს. ქვეყანა, მოსეს გამოკვლევით, ჯერ ხაოსია; წყალი და მიწა ერთმანეთში ერეულია; მცენარე, ცხოველი არსადა ჩანს; დროს განმავალობაში დედა-მიწა ხაოსიდამ გამოდის, წესში შედის; იმოსება სიცოცხლით. დედა-მიწა ჯერ მცენარეებს აღმოაჩენს, მასუკან ცხოველებს, ბოლოს დაგვირგვინდება „ხატითა და მსგავსებითა ღვთისათა". აი მოსეს სურათი. მითქმა ამ გვარად გამოგვიხატავს ქვეყნის დასაწყისს თვით მსოფლიო მე-

ცნიერება. დიდი ხანი არ არის, რაც მეცნიერებამ მოიპოვა ნამდვილი ცოდნა ქვეყნის დასაწყისზე და იმის პირველ-საუკუნოებზე. დიდი ხანი არ არის, რაც ის დარწმუნდა, რომ მოსეს „დაბადება“ შეიცავს ძველის დროების სიტყვიერს გარდამოცემას, რომ ამ გარდამოცემის საფუძველი უეჭველია, რომ ის უჩვენებს ფარდას ქვეშ გეოლოგიურს ეპოქებს, მიწის ბირის ცვლილებაებს, ორგანიზმების ერთის მეორის შემდეგ გამოჩენას, და სხ. მოსე არის ძველის მეცნიერების ნაყოფი და წარმომადგენელი. ბევრს არ შეუძლიან მოსეს მსოფლიო მნიშვნელობას მიჰხვდეს. მისაც ჰსურს მოსე დააფასოს, ის უნდა აღიჭურვოს ახალის მეცნიერებით. შამისოდ იმის „დაბადებაში“ ჩვეულებრივი მკითხველი შეანიშნავს ეერას ამოიკითხავს.

მეცნიერება, რომელიც მოგვითხრობს ძველს ისტორიას დედა-მიწისას და ადამიანისას, არის გეოლოგია და შედარებითი ფილოლოგია ანუ ენათ-სწავლა. ბეოლოგია სწავლაა მიწაზე. შედარებითი ფილოლოგია სწავლაა ენებზე. ბეოლოგიას საგნად აქვს ისტორია დედა-მიწის შენიეთებისა და გამოხატვა იმ ცვლილებაებისა, რომელნიც იმის ზურგზე და იმის გულში მომხდარან. ბეოლოგიით შეეიტყეთ, როგორ დაარსდა ქვეყანა, რა იყო ის პირველად, რა მდგომარეობაში იყო როდესაც გაჩნდნენ ხმელეთი, მთები, მცენარენი, პირუტყვნი, ადამიანი; რა იყო თავდა-პირველად ადამიანი, როგორი ჰქონდა იმას ცხოვრება. ენათ-სწავლით შეეიტყეთ, სად ჰქონია ამა და ამ ხალხს პირველი ადგილ-სადგომი, რომელი ტომის ფესვიდამ არის ის წარმომდგარი, რა გვარი ყოფილა იმისი ყოფა-ცხოვრება, ვისთან ჰქონია იმას დამოკიდებულება,

თავისს გადასახლებაში სად და სად უმგზავერია, სად შემდგარა ის, ეის ვაელენას ქეეშ ყოფილა, და სხ.— �rivep ეს საგანი ლირს— შესანიშნავია. Ისინი შეადგენენ უკეთესს და უფველს მატიანეს უძველესის დროებისას, იმ დროებისას, როდესაც ადამიანი ჯერ პირუტყეულის ცხოვრებიდამ არ იყო გამოსული, წერა-კითხვა არავინ იცოდა, ისტორია არსად იწერებოდა. ბეოლოგია და შედარებითი ფილოლოგია თუმცა ახლად დაწესებული მეცნიერებაა და მაშა-სადამე ჯერ მომავალს დროს იმას დიდი ასპარეზი აქვს გასაღლელი, მაგრამ რაც აქამომდე იმან გამოიკვლია, ისიც დიდს სინათლეს მოჰფენს, წარსულს ეპოქებს; მ ტ-ლრე ენ-ით-ს წ-ვლა. Არა ეგონებთ ჩვენი მკითხველი უკმაყოფილო დარჩეს, რომ ცოტაოდენ შევდგეთ ამ ორს საგანზე.

Ახლა აღარაეის აქვს ეჭვი, რომ ჩვენი ქეეყანა არის იმ პლანეტთაგანი, რომელთაც სამყაროზე ეხედავთ, და სხვა პლანეტიდამ რომ დააკვერდეთ იმას, ის ისე ბრწყინავს, როგორათაც სხვანი. მაშა-სადამე ჩვენი ქეეყანა და პლანეტები ერთ-გვარად არიან შენიეთებულნი. პირველად ის იყო 'მემდგარი, გეოლოგიის გამოკვლეეით, გაზის მსგავსის გროვათაგან, რომელნიც დროს განმაელობაში შეჯგუფდნენ და შესქელდნენ; გარეთი კანი გამაგრდა; შიგნით დარჩა გალხობილი მასსა, რომლის მოძრაობითაც დედა-მიწა დროითი დრომდე ირყეოდა, აქა-იქ გამოჰხეთქაედა. შიგნიდამ ამ მასსის დენამ, გარედამ წყლის მოქმედებამ გამოუწერელის დროს განმაელობაში გააჩინა მრავალი მთა და კუნძული. Დედამიწის კანი შემდგარია სხვა და სხვა ფორმაციებით, რომელნიც ერთი მეორეზე არიან აგებულნი. Მეითოეულს ფორმა-

ციას საკუთარის ცხოვრებით უცხოურია, საკუთარის ხელით თავისი ისტორია დაუწერია. თვითოეულს იმათგანს დაუმარხავს თავისს გულში ნაშთი ანუ კვალი ყოველის ორგანიზმისა, მცენარისა თუ პირუტყვისა; მრავალი იმათგ ნი გაქვავებულია. თვითოეული ფორმაცია შეადგენს განსაკუთრებითს ეპოქას. უძველესის ფორმაციის ორგანიზმები დროს განმავლობაში ისე იცვლებიან, რომ მეორე ფორმაციის ორგანიზმებს მცირედღა ემგზავსებიან. მესამე ფორმაციაში იმათ სრულებით ველარა ვცნობთ. რამდენათაც ფორმაციები ისტორიულს დროს უახლოვდებიან, იმდენად იმათი ორგანიზმები ახლანდელს ორგანიზმებს ემგზავსებიან. ეს ფაქტი იმას გვიმტკიცებს, რომ მთელი დედა-მიწა ცხოვრობს, მოძრაობს და ჩვეულებრივის თვალისთვის შეუნიშნავად იცვლება. იმ.ს აქვს თავისი სიყმაწვილე, სიჭაბუკე, სრულ-წლოვანება, მოხუცება და სიკვდილი.—ახლა ჩვენ დაჭეშმარიტებით ვიცით, რომ მესამე გეოლოგიის ეპოქაში ვრცელი საგარის უდაბნო (აფრიკაში) ზღვის ძირი იყო; ჩრდილო-დასავლეთის აფრიკა, აზორის კუნძულები და პორტუგალია ჩრდილო-ამერიკასთან შეერთებულნი იყვნენ. საგარიდამ სიცხე ჯერ არა სცემდა ევროპას და ევროპა ყინვით იყო გარე-მოცული. ბარდა ამისა ზღვა ჰფარავდა ჩრდილო-ნაწილს შინლანდიისას, ოსტძეის პროვინციებს და ჩრდილო—ნაწილს ბერმანიისას. მხოლოდ შუა მხარე სკანდინავიისა ამოიმ.რთებოდა ზღვის გულიდამ. ბეოლოგიურმა დრომ განელო. ხმელეთი ცოტ-ცოტ.დ აბურთდა, ამაღლდა. ფრ.ნცია და ინგლია ჯერ შეერთებულნი იყვნენ; მომატებული ნაწილი ჩრდილოეთის ზღვისა ამ დროს ხმელეთი იყო. შემდეგ ამისა დედა-მიწამ კიდეე

დაიწია. ინგლისა და ფრანცია გაიყარნენ. ჩრდილოეთის ზღვის ძირი წყალმა დაჰფარა.—თვით ახლანდელი კავკაზიის მხარე არის ნაყოფი სამ-გვარის მოძრაობისა. პირველმა მოძრაობამ მცირედ ზაბურთა კავკაზიის ქედი. შემდეგ რამდენიმე დრო ეს მხარე მოსვენებული იყო. მეორე აბურთებამ გააჩინა ახალციხის მხარის მთები. კავკაზიის იქით და აქეთ დიდი ოკეანე ღელავდა. შავი ზღვა და კასპიის ზღვა შეერთებულნი იყვნენ. თვით კავკაზია კუნძულს წარმოადგენდა. მესამე მოძრაობამ კავკაზიას მისცა აწინდელი თვისება და სიმაღლე. ზღვებმა დაიწიეს. ქართლი, იმერეთი, ერცელი მინდერები შავისა და აზოვის ზღვის გარეშემო, ყირიმი ხმელეთად გადაიქცნენ. ამ დროდამვე იწყობა კასპიისა და შავის ზღვის განერთება, ამ დროსვე გაჩნდნენ ვულკანები (ცეცხლის აღმომცემელი მთები) იქ, სადაც ახლა აიმართებიან ელბრუსი, ფაზის-მთა, მყინვარი და წითელი-მთა. რა დრო იყო საჭირო, რომ ამ გვარი ცვლილება მომხდარიყო? ამაზე ნულარას ვიტყვით: ეს წარმოდგენითაც არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ. ძნელია ამისი გამოკვლევა. ეს-კია შენიშნული, რომ გეოლოგიური ცვლილება აქამომდე არ შეწყვეტილა და, რა მოხდება შემდეგში, არ ვიცით. ვიცით მაგალითებრ, რომ მთელი აღმოსავლეთი-ნაპირი შვეიცისა უფრო და უფრო იბურთება; საუკუნოს განმავლობაში ერთს ფუტზე ადის. მეორეს ამ გვარს მაგალითს წარმოადგენს ინგლისა და შოტლანდიის საზღვარი: აქ პიკტი კედლის აშენების შემდეგ (ადრიანე იმპერატორის დროს რომში) დედა-მიწის პირი აწეულა 20 ფუტზე. [1] — ბოგრაფიულს ცვლილებას

[1]) Древность человѣческаго рода Шлейдена, стр. 9—15. Геолог. очерки Кавказа Шуровскаго, Русск. Вѣстн. февр. 1862.

თეით ჰაეის ცელილება მოაქვს. რადგანაც, როგორც ზემოთა ვთქვით, ხმელეთის პირი ერთ მდგომარეობაში არა ყოფილა, ამისთვის ჰაეაც სხვა და სხვა გეოლოგიურს ეპოქაში ყოფილა სხვა და სხვა. მაგალითი ბეერი ეიცით, რომ სადაც უწინ ცხელი ჰაეა ყოფილა, იქ ახლა ციეა. ამისი დასამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ დანაშთენებს მცენარებისას და ცხოველებისას, რომელნიც ახლა მხოლოდ ცხელს ქვეყნებში იმყოფებიან, პოულობენ იმისთანა ციეს ქვეყნებში, სადაც ჩვენს დროს იმათ ცხოვრება აღარ შეუძლიანთ.

ზემოთ ვუჩვენეთ, რომ თითქმის ყოველიეე ორგანიზმი დაკულია ძველს ფორმაციებში. როდის იწყობა თეითოეული ორგანიზმი, რა წარმატებაში შედის, რა ცელილებას გამოიელის ის, რომელს ფორმაში გადადის, ეს თეით ფორმაციების მატიანეშია ჩაწერილი. მაშ სჩანს, ადამიანის კვალიც უნდა იყოს დარჩენილი დედა-მიწის გულში. ამ საგანზე აი რა ეიცით. შძეელესს ფორმაციებში სრულებით არსად არის იმისი დანაშთენი. შემდეგ თუმცა ეპოვეულობთ ადამიანის კვალს, მაგრამ ეს კვალი ეკუთვნის დაბალის ტომის მოდგმას და მხოლოდ ახალს ფორმაციებში იპოვება მაღალი მოდგმის დანაშთენი, ესე იგი ძაეკაზიის ტიპი, რომელსაც შეადგენენ თითქმის მთელის ევროპის ხალხნი და მომატებული ნაწილი აზიის მცხოვრებთა. ბეოლოგია ხან და ხან იმასაც გეიჩვენებს, იმათგანი ვინ საიდამ არის მოსული. 1859 წელს შეეიცარიაში ამოთხარეს ძვლები, ! ხეა და სხვა ჭურჭელი და იარაღი, აგრეთვე შენობაები ხის ბოძებზე. ბამოიწელიეს და სცნეს, რომ ამ შენობაების მცხოვრებნი მოსულან აზიიდამ, საიდამაც თან მოუტანიათ იარაღი ნეფრატისა, რომელიც

ევროპაში არსად იპოვება. ამ სახითვე სცნეს, რომ იმათი ადგილი შემდეგ დაუჭერიათ იბერიის ტომებს, რომ ბოლოს დროს იბერიელნი განუდევნიათ კელტებს, რომელნიც ყოფილან გავრცელებულნი მცირე-აზიიდამ ევროპის დასავლეთამდე 1500 წლის წინ ქრისტეს შობისა. რა ხანია რაც ადამიანის კვალი ამოჩნდა? ამ საგანზე აი რამდენიმე ფაქტი. მგვიპეტში, ნილოსის მდინარის მინდერებში, მიწის თხრის დროს, 60—72 ფუტზე მიწაში იპოვეს ეგვიპტური თიხის ჭურჭლის ნატეხები. რადგანაც ჭირარისა და როსიერის გამოკვლევით ვიცით, რომ აქ დედა-მიწა ერთს საუკუნეში $5^1/_2$ ფუტზე მაღლდება, აქედამ სჩანს, რომ მგვიპტის ხელოვნება ნილოსის გარეშემო 24,000 წლის წინათვე დამყარებული ყოფილა. ამერიკაში მისსისიპის დელტაში ამოიღეს მიწიდამ ღრმად ჩაფლული ადამიანის ძვლები. ბამოანგარიშებულია, რომ ვიდრე ეს დელტა შესდგებოდა, საჭირო ყოფილა 258,000 წელი; მაშა-სადამე ადამიანის ძვლები 57,000 წლისა მაინც უნდა იყოს. სვედერტელტეს კანალ ქვეშ, რომელიც მელარიას ტბას ბალტიის ზღვას აერთებს, ნახეს მეთევზის ქოხი; ქოხში იპოვეს ქურა, ნახშირი და შეკრული ფიჩხი. ჩვენ ვიცით, რამოდენი დრო ყოფილა საჭირო შვეციის აღმოსავლეთის ნაპირების ცვლილებისათვის; ლაიელის გამოკვლევით, ეს ცვლილება მოითხოვეს სტოკგოლმის გარეშემო 10 დუიმს ერთის საუკუნის განმავლობაში. ლაიელმავე დამტკიცა, რომ ვიდრე ეს მხარე იქამდე აბურთდებოდა, რა სიმაღლეზედაც ახლა ის იმყოფება, დედა-მიწას კიდევ ერთხელ დაუწევია.

ეს უკანასკნელი შემთხვევა ყოფილა მიზეზი, რომ მე-

თევზის ქოხი ზღვის ქვიშას და ლოკოკინებს ქვეშ მოჰ-ყოლია. Ორიენ ეს მოძრაობა—დაწევა და შემდეგ აბურ-თება შვეიცარიისა შეადგენს ერთად 800 ფუტს, რომელიც მოი-თხოვს 70—80,000 წელს. ამ ხანს გაუვლია იმ დროდამ, რაც მეთევზეებს ქოხი აუშენებიათ ბალტიის ზღვის პირად. შეიძლება კიდევაც ვუჩვენოთ ამ გვარი ფაქტები; მაგრამ რაც ვუჩვენეთ, ისიც საკმაოდ აღმოგვიჩენს, რომ იმ დროდამ, ვიდრე ადამიანის-ტომი ცხოვრებს ქვეყანაზე, ასი ათასს წელს მაინც გაუვლია. [1])

რასაც რომ დედა-მიწის პირველ-საუკუნობაზე გეოლო-გია მოგვითხრობს, იმ გვარსავე მოთხრობას წარმოგვიდგე-ნენ ენები პირველ-დროების კაცობრიობაზე. Თეითონული ენა შემდგარია, დედა-მიწის მსგავსად, სხვა და სხვა ეპოქების ფორმაციებით; ამ ფორმაციებში დამარხულია ძველი ფორ-მები ენისა. Თუმცა შედარებითი ენათ-სწავლა სრულებით ახალი მეცნიერებაა, თუმცა ჯერ იმას ცოტა მასალა აქვს შეგროვილი, მაგრამ რაც იმას აქამომდე გამოუკვლევია ენის ისტორიაზე, ისიც ძვირფასს ფაქტებს შეიცავს. ბევრის ენის-თვის იმას ჯერ ხელი არ უხლია, მაგრამ ენებს ისეთი ურთი-ერთი დამოკიდებულება აქვთ, რომ თუ ერთი საფუძვლიანად გამოვიკვლიეთ, სხვებზედაც შეგვიძლიან რაიმე ვთქვათ. პირ-ველი ფორმაცია ენისა, ანუ უკეთ ვთქვათ, საძირკველი, რომელზედაც ის აშენებულია, არის იმისი ფესვი. Ფესვიდამ წარმოსდგება, გაიშლება და მრავლდება სიტყვები. სიტყვა თეითონულს ენას აქვს მრავალი; ფესვი კი არა: ბევრი-ბევრი

[1]) Древность человѣч. рода Шлейдена, стр. 15—19.

500 [1]. რაც უნდა ენა შეიცვალოს, მიიქცეს, ფესვი შეურ-ყეველად შთება, ხელ-უხლებლად გადადის ერთის ენიდამ მეორეში და მესამეში. არ არის ენა, რომ შერეული არ იყოს; არც ერთი ნათესავი, არც ერთი ტომი ისე განაპირე-ბული არა ყოფილა, რომ იმას ოდესმე უცხო-თესლთან და-მოკიდებულება რამ არა ჰქონიყოს და იმისგან სიტყვები არ შეეთვისოს. მსეც მოხდარა, რომ ერთს ენას მეორე დაუ-მონაევია ძალით თუ ფორმების სიმდიდრით, წარმატებით. ამასთანვე იმასაც ვიტყვით, რომ თუმცა სიტყვები ენაში ბევრჯელ შერეულია, მაგრამ იმისი გრამმატიკა შეუც-ველელად შთება ნათესაურს ენებში, რაც უნდა ისინი ერთმა-ნეთს დაჰშორდნენ. უკეთესი დასამტკიცებელი საბუთი, თუ რომელი ენა, რომლის ენიდამ ალმოსცენდა, არის გრამმატიკის ფორმები.—ენების გამოძიებით ჯერ არა ვართ დარწმუნე-ბულნი, ერთის წყვილისაგან წარმოსდგა მთელი კაცობრიობა, თუ სხვა და სხვა წყვილისაგან, სხვა და სხვა დროს. შე-ჰველია მხოლოდ შემდეგი ფაქტი: აფრიკულს ტომს ანუ ნეგრებს კავკაზიურს ანუ ინდო-ევროპიულს შტოზე უფრო დაბალი მოდგმა აქვს და თვით ტვინი ნეგრებისა უფრო მსუ-ბუქია.

რიცხვი ენებისა ჯერ დაუშმარიტებით არ ვიცით, მაგ-რამ უკეთესნი ფილოლოგნი ამბობენ, ვითომც 900 მეტი ენა არ იყოს ხმელეთის პირზე [2].—„ენა მიგვიძღვის ჩვენ, იტყვის მაქს.—ბილლერი, დროების წყვდიადში, ბევრით შორს, ვიდრე ასსურისტანის ლურსმნის-მსგავსი ლიტერატურა, ვი-დრე მგვიპტის იეროგლიფური ქარტიები. ენა გვაკავშირებს

[1]) Наука о языкѣ. Макса Мюллора, стр. 19.
[2]) Наука о языкѣ Макса Мюллора 1865 г. стр. 191, 201, 202.

შეუწყვეტელის სიტყვის ჯაჭვით კაცობრიობის წინაპართან და იქიდამ იწყობს თავისს ცხოვრებას. ენა არის ცხოველი და მოსაუბრე მოწამე კაცობრიობის ისტორიისა. უკანასკნელს დრომდე ენას არც ერთი ისტორიკი არ დაჰკითხვია, ვიდრე არ დაეკითხნენ განვითარებულნი მეცნიერნი—ბუმბოლტი, ბოპპი, ბუნზენი და სხვანი [1]). ყველა მსოფლიო ენები დაიყოფება სამ გრუპპად ანუ ნათესაობად; ერთს შეადგენენ სემიტები ანუ არაბები, ებრაელები და არამიელები; არამიელები იყოფებიან სირიელებად და ქალდეველებად; მეორეს შეადგენენ—არიელნი, ესე იგი ინდოელები, ირანელები, კელტები, იტალიელები, ელლინები, ვენდები და ტევტონები; მესამეს—თურანელები ანუ თუნგუზები, მონგოლები, თურქები, სამოედები, და ფინნები [2]). სემიტნი ცხოვრობდენ ანუ ცხოვრობენ—არამიელები სირიაში, მესოპოტამიაში, ბაბილონში და ასსურისტანში; ებრაელები—პალესტინაში; არაბები—არაბისტანის ნახევარ—კუნძულზე. არიელები არიან გაფანტულნი მთელს აზიაში და ევროპაში; თურანები—თითქმის მთლად აზიაში, მცირე იმათი ნაწილი—ევროპაში.

თუ რომ ახლა ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ გეოგრაფიულს მდებარებას ხმელეთისას, რომელიც ოკეანზე აიმართება, ჩვენ ადვილად შევნიშნავთ, რომ სიერცით და ისტორიით უმეტესად შესანიშნავია აქ ის ნაწილი, რომელიც აზიას და ევროპას უჭირავთ, რომელსაც ძველ—ძველად უწოდეს, და რომელიც მდებარებს ეკვატორსა და ჩრდილოეთს შუა (80 პარალელი). აზია ევროპითურთ შეიცავს

[1]) Наука о языкѣ Макса Мюллера, стр. 19, 20.
[2]) Тамъ же, стр. 301—303.

თითქმის შეათვიდს მთელის ხმელეთისას და $^{1}/_{40}$ მთელის ჩვენის პლანეტისას. ევროპა და აზია გეოგრაფიით ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ფიქრობთ, ერთს ხმელეთს შეადგენენო. საზღვარი იმათში დიდი არა არის რა. ძველად ევროპას და აზიას შუა აღმოსავლეთით საზღვრად უჩვენებდნენ ხან დონის მდინარეს, რომელიც ერთვის აზოვის ზღვას, უწინდელს Palus Méotidus; ხან ურალის მდინარეს, რომელიც ქასპიის ზღვაში ჩადის. ახლა საზღვრად ეს უკანასკნელია. აზიის ბუნება ყოველისფრით ერცელია. შუაღლესი ადგილი აქ—Plateau Central—შუა მხარეს შეადგენს. აქედამ დაეშვება ხმელეთი ოთხ კუთხივ; აქედამ მიმდინარეობენ ოთხსავე მხარეს ზღვებისკენ დიდრონი მდინარეები. ჩრდილოეთით, სამხრეთით Plateau მიებჯინება ერცელ ქედებს; ჩრდილოეთის მხარის ქედი არის ალათის ქედი, რომელიც ბერინგამდე უწვევს; დასავლეთით ძევს ურალის მთა, რომელიც ჩრდილო-ოკეანემდე მიაღწევს; სამხრეთით მდებარებს ჩინელების ქუან-ლუნი ანუ ზეციური მთები. ქუან-ლუნს ერთვის ბიმალაი, რომელიც ყოველ ქედებზე განსხვავებულია ისტორიითაც და სიმაღლითაც. ბიმალაის შტო მიემართება სპარსეთში, სომხეთში და მცირე-აზიაში; აქ ის შეადგენს თაურს, რომელზედაც საუბარი გვექნება შემდეგ. ის ხმელეთი, რომელსაც ჩვენ გამოვხატავთ, იყოფა სამ ნაწილად, რომელნიც ერთი მეორესთან არიან განსხვავებულნი ბუნებით, მცენარით, პირუტყვით, ჰაერით, ენებით, ხნეობით და განათლებით. ერთს ნაწილს შეიცავს ახლანდელი

-ბირი, მეორეს თურქისტანი, მესამეს-ჩინეთი, ტიბეტი, ინდოსტანი,

სპარსეთი, არაბისტანი და მცირე-აზია, უკეთესი სიმდიდრით და სიმშვენიერით მთელს აზიაში [1]).

„400—500 მილლიონი მცხოვრები გაბნეულია აზიაში. ჩრდილო მხარეს, ციმბირის უდაბურებში, სადაც მყინვარე პოლუსის ქარი სცემს ყოველთვის, მცენარეებენ სუსტნი და მილეულენი ოსტიაკები, სამოედები, იაკუტები, კამჩადალები და სხ., რომელნიც ნადირის ხორცით და თევზით იკვებებიან. აქ არის რვა სხვა და სხვა ენა. საშუალო ნაწილში, სადაც დიდ სივრცეზე ჭაობები და უნაყოფო ნიადაგი აბრკოლებენ სწავლა-ხელოვნებას, სადაც მკაცრს სიცივეს სასტიკი სიცხე მოაქვს, ცხოვრობს მოძრაკი, საქონლის მიმყოლი ტომი, რომელიც შეადგენს ოთხს ერთმანეთზე დამოკიდებულს ენას: თურქები, მონგოლები, მანჯურები და აინოსები. სამხრეთ მხარეს ჰფლობენ მიწის მუშაკნი მცხოვრებნი. მსენი ენით დაიყოფებიან ათ გრუპპად. აი ეს ენები—სემიტური, რომელიც ჰფლობს არაბისტანს, სირიას და მეფრატის ბასსეინს, სომხური და ქართული

სულნი; სხვა ტომებზე იმათ გაელენა არა ჰქონიათ რა. აზიის შუა-ადგილის მცხოვრებნი, მოძრაენი ჩეეულებით, მაგრამ განათლების გზაზე დამდგარნი, ეს აურაცხელი ორდები სკეითიისა და თურანისა ყოველთვის ეტანებოდნენ სამხრეთს და დასავლეთს, ბევრით მდიდარს მხარეებს, ვიდრე თვით იმათი მოწყენილი და ღარიბი მინდერები. აქ იყო ძველი ცენტრი, საიდამაც მრავალჯერ ემიგრაცია ანუ გადასახლება იწყოებოდა და რომელიც დიდ გაელენას აძლეედა კაცობრიობის წარმატებას.“ [1]) „ევროპას თავის თავად არა აღმოუჩენია რა. რაც იმას მოუპოვნია, პირველად იმას აზიიდამ აქვს შემოტანილი. იმისნი მცხოვრებნი და იმისი ენები ძველის აზიურის ხის ფესვიდამ არიან აღმოცენილნი. თავისის ძველის სარწმუნოებით, თვით ქრისტეს აღსარებით ევროპა აზიის დავალებულია. იმისნი მცენარენი, იმისნი პირუტყვნი, რომელნიც ევროპის ტყეებში სახლობენ, ანუ რომელნიც მუშაობაში ადამიანს მსახურობენ, არიან აღმოსავლეთითვე, სადაც იმათნი წინაპარნი იპოვებიან. ეს—კია, რომ რაც ევროპამ აზიიდამ მიიღო, ის იმან წარმატების გზაზე დააყენა, სისრულეში შეიყვანა. მხოლოდ ევროპაში ავიდა ადამიანის გონება იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ეს არსად არაოდეს არა მდგარა. აქ ადამიანმა თავისი თავი ისე ასახელა, როგორც შეჰფერის „სახესა და გვირგვინსა ღვთისასა.“ [2])

ჩვენ ზევით ვუჩვენეთ, რომ არიელები პირველად ცხოვრობდნენ საშუალო-აზიაში და იქიდამ გადმოსახლდნენ ევროპაში, რომ ამას გვიმტკიცებენ ენები. აქ სტატიის შესავსებელად საჭიროდ ვხადით ისიც მოვიხსენოთ, როგორ და

[1]) Asie Mineure t. II p. 6—8.
[2]) Asie Mineure II p. 2, 3.

როდის დაემყარნენ ამ ფაქტზე... ინდოეთში ძველად ჰსუ-ფევდა ერთი ენა, რომელსაც ეწოდებოდა სანსკრიტი და რო-მელიც მდიდარის ლიტერატურით იყო შემკული. სანსკრი-ტული ენა ხმარებაში იყო ბევრით ადრე სოლომონ მეფის წინ. მე-ამე საუკუნეზე ადრე ქრისტეს შობის წინ ის ამოს-წყდა. სანსკრიტზე იყო დაწერილი სამღთო ვედის ღიმნები და მენუსა და პურანის სჯულები. სანსკრიტი ისე იყო გავრცელე-ბული და ქებული, რომ ჩინეთის მეცნიერნიც კი ცდილობდნენ იმის სწავლას, რადგანაც ის წყაროდ მიაჩნდათ ბუდდიზმის სამღთო ლიტერატურისა. არაბნი სთარგმნიდნენ სანსკრიტულს წიგნებს სპარსულსა და არაბულს ენებზე. ევროპაში სანსკრიტ-ზე გაავრცელეს ცნობა მისსიონერებმა მე XVII საუკუნიდამ. ამ საუკუნის გასულს ერთმა ბერმა გრამმატიკაც შეადგინა სანსკრიტისა. იმისი მნიშვნელობა ერცელდება 1784 წლი-დამ, როდესაც ანგლიელებმა ქალკუტაში აზიური საზოგადო-ება დააწესეს. სანსკრიტის ენას და ლიტერატურას მსწავლუ-ლებმა ხელი დასდვეს. უპირველესი და განვითარებული თხზულება ამ ენაზე გამოიცა 1852 წ. ის ეკუთვნის ნემე-ცურს ფილოლოგს ბოპს. სანსკრიტის გრამმატიკის შედარებით ევროპიულ გრამმატიკებთან ბოპმა გამოიკელია ნათესაური დამოკიდებულება სანსკრიტისა, ზენდისა, სპარსულისა, ბერ-ძნულისა, ლათინურისა, ლიტვურისა, სლავიანურისა, გოთუ-რისა და ნემეცურის. იმან აღმოაჩინა გასაოცარი თანხმობა ამ ენების ფესვებისა და გრამმატიკულის ფორმებისა—რიცხვ-თა, ნაცვალ-სახელთა, ბრუნვათა, კანკლედობათა და სხ. [1]) სანსკრიტმა მოჰფინა ნათელი თვით ძველს ისტორიას არიელე-

[1]) Наука объ языкѣ, стр. 101--125, 150.

ბისას. იმან დაგვარწმუნა, რომ არიელებს ოიედაპირველად საშუალო-აზიაში ჰქონიათ ბინადრობა. ამ სახელს ვენდა უჩვენებს ოქსუსისა და იაქსარტის სათავეების მახლობლად, იქ, საღაც საშუალო-აზია უფრო აბურთებულია. ამ მხარეს ვენდა უწოდებს Airyanem vaêjô, არიული თესლი. აქ, ენის მოწმობით, ვიდრე არიელები გაიყრებოდნენ, ისინი მიწის მუშაკნი ყოფილან. იმათ იცოდნენ ხენა-თესვა, გზის კეთება, სახლია შენობა, კერია-ქსოვა; ისინი სთვლიდნენ ასამდე; იმათ ჰყვანდათ შინაური პირუტყვი: ცხენი, ძროხა, ძაღლი, ცხვარი; ისინი ხმარობდნენ სასარგებლო მეტალლებს, რკინის ცულებს შინ და ომში. იმათ იცოდნენ ნათესაობა და ქორწინება; იმათ ჰყვანდათ უფროსები და მეფეები, მორჩილობდნენ სჯულს და ჩვეულებას; სწამდათ უზენაესი არსება, რომელსაც სხვა და სხვა სახელს უწოდდნენ.—არიელები გაემგზავრნენ სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ. რა იყო მიზეზი ამ მოძრაობისა? აი ამ საგანზე რას იტყვის განვითარებული ისტორიკი ლრეპერი. აქამომდე ამ მოძრაობის მიზეზად მიაჩნდათ ხალხის განმრავლება და წინამძღომელთ სურვილი ნაყოფიერის ქვეყნების დაპერისა. რა საკვირველია ესეც მოხდებოდა ხოლმე. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ აზიიდამ ისეთის სისწრაფით იწყობოდა ემიგრაცია, ეს ემიგრაცია ისეთს სიმრავლეს შეიცავდა ხალხისას—მოხუცთა და ყრმათა, ბრძოლის შემძლებელთა და შეუძლებელთა, მთელის სახლობით და ავეჯულობით, რომ უმთავრესი მიზეზი მოძრაობისა სულ სხვა უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვიცით, რომ უძველესის დროდამ აზია შეუყოვნებლივ იბურთება. ამ აბურთებას დიდი გავლენა მოაქვს: მთელი მდინარეები შრება, სწყდება. აი მიზეზი, რომ

აზიის ნომადნი შერყეულნი, შეშფოთებულნი, სტოვებდნენ თავიანთ ადგილ-სადგომს და მიიელტოდნენ იქ, სადაც იმათ უკეთესი ადგილები წინ ედვათ. ამ გვარი გეოლოგიური შემთხვევა თვით ევროპაში ხშირი ყოფილა. ჭარეანის გზა მცირე-აზიაში ამოიკვეთა, რადგანაც გეოგრაფიული მდებარება ადგილისა შეიცვალა და ქვიშით შეივსო გარეშე-მყოფის უდაბურებიდამ. ქიმრებმა დასტოვეს იტალია, ამისთვის რომ ზღვა მოეფინა იმათ ადგილ-სადგომს. აბრ არის არც ერთი ნაპირი ევროპაში, რომ ამ ფაქტს არ გვიმოწმებდეს: რეინის შესართავებს, რომელთაც რომაელების დროს ეპოვულობთ, ახლა ვეღარა ეხედავთ. ალმოსავლეთი ნაპირი ანგლიისა რამდენისამე მილის სივრცეზე ჩაიხრამა. საშუალო-ქვეყნის ზღვის სანაპირო წრე სრულებით შეიცვალა. ის ქალაქები, რომელნიც ოდესმე ნაპირად მდებარებდნენ, ახლა იმყოფებიან, ზოგი—ქვეყნად შუა-გულს, ზოგი—შიგ ზღვაში. [1])—არიელებს ორი გზა ედვათ წინ: ერთი ხორასანზე ჩრდილოეთს, ახლანდელის რუსეთით, იქიდამ შავის ზღვისკენ და ფრაკიისკენ; მეორე გზა სომხეთიდამ კავკაზიით ანუ შავის ზღვით, ჩრდილო საბერძნეთში და ლუნაით ბერმანიაში, სადაც არიელებს უმგზავრიათ და სადაც დროებით ბინადრობა დაუდვიათ, იქ იმათი კვალი ყველგან დარჩენილა. არია სანსკრიტულს ენაზე ჭნიშნავს კეთილშობილს, ზენდურზე პატივცემულს, ერს. ინდოეთი მანუს სჯულში იწოდება Arya-àvarta, არიელების სადგომი; ფრაკია არის არია; მიდია—არია; სპარსეთი ირანი; ოსები-ირონები; საქართველო, ისპანია—იბ—ერია; არ—მენია, ირ—ლანდია აგრეთვე აქედამ არიან წარმომდგარ-

[1]) Тамъ же, стр. 178. Ист. умст. разв. Европы Дрепэра т. I стр. 24- 28.

ნი; აღმოსავლეთი ნალიწი ბერმანიისა იყო Arii.—ეს სიტ-ყვა არია შემთხვევით არ არის გავრცელებული: იმას თუმ-ცა ითვისებდნენ სხვა ტომებიც, რომელნიც არიის ფესვს არ ეკუთვნოდნენ, მაგრამ ამისი მიზეზი ის არის, რომ ხანდახან ერთნი და მეორენი შერეულნი იყვნენ ხოლმე. თავის მგზავრობაში არიელები იმ ჩვეულობას მისდევდნენ, რა ჩვეულობასაც შემდეგ მისდევდნენ ელლი-ნები კოლონიების დაფუძნებაში, და სულ-ბოლოს ამე-რიკელები ქალაქების აშენებაში: არიელები ახალ ქალაქებს, მდინარეებს და მთებს, საღაც ბინადრობდნენ, იმ სახელებს აძლევდნენ, რომელნიც დატეებულს ადგილებს მოაგონებდ-ნენ. ამ გვარად ხშირია, რომ ერთი და იგივე სახელი მო-გზაურობს ერთის მხარიდამ მეორეში, მესამეში... [1]). რა საკვირველია, რომ ყველა არიელები ერთს დროს არ არიან გამოსულნი საშუალო-აზიიდამ. ისტორიაც გვემოწმება იმა-ში, რომ თავდა-პირველად შემოსულან ევროპაში კელტები, ესე იგი, ელლინები, რომაელები და გალლები; მასუკან გერ-მანიელები, ბოლოს სლავიანები. თუმცა სლავიანებით გად-მოსახლება არ შეწყვეტილა, მაგრამ შემდეგ გადმოსახლებულ-ნი არიელების ტომს აღარ ეკუთვნიან: ისინი შეადგენენ თურანის ნათესაობას—ფინნები, თურქები და მონგოლები. [2])

როდესაც ჩვენ გვსურს დაჭეშმარიტებით შეეიტყოთ პირველი საზოგადოების დაწესება ქვეყანაზე, მაშინ ჩვენ ვგრძნობთ, რომ ეს საქმე ძნელი საქმეა. ის დრო ადამიანის სიყმაწვილეს მიემსგავსება. ადამიანს თავისი სიყმაწვილე აბ

1) Наука объ языкѣ, стр.1 79—189.
2) Тамъ же, стр. 147.—L'Empire des Tsars par Schnitzler, t. II p. 355—357.

არ ახსოვს, ან სიზმარივით მოაგონდება; სხვა და სხვა ამბავი, გარემოება, სხვა და სხვა პირი არევ—დარევით აღსდგებიან იმის მეხსიერებაში. ასეა ისტორიის დაწყება. ეველა ტომმა იცის თავისი ისტორიის დასაწყისი მამა-პაპის თქმულებით, ზეპირ-სიტყვაობით. ამ თქმულებას ერთი თაობა მეორეს გადასცემს, მეორე—მესამეს.. თქმულება იცვლება, ბნელის ფარდით იმოსება.. ამ ფარდის ახდა ძნელია, ყველასთვის შესაძლებელი არ არის. ეს ფარდა არის მიფოლოგია, დასაწყისი ისტორიისა. მითოლოგიურს თქმულებაში ღვთის რისხვის მოვლენა კაცობრიობაზე გეოლოგიურს ცვლილებას რასმე მოასწავებს; განვითარებულნი პირნი, აღმატებულის ნიჭით თუ ძალით შემკულნი, გმირნი და იმათი ერთი—ერთმანეთში ბრძოლა წარმოგვიდგენენ მთელს ტომს, იმათ თვისებას, ხასიათს, ხოსურს ცხოვრებას; ხან და ხან ეს გმირნი ღმერთების სახით შეიმოსებიან, სასწაულურს საქმეებს ჰშვრებიან.—ამ გვარი თქმულება ვიდრე სწავლის კრიტიკით არ ალიჭურვით, თქვენ გჯერათ, ჭეშმარიტ თქმულებად მიგაჩნიათ. „შეველესს წყვდიადში, სადაც ისტორიული ფორმები ჯერ არ დასკვნილა, ორი ათასის წლის წინ ქრისტეს შობისა, ჩვენ შევნიშნავთ რამდენსამე გრუპპებს, რომელნიც საზოგადოებაებს დააწესებენ. ეს საზოგადოებაები დამყარდებიან პირველად საშუალო-აზიის აღმოსავლეთით, ჩინეთში სამხრეთით, ბანგის მდინარის ბასსეინში, ტიგრისა და ეფრატის ნაპირებზე, აგრეთვე ნილოსის ნაყოფიერს მდინარეებში. იმ დროს, როდესაც ბაბილონი, ასურისტანი, ირანი, ინდოსტანი და ჩინეთი დაარსდნენ, ბრიტეს ზღვის ანუ მეწამულის ზღვის პირიდამ გამოვიდა სემიტური ნათესავი ანუ არაბული

ტომში, რომელმაც საშუალო-ქვეყნის ზღვის ნაპირ დასდო თავისი ბინადრობა, ააშენა ქალაქი. ეს ტომი იყო ფინიკიელები, ეს ქალაქი იყო სიდონი, რომელსაც პატრიარქი იაკობ 1900 წლის წინ ქრისტეს შობისა მოიხსენებს თავისის სიკვდილის დროს. ცხრა საუკუნის შემდეგ სიდონის მაგიერ აღეყვაედა ქალაქი ტირი, თვით სიდონის კოლონია". [1])

ფინიკიელებს ჩვენ იმისთვის მოვიხსენებთ, რომ ელლინების წინათ ამათ დიდი სარგებლობა უჩვენეს კაცობრიობას. იმათ შემოიღეს მინის ხმარება და პურპურით შეღება ქსოვილისა; ფინიკიელებმა მოიგონეს ანბანი, რომელიც შემდეგ გადასცეს სხვა სემიტის ტომებს და, როგორც რიტტერი ფიქრობს, თვით ელლინებს. ფინიკიელებმავე დასდვეს საფუძველი ლიტერატურისა. იმათ ჰქონდათ თავიანთი არხივები, ბიბლიოტეკები, სადაც ინახებოდა თხზულებაები სხვა და სხვა საგნებზე. ფინიკიურს ისტორიულს თხზულებაებს ჩვენამდე არ მოულწეია; მაგრამ იმათ მოიხსენებენ ძველი ელლინების მწერლები. ფინიკიელები იყვნენ პირველი ზღვით მავალი ხალხი: სხვათა შორის ისინი ცურაედნენ შავსა და ძასპიის ზღვებში, აღებ-მიცემობდნენ ამ ზღვების მხარეებში, მკირეაზიაში და დაიარებოდნენ ყირიმამდე და დონის მდინარის შესართავამდე. ფინიკიელებმა პირველად შეჰკრიბეს ცნობები პონტისა და ძავკაზიის მხარეებზე. იმათი კოლონიები იყო დაფანტული აქა—იქ, სხვა და სხვა მხარეებში, სადაც იმათ თავიანთი სწავლა—ხელოვნობა შეჰქონდათ. ფინიკიელები იყვნენ თვით ელლინების მასწავლებელნი.

---

1) Asie Mineure, II p. 15, 16.

ფინიკიელების თანა-მედროენი ეგვიპტელნი არიან. ისინი შეადგენენ სემიტურს შთამომავლობას. ეგვიპტელების ისტორია, იმათი სწავლა-ხელოვნება ჩვენ ვიცით მოსეს დაბადებით; ამისთვის ეგვიპტელებზე მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ მოსემ აქ მიიღო აღზდა, აქ მოიპოვა მეცნიერება. როგორათაც ფინიკიელებმა ზღვით მოიპოვეს ცოდნა სხვა და სხვა მხარეებზე, აგრეთვე ეგვიპტელებმა მოიპოვეს იგი ხმელეთით. ეგვიპტის მეფის სეზოსტრისის მოგზაურობას ხმელეთზე და მრავალის ადგილების დამონავებას ისტორია გვიამბობს დაწერილებით. ის ცხოვრობდა 1400 წლის წინ ქრისტეს შობისა. იმან დაიპყრა ორივე მხარე ეფრატისა, ვიდრე ქასპიის ზღვიდამ, ქაეკაზიიდამ და შავის ზღვიდამ ბრაბისტანამდე [1]). ჰეროდოტე ისტორიკმა გადმოგვცა ერთი მოთხრობა, რომელიც იმისთვის ეგვიპტის მღვდლებს ადგილობრივ ეამბნათ და რომელიც შემდეგ ამ წყაროდამ გავრცელდა: ეს ის მოთხრობაა, ვითომც იმას ფაზის ქვეყანაში თავისი მეომრების კოლონია დაესახლებინოს და ვითომც იმათნი შთამომავალნი იყვნენ კოლხიდელნი. ამის დასამტკიცებელად ჰეროდოტე უჩვენებს რამდენსამე საბუთს; მაგრამ რადგანაც ამ საგანზე ჩვენ თავისს ადგილზე გვექნება საუბარი, ამისთვის აქ იმას მოკლედ ვიხსენებთ [2]).

---

1) Исторія землевѣдѣнія Риттера, стр. 4—31. Asie Mineure, t. II p. 15-17.

2) Ethnogénie caucasienne par Moreau de Jonnès, 1861, p. 125—136, 137, 200—202.

II

მცირე-აზია.—რა მნიშვნელობა აქვს მცირე-აზიას ჩვენის ისტორიისთვის.—სულ ძველად რა და რა ტომები დასახლებულან მცირე-აზიაში.—მოკლე ცნობა ამ ტომებზე.—ჰეროდოტეს სიტყვით ჩვენი ბარე.—ქოლხიდელნი.

ჩვენ აქ საჭიროდ ერაცხთ მცირე-აზიას თვალი გადავაველოთ. მცირე-აზია, რომელსაც ახლა უწოდებენ ანატოლიას, Levant, არის ნახევარ-კუნძული და მდებარებებს თითქმის ჩვენ საზღვრად. სამის მხრით ის შემოზღუდულია: საშუალო-ქვეყნის ზღვით, არხიპელაგით, მარმარილოს ზღვით და შავის ზღვით. დანაშთენის მხრით იმას უძევს ხმელეთი: ნაწილი ხომხეთისა მფრატის სათავეებში, და ბორბოხის სათავე. ჩვენის ქვეყნის მხრით ჰეროდოტე მცირე-აზიის საზღვრად აჩვენებს ფაზის მდინარეს ანუ რიონს [1]), ასე რომ თითქმის ნახევარი ქართველი ტომი, ესე იგი ბანეთი, მესხეთი და ნაწილი იმერეთისა ჰეროდოტეს მცირე-აზიაში შემოაქვს.—მარტო ეს არ არის მიზეზი, რომ ჩვენ „საქართველოს“ მცირე-აზიით ვიწყობთ. ჩვენ ვნახავთ, რომ საქართველოს სვე, როგორათაც ძველად, აგრეთვე შემდეგ მცირე-აზიაზე ყოფილა დამოკიდებული. ბუნება მცირე-აზიისა და კავკაზიისა თითქმის ერთი და იგივეა. მავრის მთა და კავკაზის მთა არიან შეერთებულნი. მცირე-აზიაზე ჰქონია მსელელობა ზოგიერთს ნაწილს ძველის ტომებისას, არიელებს თუ სემიტებს, რომელთაც იქიდამ ჩვენი მხარე გაუვ-

1) Vivien de S-Martin, Asie Mineure, II p. 290.

ლიათ, ან ჩვენის მხრით მცირე-აზიაში მიუმართავთ. ისინი ჩვენ წინაპარებს რამდენიმე ხანი დაჰკავშირებიან; ზოგნი სულაც აქ დასახლებულან; ჩვენ სისხლს იმათი სისხლი მოჰმატებია, ჩვენს ენას იმათი სიტყვები შემოჰრეია. ამ უცხოტომებს მცირე-აზიაში და ჩვენ ქვეყანაში დაუტოვებიათ უპირველესის საბინაოდამ მოტანილი სახელები მთებისა, მდინარებისა, ადგილებისა და სხ.—მცირე-აზიას ჩვენზე ყოველთვის გავლენა ჰქონია. როდესაც ის მტერს დაუმონავებია, მაშინ ჩვენც იმის მონებაში ჩავცვივნილვართ. როდესაც ის კეთილ-დღეობაში ყოფილა, მაშინ ამ კეთილ-დღეობას ჩვენზედაც მოუფენია შუქი. მცირე-აზიაში ელლინებს ანუ ბერძნებს ძველს დროს თავიანთი კოლონიები დაუწესებიათ; ეს კოლონიები ჩვენ მხარეშიაც გავრცელებულა. იქ აღყვავებულა თავდა პირველად ბერძნული სწავლა და ხელოვნობა, რომელსაც ჩვენშიაც აღმოუჩენია თავისი ნაყოფი. მცირე-აზიის კოლონიელებს შეუკრებიათ ჩვენ მხარეზე ისტორიული, თუ გეოგრაფიული, თუ ეთნოგრაფიული ცნობები, რომლებიც გავრცელებულა შემდეგ საუკუნოებში.

ჩვენის შრომის დაწყებაში შემწედ გვყავს ფრანცუზის მწერალი პიეიანე-სენ-მარტენი. პიეიანე არის პარიჟის საგეოგრაფო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ნიჭიერი და დახელოვნებული მწერალი. იმისი L' Année géographique შეიცავს ახალ მეცნიერთ მოგზაურობის განხილვას და წარმოადგენს მთელის მსოფლიოს აღწერას, დიაღ სასარგებლოს და სასიამოვნოს საკითხავად. ის გამოდის ყოველ-წლივ. ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია პიეიანეს Histoire des Découvertes géographiques des nations européennes dans les

diverses parties du Monde.—Asie Mineure, ორი ტომი და Recherches sur les populations primitives et les plus anciennes traditions du Caucase. ორივე ეს თხზულება გამოგვეხატავს ერთად მცირე-აზიას და კავკაზიას. აქ შეკრებილია თითქმის ყოველივე, რაც უძველესის დროების მწერლებს დაუწერიათ მცირე-აზიაზე და ჩვენ მხარეზე, რაც რომ ფილოლოგიას გამოუკვლევია სხვა და სხვა ტომების შთამომაველობაზე, იმათ ურთიერთს დამოკიდებულებაზე, ცელილებაზე, ისტორიულ ცხოვრებაზე; რასაც ძველს გეოგრაფიებში სხვა და სხვა ადგილების აღწერას ეპოეულობთ და რაც მითოლოგიური თქმულება ელლინებისა და სხვა ტომებისა აქამომდე გადარჩენილა. რა საკვირველია, დიდის ნიჭით უნდა იყოს შემკული, დიდის მეცნიერებით უნდა იყოს განვითარებული ის მწერალი, რომელიც გაჰბედავს ისტორიის დასაწყისის გამოკვლევასა და იმისის ბნელის წყედიადის გარღვევასა. ძნელად მოსდება, ამ ასპარეზზე ნიჭიერებამ და ცოდნამ თავისი სისუტე არ აღმოაჩინოს, აქა-იქ უგზო-უკელო ადგილებში არ წაიბორძიკოს. მართალია, მიეიანე თავისს საქმეს სიფთხილით შეუდგა. რაც ამ საგანზე დაწერილია, სხვა და სხვა თხზულებაში დაფანტულია, იმას წაუკითხავს, შეუდარებია, აუწონია. ამას ცხადად ამტკიცებს თვით მიეიანეს შრომის ციტატები.—პირველ თავში ჩვენ კიდეც მოვიხსენეთ, რომ უპირველესი წელთა-მწერალი არის მოსე, რომელსაც თავისს „დაბადებაში“ შემოუტანია უძველესი თქმულება კაცობრიობაზე. საკვირველია, როგორ მოაღწია იმან აქამომდე. ჩვენ ვიცით, რომ ბერძნებზე უწინ ეგვიპტელებს და მეტადრე ფინიკიელებს უგროვებიათ სხვა

და სხვა გვარი ცნობა სხვა და სხვა ტომებზე, მაგრამ ისინი თითქმის მთლად დაკარგულან. მხოლოდ თვითო ოროლა ფაქტი შერჩენილა ბერძნების მწერლების მოთხრობაებში. „მცირე-აზიას, გვიამბობს მივიანე, გამოგვიხატავს უძველესი ელლინების გმირული თქმულება, რომელიც იმათთვის ზეპირსიტყვით გადმოუციათ იმათ წინაპარებს პელაზგებს. ამ თქმულებას ჯერ ელლინების სახალხო სიმღერა მოიხსენებს, მასუკან ბონიისა და საბერძნეთის პოეტები შემოჰკრებენ. იმან ჩვენამდე მოალწია გადასხვაებით, არვე-დარეკით. მაგრამ რაც უნდა სუსტი იყოს ის სხივი, რომელსაც ის ისტორიის წინა დროებაზე მოჰფენს, ის მაინც საკმაოდ გვიჩვენებს განელილის ეპოქების წყვდიადში შესანიშნაეს ისტორიულს და გეოგრაფიულს ფაქტებს. ამ გვარია, განაგრძობს მივიანე, ზღაპრის მსგავსი ლეგენდები ბელლეროფონზე, თეზეზე, ჰერკულესზე და არგონავტებზე. უძველესი იმათგანი ჩვენ მიგვიძღვის $2^1/_2$ საუკ. წინ ტროადის დარღვევისა. ლეგენდა არგონავტებისა და იმათის მოთავე—იასონისა გვიამბობს იმ ამბავს, რომელიც $1^1/_2$ საუკუნით ტროადის დარღვევის წინად მომხდარა. ხოლო ტროადის დარღვევას უჩვენებენ 1200 წლ. ქრისტეს შობამდე [1])".

ამ ლეგენდებიდამ სჩანს, რომ ელლინები ჯერ დაბლა ხარისხზე დგანან ყოვლის ფრით, ბევრით დაბლა, ვიდრე ფინიკიელები. აი რამდენიმე ამისი დასამტკიცებელი ფაქტი. ქვეყანა, ელლინების აზრში, მრგვალი და პტყელია; ნაპირები იმას აწეული აქვს, ასე რომ ჩრდილო ნაპირი სამხრეთზე მაღალია. ეველა მხრით იმას ეველის ჩქარი მდინარე, სახელად

1) Asie Mineure, II, 203,204.

ოკეანი, რომელშიაც აქეთ სათავე ყველა წყაროებს, მდინარეებს და საშუალო ზღვებს. იმის ნაპირებზე დაბჯენილია სამყარო, რომელსაც შეადგენენ მეტალლი, ჭიქა და ადამანტი. სვეტებად იმას აქვს მთის ქედები, დასავლეთით-ატლასი, ალმოსავლეთით ძაკაზია. მთელი ქვეყანა იყოფა ორად: ერთია-ნაწილი დღისა, მეორე-ნაწილი ღამისა. მზის ღმერთი ჰელიოზი დღითი-დღე ამობრწყინდება მზის ტბიდამ. რომელიც შაზის ალმოსავლეთით ძევს და რომლის ნაპირებზედაც მდებარებს ქოლხიდა. დღისით ჰელიოზი სამყაროზე მოგზაურობს, ოთხის ცხენით შებმულის ეტლით და ჰისპერიის იქით ოკეანის ზვირთებში ჩადის; ღამე კი დაჯადოსნილის ნავით ჩრდილოეთის მხარეებში დაიარება [1]).

ელლადაში ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ცა, ღმერთების სამყოფი, ძევს ლაჟვარდოვანს სამყაროს ზემოდ. ჯოჯოხეთზე ზოგნი ჰგონებდნენ, რომ ის არის მიწის ღრმა ჯურღმულში, რომელსაც თავისი საკალები აქვს; ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ის იყოფა ორად: ტარტარად მარცხნივ, ელიზუმად მარჯვნივ და მდებარებს ერთ გვარს სილრმეზე დედა-მიწის პირის ყველა ნაწილებისთვის. ჩასავალი აქვს, როგორათაც დასავლეთს, სადაც მზე და ვარსკვლავები ჩადიან, აგრეთვე სხვა ადგილებში [2]).

ერთის სიტყვით, ელლინები ჯერ ნამდვილი ბარბაროსები არიან. ავაზაკობა, კაცის ტაცება, ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, კაცის მჭამლობა; მრავალ ცოლ-ქრმობა, დის შერ-

---

[1]) Asie Mineure. II p. 18, 19. Исторія землевѣд. стр. 36,39. Исторія умств. разв. Европы Дрепера, 1865. I, стр. 93.

[2]) Исторія умст. разв. Европы. I, 31,33.

თეა ცოლად, სისხლის ზღვევა, აი რა თვისებას უჩვენებენ იმათში იმათივე ლეგენდები. Ივით ელლინების გეოგრაფია სავსეა ზღაპრულის თვისებით. ჩრდილოეთით მდებარებს მტილი ჰესპერიდისა, რომელიც ოქროს ვაშლებს ისხამს; აღმოსავლეთით არის მტილები და მზის დროს გასატარებელი საძოვრები, სამხრეთით-უმანკო ეფიოპების ქვეყანა, რომელსაც ღმერთნი ხშირად ესტუმრებიან. საშუალო-ქვეყნის ზღვაზე სირენები თავისის სიმღერით შეაცდენენ მგზავრებს. სიცილიაში ცხოვრობენ ერთ-თვალიანი ციკლოპები და კაცისმჭამელი ლესტრიგონები [1]). სივრცე ქვეყნისა ელლინების წარმოდგენით დიდი არა არის რა. იმათ იციან მხოლოდ ახლო-მახლო ადგილები; შორეულ მხარეებზე არეული წარმოდგენა აქვთ. უკიდურესს ადგილებს შეადგენენ—ჩრდილოეთით ჰიპერბორეების ქვეყანა, სამხრეთით ეფიოპია, დასავლეთით ჰერკულესის სვეტები. ამ საზღვრებს იქით თვით ჰომერმაც არა იცის რა. შუა ადგილი ქვეყნისა ელლადაა. მცირე-აზიაში ჰომერმა იცის ზღვის პირები ჰელესპონტიდამ როდოსამდე. ჰელლესპონტს იქით რამდენადაც ის დაჰშორდება ზღვის პირს, იმდენად იმისი ცნობა სუსტდება [2]). �ფეის არგონავტიკა, ანუ არგონავტების მოგზაურობა ქოლხიდაში იასონის ბძანებლობას ქვეშ ოქროს რუნის საძებნელად გვიამბობს, რომ „პონტის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ ამაზონები (მეომარი დედაკაცები). იმათ მახლობლად ბინადრობდენ ხალუბები, თიბარენები და სხვა ტომები, რომელნიც ერთად შეადგენდნენ მასუნის სამფლობელოს. ქავ-

[1]) Исторія землевѣд. стр. 40 Asie Mineure, II p. 20,242.
[2]) Исторія землевѣд. стр. 40 Asie Mineure, II p. 20,242.

. კაზს Ოლრფეი უწოდებს „ბძელ-ქედად“. იმას აქვს ვრცელი დალმართები, მშვენიერის ღელეებით შემკული და მიწაში ღრმად ჩაწოლილი დიდი ყურე. აქ ხუმესის მთის დალმართებიც შემოსილია უცხოს მწვანით. აქ მომდინარებს მსწრაფელი Ალაქსი. Ალაქსიდამ გამომდინარებენ Ოერმიდორი, Ფაზი, Ოანაისი და იმის ნაპირებზე ცხოვრობენ კეთილშობილნი ტომნი—კოლხები, ჰენიოხები და ალაქსიონები. ბანათლებით ყველა ტომებზე მაღლა დგანან პელაზგები და მდიდარი სამფლობელო ჰაეტისა (ქოლხიდა [1])“.

Აზია, რომელიც ახლა მომატებულს ნაწილს ძველისქვეყნისას ჰქვიან, გავრცელდა მცირე-Აზიიდამ. ძველად ეს მხარე იყოფოდა Ოავრს-აქეთ Აზიად და Ოავრს-იქით Აზიად. Ოავრი, როგორათაც პირველს თავში მოვიხსენეთ, არის შესანიშნავი და დიდი მთა, რომელიც მთელს მცირე-Აზიას გაჰყოფს ორად, სადაც აქვთ სათავე სხვათა შორის ჰალისს, ახლანდელს Ყიზილ-ერმაქს, ეფრატს და ჭოროხს. Ოავრი მესხეთის მთების შუამავლობით უერთდება ალკაზს. Ოავრი მთელს თავისს სიგძეზე მოფენილია, როგორათაც უმეტესი ნაწილი მცირე-Აზიისა, ოლკანებით, რომელნიც ცხადად ამტკიცებენ, რომ ის ცეცხლის მოქმედებას ამოუხეთქია დედა-მიწის გულიდამ და ამ შემთხვევას დაუბადებია ელლინების გამოხატულობაში სხვა და სხვა ზღაპრები ტიფონებზე, ჯოჯოხეთზე... [2]) Აზია არის დიად ძველი სიტყვა. ელლინების მითოლოგია ამ სიტყვას არქმევს მეუღლეს პრომეთეო-

---

[1]) Asie Mineure, II, 165, 218, 221.

[2]) Asie Mineure, II p. 157, 208, 253.

სიასას, რომელიც იყო შვილი Iაფეტისა და მამა Dეეკალიონისა, წარღენა რომ დაჰბადა Iლლადაში, რომელმაც შეჰქმნა ადამიანი თიხისაგან და ჩაჰბერა იმას ზეციდამ ჩამოტაცებული ცეცხლი და რომელიც ამისთვის დაჰსაჯა Iუპიტერმა ასე, რომ ქაეკაზიის მთაზე მიჰლურსმა... საიდამ უნდა იყოს წარმომდგარი აზია? ამ სიტყვას ამისთვის მივაქცევთ განსაკუთრებით ყურადღებას, რომ ის ნათლად გვიმტკიცებს, რაც უნდა ძველი იყოს სიტყვა, რომელსაც ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს, ის არას დროს არ ივიწყება. „ჩინელების ლიტერატურა გვიმოწმებს, ამბობს Iვიანე სენ-მარტენი, რომ საშუალო-აზიაში ცხოვრობდნენ აზები, რომელნიც სხვა და სხვა დროს დასავლეთისკენ გაემგზავრნენ; ისინი ეკუთვნოდნენ იმ ნათესავს, რომელსაც ფესვი ჰქონდა ბიმალაისთან და შტოები გავრცელებული Iეროპის დასავლეთამდე. Iლლინებმა ეს სახელი თავდა პირველად არ იცოდნენ. აზებს ისინი უწოდდენ სკვითებად, რომელთაც ქაეკაზიის მხარეში უჩვენებდნენ. მართლაც ჩვენ ვიცით, რომ უძველესს დროებში აზები ანუ სკვითები ქაეკაზიის მხარეში დასახლდნენ და აქედამ აოხრებდნენ გარეშე-ქვეყნებს, სახლდებოდნენ კოლონიებით Iფრატის ნაყოფიერს მინდვრებში, Iცირე-აზიის ნაპირებში და Iგეის (Iარხიპელაგის) ზღვის გარეშემო“. [1])

Iვიანე სენ-მარტენი თავისს თხზულებაში დაწვრილებით უჩვენებს ძველ-ტომებს, რომელნიც Iცირე-აზიაში დასახლებულან, Iს ნაწილი ამ თხზულებისა განსაკუთრებით შესანიშნავია. რადგანაც Iცირე-აზია შეადგენს, ამბობს ჩვენი

---

[1]) Asie Mineure, II p. 158—164.

მწერლი, საშუალო ადგილს აზიისას და ევროპისას, ამისთვის მცირე-აზიაზე ჰქონიათ მსელელობა ზოგიერთს ძველს ტომებს. ზოგიერთს იმათაგანს აქ თავისი კვალი დაუტოვებია; ზოგნი აქ დამკვიდრებულან. სხვა და სხვა ისტორიულს გარემოებას, ერთის ტომის დასხმას მეორეზე, ერთის მეორესთან შერევას ამოუფხერია, შეუცველია პირველი ტიპი ტომთა და ნათესავთა. შენიშნულია სტრაბონისაგან, რომელიც ცხოვრობდა პირველ საუკუნეში ქრისტეს შობის წინ, რომ თვით იმის დროს აქ ზოგიერთს ტომს დაკარგული ჰქონია თავისი ენა და თვით სახელი. და თუმცა ეს ასეა, მაგრამ იმ ტომების პოვნა უიმედო არ არის. ამ საგანზე ისტორია შემწეობას არ გვაძლევს. ისტორია ან სულ არას გვიამბობს, ან წინააღმდეგს და ზღაპრულს საქმეებს მოგვითხრობს. ჩვენ უნდა დავემყარნეთ ზეპირ-სიტყვითს ნაამბობს, პოეტების ნათქვამს, ენების ჩვენებას, ერთის ფაქტის შედარებას მეორესთან. ამ სახიდ შეიძლება ძველი დროები გავიაროთ, იმისი ბნელი წყვდიადი გავარღვიოთ, თუმცა მართალია, ბევრი რამ დაგვრჩება გამოუკვლეველი".—ეს ფაქტები გვიჩვენებს, რომ მცირე-აზიაში ძველად დამყარებულა ორის შთამომავლობის ნათესავი. ერთს შეადგენს ინდო-ევროპიული გრუპპა, მეორეს—სემიტური ანუ არამიელი გრუპპა. [1]) პირველნი არიან: პელაზგები, ტროადელები, ფრიგიელები და სხ. მეორენი არიან: კაპპადოკიელები, კილიკიელები, კარიელები და სხ. ინდო-ევროპიულს ნათესავს დაუჭერია ალმოსავლეთი და სამხრეთი; არამიელებს—ჩრდილო-დასავლეთი. პირველნი

[1]) Asie Mineure, II p. 164,199,200.

მოსულან პონტის ზღვის ჩრდილოეთით. ეს მხარე ყოფილა საერთო გზა მთელის ინდო-ევროპიელის ნათესაევისა, რომელიც ძველად სხვა და სხვა დროს საშუალო-აზიით შრალზე გადმოსულა. ამ გზაზე იმათ შეჰხვედრიათ მთა-ადგილები და ღრმა ღელეები, რომელთაც ფრაკია დაჰრქმეოია. ფრაკია მდებარებდა ქვემო-დუნაისა, პონტისა, ადრიატიკისა და მგეის ზღვებს შორის. ფრაკია იყო ისეთი ადგილი, სადაც თვითოეული ინდო-ევროპიული ტომი ხანობით ბინადრობდა. ამისთვისაც ისინი ყველანი ფრაკიელებად იწოდებიან. ფრაკიიდამ ისინი სხვა და სხვა მხარეს მიემართებოდნენ: ზოგნი დასავლეთისკენ და ჩრდილო-დასავლეთისკენ მშვენიერს მგეის კიდეებში და ნაპირ-ნაპირ ელლადისა, ზემო-დუნაის ბასსეინში და სხვა-და-სხვა ევროპის მხარეებში; ზოგნი სამხრეთ-აღმოსავლეთით პროპონტიდისკენ და მცირე-აზიისკენ. ამას გარდა ინდო-ევროპიელებს სხვა გზაც ჰქონიათ, ესე იგი: სამხრეთი ალპიისა, მაზანდარანზე, ეფრატის ბასსეინისკენ [1].— არამიელები მოსულან ორის გზით—ზღვით და ხმელეთით. [2] ის დრო, როდესაც მომატებული ნაწილი ორისავე ნათესაევისა მოგროვილა აქ, არა თუ ისტორიას, თვით მითოლოგიასაც არ ახსოვს. მხოლოდ მცირე ნაწილი შემოსულა ტროადის დარღვევის შემდეგ.

აქ უნდა მოვიხსენოთ ზოგიერთი ტომი მცირე-აზიისა. იმათში მიზიელები და ლიზიელები ცხოვრობდნენ ერთი მეორის მეზობლად ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში. იმათ

---

[1]) Asie Mineure, II p. 166, 197, 198, 229, 230, 299, Recherches... p. 29.

[2]) Asie Mineure, II, 194.

სამის მხრით შემოზღუდაედა პროპონტიდი ანუ მარმარილოს ზღვა, ჰელლესპონტი და ეგეის ზღვა. სტრაბონი ორივე ამ ტომს ფრიგიელებად უწოდებს. ჩვეულებისამებრ სხვა და სხვა ფრიგიელების ტომთა იმათ ჰქონდათ საერთო ტაძარი. აქვე ერთს ადგილს პირველად დაერქო აზია, რომელიც აქედამ ჯერ მცირე-აზიაზე გაერცელდა, მასუკან მთელს აზიაზე [1]. პროპონტიდისა და პონტის ჩრდილოეთით მივიანე უჩვენებს სხვა ფრიგიელს ტომს-ბითინელებს, რომელნიც ზღვის პირად დიდს სამფლობელოს შეადგენდნენ. ძველი თქმულებაა, ვითომც იმათი გადმოსახლება ბოსფორის იქიდამ მცირე-აზიაში მომხდარიყო შემდეგ ტროადის დარღვევისა. ჰომერის დროს იმათი ადგილი ჯერ მიზიელებს და ფრიგიელებს ეპყრათ. მეით ფრიგიელები ბითინელების შტო იყვნენ. ჰეროდოტეს სიტყვებით ვიდრე ფრიგიელები ევროპაში მკვიდრობდნენ, ისინი ბრიგებად იწოდებოდნენ; როდესაც მცირე-აზიაში გადმოსახლდნენ, მაშინ ფრიგიელებად სახელ-იწოდნენ. ეგვიპტელების აზრით ფრიგიელები შეადგენდნენ ყველა ტომებზე უძველესს ტომს. არც ერთი ტომი არ იყო ისე გავრცელებული მცირე-აზიაში, როგორც ფრიგიელები. ისინი იყვნენ გაბნეულნი შუა-ადგილებში, ჰალისის მდინარემდე და შემძლე სამფლობელოს შეადგენდნენ. ფრიგიელების ენა ამტკიცებს იმათ ინდო-ევროპიულა შთამომავლობას: იმათი სიტყვები, იმათი გრამმატიკული ფორმები იპოვება ბერძნულში, ძველ-ლათინურში, ტევტონურში, სომხურში. ივათ მცირე-აზიაში აღმოაჩინეს წარ მატება განათლებისა, რომე-

[1] Asie Mineure, II, 166, 167.

ლიც მიილეს სემიტელებისაგან, კაპადოკელ-სირიელებისაგან და შემდეგ გადასცეს თავიანთ მონათესავე-ელლინებს. ფრიგიელებისავე შტო იყვნენ სომხები. ამათ ინდო-ევროპიულს მოდგმაში სენ-მარტენს ეჭვი არა აქეს. სხვათა შორის იმას საბუთად მოჰყავს სიტყვები ჰეროდოტესი, რომელიც ამბობს, რომ სპარსეთის სპაში სომხები ფრიგიულად იყვნენო ჩაცმულნი და იმათ კოლონიას შეადგენდნენო. სომხები სულ-ძველად ასკანელებად თურმე იწოდებოდნენ. ეს სახელი როგორათაც ფრიგიელებში იყო გავრცელებული, აგრეთვე იყო ხმარებაში ბერმანიის ტომებში. ბითინიაში ასკანა ერქვა ქალაქს, თემს, ტბას და მდინარეს. მეორე სომხური ენის სიტყვები და გრამმატიკის აგებულება, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, ფრიგიულია.

ეველა ტომებში შესანიშნავნი იყვნენ პელაზგები. მართალია იმათი სახელი ძველადვე ამოიფხვრა, მაგრამ იმათი თქმულება და მითოლოგია იმათ შთამომავლებში-ელლინებში დარჩა. ამ თქმულებაში ზოგიერთი თვით ჩვენ ქართველების შთამომავლობას შეეხება. როდესაც პელაზგებს საშუალო-აზიით ურალი გადმოუვლიათ, მაშინ იმათ პირველი ბინადრობა დაუდვიათ კავკაზიის ჩრდილოეთით. აქ ისინი წოდებულან აზიებად; ეს ამას წინათაც მოვიხსენეთ. პელაზგების მითოლოგია იმათ საერთო წინაპარად უჩვენებს იაფეტს, რომელიც კავკაზიაში ცხოვრობდა. იაფეტისა და აზიის შვილი პრომეთეი კავკაზიის ქედზე თურმე იყო მილურსმული. აქვე ცხოვრობდა პრომეთეის შვილი და ელლენის მამა დეეკალიონი. მიდრე პელაზგები ელლადაში მიგროვდებოდნენ იმათი მოგზაურობა პონტის ჩრდილოეთით ყოფილა.

მცირე-აზიაში პელაზგებს დაუჭერიათ სხვა და სხვა ადგილები დასავლეთის მხრივ [1]).

პელაზგების გარდამოცემაე1 გამოგვიხატავს ყოფა-ცხოვრებას და საქმეებს ძველის გმირებისას, ესე იგი, ბელლეროფონისას, თეზეისას, ჰერკულესისას და არგონავტებისას. ამ მითში განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ამაზონებს. ამაზონებს წარმოგვიდგენენ მეომარ დედა-კაცებად, რომელნიც მკვიდრობდნენ თერმიდონის ბასსეინში. იმათ ჰქონდათ სამი ქალაქი: თემის-ყური, ლაკასტია და ხადეია. იმათვე თურმე დაუფუძნებიათ ეფესი თავისის ტაძრით, ქუმესი და სმირნა. აი მითის ნაშმბი ამაზონებზე. ის ამ სახით წარმოგვიდგენს ინდო-ევროპიულს ტომს-სკვითებს, რომელთაც ძაკაზია გადმოუვლიათ და მცირე-აზიაში დასახლებულან შაზიდამ მოყოლებული ჰალესის მდინარემდე. იმათ ჩვეულებად ჰქონიათ, რომ დედა-კაცები თავისს ქრმებს ბრძოლაში და ნადირობაში არა ჰშორდებოდნენ, ცხენოსნობაში და შვილდ-ისრის ხმარებაში კარგად დახელოვნებულნი იყვნენ. აქედამ წარმოსდგა თქმულება ამაზონებზე [2]).

იმ სიერცეზე, რომელიც ამაზონებს ანუ სკვითებს ეჭირათ, იგივე მითი უჩვენებს ქართველ ტომს, რომელსაც უწოდებს ტიბარენებად, მოსუნეხებად, მაკრონებად. პელაზგების ტიბარენები, მოსესა და წინასწარ-მეტყველების გამოხატულობით, არიან ტუბალები, მოსუნეხები—მოსხები ანუ მესხები [3]). მაკრონები არიან ჭანები [4]). ჩვენ შემდეგაც გვე-

[1]) Asie Mineure, II p. 169—197.
[2]) Ibid. 205 n. 2, 206, 211, 221, 240, 251.
[3]) Rech. sur les popoul. du Caucase p. 84.
[4]) Asie Mineure, II p. 388.

ქნება ამ საგანზე საუბარი; ამისთვის აქ არ ეაერცელებთ სიტყვას. საჭიროდ ეხადით მხოლოდ დაურთოთ, რომ, ძველის ელლინების მწერლების აზრით, ჩვენი ტომი სკვითის მოდგმის ტომია, ესე იგი ინდო-ევროპიულის შთამომავლობისა. სკვითებათვე იხსენებიან ალაზიონელები, რომელნიც ბინადროობდნენ ალაზნის მდინარეზე, ახლანდელს ქახეთში [1].

სემიტები ანუ არამიელები მცირე-აზიაში თუმცა ადგილადგილ ერთმანეთში არეულები იყვნენ, მაგრამ საზოგადოდ ცალკე ცხოვრობდნენ. იმათი სახელი არამი, არამიელი წარმოსდგა ებრაულის არა-მიდ მ, რომელიც ჰნიშნავს მთას, მთიანს ადგილს. ეს სახელი ძველს დროებში მისთვისეს მცირე-აზიის აღმოსავლეთს ნაწილს და საშუალო-ქვეყნის ზღვის მოსაზღვრე თემებს ეფრატამდე და ტიგრამდე. არამიას საზღვრად ჰქონდა მაერის მთა. არამიიდამ წარმოსდგა თვით სომხების წოდება არმენი, არმენია, რადგანაც ესენი არამიელების მოსაზღვრენი იყვნენ.—არამიელებში შესანიშნავნი არიან: კაპპადოკიელები, რომელნიც მკვიდრობდნენ ზღვის პირად, მთიანს ადგილებში, ეფრატსა და ტიგრს შუა. ქრისტეს შობის წინ მერვე საუკ. ასსირიელებმა დაამყარეს თავისი უფლება და თვით სახელი კაპპადოკიელებში, რომელნიც იმათნი მონათესავენი იყვნენ. ალესქანდრე მაკედონელის შემდეგ ბერძნულმა ენამ განდევნა კაპპადოკიიდამ სირიული ენა. შემდეგ სპარსები უწოდებდნენ ამ ადგილს კაპპადოკიად, ბერძენნი სირიად, რომაელები კი კაპპადოკიის ზღვის პირის მხარეს პონტის კაპპადოკიად. მეორე სახელოვანი ტომი იყო

---

[1]) Asie Mineure, II p. 206, 240, 250.

კილიკიელები, რომელთაც ქაპპადოკიის მხრით ჰ'ასზღერავდა Ѳავრი. ქილიკიელები, კაპპადოკიელები და სამხრეთ—სირიელები ერთს ენას ხმაროობდნენ. მიდიელებისა და ასსირიელების ბძანებლობას ქვეშ ორივე ეს ტომი ერთ თემად იყო შაერთებული. ახლა ქილიკიაში არსობს სომხური ენა, რომელიც აქ ქრისტეს შობის შემდეგ მეთერთმეტე საუკ. გავრცელდა.—მესამე არამიელი ტომი, ლირსი ყურადღებისა, იყო კარიელები. ესენი ბინადროობდნენ მცირე-აზიის სამხრეთით. ქარია ძველად იწოდებოდა ფინიკიად. ეს სახელი დარჩა შემდეგაც: რომაელების დროს როდოსის კუნძულის მახლობლად ერთს ადგილს ერქვა ფენიკე. ѳვით ნაწილი კარიელებისა ფინიკიურს ენას ხმაროობდა. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ მცირე-აზიაში ფინიკიელებმა თავისი კვალი სხვა და სხვა ადგილში დასტოვეს: ნაწილი ლიზაისა იწოდებოდა ფინიკიად. როდოსი და სხვა საშუალო-ქვეყნის ზღვის კუნძულები იმათგან იყო კოლონიებად დაფუძნებული. ჩვენ კიდეც მოვიხსენეთ, რომ პირველი ცნობები იმ ადგილებზე, სადაც ფინიკიელებს მსველელობა და აღებ-მიცემობა ჰქონიათ, იმათგან არის შეკრებილი. ისიცა ვთქვით, რომ ბერძნები დიდად არიან არამიელებისაგან დავალებულნი, რადგანაც ბერძნებს იმათგან მიუღიათ თავდა პირველად სწავლა—ხელოვნობა. ამაზე სიტყვას ალარ ვაერცელებთ [1]).

ამითი ვათავებთ მცირე-აზიის ძველის ტომების მიმოხილვას. ახლა ჩვენ პატარა ხნით ევროპაში უნდა გადავიდეთ და იქიდამ ელლინების უკანასკნელს კოლონიებს გად-

---

[1]) Asie Mineure, II p. 182 197.

მოეყვეთ ისევ მცირე-აზიაში. რაც რომ აქამომდე ჩვენ გამოვხატეთ, ის ისტორიის დროებზე შორს არის; რა არის მართალი ამ გამოხატულობაში, რა არ არის მართალი, ამას დაჭეშმარიტებით ვერ ვიტყვით. ბევრში ეჭვი გვაქვს. ვნახოთ კიდევაც რას იტყვის მომავალი დრო და ახალი გამოკვლევა. ის დრო კი, რომელსაც ახლა შეუდგებით, ისტორიას ახსოვს, და თუმცა: დაწერილებით არ არის გამოკვლეული, მაგრამ რაც აღწერილია, ყურადღებით არის აღწერილი და გადმოცემული.... ტროადის დარღვევამ დიდად შესცვალა ელლინების სვე. ამ გარემოებას დაერთო ევროპის საბერძნეთში შინაური განხეთქილება, ურთიერთი ბრძოლა, გადასახლება. პელაზგების ტომთ, რომელნიც სახლობდნენ მთა-ადგილებში, იქ, სადაც შემდეგ იყო მაკედონია, დასტოვეს თავისი �i ადგილები, მიილტვნენ სამხრეთისკენ და მიაწვნენ პელოპონნეზის ელლინებს, ასე რომ ესენი იძულებულნი იყვნენ თავისის მხარიდამ გასულიყვნენ. ზოგი იმათაგანი სიცილიაში და იტალიაში გაემგზავრა, მომატებულმა ნაწილმა ეგეის ზღვით მიჰმართა მშვენიერს ქვეყნებს მცირე-აზიისას, რომლის გზაც იმათ ისწავლეს ტროადის ბრძოლის დროს. ეს გადმოსახლებული ელლინები შეადგენდნენ სამს შტოს: ეოლიანელებს, იონელებს და დორიელებს. პირველად მოვიდნენ ეოლიანელები; მასუკან—ორმოცის წლის შემდეგ—იონელები, ბოლოს დროს, სამის თაობის გასულს, დორიელები. მცირე-აზიის დასავლეთი მხარე დასახლდა ელლადიდამ გაბოსულის კოლონიებით, რომელთაც შეადგინეს სამ-გვარი კავშირი. პირველი დაფუძნდა ჩრდილოეთით, მეორე-სამხრეთით, მესამე-შუა-გულში. იმათ დაიცვეს თავისი სამშობლო

ენა, თუმცა ეს ენა დროს განმავლობაში ადგილ-ადგილ განსხვავდა და დაჰშორდა დედა-ენას. იმათ დაიმარხეს აგრეთვე მამა-პაპური ყოფა-ცხოვრება და ზნეობა. იმათ დაწესეს აქ ქალაქები. თვითოეულმა ქალაქმა გაიჩინა საკუთარი განმგეობა, საკუთარი სჯული. ზოგს ჰმართავდნენ მეფენი, ზოგს თვით საზოგადოებისაგან ამორჩეულნი პირნი. ამასთანავე საერთო კავშირს ელლინები მჭიდროდ იცავდნენ. იმათ ჰქონდათ საზოგადო ტაძრები, სადაც დადებულს დროს ბერძნები იკრიფებოდნენ; იცოდნენ საერთო დღეობაები, სათამაშო წეს-დებულება. აქ დასდო პირველად საფუძველი ელლინურმა განათლებამ. მცირე-აზიის ელლინები ჰფლობდნენ მდიდრად შემკულს, ნაყოფიერს ბუნებას. იმათ წინ ედვათ ზღვა, გაბმული ურიცხვის კუნძულებით; უკან იმათ მეზობლად ცხოვრობდნენ მდიდარნი და მჭიდროდ დასახლებულნი აზიის ტომნი. როგორათაც იონიელები, აგრეთვე სხვა ბერძნები ადრე შეუდგნენ აღებ-მიცემობას ხმელეთით და ზღვით. უმთავრესი იმათი ქალაქები განითქვა შემძლეობით და სიმდიდრით. ქეთილ-დღეობამ და სიმდიდრემ ხალხი გაამრავლა და გააერცელა. მთელი შავი-ზღვის პირი და უმეტესი ნაწილი საშუალო-ქვეყნის ზღვის კიდე ბერძნების კოლონიებით მოიფინა. იმათ შორის ყველაზე მეტად აღუვაედნენ შოკეა და მილეტი [1].

ჩვენის მხრით განსაკუთრებით ღირსია შენიშვნისა მილეტი. მილეტი მდებარებდა ქარიის დასავლეთად, ლათმიკის ნავთ-სადგმელის მახლობლად. ის იყო იონიელების ფედერა-

ციაში ანუ კაეშირში პირველი. მილეტმა გაიჩინა 60—100 სამხედრო გემი. ხელოსნობაში და ცხვრის ფარების გამრავლებაში ის დიდად დახელოვნდა. თავისი მშვენიერი ხალიჩები და ქსოვილები მთელს მაშინელს ხმელეთზე გაავრცელა. მილეტი აღებ-მიცემობდა ერთის მხრით აზიის შუა-გულამდე, მეორეს მხრით ბიბრალტარის ბოღაზამდე. უმთავრესი ასპარეზი იმისის ვაჭრობისა იყო შავი-ზღვის პირი, სადაც მილეტის ვაჭრები თავისს ხელ-საქმეს ჰსცელიდნენ ტყავებზე, მატყლზე და მონებზე. ამისთვისაც აქ იყო უმეტესად გაბნეული კოლონიები, რომლებიც მე VI—VII საუკ. ქრისტეს შობის წინ დააფუძნეს იმ ადგილებში, სადაც წინად აღებ-მიცემობდნენ ფინიკიელები. ამ კოლონიებში შესანიშნავნი არიან: ჰერაკლეა, სინოპი, ამისი, ქერასუნი, ტრაპიზონი, ფაზისი ანუ ფოტი, დიოსკურია ანუ ისკურია ქოლხიდაში, ოდესსი, ოლვია, პანტიკაპეა, ფანაგორია და თანაისი. მილეტშიეე დასდო თავდა-პირველად ბერძნების განათლებამ თავისი საფუძველი. მილეტელები იყვნენ: ფილოსოფოსები—თალესი, ანაქსიმანდრე და ანაქსიმენი, ისტორიკები—ჰეკატე და ქადმი, ორატორები—მსხინი, ასპაზი, არისტიდი. მილეტის მახლობლად იყო აშენებული ძველი ტაძარი დიდიმეის აპოლონისა, რომელსაც ჰყვანდა თავისი წინასწარ-მეტყველები და რომელიც დიდად პატივცემული იყო ბერძნებისაგან [1]).

ამ დროდამ მცირე-აზიაში მითოლოგია და ზღაპარ-სი-

---

[1]) Исторія землевѣдѣнія Раттера стр. 25. Voyage autour du Caucase Dubois de Montpéreux. I, 56 – 57. Всемірная исторія Шлоссера I, 228 – 235. Asie Mi-

ტყეობა ჰკარგვენ თავისს თვისებას: სამეცნიერო საგნების გამოკვლევა, გეოგრაფიული და ისტორიული ცნობა ერცელდება. იკრიბება ძველი თქმულება და ცნობა სხვა და სხვა ქვეყნებზე, სხვა და სხვა ტომზე. განსაკუთრებითი ყურადღება მცირე-აზიაზეა მიქცეული. [1]) შალესი, რომელიც 500 წლით ქრისტეს შობის წინ ცხოვრობდა, ასტრონომიას აფუძნებს, დედა-მიწის თვისებას იკვლევს. იმისი მოწაფე, ანაქსიმანდრი გეოგრაფიულს ქარტას ჰხატავს [2]). შალესის თანა-მედროე ჰეკატე ადგენს კაცობრიობის გენეალოგიას (შთამომაველობას) და გეოგრაფიულს ქვეყნის აღწერას. სკილლაქსი გამოგვიწერს საშუალო-ქვეყნის ზღვის მხარეებს, პროპონტიდს, პონტს-ევქსინისას (შავს ზღვას) და Palus Méotide-ს ანუ აზოვის ზღვას, და ჰერკულესის სვეტებს იქით მდებარე ადგილებს. [3]) უმთავრესი მცირე-აზიის წარმომადგენელი არის ჰეროდოტე, რომელიც 484 წ. ქრისტეს შობის წინ ჰელიკარნასში იშვა და რომელმაც სიყმაწვილითვე თავისი თავი მეცნიერებას შესწირა. ჰეროდოტემ შეადგინა ცხრა ისტორიული წიგნი, რომლისთვისაც იმას ისტორიის მამა დაერქვა და რომელიც ალტაცებით მიიღო მთელმა საბერძნეთმა. ათინამ დაჰსაჩუქრა ის ათის ტალანტით (ათას სამასის მანეთით). ჰეროდოტეს საგნად აქვს სპარსეთის ბრძოლა საბერძნეთთან, მაგრამ თავისის თხზულების შესავალში ის გამოგვიხატავს თვით ცხოვრებას სპარსეთისას, მიდიისას, ეგვიპტისას და სხვა ტომებისას. ჰეროდოტე არის უკეთესი და

---

[1]) Asie Mineure, II, 773.
[2]) Исторія землевѣд. стр. 44.
[3]) Asie Mineure, II p. 274—277.

მართლ-მოუბარი ასე, რომ აქამომდე ის მაგალითად გეყავს. ბასაკვირველიც არ არის, რომ ის ასე განვითარებულია: იმან ზედ-მიწევნით იცის თავისი სამშობლო მცირე-აზია. იმას საფუძვლიანად გამოუკვლევია სპარსეთი და იმისი ყოფა-ცხოერება თვით სპარსეთის მეცნიერების შემწეობით; ბაბილონის ტაძრების არხივები კარგად გაუშინჯავს. იმას მიმოუველია შავი-ზღვის მხარეები ხერსონესამდე (ახლანდელი ყირიმი)და ქიმმერიის ბოსფორამდე, რომელიც აზოვის ზღვის შესავალს შეადგენს; მიმოუხილავს ბიზანტია და უპირველესი აღებმიმცემი ქალაქები, რომელნიც შავ-ზღვაზე მდებარებენ — სინოპი, ფაზისი და სხ. პონტის მხარეში იმას შემოუკრებია გეოგრაფიული ცნობა აღმოსავლეთის ევროპის დიდრონს მდინარებზე—დუნაიაზე, დნესტრზე, დნეპრზე, დონზე, იქნება ვოლგაზედაც და შორეულს მხარეებზე, რომლებზედაც ჰეროდოტეს დრომდე ბერძნებმა სულ არა იცოდნენ რა. ჰეროდოტეს თხზულება ნათლად გვიჩვენებს, რომ იმისიის დროს მცირე-აზია წარმატებაში ყოფილა. აღარა ვხედავთ იმ ყმაწვილურს უმეცრებას, რომელიც ჰომერის დროს და შემდეგ მოვიხსენეთ; დედა-მიწას, იმათ აზრში, აღარა აქვს ბტყელი ფორმა, რომელსაც სვეტების შემწეობით ცის სამყარო დაებჯინება; ოკეანე აღარ არის მდინარე, რომელიც მთელს ქვეყანას გარეშე უელის; ოკეანედამ აღარ გამორმდინარებენ ზღვები და მდინარეები. ქვეყანა აღარ იყოფა ორ ნაწილად, არამედ შეადგენს მთელს ხმელეთს. საზღვრებს მაშინდელის ხმელეთისას შეადგენდნენ თვით ბუნებითი წყლის შემცველი ადგილები: დასავლეთით ჰერკულესის ბოღაზი, შემდეგ საშუალო-ქვეყნის ზღვა, პონტი ევქსინისა, ფაზი, კასპიის ზღვა,

და სხ. ჰეროდოტე ჩრდილო ნაწილს იხსენიებს ევროპად, სამხრეთს ნილოსამდე-აზიად, იმას იქით დასავლეთისკენ—ლიდიად [1]). მცირე-აზია, ჰეროდოტეს სიტყვით, არის ნახევარ—კუნძული, რომელსაც ჰ:აზღვრავს, ერთის მხრით—შაზი, (ძოლხიდაში), მეორეს მხრით—ნაეთ-საყუდელი მირიანდრიკი, ახლანდელი სკანდერუნი, ჩრდილოეთით—პონტი და პროპონტიდი, დასავლეთით—ეგეის ზღვა... ბევრით ჰეროდოტეს უწინ შავ-ზღვას ერქვა Ἄξεινος Πόντος (სტუმართ არა—მოყვარე) მასუკან Εὔξεινος Πόντος (სტუმართ—მოყვარე). ეს მეორე სახელი დაურქმეევიათ მილეტელებს, რომელნიც აქ უშიშრად ჰცურავდნენ. მივიანეს აზრით Ἄξεινος წარმომდგარა ასკენაზით, რომელიც ძველად ჰნიშნავდა მცირე-აზიის ნაწილს, სადაც დასახლებულან ფრიგიელები, განთქმული ტომი, რომელსაც მოსე მოიხსენებს (დაბ. X, 3). ჰეროდოტე დაწერილებით გვიამბობს, რა სიერცე ჰქონდა პონტს, რა გზით დაიარებოდნენ აქ ნავები. პონტის შესავლიდამ შაზამდე ცხრა დღეს თურმე უნდებოდნენ. პონტს უერთდებოდა ერცელი „ტბა" Palus Mèotide (ანუ დედა-პონტისა). პონტს და პროპონტიდს აკავშირებდა ბოსფორის ბოლაზი, რომელსაც 120 სტადია ჰქონდა სიგძე; ხოლო პროპონტიდი დაკავშირებული იყო ეგეის ზღვასთან ჰელლესპონტეს ბოლაზით. [2])

ჰეროდოტეს თქმულებით მცირე-აზიაში ცხოვრობდა სხვა და სხვა ოც და ათი ტომი. ივის დროს ეს მხარე ეპყრათ სპარსებს, რომელთაც ის დაეყოთ სასატრაპოებად ანუ, ჩვენებურად ვთქვათ, საერისთაოებად. ეველა სასტრაპოს

---

[1]) Исторія эллиновъ. стр. 17, 46, 48.
[2]) Asie Mineure, II p. 18, 19. n. 3,270,271, 290,291.

ჰეროდოტე დაწერილებით აღნიშნავს [1]). ზოგი სასატრაპო ისე ერცელი იყო, რომ დიდ სახელმწიფოს უდრიდა. Ისინი სპარსეთს ხარკად აძლევდნენ უფრო მიწის მოსავალს: ცხენებს, ცხვრებს, ნაოფს, ქსოვილს და სხვათა შორის მონებს. ქსერქსის სპა, როდესაც ის საბერძნეთზე გაელაშქრა, 29 ტომისაგანი იყო შემდგარი. Თვითოეულს იმათაგანს ჰეროდოტე წარმოგვიდგენს საკუთარის ტან-საცმელით, საკუთარის სამხედრო იარაღით და ჩვეულებით [2]).

Არ შეიძლება აქ უყურადღებოდ დაეჰტოვოთ ჰეროდოტეს თქმულება სპარსეთზე, რომელიც იმის დროს სწავლით მაღლა მდგარა. სპარსებს ჰქონდათ საკუთარი მატიანე, რომელიც შეიცავდა შესანიშნავს აღწერას სხვა და სხვა ქვეყნებზე, სხვა და სხვა ტომებზე. ჰეროდოტე არქმევს იმას Λογοι; იქიდამ გამოუკრებია იმას თავისი ცნობა საშუალო და წინა-Აზიის მხარეზე. Თვითოეული სპარსეთის ქვეშე-ერდომი ტომი და ხარკი, რომელიც ამ ტომს შეჰქონდა, სახარკო სიაში იყო აღრიცხული. სპარსები ხმაროობდნენ სპილენძზე, ქვის ფიქლზე ანუ ფიცარზე ამოჭრილს ლანდქარტებს. ლანდქარტებზე იყო ნაჩვენები დედა-მიწა, ზღვები, მდინარეები, ქალაქები და შარა-გზები. ჰეროდოტეს ლანდქარტები ხმარებაში იყო თვით საბერძნეთში. Არ ვიცით ვისგან არის შემოღებული ლანდქარტები. რიტტერის ფიქრით, ეს საქმე ბერძნების საქმე არ არის, „რადგანაც ბერძნებზე ბევრით წინ ის გაერცელებული იყო კოლხიდელებში, რომელთაც ძველად თავიანთ წინა-პართაგან ესწავლათ ფიცარზე გამოხატვა ხმელეთის

[1]) Asie Mineure. II. 194.
[2]) Ист. земледѣл. стр. 49,50.

და ზღვის გზებისა თავისის მოგზაურობის შესამსუბუქებლად და „რომელნიც ამ ფიცარს ჯერ ქვისას ხმარობდნენ, მასუკან ხისას“. სპარსეთს გზები ჰქონდა ჩინებული. ჰეროდოტე ამ-ბობს, რომ არისტაგორის სპილენძის ფიცარზე ნაჩეენები იყოო „სამეფო გზები სახელმწიფო სადგომიდამ სახელმწიფო სადგო-მამდე, გავრილი და დაყოფილი სტანციებად. სტანციებში ცხოვრობდნენ მხედრები და ამ მხედრებს დაჰქონდათ მმარ-თებლობის მიწერ-მოწერა და ბძანება. ზზის სიერცეს ანგა-რიშობდნენ ფარსანგებით. თვითო ფარსანგი შეადგენდა 30 ოლიმპიის სტადიას ანუ $^3/_4$ საგეოგრაფო მილს [1]).

ზევით მოვიხსენეთ სპარსეთის სასატრაპოები მცირე-აზიაში. მეხუთე სასტრაპოს შეადგენდა აქ მთა-ადგილი მხა-რე, რომელიც მდებარებდა თერმიდონსა და ძოლხიდას შუა, სადაც ცივს ღელვებში და შეუვალს ადგილებში, ჰეროდო-ტეს თქმით, სახლობდნენ მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსუნოხები და მარესები. ხუთივე ეს ტომი სპარსეთს აძლევ-და ხარკად სამასს ტალანტს [2]). ისინი ხმარობდნენ ერთ-გვარს სამხედრო იარაღს და ტანსაცმელს. სჩანს, იტყვის ვივიანი, იმათ ჰქონდათ ერთი შთამომაველობა და ერთის შტოდამ წარმომდგარი ენები. ამათ თავზე ეხურათ ხის ჩაჩქანი; ისინი ხმარობდნენ მოკლეს და ვიწრო ტყავის ფარს, რომლითაც მტერს იგერებდნენ; იმათ ხელში ეჭირათ მოკლე გძელ-რკინიანი შუბი [3]). ჩვენ კიდეცა ვთქვით, რომ ეს ტომები, ძველის მწერლების აზრით, ქართველ ნათესაობას შეადგენ-

---

[1]) Исторія землевѣд. стр. 50—53.
[2]) Asie Mineure, II p. 295.
[3]) Ibid p. 305.

დნენ. ქოლხიდელებზე იმათი აზრი სხვა იყო: ისინი ქოლხიდელებს ეგვიპტელებად ჰხადიდნენ. ეს პირველად უთქვამს ჰეროდოტეს. „მე გამოვჰკითხეო ამაზე ქოხიდელებსაც და ეგვიპტელებსაც, ორნივე ამ აზრისა არიანო. ეგვიპტელები იტყვიანო, რომ ქოლხიდელები შთამომავლობენო იმ ეგვიპტელების ქოლონიისაგან, რომელიც სეზოსტრისს დაუსახლებია ქოლხიდაში. ამას ამტკიცებსო იმათი შავი ფერი, ხუჭუჭი თმა და წინა-დაცვეთა, რომელიც ჩვეულებად აქვთო ქოლხიდელებს, ეგვიპტელებს და ეფიოპიელებს, და აგრეთვე ერთგვარი სელის მოყვანა და შემუშავება როგორც ერთის ტომისაგან, აგრეთვე მეორისაგან“. აპოლლონი როდოსელი, რომელიც 200 წლით ქრისტეს შობის წინ ცხოვრობდა, სწერს: „პირველის ადამიანის სამშობლოდამ, ეგვიპტიდამ, გავიდა მრავალ-რიცხვის სპით განჩინებული მეომარი (სეზოსტრისი), რომელმაც ყველა ადგილებში დააფუძნა მრავალი ქალაქი: ამათ შორის ზოგი გაუქმებულია და დავიწყებული, ზოგი კი ამდენის საუკუნის შემდეგ ახლაც ჰყოვის. ეს უკანასკნელთაგანი არის ეა ქოლხიდაში. ქოლხიდის მცხოვრებნი მოამდინარეებენ იმ ხეღართაგან, რომელნიც აქ დაუსახლებია ეგვიპტის გმირს. ისინი ხმარობენ თავიანთ წინაპართაგან მიღებულს ფიცრებს, რომლებზედაც გამოჭრილია მიჯნები მიწისა და ზღვისა, შარა-გზები და მცირე გზები. ეს ფიცრები მსახურებენ იმათ მგზავრობაში.“ დიოდორეც (1 საუკ. ქრ. შობ. წინ.) იტყვის: „სეზოსტრისი გავიდა ბანგს, გაიარა მთელი ინდოეთი, მივიდა აღმოსავლეთ ოკეანემდე; მასუკან როდესაც ჩრდილოეთით დაბრუნდა, იმან დაიმონაცა სკვითია ტანაისის მდინარემდე, რომელიც აზიას და ევროპას ჰყოფს.

Იტყვიან, ᲔითᲝმც იმ ᲔგᲔიპტᲔლᲔბთაგან, რᲝმᲔლᲜიც სᲔზᲝსტრისს დაუსახლᲔბია Palus Mèotis-დის გარᲔშᲔმᲝ, წარმᲝმდგარან ᲥᲝლხიდის ტᲝმᲜი; ამის საბუთად მᲝჰყᲝᲕᲔთ წინა-დაცᲕᲔთა მამრᲝბითის სქᲔსის ყმაწᲕილᲔბისა, წინა-დაცᲕᲔთა, რᲝმᲔლიც ჩᲕᲔულᲔბად აქᲕთ რᲝგᲝრᲝთაც მᲔგᲔიპᲔტს, აგრᲔთᲕᲔ ᲧᲕᲔლა მᲔგᲔიპტის კᲝლᲝნიᲔბს და ურიᲔბს [1].

Ამ აზრს წარჩინᲔბული ᲑᲔრმანიის გᲔᲝგრაფი რიტტᲔრი სრულᲔბით არღᲕᲔᲕს. Ის სწᲔრს: „ძᲕᲔლადᲕᲔ, ᲐრგᲝნაᲔტᲔბის დრᲝს, ᲑᲔრძᲜᲔბი მიისწრაფᲝდᲜᲔნ ᲥᲝლხიდაში, სადაც ᲔძᲔბდᲜᲔნ ᲝქრᲝს რუᲜს. Იმათი პᲝᲔტური და ზღაპარ-სიტᲧᲕᲔური თქმულᲔბა შᲔიცაᲔს შᲔსაᲜიშᲜაᲔს ისტᲝრიულს ფაქტსა: ის გᲕიჩᲕᲔᲜᲔბს საალᲔბ-მიცᲔმᲝ დამᲝკიდᲔბულᲔბას საᲑᲔრძᲜᲔთისას ᲐღმᲝსაᲕლᲔთთან, უახლᲝᲔსის ᲥᲝლხიდის გზით. ᲑᲔრძᲜᲔბი უწᲝდდᲜᲔნ კᲝლხიდᲔლᲔბს, ᲔსᲔ იგი ქართᲕᲔლᲔბს, რᲝგᲝრც მრაᲕალს სხᲕა ტᲝმს, ბარბარᲝსᲔბად, თუმცა ისინი სრულᲔბით არ იᲧᲕᲜᲔნ ბარბარᲝსᲔბი; ᲧᲝᲕლისფრით Სჩანს, რᲝმ კᲝლხიდᲔლᲔბი შᲔადგᲔნდᲜᲔნ ᲫᲕᲔლს გაᲜათლᲔბულს ხალხს, რᲝმᲔლის შთამᲝმაᲔლᲝბაზᲔდაც არა ᲔიᲪᲔითრა და თᲕით ᲐრგᲝნაᲔტᲔბის დრᲝდამ ᲑᲔრძᲜᲔბი ᲪდილᲝბდᲜᲔნ დამᲧარᲔბულიᲧᲕᲔნ ამ ხალხის მდინარᲔზᲔ, ᲨაზზᲔ. მართალია, ᲔგᲔიპტᲔლᲜი ამტკიᲪᲔბდᲜᲔნ, ᲔითᲝმც კᲝლხიდᲔლᲔბი შᲔადგᲔნდᲜᲔნ იმათ კᲝლᲝნიას, რᲝმᲔლიც ᲨაზზᲔ დასახლᲔბულა სᲔზᲝსტრისის დრᲝს. ᲗᲕით ჰᲔრᲝდᲝტᲔს მᲝჰყᲕაᲔს ამ აზრის დასამᲝწმᲔბლად სუსტი საბუთი.... Ისინი იᲧᲕᲜᲔნ ინდᲝᲔლᲔბის შთამᲝმაᲔალᲜი; მაგრამ სწᲝრᲔდ არ ᲔიᲪით, ᲥᲝლხიდაში თᲔითᲝნ

[1]) Ethnogènie Caucasienne, p. 126, 130, 157.

დასახლებულან, თუ როგორც ბითიგი ფიქრობს, გადმოსახლებულნი არიან სეზოსტრიდებისაგან ეგვიპტით. ლაზები და ქართველები ეკუთვნიან ინდო-ევროპიულს ტომს, როგორათაც ეს დაამტკიცა როზენმა თავისს ალეკაზიის ენების გამოძიებაში. ჩვენის აზრით, კოლხიდელები შეადგენენ უკანასკნელს კოლონიას ძველის კოლონიებისას, რომელნიც ჰეროდოტეზე ბევრით წინ გამოსულან ზემო-ინდოეთიდამ, ანუ ბაკტრიიდამ და გავრცელებულან ოქსის მდინარის (ჰიგონის) სათავეიდამ ქასპიის ზღვისკენ, არაქსისკენ შაზამდე, რომელიც პონტის ზღვაზე მდებარებს. ქოლხიდელებს უშგზავრიათ იმავე გზით, რომელსაც რომაელების დროს მისდევდნენ სერები (აბრაშუმის მოვაჭრენი), პართიელების ქვეყნის საშუალ და რომლითაც შემდეგ ბუხარის ვაჭრები და ახლა ინდოეთის ბანიანები ასტრახანს დადიან. იმათი გზა იდო სამარყანზე, ორსავე ბაქტრიაზე-ზემოდ ოქსის მდინარეზე; ქვემოდ—ზღვის პირად. იმ მინდვრებში, სადაც ახლა ცხოვრობენ ბუხარელები, კირგიზები, კალმიკები და ყაზახები, ჰეროდოტე, ასახელებს სხვა და სხვა ტომებს, იმათ-შორის კოლხიდელებს აზოვის ზღვის მახლობლად.... ჰეროდოტეს სიტყვით, კოლხიდელების ქვეყანა თვით ტანაისამდე მდებარებდა [1])«.

---

[1]) Исторія землевѣд. стр. 53, 54.

III

ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲐ. — ᲘᲛᲘᲡᲘ ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ. — ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲚᲕᲜᲐᲖᲔ. — ᲘᲡ ᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲐᲡ ᲒᲕᲘᲛᲢᲙᲪᲔᲑᲡ. — ᲡᲘᲓᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲓᲒᲐᲚᲥᲡᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲐ. — ᲐᲛ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ.

ᲗᲣ ᲠᲝᲛᲛ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲘᲒᲝᲜᲔᲑᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲔᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲜᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲗᲥᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛᲛ ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲡ ᲓᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ. ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲓᲝ-ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲔᲚᲔᲑᲘ, ᲡᲔᲛᲘᲢᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲐᲜ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ-ᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲑᲣᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲙᲔᲚᲘᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲥᲔᲓᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ, ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲖᲘᲗ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲐᲜ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲙᲔᲜ, ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ, ᲛᲪᲘᲠᲔ-ᲐᲖᲘᲘᲡᲙᲔᲜ, ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲛᲐᲗ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲑᲘᲜᲐᲓᲠᲜᲘᲐᲗ, ᲘᲥ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲣᲢᲔᲕᲔᲑᲘᲐᲗ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲪᲘᲠᲔ-ᲐᲖᲘᲐᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲨᲔᲛᲝᲒᲠᲝᲕᲘᲚᲐᲜ ᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲓᲒᲛᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲜᲘ: ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲩᲕᲔᲜᲔᲗ, ᲕᲘᲜ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲘᲛᲐᲗᲨᲘ ᲘᲜᲓᲝ-ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲔᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲜ-ᲐᲠᲐᲛᲘᲔᲚᲜᲘ. ᲐᲛ ᲢᲝᲛᲗ ᲒᲠᲝᲕᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲐᲠᲩᲘᲔᲗ ᲡᲝᲛᲮᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲛᲐᲪ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲖᲓᲛᲐᲪ ᲜᲘᲡᲚᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲣᲚᲘ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ-ᲐᲖᲘᲐᲨᲘᲕᲔ ᲨᲔᲕᲜᲘᲨᲜᲔᲗ...* ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ, ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲐᲬᲧᲝᲗ ᲮᲔᲚᲘ: ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲔᲮᲐᲢᲝᲗ, ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲠᲐᲡ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲛᲑᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ, ᲘᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲓᲒᲐᲚᲘ

მომდგარა თვით სახელი ქაეკაზია , სულ ძველად რა ტომს ჰქონია დროებითი ბინ-დრობა ქაეკაზიაში ანუ იმისს არე-მარეში, რა კვალი დარჩენილა იმისი აქამომდე ჩვენ მხარეში და თვით ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში.

ზემოდ ეთქვით, რომ გეოლოგია ახალი მეცნიერებაა; მაგრამ ისე ახალი არა, რომ გუშინდელი ან დღეანდელი იყოს, თუმცა იმისი მჯიდროდ დამფუძნებელი ანგლიელი ლაიელი ახლაც ცოცხალია. ჩვენ დროს ევროპა, აზია, ამერიკა, მეტადრე ევროპა თითქმის ზედ-მიწევნით არის გამოძიებული. ქაეკაზიის მხარის გეოლოგია ახლა მყარდება. ქაეკაზია ამ მხრით გაკვრით მოუხსენებია წარჩინებულს ბუმბოლტს; გაკვრითვე შეჰხებიან იმას პარროტი, ქუპფერი, ბერი და დუბუა-დე-მონპერე. ამათში ყველაზე მეტად და საფუძვლიანად გამოუკვლევია ქაეკაზიის გეოლოგიური აგებულება, როგორათაც საზოგადოდ ჩვენი მხარე, დუბუას, რომელსაც ქაეკაზია მიმოუვლია 1830 წ-ლს და უმეტესი ნაწილი თავისის Voyage autour du Caucase (ექვსი წიგნი ძვირფასის ატლასით) საქართველოს აღწერისთვის შეუწირავს, და რომელსაც ხშირად შევხვდებით ჩვენს თხზულებაში. ქაეკაზიის გეოლოგიას აფუძნებს აკადემიკი ობიხი. ობიხი თითქმის ოცი წელიწადია რაც ამ საქმეს შეუდგა და წარმატებაც მისცა გეოლოგიას. იმისი გეოლოგიური სტატიები გაბნეულია აქა-იქ ბერმანიის ჟურნალებში, მაგრამ საუბედოდ ის სწერს ნემეცურად მძიმეს და ძნელ-გასაგონის ენით. 1862 წელში რუსის პროფესსორმა შჩუროვსკიმ ჩვენ დიდად დაგვავალა: იმან შემოჰკრიბა რაც რომ მეცნიერებას და მეტადრე ობიხს უთქვამთ ქაეკაზიაზე და Русскій Вѣстникъ-ში და-

ბეჭდა 1866 წ. მეშვიდე წიგნში Записокъ Кавказ. Отд. Русс. Геогр. Общ. ამ საგნს გამოიკვლევს აგრეთვე სალასკის სტატია Очеркъ орографіи и геологіи Кавказа.

ქაუკაზიად უწოდებენ იმ ერცელს მთის ზურგს, რომელიც იწყობა ტამანის ნახევარ-კუნძულით ანუ შავის ზღვით და მიემართება რა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, სწყდება აფშერონის ნახევარ-კუნძულით ქასპიის ზღვაზე. ქაუკაზია იყოფა ორად: პირველია ზემო-ქაუკაზია, რომელიც შეადგენს უმთავრესს მთის ზურგს და რომლის სიგძეც არის 1000 ვერსამდეც და სიგანე 200 ვერსამდე; მეორეა—ქვემო ანუ მცირე—ქაუკაზია, რომელიც პირველთან შეკავშირებულია მესხეთის მთით და საქართველო-იმერეთის მთით. ზემო—ქაუკაზია მისდევს ერთს გაყოლებას, თუმცა ეს გაყოლება გაბრუნდებული წრეა. ამ წრეზე უმაღლესს ქედებად ირიცხებიან ელბრუსი (18,523 ფ.), უსახელო-მთა (16,941 ფ.) და უაზიბეგი ანუ მყინვარი (16,523 ფ.) უაზიბეგი ელბრუსზე დაბალია 1969 ფუტით [1]. მცირე—ქაუკაზია წარმოადგენს ორ-გვარს სისტემას: ერთია შერანგი, რომელიც მისდევს სამხრეთ—დასავლეთის გაყოლებას, მეორეა ლიხი, რომელიც აღმოსავლეთით დასავლეთს მიემართება. მცირე-ქაუკაზიის სისტემას ეკუთვნის არარატის მთა, რომელიც მდებარებს ერევნის გუბერნიაში და სიმაღლით მხოლოდ ელბრუსზე და უსახელო-მთაზე დაბალია. მცირე-ქაუკაზიასვე ერთვის თაერის მთა, რომელიც მცირე-აზიის მიმოხილვაში მოვიხსენეთ. თაერს უკავშირდება ზიმალაის მთა ინდოეთში.

---

[1]) Русскій Вѣстникъ 1862, № 3, стр. 76, 85, Зап. Кав. отд. Русск. Геогр. Общ. VII стр. 11.

საზოგადოდ მომატებული ნაწილი ქაეკაზიის ზურგისა მთელს თავის გაყოლებაზე ყოველთვის დაგვირგვინებულია თოვლის ფარდით: აქ სამუდამო თოვლის წრე ძევს 11000 ფუტზე. ეს წრე ეკვატორის წრეზე 5000 ფუტით დაბლაა. ალპის მთებში ისა ძევს 8200 ფუტზე, პირენეის მთაში 8400 ფუტზე. მიზეზი ამ განსხვავებისა ის არის, რომ თუმცა საზოგადოდ დასავლეთი მხარე უფრო თბილია, მ. გრამ იქ ზაფხული ატლანტიკის მახლობლად ისე ცხელი არ არის, როგორათაც ქაეკაზიაში. ქაეკაზიის ზურგი, მრავალს ადგილს, ყველა მხრით დაგლეჯილია ხეობებით და გზას აძლევს მდინარეებს, რომელნიც მაღალის მთების სამუდამო თოვლით იკვებებიან და რამდენადაც სათავეებს ჰშორდებიან, იმდენად ხეობაებს აგანიერებენ და სულ ბოლოს ამინდერებენ [1].

მისაც კი ოდესმე ქაეკაზიის ზურგზე უმგზავრნია, ის არას დროს არ დაიეიწყებს იმ გასაოცარს სახილველს, რომელსაც იმას თვალ წინ წარმოუდგენს ქვე-მდებარე ხმელეთი. ამ სახილველს მიემსგავსება, ისიც სუსტად, ალელვების დროს ზღვა, როდესაც იმას მრისხანე უხილავი ძალა ქვესკნელით აზვირთებს, როდესაც მთელი ზღვა მთებად გადაქცეულია, ერთი ზვირთი მეორეს ეჯახება, ერთი მეორეზე მაღლა ადის. ამ გვარია ქაეკაზიის ზურგი შავის ზღვიდამ მოყოლებული ქასპიის ზღვამდე: ის მთლად აზვირთებულია სხვა და სხვა გვარის მთით. უკედ ვთქვათ, ის არის უსაზღვროდ აშფოთებული ოკეანი, რომელიც ხან ღრუბლებამდე მიილტვის, ხან უფსკრულამდე ჩაეჯახება. ცხადად გრძნობთ, რომ ოდესმე აქ საზარელი ბრძოლა ჰქონიათ ხმელეთის კანს და ქვესკნელის

[1]) Русск. Вѣст. 1862 N 3, ст. 76—77, 81—83, 87—88.

ძალას, რომელსაც ის შემდეგ დაუძლეევია, აუხეთქია, აუბურთებია და დაუსერავს, ერთი—ერთმანეთზე არეე-დარეევით მიუყრია. Mუმცა ძაეკაზიის ქეეყნების მთები პირეელის შეხედულობით ნამდეილს ხაოსს წარმოადგენენ, მაგრამ როდესაც აბიხმა გეოლოგიის შემწეობით ისინი გაჩხრიკა და გამოიკვლია, მაშინ იმან ამ ხაოსში ჰპოოა ოთხი უმთავრესი სისტემა, რომელიც შეადგენს მთელის ძაეკაზიის საფუძველს, ესე იგი, ოთხიეე სისტემა გეიჩეენებს ოთხ-გვარს გაყოლებას, რომელსაც მთები მისდეევენ. აბიხის გამოკვლეევით აქეური მთები მიემართება: ზოგი—დასაელეთით აღმოსაელეთისკენ, ზოგი—სამხრეთ—აღმოსაელეთით ჩრდილო—დასაელეოისკენ, ზოგი სამხრეთ—დასაელეთით ჩრდილო—აღმოსაელეთისკენ და ზოგი ჩრდილოეთით სამხრეთისკენ. Uმთავრესი მთები ძაეკაზიისა ისინი არიან, რომელნიც მისდეევენ დასაელეთით აღმოსაელეთის მხარეს. როდესაც ეს სხვა და სხვა მხარის მიმართულება, რომელიც ქვეყნელის ძალის მოძრაობით მომხდარა, ერთი—მეორეს შეჰხვეედრიან, მაშინ გაჩენილა ხეობაები, სადაც მდინარეებს გზა მისცემია. ჩრდილო—აღმოსაელეთის აბურთება ძაეკაზიის ზურგისა ამითია შესანიშნაეი, რომ ისა და საშუალო-აზიის ზურგები ერთს დროს აღმართულან. [1]. ახლა ეჭვი აღარ არის, რომ ძაეკაზიის მხარეები ქვესკნელის ცეცხლის მოქმედებით არიან ამართულნი. მაგრამ როდის მომხდარა ესა? რომელ ეპოქეებს უნდა მიეაწეროდ დედა-მიწის ისტორიაში ეს მრავალ-ჯერ განმეორებული ცელილება? Uს საგანი საფუძვლიანად გამოუკვლეეია მხოლოთ აბიხს.—ახლანდელის აზრით მთელი დედა-მიწის კანი

[1]) Рус. Вѣст. 1862. Ноя. стр. 91, 95.

შემდგარია ცამეტის ფორმაციით. ფორმაცია არის საზოგადოდ ის გროვა შენიეთებათა, რომელნიც არიან წყლის თუ ცეცხლის ნაწარმოებნი, რომელნიც ერთი მეორესთან სრულებით ისე განსხვავდებიან, რომ თვითოეული იმათაგანი ცალ—ცალკე ეპოქას შეადგენს. თვითოეულს ფორმაციას თავისი სახელ-წოდება აქვს. არც ერთ მხარეში არ იპოვება ერთად ყველა ცამეტი ფორმაცია; თვითოეული მხარე შემდგარია რამდენისამე ფორმაციით. ძაეკაზია შენიეთებულია, აბიხის გამოძიებით, რვა ფორმაციით [1]. აქ მეშვიდე ფორმაცია, ანუ იურის ფორმაცია უძველესს ფორმაციად მიითვლება. ის ამოხეთქილა ყველაზე ადრე. ეს შემთხვევა მიეწერება იმ ცვლილებას, რომელსაც დაუარსებია ძაეკაზიის ზურგი და რამდენსამე ათას ფუტზე აუბურთებია. ლუბუას აზრით ის არის ნაწარმოები მსხვილ—მარცვლოვანის გრანიტისა, რომელიც თვითონ ცეცხლის ნაწარმოებია და შეადგენს უძველესს ფორმიციას; გრანიტია საძირკველი ძაეკაზიის ზურგისა ელბრუსსა და მყინვარეს შორის, აგრეთვე მესხეთისა და საქართველო—იმერეთის მთისა [2]. შემდეგ ძაეკაზიის აბურთებისა იურის ფორმაციით იმ ზღვებმა, რომელნიც აქეთ და იქით სცემდნენ იმის ძირს, დროს განმავალობაში დაჰბადეს ცარცის (мѣловая) ფორმაცია, რომელიც აქ დიდად გაერცელებულია და ძაეკაზიის იქით და აქეთ განსხვავებულებულია. საქართველოსა და სომხეთის მთებში ეს ფორმაცია არის ნაწარმოები წყლისა და ცეცხლისა. ჩრდილო—ძაეკაზიაში ამ ფორმაციის განმავლობაში მშვიდობიანობა ჰსუფეედა; არა ცვლი-

---

[1] Русск. Вѣст. 1862, № 4, стр. 693,694.
[2] Тамъ же, № 3, стр. 103; № 4, стр 699..

ლება ცეცხლის მოძრაობით არა მომხდარა რა. აქ ეს ფორმაცია გავრცელებულა მლბრუსით ქასპიის ზღვამდე და შეიცავს მრავალს გაქვავებულს ძველს მცენარეს და ცხოველს. ამ ეპოქაში ქაეკაზიის ზურგს უფრო აუწევია; ის მდგარა ერცელ კედლად ჩრდილოსა და სამხრეთს ზღვებს შუა [1]). უკანასკნელი ფორმაცია იყოფა სამ ნაწილად; უძველესი იმათში არის ეოცენისა, საშუალო—მიოცენისა, უკანასკნელი ანუ სულ ახალი პლიოცენისა. ეოცენის ეპოქის გაქვავებული ლოკოკინები ძალიან მცირედ მიემსგავსებიან ახლანდელებს, მიოცენისა—ზოგიერთი ახლაც ცხოვრობს, პლიოცენისა—მომატებული ნაწილი ჩვენს დროს იპოვება [2]). ჩვენ მხარეში ეს ფორმაცია შესანიშნავი ამითია, რომ იმას გაუჩენია ქვის მარილი, რომელიც მომატებულად გავრცელებულა სომხეთში, ესე იგი ნახიჩევნის მახლობლად, ქულპში, ქალისმანში და სხვაგან [3]). ამ ფორმაციის განმაელობაში ზღვას დიდი სიერცე ჰქონია: მოყოლებული შავის-ზღვის დასავლეთის პირით, მარმარილოსა და ეგეის ზღვის პირით, იმას ჰქერია მთელი ეს სიერცე; ის სცემდა მთელს ქაეკაზიის ქედს, უმალლესის ეაკე—მაღლობების გარდა და აერთებდა ქასპიის ზღვას არალის ზღვასთან. ამ ფორმაციას შესდგომია დილუვიის ეპოქა (diluvium წარღვნა), რომელიც ქაეკაზიის მხარეებისთვის ძალიან აშფოთებული ეპოქა ყოფილა: იმას დაუტეეებია დიად ერცელი ფორმაცია, ესე იგი დიდ—ძალი კონგლომერატების წყობა. ქონგლომერატი ჰნიშნავს (con ერთად

[1]) Русск. Вѣст. 1862, № 4, 700—701.
[2]) Основныя начала геологіи Лайеля, т. II, стр. 455, 459, 462.
[3]) Рус. Вѣст. 1862, № 4, стр. 702—703.

glomero შენივთება) წყლის მოქმედებით შემრგვალებულს სხვა და სხვა მოდგმის ქვებს, რომელნიც ერთი მეორეს შეჰ-დულებიან. როდესაც ეს მასსები გარეთ ამოხეთქილა, მაშინ იმათ გაუმსიათ ვრცელი მთის ღელეები და დიდ—მინდერებად გადუქცევიათ. იმ დროს გაჩენილა ახლანდელი დიდ—მშვენიერი ეაკეები შურაგელისა, ჯავახეთისა, ლორისა, მაღალი მთა—მინდვრები ყარაბალისა, ალმანგანისა და ალაგეზისა. იმ დროს მისცემია ძაეკაზიას ის სიმაღლე და ის თვისება, რომელსაც ახლა ის წარმოადგენს. იმ დროს ამართულა უშველებელი მთები—მყინვარი, ელბრუსი, შაზის—მთა და სხვები. იმ დროს მაღალ—მთებში გახსნილა ეულკანები ანუ კრატერები (crater დიდი ჯამი ანუ ქვაბი), საიდამაც დაწყებულა ცეცხლისა და ლავის ანუ გამდნარის ქვების დენა [1]. უმთავრესს ეულკანებად მიითვლება ძაეკაზიის ჩრდილოეთით ელბრუსი, მყინვარი, შელთრაქი, სამხრეთით—ყელი ანუ ბუდავა. მცირე—ძაეკაზიაში და საზოგადოდ სომხეთში ეულკანები უზომოდ არის გავრცელებული; იმათ შორის არიან არარატი, ალაგეზი და სხვები [2]. ახლა ეულკანები დახშულია; მაგრამ ცეცხლის მოძრაობა არ შეწყვეტილა: ამას გვიმტკიცებს ცხელის—წყლის დენა მიწის გულიდამ, რომელიც აქ მრავალია, თვით ცეცხლის დენა ბაქოს გუბერნიაში და მიწის—ძვრა, რომელიც დროითი—დრო არყევს ჩვენს დედა-მიწას და რომელმაც სხვათა შორის 1840 წ. არარატის მთის კრატერი გახსნა და მდიდარი სო-

---

[1] Русс. Вѣст. 1862 № 4. стр. 705—707.
[2] Тамъ же, № 3, стр. 101—103. Записки Кавк. отд. геогр. общ. кн. VII стр 109, 110.

ფელი ახური ჩანთქა და 1859 წ. ქალაქი შამახია თითქმის სულ დაანგრია [1]). რაღა ეჭვი უნდა, რომ ზემოდ-ჩვენებულს ცვლილებას თვით ჩრდილოა—ზღვის მდგომარეობის, ცვლილებაც უნდა შესდგენიყო. ჯერ კაი-ხანი შაერთებულნი ყოფილნ შაეი ზღვა, ქასპიის ზღვა და არალის ზღვა. ბეოლოგიურის ენით ეთქვათ დიდი ხანიც არ არის გასული, რაც ისინი გაერთებულან. ამისი ნიშნები ჩვეულებრივის თვალისთვის ახლაც ცხადია. ასტრახანისა და ქაკაზის ერცელი ეაკეები ზღვის გამშრალს ძირს წარმოადგენენ. აქ ხშირია იმ მოდგმის ლოკოკინები, რომელნიც ახლანდელის ქასპიის ზღვის ლოკოკინებში არ გაირჩეიან. ქასპიის მხარის მიმოხილეაში მიხვალდს შეუნიშნაეს, რომ იმის გარეშე—ადგილები ახლაც ცვლილებაშია: ქვესკნელი ძალა ქასპიის პირს ზოგან აბურთებს, ზოგან ადაბლებს. ეს არის მიზეზი, რომ ბალხანის ყურე და მთელი ალმოსაელეთის ნაპირი ასტრაბადამდე აწეულა ასე, რომ მდინარე ამურ-დარია, ანუ ოქსუსი, რომელიც ბალხანის ყურეში ჩადიოდა, ტრუხმენის ველის აწეეით ალმოსაელეთისკენ მიმართულა და ახლა არალის ზღვას ერთვის. ბაქოს მახლობლად ქვიტკირის შენობაები, რომელნიც ოდესმე ზღვის ნაპირად მდგარან, ახლა ისე ღრმად არიან ჩაწოლილნი შიგ ზღვაში, რომ იმათი შენიშვნა შეიძლება მხოლოდ მოწმენდილს დარში. ცხადია, რომ ამ მხარეში ზღვას დაუწეია. „არალოა—ქასპიის ზღვის გაერთება, მურჩისონის აზრით, ორი აბურთების ნაწარმოებია. პირველ აბურთებაზე გაჩენილა ერცელი ველი, რომე-

[1]) Русск. Вѣст. № 3, стр. 110 –118. Газ. „Кавказъ" 1869 г. N 105.

ლიც ქასპიისა და Არალის შუა ძევს. ქასპიის ზღვა ამ დროს ჯერ კიდევ თურმე ასხამდა მთელს Ასტრახანის მინდერებს და ქაეკაზის დაცემულის მხარის შემწეობით უერთდებოდა შავ—ზღვას. სრული გაწერეტება ქასპიისა და შავის ზღვისა და ამ უკანასკნელის გარეშემო მდებარე ველების აღმოჩენა არის ნაწარმოები მეორე აბურთებისა, რომელიც მურჩისონის ფიქრით მომხდარა ისტორიის წინა დროებში და არა Დევკალიონის წარღვნის წინ, როგორც ამას პალლასი ამტკიცებდა [1].

Თუმცა უკანასკნელი ქაეკაზიის აბურთება გეოლოგიის ენაზე ახალი ცვლილება არის, მაგრამ ისტორიას მაინც არ შეუძლიან ის ჟამი აღრიცხოს; არ შეუძლიან სთქვას, იმის შემდეგ რამოდენა ხანს გაუვლია. Იქნება ოდესმე ესეც შეკიტყოთ: მეცნიერებას საზღვარი არა აქვს. Ჯერ ვერას ვიტყვით. Შსკი შეგვიძლიან თითქმის დარწმუნებით ვთქვათ, რომ ვიდრე ცეცხლის—მთები ანუ ვულკანები თავისს მოქმედებას შესწყვეტდნენ, კაცობრიობა გაჩენილი ყოფილა. რადგანაც იმ დროს საშუალო—Აზიიდამ Შრალის მინდერები და Შასპიის სამხრეთი წყლისაგან განთავისუფლებულნი ყოფილან, იქნება იმ დროს განმავალობაში დაწყობილა ის გადმოსახლება ტომთა, რომელიც ჩვენ ამას წინად ვრცლად მოვიხსენეთ. Თუ ამ აზრს დავემყარებით, მაშინ, რა საკვირველია, თვით იმ ცვლილებას, რომელიც დედა—მიწის პირზე მომხდარა, ადამიანის მეხსიერებაში თავისი კვალი უნდა დაეტოვებინა. მართლა და არც ერთი ძველი შემთხვევა არ არის ისე გავრცელებული სხვა და სხვა მოდგმის ტომებში, რო-

[1]) Русск. Вѣст. 1862, N 2, стр. 459; N 4, стр. 707—709.

გორც თქმულება წარღენაზე. ეს სიტყვა, როგორც უკეთესს ებრაულის ენის მცოდნე პირთ ესმით, ჰნიშნავს ქვეყნის აღშფოთებას, აღრევას წყლით და ცეცხლით [1]. ეს ასეც არის: როდესაც ქვესკნელით ცეცხლის—მოძრაობა არყევს მიწის კანს, მაშინ წყალიც ირყევა, აქა-იქ ხმელეთს მოეფინება. ახლა ესეც უეჭველია, რომ მიწის ძვრას მოაქვს თან ჰაერის ცელილება, წვიმის დენა; რაოდენადაც ცეცხლი მიწის გულიდამ ძლიერ და ხანგრძლივ მოქმედებს, იმოდენად ძლიერ და ხანგრძლივ წვიმს.... წარღენაზე თქმულება გადმოგეცეს ებრაელებმა, ქალდეველებმა, არაბებმა, ბერძნებმა, კელტებმა, ინდოელებმა, ჩინელებმა. ზოგნი იმათგანნი წარღენას უჩვენებენ მთელს ხმელეთის პირზე, ზოგნი—ადგილ-ადგილ. სულ-ძველად ზეპირ-სიტყვაობა წარღენას კერძოობითს თვისებად იხსენიებს, შემდეგ საზოგადოდ აერცელებს. ბერძნების წარმოდგენით წარღენა იყო ადგილობრივი შემთხვევა [2]. ძსენოფონტე ჩამოგვითვლის ხუთგვარ წარღენას. იმის აზრით პირველი მომხდარა ნეპტუნის შვილის Ოგიგეზის დროს, რომელიც ათინაში პირველ მეფედ ირიცხება. მიზეზი ამ წარღენისა ყოფილა ძოპაის ტბის ადიდება. მეორე ყოფილა ჰერკულესის დროს; იმას უმუშავნია ერთი თვე. მესამე წარღენას მეორე Ოგიგეზის მეფობაში აუოხრებია ატტიკა. მეოთხე მომხდარა ორის საუკუნის შემდეგ დევკალიონის დროს და სამის თვის განმავალობაში მოსდებია მთელს Თესალიას. მეხუთეს ძსენოფონტი უჩვენებს ტროადის ბრძოლის ეპოქაში; იმას დაუნთქავს ნაწილი სიციალიისა [3]. შესანიშნავი ეს არის, რომ სხვა და სხვა უცხო

[1]) Moreau de Jonnés Ethnogénie Caucasienne, p. 309.
[2]) Ibid p. 265, 298, 299, 319, 327.
[3]) Ibid. p. 300.

ტომების გარდამოცემაში წარღვნაზე თითქმის განსხვავება არა არისრა. ებრაელების ნაამბობი ჩვენ კარგად ვიცით. ამ გვარივეა სხვების ნაამბობი: ზნეობის გარყვნა ხალხში, ერთი-ერთმანეთში არეა, ღმერთების წინააღმდეგი მოქმედება, ამის გამო ღმერთების განრისხება, სასჯელის მოელენა ცეცხლით და წყლით, ადამიანის ნათესაების დანთქმა, ერთის ოჯახის გადარჩენა უმაღლესს მთაზე ნაეით თუ კიდობნით და სხ. [1]). ეთი ნამდვილი სურათი წარღვნისა არაეის არ გადმოუცია, როგორიც გადმოგვცა ჰეზიოდემ. ჰეზიოდე იყო ელლადის წარჩინებული პოეტი, რომელიც ჰეროდოტეს სიტყვით, ცხოვრობდა მეცხრე საუკუნეში ქრისტეს შობის წინ. ჰეზიოდეს აზრით წარღვნა შეუდგა ტიტანების ბრძოლას უმთავრესს ღმერთთან—იუპიტერთან. ტიტანები იყვნენ შთამომავალნი ატლანტების მეფისა ურანოსისა და ტიტესი ანუ მიწისა. იმათი მოდგმა იყო ადამიანის მოდგმაზე მაღალი, ღმერთების მოდგმაზე დაბალი. ზოგიერთნი ტომნი ტიტანებს უწოდებენ დევებად (devas; devils, აქედან წარმოსდგა diable ეშმაკი) ანუ ჯანნებად; ქართველები—გმირებად, ჩერგეზოსნი ნარტებად, [2]). ურანი მოიხსენებს ადითებად. ბერძნები იტყვიან, ეითომც ტიტანებისაგან მიეღოთ იმათ პირველად სწავლა-ხელოვნება, წინასწარ-მეტყველობა, მსხვერპლის შეწირვა, სარწმუნოების წესი. ტიტანები ისეთის ძალით იყვნენ მოსილნი, რომ იმათ შეეძლოთ წვიმისა და სეტყვის მოელი-

---

[1]) Ethnog. Caucas. p. 299, 303 -331.

[2]) Ист. адиг. народа „Кавк. Календ. 1862 г. стр. 19, 27. Осетинс. тексты Шифнера, стр. 20—30, 43, 51, 71, 87 въ прилож. къ XIV т. Зап. Имп. Ак. Наукъ.

ნება. ტიტანებიეე ყოფილან ერთ-თეალიანი ციკლოპები, რომელთაც ადგილ-სადგომს უჩვენებენ სიცილიაში და რომელთაც უშველებელის ლოდის შენობაები დაუტოვებიათ აქა-იქ. ტიტანებს აუტეხიათ ბრძოლა იუპიტერთან და იუპიტერს იმათ დასასჯელად აუწყვეტია უფსკრული და ცის-საჭყარო, ცეცხლი და წვიმა. ჰეზიოდეს სიტყვით „ზღვებმა იწყეს საზარელი გრგვინვა; ხმელეთმა მოსცა ხმა გოდებისა; ცა ირყეოდა; ღმერთების ერცელი სადგომი ოლიმპი იძროდა იმათ ფეხქვეშ; დიდროვანის ლოდების სროლამ აათრთოლა მთელი ტარტარი; ქვეყნის ელემენტები აშფოთდენ; ქარიშხალი და ჭექა-ქუხილი ასტყდნენ; შაემა ნისლმა და ცეცხლის მოქმედებამ დახშეს მზე, შესძრეს მთვარე, დაამხვეს მთები და ზღვები... თვით ტიტანები ღმერთებმა ჩასთხარეს დედა-მიწის ჯურღმულში, სადაც საუკუნოდ შემჭულნი არიან უფსკრულს წყვდიადში". მინც იცის, რა არეულობა მოაქვს ბუნებაში ცეცხლის მოძრაობას ქვესკნელით, ის ადვილად მიჰხვდება რასაც წარმოადგენს ჰეზიოდეს სურათი [1].... ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგი-ერთი ძველი თქმულება აქ მოხსენებულს შემთხვევას უჩვენებს Palus-Mootide-ის (ახლანდელის აზოვის ზღვის) გარეშემო. ფრანცუზის მწერალი მორო-დე-ფონნესი, რომლისაც Ethnogènie Caucasienne აქ ხელთ-მძღვანველად გვაქვს, ყოველსაეე, რაც ძველად წარლენაზე უთქვამთ, ძაეკაზიის მხარეში ეძებს. იმის ფიქრით ბუნების აღშფოთება წარლვნის წინ ძაეკაზიის ეულკანების მოქმედებას-მოასწავებს; თვით ნოეს კიდობანი შაე-ზღვაში

[1]) Ethn. Cauc. 313—317.

თურმე ჰკურაედა, ვიდრე არარატის მთისკენ გაემგზავრებოდა. მორო ამტკიცებს, ვითომც წარღვნის წინ და შემდეგ ქაეკაზიის გარეშემო დაწესებულა ადამიანის საზოგადოება; აქ დამყარებულა თავდა პირველად განათლება, სარწმუნოების დოლმატები; აქედამ გაბნეულა კაცობრიობა სხვა და სხვა ქვეყნის მხარეებში—ინდოეთში, ჩინეთში და სხვაგან; აქედამ გავრცელებულა როგორათაც თქმულება წარღვნაზე, აგრეთვე პირველ-დასაწყისი წარმატება ყოფა-ცხოვრებისა და სწავლა-ხელოვნებისა; აქედამ არის გატანილი სხვა და სხვა სახელ-წოდება მთებისა, მდინარეებისა, ტომებისა და სხ. [1]). მოროს აზრი იქნება ზოგიერთში მართალი იყოს, მაგრამ საზოგადოდ უსაფუძვლო აზრია, რადგანაც ის ეწინააღმდეგება როგორათაც გეოლოგიურს ფაქტებს, აგრეთვე ენების საძირკველზე აშენებულს მეცნიერებას და მსოფლიო ისტორიისაგან გამოკვლეულს ფაქტებს.

ზემოდ ვთქვით, რომ უმეტესი ნაწილი შესანიშნავთ სახელწოდებათა ჩვენის მხრის მთებისა, მდინარეებისა და სხ. მოტანილია საშუალო-აზიიდამ. ამ საგანზე დაწერილებით ქვემოდ მოვილაპარაკებთ. აქ ჩვენ მხოლოდ იმას მოვიხსენებთ, საიდამ და როგორ წარმოსდგა ქაეკაზია. ეს სახელ-წოდება ცხადად გვიჩვენებს იმ კავშირს, რომლითაც უძველესი ჩვენი ისტორიის წინა-დროება დამოკიდებულია საშუალო-აზიაზე. ქაეკაზიის სახელ-წოდებაზე განსაკუთრებით ყურადღება მიუქცევიათ ძლაპროტს თავისს Voyage an mont Caucase et en Gèorgie, 1823, და პიეიანე-სენ-მარტენს. ერთიც

[1]) Edin. Cituc. p. 292—293, 301—340.

და მეორეც ამაზე სხვა და სხვა აზრისანი არიან. ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ სენ-მარტენს, რადგანაც იმისი საბუთები ახლად გამოკვლეულს ფაქტებზეა დამყარებული... ჯერ ეს უნდა ვთქვათ, რომ ძაეკაზიას აქამომდე სხვა და სხვა ტომი სხვა და სხვა სახელს აძლევს. მურქნი მთელს იმის გაყოლებას უწოდებენ ქაფ-მაგათ ანუ ქაფის-მთად, სპარსები და თათრები ალ-ბუზად ანუ ალბულის-ფაფრად, ქართველები—ალბუზის მთად, ხან მემად, სომხები—ალბუზი-სარად, რომელიც იმასვე ჰნიშნავს, რასაც ჰნიშნავს ქართული სახელ-წოდება. ეს კია, რომ ქართველები და სომხები ძაეკაზიის სახელსაც ხმარობენ. ალბუზი ან ელბრუსი, ძლაპროტის გამოკვლევით, ძველს სპარსულს ენაზე ჰნიშნავს მაღალ-ტანს, სიმაღლეს. აქამომდე სპარსეთში, ჯებალის მაზრაში, ელბრუსად უწოდებენ ორს მაღალს მთას. ძლაპროტის აზრითვე ქაფი უნდა უდრიდეს ძველს მიდიურს სიტყვას ქაფსპს, ქასპს; ქასპიის ზღვა და თვით კასპიელების ტომის სახელი ამ მთის სახელიდამ უნდა იყოსო წარმომდგარი, რადგანაც ერათოსთენის მოწმობით, რომელიც სტრაბონს მოჰყავს, ძაეკაზიის ტომნი ძაეკაზიას ქასპიის მთად უწოდნენო [1]). აქედამ სჩანს, რომ ძლაპროტი ძაეკაზიას ადგილობრივ სახელად ჰხადის. მეეიანე-სენ-მარტენი ამის წინააღმდეგს ამბობს: ის ამ სიტყვას ეძებს იქ, სადაც ინდო-ევროპიელების წინა-პარნი გაჩენილან და საიდამაც მრავალი გეოგრაფიული სახელ-წოდება გავრცელებულა მცირე-აზიაში და ევროპაში. როდესაც ალექსანდრე-მაკედონელი ინდოეთში ლაშქრით შესულა, მაშინ იმის

[1]) Voyage au mont Caucase; I p. 132—137.

თანა-მგზავრებს უპოვნიათ აქ ქაეკაზია: ამ სახელს ინდოელები უწოდნენ იმ თოელით-მოსილს მთა-ადგილს, რომელიც ზიმალაის სამხრეთით ძევს ბაკტრიანს და არიანს შორის. შემდეგ ბერძენ—რომაელთ მწერლები, პტოლომეი და პლინი ქაეკაზიას ინდოეთშივე უჩვენებენ. ამ საგანზე ყოველიეე ეჭვი უნდა დავტოეოთ, ამბობს სენ-მარტენი, როდისაც ჩვენ წარმოეიდგენთ, რომ იმ მთა-ადგილებს, სადაც ზიმალაი იწყობა, ქაეკაზიად იხსენებენ როგორათაც ძველი სანსკრიტის წერილები, აგრეთვე ახალი მოგზაური-მწერლები. იქ, სადაც ინდუსის მდინარეს სათავე აქვს, სენ-მარტენის გამოკელეეით, ცხოროობდა ძველად და ცხოვრობს ახლაც შემძლე და გავრცელებული ტოში ჰაზ-აზები; იმათ მთებს სანსკრიტები უწოდნენ ჰაზა-ზირს (გირი სანსკრიტულად მთაა). ეს სიტყვა მიდო-სპარსების ენაზე ქოხ-ქაზად გადაქცეულა, რადგანაც ამ ენაზე კოხი მთასვე ჰნიშნავს. სენ-მარტენი იმასაც ამტკიცებს, ეითომც სულ-ძველად ქოხ-ქაფი რქმეეიყოს იმ მთის სისტემას, რომელიც ირანიდამ საშუალო-აზიაში ოურანისაკენ მიემართება და რომელიც ხორასანით და ქასპიის ზღვის სამხრეთით ჩვენ ქაეკაზიას უერთდება [1]).

რა დროს დაჰრქმეეია ჩვენ თემს ქაეკაზია? უძველესი ელლინების მწერლები, როგორც წინად მოვიხსენეთ, არიან ჰეზიოდე და ჰომერი, რომელნიც ჰყვაოდნენ ცხრა-ასის წლით ქრისტეს შობის წინ. იმათ ეს სახელი არა სცოდნიათ. ჰომერი არ უჩვენებს არც აზიას, არც ქაეკაზიას, არც ქოლ-

[1]) Rech. sur les popul. du Caucase, p. 178—186.

ხიდას, არც პონტს, არც შაზს; ქოლხიდას ის იხსენიებს აეტის სამფლობელოდ. ჰეზიოდე უჩვენებს მხოლოდ შაზს. მართალია ორფეის არგონაეტიკაში, რომელშიაც იმას აუწერია არგონაეტების მოგზაურობა ქოლხიდაში და რომელიც მეთოთხმეტე საუკ. ცხოვრობდა ქრისტეს წინად, ქაეკაზია სახელ-წოდებულია, მაგრამ ესეც ეიცით, რომ არგონაეტიკა შემდეგ არის შეცელილი და დამატებული. ნამდვილი გეოგრაფიული ცნობა ჩვენ მხარეზე ბერძნებში იმ დროდამ ერცელდება, როდესაც მილეტელებს შავი-ზღვის პირად თავისი კოლონიები მოუფენიათ, ესე იგი, მეექვსის საუკუნიდამ. პირველად იხსენებენ ქოლხიდას და ქაეკაზიას ესხილი. შერესიდი და პინდარი, რომელნიც 550—500 წ. ცხოვრობდნენ. ამ დროსვე უჩვენებენ ბერძნები აზიას; ეს სახელი თავდაპირველად დაჰრქმეეია იმ ადგილს, რომელსაც შუბანის მდინარე ჰრწყაებს და მეოტიდის ანუ აზოეის ზღვის აღმოსავლეთად მდებარებს.

აქვს თუ არა აზიას დაკავშირება ქაეკაზიასთან? შინ ყოფილა ამ კავშირის მიზეზი? აი რა დაგერჩა ჩვენ გამოსაკვლეეი.... აქ ცოტა უნდა შეედგეთ და ორი შემთხვეევა ეუჩვენოთ. პელაზგების ზღაპარ-თქმულებით ეიცით, რომ უძველესი ინდო-ევროპიული ტომი, რომელიც ქაეკაზიის ჩრდილოეთით და მეოტიდის გარეშემო დასახლებულა, ყოფილან კიმმერიელნი. იმათ მოიხსენებს ორფეი იმ დროს, როდესაც, როგორც ზემოთ ეთქეით, ქაეკაზიის სახელი ჯერ ხსენებაში არ არის. იმათვე უჩვენებენ ძველ ტომად ჰეკატე მილეტელი და თვით ჰეროდოტე. იმ ადგილს, სადაც იმათ მჭიდრო საცხოვრებელი ჰქონიათ, ესე იგი ბირიმს, კიმმერია დაჰრქმეეია; თვით

აზოვის ზღვის გასაკალს ქიმმერიის ბოსფორად სახელ-სდებია. აქ ახლაც მრავალი სასაფლაოებია გორაკების მსგავსად აქა-იქ გაფანტული, სადაც ძველი საუნჯეა დამარხული ქიმმერიელების დროდამ. ქიმმერიელებს იხსენიებს თვით მოსე თავისს დაბადებაში XIV საუკ. ქრისტეს შობის წინ: ის იმათ ქავკაზიის გარეშემოვე ასახლებს. ქიმრები ანუ გომრები თავდა-პირველად აქედამ დაძრულან და ევროპის დასავლეთისკენ გამგზავრებულან, თუმცა არც ისტორიას, არც ზღაპრულ-თქმულებას ეს დრო არ ახსოვს. ეს უეჭველია, რომ ქიმრების შთამომავალნი არიან კელტები ანუ გალლები. ქიმრები თავისის ადგილ-სადგომიდამ განუდევნია სხვა უცხო-ტომს, სკვითებს, რომელთაც იმათთან ერთი მოდგმა ჰქონიათ, თუმცა ზოგნი უსაფუძვლოდ არ ამტკიცებენ, რომ სკვითებად იხსენებიან როგორათაც ინდო-ევროპიელნი ტომნი, აგრეთვე თვით თურანის მოდგმის ტომნი [1]. სკვითები ქიმმერიელების მოსაზღვრენი ყოფილან და ქავკაზიისა და ქასპიის ზღვის სამხრეთად და სამხრეთ-აღმოსავლეთად მდგარან. მოსე და ეზეკიელი სკვითებს უწოდებენ ბოგისა და მაგოგის ტომად, არაბები და სპარსები იაჯუჯებად და მაჯუჯებად. სკვითები ყოფილან გავრცელებული და მოძრავი ტომი. ძველი მწერლები იმათ გამოჰხატვენ ირანისა და ეფრატის ვაკეების მობინადრე ნათესავების დაუძინებელ მტრებად. ძველი თქმულება იტყვის, რომ სკვითების შესაკავებელად ქავკაზიაში ერცელი ქვით-კირის ზღუდე ყოფილა ამართული. სკვითები დაჰსხმიან ქიმმერიელებს, რომელნიც გაფანტულან სხვათა

[1] Empire de Tsars, II p. 530—554.

შორის მცირე-აზიაში. სკეითნი ძაეკაზიით დაჰსხმიან აგრეთვე ირანის ტომით დასახლებულს მიდიას. ამ შემთხვევას ჰეროდოტე და დიოდორე უჩვენებენ მეშვიდე საუკუნის მიწურე ბაში ქრისტეს შობის წინ. მიდიიდამ სკეითებს გადაუსახლებიათ ძაეკაზიის ჩრდილო-მხარეს იქაური კოლონია, რომელსაც საქართველოს წელთ-აღწერა ოსებად მოიხსენებს, უცხოტომთ წერილები-აზებად ანუ სარმატებად, და რომელთაც საშუალო საუკუნოებში უწოდნენ ალანებად. მიდიური შთამომაელობა ოსებისა უეჭველი ფაქტია. ისინი აქამომდე ისახელებიან ირონებად: თვით მიდიელები და ამათი მონათესავე სპარსები ირანები იყვნენ. აზიებად ისახელწოდებოდნენ ისინი, ბივანე-სენ-მარტენის გამოკვლევით, იმ ჰაზ-აზების სახელით, რომელნიც, როგორც ზემოდ ეთქით, ინდოეთში ცხოვრობდნენ და ჩვენი ოსების მონათესავე ტომნი იყვნენ. თვით ოსური ენა შეადგენს მიდო-სპარსულის ენის შტოს; ეს კარგად არის გამოკვლეული. მიდიის კოლონია გადმოსახლების შემდეგ ისე გამრავლებულა, რომ ძაეკაზიის ჩრდილო-ადგილებში ტანაისამდე ანუ დუნაის მდინარემდე გავრცელებულა. პლინი იხსენებს მიდიელებისა და სპარსების ტომს ტანაისის მდინარეზე; პტოლომე აგრეთვე ამ მდინარის შესართავში ასახელებს ოსსილიანებს. მეცამეტე საუკ. ქრ. შობ. შემდეგ მონგოლების ბატუ-ხანს და შემდეგ ყაბარდოელებს ისინი სრულებით შეუჭყლეტიათ ძაეკაზიის მთებში, სადაც აქამომდე ცხოვრობენ.... ეჭვი აღარ უნდა გექონდეს ამის შემდეგ, რომ ამ ოსებისაგან ანუ აზებისაგან უნდა იყოს სახელ-წოდებული ძაეკაზიის ჩრდილო-ადგილები აზიად და თვით ჩვენი თემი ძაეკაზიად, რომ იმათგან უნდა იყოს ეს სიტყვა მოტა-

ნილი მიდიით ანუ ინდოეთით. თუ ჩვენ მკითხველს არ დაჰ-ვიწყებია, ჩვენ ზემოდ გამოვიკვლიეთ, რომ აზიას და ევროპაზიას იმ დროდამ იხსენებენ ძველი ბერძნების მწერლები, რა დროსაც ოსები მიდიიდამ არიან გადმოსახლებულნი [1]).

IV

ბერძნების კოლონიები შავის—ზღვის პირად.—სტრაბონი.—როგორ გამოგვიხატავს სტრაბონი ქავკაზიის ადგილებს და ტომებს.—სტრაბონის იბერია და ალბანია.—ქსენოფონტეს სურათით მესხეთი.

ამას წინად ჩვენ მოვიხსენეთ მილეტელებისაგან „დაფუძნებული“ კოლონიები შავი-ზღვის პირად. ამ საგანზე ჩვენ სიტყვა არ გაგვიერცელებია, რადგანაც იმაზე მოლაპარაკება გვსურდა ცალკე დაწერილებით. ახლა ეს საგანი დაგვრჩა გამოსაკვლევი; იმას დაურთავთ ძველის დროდამ დარჩენილს კვალს ქავკაზიის მხარეში და აგრეთვე ქავკაზიის ტომთ ყოფა-ცხოვრებაში. აქ ალარ არის საჭირო იმ ფაქტის განმეორება, რომელიც გამოვიკვლიეთ და რომელიც, ეიმედოვნებთ, ჩვენს მკითხველს არ დაჰვიწყებია, ესე იგი საბერძნეთის განათლების დამყარება მცირე-აზიაში ბერძნებისაგან და უმეტესად მილეტელებისაგ, რომელთაც მე VI—VII საუ. ქრისტეს შობის წინ მოჰფინეს შავი-ზღვის გარეშემო თავისი კოლონიები და აქ გავრცელებული ალებ-მიცემობა ჰქონდათ. მილე-

[1]) Recherches p. 6—13, 40, 41, 145, 151, 152, 189. Klaproth Voyage au mont Caucase, II, p. 437—448. Tableau du Caucase, p. 66.

ტელების კოლონიები აქ ერთი მეორესთან იყო დაკავშირებული, ერთი მეორეზე მობმული. ლუბუა-დე-მონპერეს გამოძიებით, „იმათ ჰქონიათ დასახლებული ქალაქები ანუ კოლონიები ყველა დიდის მდინარის შესართავში, ყველა ზღვის მოხერხებულს ყურეებზე, ყველა ხეობის გამოსავალში. როდესაც ეს ქალაქები გამდიდრებულან, მაშინ ისინი მეტროპოლიებად ანუ დედა-ქალაქებად გადაქცეულან და თვითოეულს იმათაგანს აქა-იქ თავის გარეშემო მოუფენია მცირე კოლონიები ანუ სოფლები, რომელნიც აღებ-მიცემობაში ყოფილან გართულნი. ოლბია მდებარებდა დნეპრის და ბუღის შესართავში და ჰსცელიდა მიწის-მუშაკ—სკვითების მდიდარს სამკალზე საბერძნეთის ღვინოს და ნაყოფს. თანაისი იყო გაშენებული დონის შესართავში, იქ, სადაც ინდოეთის და სიმბირის ქარავანები იკრიფებოდნენ. თანაისი აღებ-მიცემობდა, სცელიდა ოქროს სიმბირის ბეწვეულობაზე, ინდოეთის ფარჩეულობაზე და სურნელ-სანელებელზე. ფანაგორია იყო დაფუძნებული ყუბანის შესართავში. იმისი ნავთ-სადგური დასცქეროდა პონტს, ქიმმერიის ბოსფორს და აზოვის ზღვას. აქ იკრიფებოდნენ აზიის ბოსფორიელნი, მეოტელნი და ყველა ტომნი ჩრდილო კავკაზიისა. პანტიკაპეამ, ბოსფორის მფლობელმა, მიიზიდა აღებ-მიცემობა თანაისის და ფანაგორიისა, ასე რომ ამათ ის ალიარეს თავის მეტროპოლიად. ტორიკოსი და ბატა მდებარებდნენ ბელენჯიკისა და სუჯუქ-ქალეს ყურეზე. ბოსკურია იყო აშენებული აფხაზეთის შუა-ადგილს: იმას პანტიკაპეის მარილი შეჰქონდა კავკაზიის მთიულებში; ნაცვლად იმისა აქედამ გაჰქონდა ტყავი და ხეა საკაჭრო. ფაზისი შეადგენდა საკაჭრო ქალაქს კოლ-

ხებისას; ის მდებარეობდა შაზის ანუ რიონის შესართაეში; იმას გაჰქონდა სელი, კანაფი, წმინდა სანთელი, ფისი, ტილო, ხეტყე, თაფლი. [1]). დუბუა ფიქრობს, ვითომც მილეტელებს კი არ დაეფუძნოთ ეს კოლონიები, არამედ გაეშენებინოთ, გაეახლებინოთ, რადგანაც იმათი საფუძველი მილეტელებზე ბევრით ადრე არისო დადებული [2]). ჰეროდოტეს დროს ამ კოლონიებს ჰქონდათ თავისუფალი გამგეობა, შემდეგ იმათ გაიჩინეს ტირანები ანუ მთავრები; სულ-ბოლოს მომატებული იმათი ნაწილი დაიმონჯვა პონტის მეფემ მიტრიდატმა. სტრაბონისა და სკილლაქს გეოგრაფის დროს, რომელიც მეოთხეს საუკუნის დამდეგში (ქრისტ. შობ. წინ) ცხოვრობდა, აქ კოლნიების გარეშემო, დონიდამ დაწყებული ვიდრე შაზამდე მკვიდრობდნენ შემდეგნი ტომნი: ა) სავრომატები—დონის პირად, ბ) მაეტები—აზოვის ზღვის ნაპირზე; გ) სინტები, რომელთაც ეპყრათ მთელი ნახევარ-კუნძული ტამანისა და ნაპირი შავის-ზღვისა ანაპამდე; დ) კერკეტები, ჩვენის დროს ნატუხელები; ესენი მკვიდრობდნენ ანაპის სამხრეთად ბელინჯიკამდე; იმათში იყო გაშენებული, დუბუას გამოკვლევით, ბერძნების ქალაქი ტორიკოსი, რომელმაც თავისი სახელი გადასცა თვით ზღვის ყურეს, ახლა ბელინჯიკს; ე) ახიელნი—ბელინჯიკის სამხრეთ—აღმოსავლეთით; ვ) ჰენიოხნი—ახიელების მომიჯნავედ და დიოსკურიის მოსაზღვრედ; ზ) კოლხები, რომელნიც ჰენიოხების მეზობლად ცხოვრობდნენ. მითქმის ამავე ტომებს იხსენიებს სტრაბონი და იმათ

---

[1]) Dubois de Montpéreux, Voyage autour du Caucase, t. I., 56. 57.

[2]) Ibid. 57, 58.

გარდა უჩვენებს იბერიელებს, ალბანებს, სონებს ანუ სვანებს და ზიხებს, რომელთაც ის ასახლებს ჰენიოხელებს და ახიელებს შორის. ამ ძველ სახელებში შემდეგ დროებამდე დაშთა მხოლოდ სახელ-წოდება კოლხებისა, სვანებისა და კერკეტებისა (ჩერქეზებისა). უძველესნი ამ ქაეკაზიის ტომნი არიან კოლხები და სვანები, როგორც წინა-სტატიებითვე ეიცით. ჩვენ გამოვიკვლიეთ, რა მოდგმის ტომად ჰრიცხვენ კოლხებს, იბერებს და სვანებს. ალბანელები იყვნენ ახლანდელის დაღისტანის მცხოვრებნი ალაზნიდამ მოყოლებული; მაშა სადამე სხვა და სხვა მოდგმას ეკუთნოდნენ. სტრაბონის აზრით, ჰენიოხები შეადგენდნენ ლაკონიის კოლონიას, რომელიც ქასტორს და პოლლუქს მოჰყოლია; ახიელნი ყოფილან ბერძნები, რომელნიც ტროადიდამ მომავალან და ზღვის ღელვას მიუტაცნია იქ, სადაც შემდეგ ისინი სახლობდნენ. საერომატებს და სინტებს ბექქი მიაწერს ინდო-ევროპიულს მოდგმას; პოტოცკი კი თავისს მოგზაურობაში იმათ ფინნებად იხსენიებს; ამ უკანასკნელს აზრზე დგას თვით დუბუა [1]).

„ახიელნი და ჰენიოხნი სახლობდნენ ღარიბს მთა-ადგილებში; იყვნენ ზღვის მეკობრენი; ხმარობდნენ ეიწროს და მსუბუქს ნავებს, რომლებსაც ბერძნები უწოდნენ კამარებად და რომლებშიაც თავსდებოდა 25—33 კაცი. დროითი დრო ისინი აღჭურავდნენ კამარებს, მიეპარებოდნენ დატვირთულს გემს ანუ ზღვის-პირის ადგილებს და ქალაქებს და სცრცვიდნენ იმათ; უკუ-იქცეოდენ რა ნატამალით, ზურგზე

---

[1]) Dubois Voyage, I p. 58, 63, 64, 67, 309.

წამოკიდებულის კამარებით მიემართებოდნენ ტყეში. იქ ცხოვრობდნენ და იკვებებოდნენ ღარიბის მიწის შემუშავებით. როდესაც დრო მოვიდოდა ზღვაში სიარულისა, მაშინ ისევ მეკობრობას მიჰყობდნენ ხელს. ამ გვარადვე იქცეოდნენ უცხო ადგილებში, სადაც კი იცოდნენ ტყის მდებიარება: იქ მიჰმალავდნენ კამარებს, ღამით ქვეითად დატანტალებდნენ და დღისით მოგზაურთ სცრცვიდნენ ანუ იტაცებდნენ გასასყიდად [1].“

რადგანაც მომატებული ფაქტები, რომელსაც ჩვენ აქ ვუჩვენებთ და შემდეგ შემოვიტანთ, სტრაბონის თქმულებაზეა დამყარებული, ამისთვის საჭიროდ ვრაცხთ თვით სტრაბონი ჩვენს მკითხველს გავაცნოთ. როგორათაც ჰეროდოტე, სტრაბონი ევუთნის მცირე-აზიას: ის დაიბადა პონტის ქალაქში, ამასიაში, ცხოვრობდა უკანასკნელის საუკუნის პირველს ნახევარში ქრისტეს შობის წინ და იყო თანა-მედროე რომის იმპერატორებისა—აგვისტოსი და ტიბერისა. სტრაბონმა მიიღო ჩინებული სწავლა. სტრაბონს უმგზავრნია სირიაში, ეგვიპეტში, საბერძნეთში და იტალიაში; მიმოუვლია აგრეთვე პონტის ქვეყნები და თვით იბერია ანუ საქართველო. თვით იმისი დედის ბიძა მოაფარნი ერთ დროს ქოლხიდის გამგებელი ყოფილა. როგორათაც ჰეროდოტე ითვლება ისტორიის მამად, აგრეთვე სტრაბონი ითვლება გეოგრაფიის მამად, ანუ პირველ გეოგრაფად. იმას შეუდგენია 27 წიგნი: იმათში ორი წარმოგვიდგენს აღწერას იტალიისას; სამი—საბერძნეთისას, სამიც—მცირე-აზიისას. სტრაბონით

[1]) Dubois, Voyage. I p. 67, 68. Эйхвальда Страбоновы извѣстія о Кавказѣ, Биб. для чт. XXX, стр. 150.

ეიცით მრავალი თქმულება ძველის მწერლებისა, რომელნიც დაკარგულნი არიან. რა ცნობაც თვით სტრაბონს შეუკრებია ქაეკაზიის მხარეებზე, იმ ცნობას ის შეუთანასწორებს ძველს გეოგრაფებს და ისტორიებს, ნამეტნავად ჰეროდოტეს, რომელსაც ის ჰხადის ამ ქვეყნების ცნობის წყაროდ. მსეც უნდა ვთქოთ, რომ სტრაბონის გეოგრაფიული ცნობა ქაეკაზიაზე ბევრით სრულია, ვიდრე ჰეროდოტეს თქმულება. სტრაბონის აღწერა მცირე-აზიისა და შავი-ზღვისა ჩვენთვის აქ საჭირო ალარ არის: ვისაც ჰ.ურს, იმას შეუძლიან ამ საგ.ნზე მიჰმართოს მიეიანე-სენ-მარტენის წიგნს Asie Mineure t. II, p. 370—411; აგრეთვე მიხვალდის სტატიას: Страбоновы извѣстія о Кавказѣ и Южной Россіи, რომელიც დაბეჭდილია რუსულს ჟურნალში Библіотека для чтенія, томъ XXX. ჩვენ ამ წყაროებიდამ და აგრეთვე ლუბუას თხზულებიდამ მხოლოდ იმ ცნობებს გამოეკრებთ, რომელთაც საჭიროდ ერაცხთ.

ქაეკაზია, სტრაბონის სიტყვით, არის შავის-ზღვის და ქასპიის ზღვის შუა მდებარე მთის ზღუდე. სამხრეთით იმის საზღვარს შეადგენენ ალბანია და იბერია, ჩრდილოეთით-სარმატიის ეკე-მინდერები. ქაეკაზია მდიდრად შემკულია ტყით და უფრო შენობაში სახმარის ხე-ტყით. როგორც ერათოსფენი ამბობს, ქაეკაზს დაჰრქმეია ქასპიის თემი კასპიელების ტომთაგან. ქაეკაზია განნაწილებს სამხრეთისკენ რამდენსამე შტოს, რომელნიც შეიცვენ საშუალო იბერიას და უკეშირდებიან სომხეთის და მესხეთის მთებს, აგრეთვე სკიდის და შარიადრს. მსენი არიან შტოები თაერის ზურგისა, რომელიც თვით შეადგენს სომხეთის სამხრეთს საზღვარს,

და, როგორათაც მოწყვეტილნი უმთავრესის ძირისაგან, მიემართებიან ქაეკაზიამდე და შავის ზღვის ნაპირამდე.

შემდეგ ამისა სტრაბონი გამოგვეხატავს ქოლხიდას. „ზღვის ყურეზე, პონტის აღმოსავლეთს კიდეზე მდებარებს დიოსკურია. აქამომდე ერცელდება ზღვით მსვლელობა. დიოსკურია შეადგენს დასაწყისს ქაეკაზ—ქასპიის ქედისას და აღებმიმცემს ცენტრს ყველა გარემო ტომთათვის. ზოგნი იტყვიან, აქ იკრიბებიანო 70, ზოგნი—300 ტომნი, რომელნიც სხვა და სხვა ენებს ხმარობენ, რადგანაც ცხოვრობენ ველურად ერთი-ერთმანეთის დამოუკიდებელნი. უმეტესი ნაწილი იმათი სარმატების მოდგმისანი არიან, მაგრამ ქაეკაზიის ტომნიც ყველანი დაიარებიან დიოსკურიაში [1].“ რა ადგილს მდებარებდა დიოსკურია, ამაზე სხვა და სხვას ამბობენ. დუბუა, მიხვალდი და როტტიერი დიოსკურიას უჩვენებენ ქოდორის მდინარის მახლობლად, იქ, სადაც ახლა არის ნავთ-სადგური ისკურია ანუ ცხუზამელი თუ მარმარა. ფრანცუზის მოგზაური ბამბა კი დიოსკურიათ ასახელებს სუხუმს. დიოსკურიას ძველად ჰრქმეევია აგრეთვე სებასტოპოლი. ისკურია ახლა სრულებით მოოხრებულია და გაეერანებული. ეიხვალდის სიტყვით აქამომდე დაშთენილა აქ ოდესმე მდიდრად აღყვაეებულის ქალაქის მოწმად მხოლოდ დანგრეული კოშკი. ისკურია მდებარებს რედუტ-კალეს ჩრდილოეთით [2]. დიოსკურია ითვლებოდა მეტროპოლიადა ნუ დედა-ქალაქად იმ რესპუბლიკისა, რომელიც ყოფილა გავრცელებული ქოდორის მდინარიდამ ინგურის მდინარემდე. დიოსკურიის

---

[1]) Страбон. извѣст. стр. 111.
[2]) Voyage autour du Caucase, t. I, p. 306, 307, 316. Страбон. извѣст. стр. 113.

გარდა უმთავრესს კოლონიებად ირიცხებოდნენ: ბევნოსი, აწ ტკვანასი მარკულაზე, Ilorri, ბედია, ჰერაკლეა ანუ ანაკლია. სჩანს, ამბობს Dubois, Diosqurias kai—ხანი დაუცვია თავისი შემძლეობა და გაელენა. ამას გვიმტკიცებს ქართლის-ცხოვრება. როდესაც ფარნაოზ მეფემ 299 წელს, ქრისტეს წინ, აზონი განდევნა და მთელი მხარე დაიპყრა, მაშინ იმან ვერ შესძლო დაჭერა მგურისა, ესე იგი იმ მხარისა, რომელიც ფაზიდამ ქოდორამდე მდებარებდა და რომელიც დარჩა ბერძნებისავე ხელ-ქვეეით [1]). როგორ მტკიცედ ყოფილან ამ მხარეში დამყარებულნი ბერძნები, ამას ამტკიცებს ზოგი-ერთი ბერძნული მანათები, რომელთაც ჩვენ დროამდე მოულწეეია და რომელნიც თვით ქოლხიდაში იჭრებოდნენ. ს.ამს ამ გვარს მანათზე ბერძნულის ასოებით მოხსენებულია: მესხეთი, ქოლხიდა, Diosqurias [2]). ამასვე გვიმოწმებს ახლაც მრავალი ნაშთი იმათის დროს შენობებისა. მთელი აფხაზეთი, სამეგრელო, ბურია და ზემო-იმერეთი ახლაც სავსეა სასახლეებისა და ციხე-სიმაგრეების ნანგრევებით. იმათში განსაკუთრებით შესანიშნავია ერთი ერცელი ქვითკირის ზღუდე. ამ-გვარი ზღუდეები იშვიათი არ იყო ძველად: მაგალით. ხერსონესში, ბოსფორში, ფრაკიაში და სხვაგან. Diosqurias ზღუდე იწყობოდა ზღვის პირად, სუხუმის მახლობლად, ახლანდელს ქელასურში, მიემართებოდა ქოდორის მხრივ, აფხაზეთის შუა-გულში ჰზღუდავდა ზემო-ხეობეებს მარკულისას და ბალაზგისას, გადადიოდა ბედიის ზემოდ და მიებჯინებოდა ენგურს ათანგელოს ზემოდ. სიგძე იმისი, რო-

---

[1]) Hist de la Géor. I p. 40. Dubois, Voyage... t. I. p. 308. 309.
[2]) Essai de classif. de suites monet. de la Géor. par Langlois, p. 12. 13.

გორც ამბობენ, 160 ვერსამდე ყოფილა. ადგილ-ადგილ იმას დატანებული ჰქონია კოშკები. მესამის საუკუნის დამდეგ ქრისტეს შობ. შემდეგ ამ ზღუდეს პტოლომე უწოდებს Καρτερον Τειχος-მაგარს კედელს. სტეფანე ბიზანტიელი მეექვსის საუ. დამდეგს იხსენიებს კორაქსიელების ზღუდედ. როდის უნდა იყოს ის აშენებული არ ვიცით: ეჭვი არ არის, ის აუშენებიათ ბერძნებს ძველადვე ალეკაზიის მთიულების შესაკავებლად [1]).

დიოსკურიას ორი გზა ჰქონდა გამართული საალებ-მიცემო. ერთი—ალეკაზიის ჩრდილო მხარესთან, მეორე—რიონით და საქართველოთ ინდოეთთან. პირველი გზა მისდეედა ხმელეთით. დიოსკურიიდამ დაწყობილი ის მიემართებოდა წებელს, იყოფოდა ორად, ერთი მისდეედა დალს, მეორე მიემართებოდა მარუხის დასავლეთით; შემდეგ ერთი მეორეს უერთდებოდა ზელენჯუხის ხეობაში და გადიოდა ჰიპ.ნის ანუ ტუბანის მდინარემდე. ეს გზა არის უძველესი გზა ალეკაზიისა, რომლითაც ბერძნებს შეჰქონდათ ჩრდილო მხარეებში განათლება და აღებ-მიცემობა. ახლაც მთელი ეს გაყოლება მოფენილია ძველის ქალაქების, სოფლების და სასაფლაო გორაკების ნაშთებით, რომელნიც უმაღლესს მთა—ადგილამდე იპოებიან. ამ გზით გაისტუმრა, 571 წ. ალანების მეფემ სროდიუსმა ზენარხი, ალსტანტინეპოლის ელჩი, რომელიც თურქის ხანთან იყო ალტაის მთაში და უკუიქცა თავისს ხელმწიფესთან. ამ გზას მენანდრი უწოდს დარიანის გზად [2]).

ალლხიდა, სტრაბონის სიტყვით, იწყობოდა თითქმის

---

[1]) Dubois, Voyage.. I p. 309.—312.
[2]) Dubois, Voyage. I p. 321, –326. Leheau, Histoire du Bas—Empire t. X p 69—71.

ტრაპიზონიდამ [1]). ქოლხიდაში მომდინარეობდა ფაზი. ეს სახელი ახლა ჰქვიან რიონს, რომელსაც ფაზის მთაში აქვს სათავე. სტრაბონი იმის სათაეეს უჩვენებს მესხეთის მთაში; სჩანს ეს ხანის-წყალია. ფაზით დაიარებოდნენ ნავები სარაპანამდე ანუ შორაპანამდე. სჩანს აქ ფაზად სტრაბონს მიაჩნია ახლანდელი შვირილა. ახლანდელს ფაზს ის უწოდებს თავის სათავიდამ ჭუთაისამდე ლლავ,ათ, ახლანდელს ცხენისწყ ლს კი ჰიპპად. ფაზის შესართავში მდებარებდა ქალაქი ფაზისი. ფაზი იყო საეაჭრო გზა იბერიისა და ალბანიისა. იქ, სადაც შვირილა და ძირულა ეერთდებიან ერთი მეორეს და სადაც სარაპანის ციხე-სიმაგრე მდებარებს,- პატარა ნავები ადვილად ადიოდნენ. სარაპანიდამ გზა მისდეედა შვირილას საჩხერის მაღლობამდე. ამ გზაზე ას ოცის ქვითკირის ხიდით ეაჭრები გადიოდნენ ერთის მხრით მეორე მხარეს. ინდოეთის საეაჭრო მოჰქონდათ შაეის ზღვისკენ ოქსუსის მდინარით. როდესაც პომპეი მიტრიდატს ებძოდა, მაშინ მარკ ვარროსთვის ეაძბნათ, ვითომც ეაჭრები შვიდი დღე უნდებოდენ ინდოეთიდამ ბაქტრიანამდე და იკარუს მდინარემდე, რომელიც ოქსუს ერთვის; აქედამ შემოდიოდნენ ქასპიის ზღვით ჩტკერის შაესართავში; აქედამაც ხუთს დღეს ხმელეთით მგზაეროობდნენ ფაზის მდინარემდე [2]).—სტრაბონი დიდად აქებს ქოლხიდის ხე-ხილს და თაფლს, რომელსაც ჰქონია რაღაც სიმწარე. ეს თაფლი თურმე ათრობდა კიდეც, რადგანაც ფუტკარი აქ იკვებებოდა მომატებულად მთის მცენა-

---

[1]) Asie Mineure, t. II, p. 387.

[2]) Страбон. изъѣст., стр. 112—113. Dubois, Voyage.. II, p. 71, 72. Montesquieu, sEprit des lois, 1860, p. 288. Klapr. Tableau du Cauo. p. 167, 171 at suiv.

რით, როდოდენდრონით ანუ, ჩვენებურად, იელით. ქოლხი- და მდიდარი ყოფილა შენობის ხე-ტყით. სტრაბონი აქებს აგრეთვე აქაურს სელს, კანაფს, წმინდა-სანთელს და ფისს. ბანთქმული თურმე ყოფილა აქ ტილო, რომელსაც ქოლხიდელები ამზადებდნენ და ყოველ მხარეს გაიტანდნენ. „მეით. მიჩები მოგვითხრობენ, განაგრძობს სტრაბონი, თუ რა დიდებული ყოფილა ეს მხარე: მიჩები გვიამბობენ იაზონის მოგზაურობას, რომელსალ აქედამ მიდიაში მიუმართავს, იაზონზე ადრე ივინი უჩვენებენ ფრიქსის გალაშქრებას. მეფეებს დაუყვიათ ეს მხარე თემებად და იმისის კეთილ-დღეობისთვის უზრუნვიათ [1].—

„იმ ტომთ რიცხვში, რომელნიც დიოსკურიაში ჩამოიკრიბებოდნენ, ცნობილნი იყვნენ კორაქსიელნი, შემდეგ წებელდელნი და განსაკუთრებით სონნი ანუ სვანნი. ქორაქსიელნი მუქარით უმზერდნენ დიოსკურიას თავისის მაღლობებიდამ, სადაც ქორაქსს ანუ ქოდორს სათავე აქვს. სტრაბონის დროს იმათ ჰყვანდათ მეფე და საგამგებლო კრება, 300 კაცით შემდგარი. იმათ შეეძლოთ სხვა ტომების შემწეობით შეგროვება 200,000 ჯარისა; ისინი განთქმულნი თურმე იყვნენ მეომრობით. იმათი საქმელი იყო რძე, ტყის მოსავალი და გარეული ხორცი. სტრაბონი ამბობს, რომ აქაურის მთიულების ადგილ-სადგომი ზამთარში შეუვალი იყოო; ზაფხულშიაც, როდესაც თოვლი ისევ იდო, ისინი ფეხ-საცმელად ხმარობდნენ კამბეჩის ტყავის განიერს ქალამნებს და დ-ტვირთულნი ჰცურავდნენ მარხილებით. იმათი

[1]) Страбон. извѣст. стр. 113, 114.

საეჭრო საგანი Დიოსკურიაში მარილი თურმე იყო [1])".
სვანები ცხოვრობდნენ ქაეკაზიის უმაღლესს ადგილებში, იქ, სადაც ახლა სახლობენ, და გავრცელებულნი იყვნენ სამეგრელოს მთა-მინდვრებამდე და Დიოსკურიის ჩრდილო—მაღლობამდე. სვანები იყვნენ ღარიბნი; პური მოჰყვანდათ იმათ მცირედ და უფრო ავაზაკობას მისდევდნენ. სვანები ხმაროობდნენ მშვილდ-ისარს დაშხამულს; მარტო ამ საწამლავის სუნი ჰბნედავდა ვინც რომ დაკოდილი არ იყო." Ეიხვალდი ამბობს, ეს დასაჯერებელიაო. Ამის საბუთად ის მოიხსენებს კამჩადალებს, რომელნიც ისრის წვერის დასაშხამავად ხმაროობენ მცენარეს aconiti napelli ისე, რომ თუ დაჭრილი ადგილი იმ-წამსვე არ გამოიწოვა, სიკვდილი მყისვე აუცილებელია. Ამ გვარი საწამლავი მცენარე უმაღლესს ქაეკაზიის მთებში მრავალი თურმეა. „Იტყვიანო—ამბობს სტრაბონი—სვანებს აქვთო ოქროს-ქვიშიანი მდინარეები. Ეს ბარბაროსები ოქროს ქვიშას აგროვებენ დაჩხვლეტილის პირუტყვის ტყავებით. Აქედამ წარმოსდგა თქმულება ოქროს რუნზე [2]) . . . .

Მოსხეთი ანუ მესხეთი შეიცავდა იმ ქაეკაზიის კუთხეს, რომელიც უერთდება ქლარჯეთის ანუ ახლანდელის Ახალციხის მთას. Ამ მთას აქვს მრავალი მაღლობები, რომელნიც ჰყოფენ ქოლხიდას და Იბერიას. ქართველები იმას უწოდებენ ლიხის მთად ანუ ბადოს მთად. Მესხეთი, სტრაბონის თქმით, დანაწილებული იყო ქოლხიდასა, Იბერიასა და სომხეთს შორის. Მესხნი იყვნენ დიაღ ალებ-მიმცემნი, კარგნი

---

[1]) Dubois, Voyage... t. I p. 309. 311.
[2]) Страбон. полист. стр. 114, 115, 116. Dub. Voyage... III, 9. 17, 18.

მიწის მუშაკნი და უმეტესად ვაზის შემმუშავებელნი [1]... სამასის წლით სტრაბონზე ადრე, როდესაც ქსენოფონტე 10,000 ჯარით სპარსეთით დაბრუნდა თავისს სამშობლო საბერძნეთში, იმან სამხეთით მესხეთის საზღვარი გ მოიარა და თავისის გზის აღწერაში რამდენიმე სურათი გადმოგვცა მესხების ყოფა-ცხოვრებაზე. ეს სურათი ღირსია შენიშვნისა: ჩვენის აზრით აქ უადგილო არ იქნება იმისი გამოკრება.

„როდესაც ჩვენ ჯარით მივედით მოსუნეხების საზღვარზე—ასე სწერს ქსენოფონტე—ჩვენ იმათ მიუგზავნეთ მათივე მეგობარი, ტიმესითე ტრაპიზონელი შესატყობლად, მეგობრულად მიგვიღებენ თუ არა. მოსუნეხებმა არ შეგვიწყნარეს: ისინი თავიანთის ციხე-სიმაგრეების მოიმედენნი იყვნენ. მაშინ ტიმესითემ გვითხრა, რომ დასავლეთის მოსუნეხები მტრობენო საზღვარზე მცხოვრებს მოსუნეხებს და, თუ შემწეობას დაჰპირდებით, იქნება საქმე მოხერხდეს. მართლა ასეც მოხდა: ჩვენ იმათ კავშირის პირობით შევეკარით. იმათ გამოგზავნეს სამასი ხის ღერის ნავი; თითო ნავში ისხდა სამი კაცი: ორნი იყვნენ მოვზადებულნი საომრად, მესამემ ნავი უკან წაიღო. მეორმარ მოსუნეხებს ერთ ხელში ეჭირათ ძელის ფარი, თეთრის ბეწვიანის ხარის ტყავით მოსილი, მოყვანილი სუროს მსგავსად; მეორეს ხელში ეპყრათ გძელი შუბი რკინა—წვერიანი; ტარის ბოლო ბურთიანი, სიგძით ექვსს წყრდამდე. იმათი ტან-საცმელი იყო სქელის ფარჩისა, რომელიც მუხლამდეც არა ჰფარავდა. თავზე ეხურათ ტყავის ჩაჩქანი ისეთი, როგორსაც პაფლაგონელები

[1] Dubois, Voyage... t. II p. 70, 71.

ხმარობენ: ჩაჩქანს შუა იყო ამართული გეირგეინის მსგავსად ფაფრის ნაწნავი. მოსუნეხნი აღჭურვილნი იყვნენ რკინის ცულებით. ერთმა იმათაგანმა იწყო სიმღერა; სხვებმა მისცეს ხმა; ყველანი წყობით შეიძრნენ, განელეს ელლინებს შუა და მიჰმართეს საბრძოლად იმ ადგილს, რომელიც უფრო ადვილი ასაღები იყო. ეს იყო წინა-ადგილი ქალაქისა, რომელსაც ისინი დედა-ქალაქად უწოდებენ. ქალაქში მდებარე-და უმთავრესი მოსუნეხების ციხე-სიმაგრე, პირველი მიზეზი განხეთქილებისა; ვინც იმას დაიჭერდა, ის იქნებოდა მფლობელი მთელის მხარისა. ელლინების მოკავშირენი ამტკიცებ-დნენ, ჩვენნი მოწინააღმდეგენი უსაფუძვლოდ ჰფლობენო ციხეს, რადგანაც ის საზოგადოდ მთელს მხარეს ეკუთნისო.... პირველ შებმაზე ციხეში მყოფთ სძლიეს. ამათ მკედრებს დასჭრეს თავები და თავიანთ მოწინააღმდეგე მოსუნეხებს და ელლინებს დაანახვეს ცეკვით და სიმღერით. მეორეს დღეს ბერძნებს და იმათ მოკავშირეებს ბედი ეწვია: იმათ აიღეს ქალაქი და ცეცხლს მისცეს. ამ ქვეყნის მეფე იმყოფებოდა ხის კოშკში, რომელიც მთის წვერზე იყო აშენებული; ის აქ იკვებებოდა საზოგადო ხარჯით; იმას მსახურობდნენ მცველნი. მეფემ უარ-ჰყო კოშკის დატვევება და დაილუპა ცეცხლში. მინც კი კოშკებში შეიხიზნენ, აგრეთვე ყველანი დაილუპნენ. ელლინებმა აიკლეს ქალაქი: აქ სახლებში ჰპოვეს გროვა პურისა დიაღ ძველი, რომელიც მოსუნეხების თქმით, მამას შვილებისთვის გადაეცა. ნახეს აგრეთვე ახალი პურის ძნები და თიხის ქვევრები, დამარილებულის ზღვის ღორის ქონით. ზოგი-ერთი ქვევრი იყო სავსე ამ თევზის ქონით; ქონს მოსუნეხები ხმარობენ ისე, როგორც

ელლინები ზეითუნის ზეთს. ამბრებზე ეწყოთ მრავალი წაბლი, რომელსაც ჰხარშვენ და ჰურის მაგიერად ხმარობენ. არის აქ აგრეთვე ღვინო, რომელიც უწყლოდ სასმელად მწკლარტია, წყლით კი გემოიანია და სურნელი.

„ბადასცეს რა ციხე მოკაეშირეთ, ელლინებმა განაგრძეს მოგზაურობა. იმათ გზაზე შეჰხვდათ მოწინააღმდეგების ქალაქები: ზოგი კიდეც დაცლილი იყო, ზოგი—თავის თავად დაჰნებდა. უმეტესი ნაწილი ქალაქებისა ერთი მეორეზე ოთხმოც სტადიაზე მდებარებდა. როდესაც ერთის ციხიდამ მეორეში ჰსურთ რაიმე აცნობონ, მაშინ ერთმანეთს გაჰკიეიან და ხმას აძლევენ: ასე მაღალ-მთიანია ეს მხარე. მოსუნეხნი არიან აგებულებით ნაზნი, თეთრნი და მსუქანნი, ზურგს იხატვენ სხვა და სხვა ფრად; წინა ტანზე ხმარობენ დალს ყვავილების მსგავსად. აქ მამა-კაცები დიდად მისდევენ დედათ სქესს. ბერძნის ლაშქრის კაცნი ამბობდენ, რომ ამისთანა ბარბაროსნი და ასე ზნეობით და შორებულნი ელლინებზე ჯერ არავინ შეგვხვედრიანო. მოსუნეხენი საზოგადოდ იმისთანა საქმეს კადრულობენ, რასაც სხვანი მალვით ჰსჩადიან“. [1]).

სტრაბონი ასე აგვიწერს თვით იბერიას. „იბერია, იმისის სიტყვით, შემოზღუდულია კავკაზიის მთის შტოებით სომხეთამდე და ქოლხიდამდე. იმათ საშუალ მდებარებს ვაკე-მინდორი, რომელიც ირწყვის მდინარეებით. იმათ შორის უდიდესია მტკვარი. მტკვარი იწყობა სომხეთში და ჩამომდინარებს ვაკე-ადგილებში; მტკვარს ერთვიან არაგუ'ი,

[1]) Asie Mineure, t. II p. 326 - 329.

რომელსაც სათავე ძაეკაზიაში აქვს და სხვა მდინარეები. მტკვარი ვიწრო შესართავით შედის ალბანიაში. ალბანიასა და ხომხეთს შორის ის არის გაშლილი, ჰრწყავს პოხიერს საძოვრებს და იერთებს ბევრს მდინარეებს; მაგალი თებრ, ალაზონს, სანდობანესს, როეტაკეს და ხანესს. ესენი სულ ნავით ს

ჩამომჩქეფარე მდინარეებით“. ეს აღწერა სტრაბონისა ნამდვილი სურათია იმ გზისა, რომელიც ახლაც ქართლიდამ ბერეთს გადადის სურამის მთით ანუ ლიხის მთით და შორაპნის მახლობლად მიემართება. ქუთაისს და ქუთაისს იქით რიონით ფოთს. აქაურს მდინარეებს თავისი სიმკვირცხლე აქამომდე არ მოჰკლებია; ძველის ხიდების ნანგრევებს ახლაც მრავალს პოულობს აქა-იქ მოგზაური. სტრაბონი ფაზისად უწოდს ფეირილას, თუმცა ეს სახელ-წოდება მითვისებული აქვს ახლანდელს რიონს. ესეც უნდა შეენიშნოთ, რომ ძველნი ბერძნების და რომაელების ბწერალნი ფაზისად უწოდებდებენ ზოგნი რიონს, ზოგნი ფეირილას, ზოგნი ჭოროხს [1]. მეორე გზა: „იმ ტომებთაგანი, რომელნიც ჩრდილომხარეს მთა-ბარობენ, მგზავრი სამის დღის განმავლობაში დიალ გაჭირებით მოგზაურობს; შემდეგ ის შედის არაგუსის მდინარის ხეობაში, სადაც ერთის დღის მაგიერად უნდება ოთხს დღეს. გზის დასასრული დაცულია მტკვრის ზღუდით.“ [2]. ეს გზა ის გზა არის, რომელიც ქავკაზიის შუა გულში გადის, მყინვარის მთის ძირში და ქობზე, რომელსაც ქართლის-ცხოვრება დარიალად ანუ დარიალანად ასახელებს, რომაელები—Pylae Caucasicae, Porta Alanorum, Porte des Alains, არაბები—ბაბალლანად, სომხები—ბერაპაბაკად (საქართველოს ზღუდედ) [3], რომელიც პლინის სიტყვით „არის ერცელი ბუნების ნაწარმოები, სადაც მთანი ეფ-

---

[1]) Страбоновы извѣстія, стр. 117—120. Brosset, Additions et Eclaircissements a l' Hist. de la Géorgie, 1851, p. 94—98.
[2]) Страбон. извѣст. стр. 120.
[3]) Brosset, Histoire de la Géorgie, t. I. p. 154, 155. Lebeau, Historie du Bas-Empire, t. VI, p. 268—271. 442; t. VII, p. 395—398.

ცრად განიპობიან, სადაც კარნი, რკინით შეჭედილის ხის ძელებით არიან შეზღუდულნი და იმათ ქვეშ მიილტვის მდინარე Dირიოდორისი, სადაც მახლობლად კლდეზე აღიმართება ციხე-სიმაგრე ქუმანია, აშენებული აურაცხელთ ტომთ შესაკაეებლად“ [1]). პლინის Dირიოდორიისი, სენ-მარტენის გამოკვლევით, არის Oერგი, ხოლო ქუმანია—Dარიალის სიმაგრე. პლინის აღწერას და სტრაბონის მტკიცე ზღუდეს ეთანახმება აგრეთვე ვახუშტისაგან მოხსენებული მეფის მირეანის მიერ აშენებული Dარიალი, რომელსაც მირეანმა „შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოსთათვის, რათა უმისოდ ვერღარა ეიდოდნენ“ [2]).—მესამე გზას სტრაბონი მოიხსენებს ყრუდ. Oმისის სიტყვით „ალბახიიდამ მთით გადის გზა კლდეში გამოჭრილი, შემდეგ გზა მიემართება ტბით, რომელსაც შეადგენს ქაეკაზიის მთიდამ ჩამომჩქეფარე მდინარე“. Oუ რომ ეიხვალდის აზრით ალბანიას Dაღისტანში დაეასახელებთ და თუ ალბანიას შეეერთებთ ეუბის მაზრას შამახიის ჩრდილო—ნაწილით, მაშინ სტრაბონის გზა ალბანიიდამ Oბერიაში უნდა მოეძებნოთ ეუბის სამხრეთით, იქ, სადაც გზა ეუბის მაზრიდამ გადადის შამახიის მაზრაში. Oქნება ის მდებარებდა უფრო ალმოსაელეთად, ეურთბულაყუს მახლობლად. აქ მთები ძალიან მაღალნი არ არიან და ხეობა მოგზაურისათვის გასაჭირი არ არის. Oრისაეე გზით ახლაც დაიარებიან შირეანიდამ Dაღისტანში. აქ ტბას არა ეპოეულობთ; იქნება სტრაბონი ეურეენებს

---

[1]) Brosset, Voyage archéologiqe dans la Géorgie et dans l' Arménie, 1849, 1 rapport, p. 96—93.

[2]) Oეოგრაფიული აღწერა საქართველოისა, 1842 გვ. 228. Saint-Martin, Mém. sur l' Armenie, t. II, p. 193, 194.

სამურს და ხეობა გადააქვს იმისს ჩრდილოდ, დერბენდისკენ.— მეოთხე გზას შეადგენს ვიწრო ხეობა, რომელიც იბერიიდამ ჩადის სომხეთში. სტრაბონის სიტყვით, სომხეთის ხეობანი მიემართებიან მტკვრისკენ და არაგვისკენ.... ორიენ ეს მდინარე მიმოუვლის ორს მაგარს ქალაქს, რომელნიც კლდეზე არიან ამართულნი და ერთი მეორეს თექვსმეტს სტადიაზე ჰშორავს. მტკვარზე მდებარებს ჰარმოზიკა, არაგვზე—სევმარა ანუ—სევსიმორა. ამ გზებზე სომხეთით იბერია პირველად განელო პომპეიმ, მეორედ—ძანიდიმ [1]. ეს გზა ახლაც უკეთესი სასიარულო გზაა: ის მიემართება ბეზაბდალით ქარაკიმიდამ ლორამდე, შემდეგ ახტალით—შულაევრზე და ბოლოს—ქოდით თბილისზე. იქ, სადაც არაგვი მტკვარს ერთვის, სადაც სტრაბონი ასახელებს ჰერმოზიკას და სევმარას, აქამომდე მდებარებს ნაშთი ძველის საქართველოს დედაქალაქისა, მცხეთა და იმისს არე—მარეში დაბნეულია აქა-იქ მრავალი ნანგრევები, რომელიც ჰმოწმობს სტრაბონის თქმულებას. სტრაბონის არმოზიკა, პლინის ჰარმასტიზი და პტოლომეს არმაკტიკა არის ქართლის-ცხოვრების არმაზის-ციხე, არმაზი, რომელიც ისახელებოდა ქალაქად და მახუშტის სიტყვით ახლანდელს ნაქულბაქევამდე იყო გავრცელებული. სევსამორა არ ვიცით რა სიტყვაა და საიდამ არის წარმომდგარი; იქნება ის იყოს შეცვლილი ქართული სიტყვა. ხენმარტენის გამოკვლევით სტრაბონი უწოდს ასე სამთავროციხეს [2].

---

[1]) Страбон. изъяст., стр. 121—122.

[2]) ბეოგრაფიული აღწერა, გვ. 194. Hist. de la Géor. t. I, p. 65. Mém. sur l' Arménie, t. II, p. 177, 178.

სტრაბონი მოკლედ გამოგვეიხატავს თვით შინაგანს იბერიის ცხოვრებას. იმისის სიტყვით ეხედავთ, რომ აქ ძველადვე დამყარებულა სახელმწიფო წესი და ხელოვნება წარმატებაში ერთი შესული ყოფილა. „იბერია დასახლებულია—ასე ამბობს სტრაბონი—ოთხის კასტით ანუ წოდებით, რომელნიც მეორესთან განსხვავებულნი არიან. უმაღლესი კასტა იყოფა ორად: პირველს ეკუთვნიან მეფენი და დიდებულნი, რომელნიც განსხვავდებიან შთამომავლობით და უხუცესობით; მეორეს ეკუთვნიან მსაჯულნი და სპათა გამგენი. მეორეს კასტას შეშვადგენენ სამღვდელონი; მესამეს—მიწის მუშაკნი; მეოთხე კასტად ითვლება დაბალი ხალხი, რომელიც მეფეთ სამსახურს ეწევა და განთავისუფლებულია ყოველისაგან საზოგადო მოხელეობისაგან. ეს კასტა დაყოფილია კომლებად ანუ სახლობად, სადაც ყოველი საცხოვრებელი საერთოა და სადაც უხუცესნი ბძანებლობენ და განაგებენ საქმეს.“

ეს სურათი სტრაბონისა გვიმტკიცებს, ლუბუა-დე-მონპერეს ფიქრით, რა ძველის ხნისა უნდა იყოს ფეოდალური არისტოკრატია ძაეკაზიაში, სადაც თითქმის აქამომდე შეუცვლელად ისევ იგივეაო.—სტრაბონი გვიჩვენებს აღყვავებულს მდგომარეობას იბერიისას. იბერია ალბანიაზე მომატებულად იყო შემკული ქალაქებით და მჭიდროდ მოფენილი ხალხით. აქ იპოვებოდა სახლები აგურით ხელოვნურად აშენებული, ბაზრები და საზოგადო შენობანი; კრამიტი საერთო ხმარებაში იყო. აქ ვაკე—მინდვრების მოსახლენი არიან გართულნი მიწის-შემუშავებაში, ტანთ იმოსებიან სომხურად და მიდიურად, არიან მშვიდობის მოყვარენი ვიდრე მთიულნი, რომელნიც სიმრავლით იბერიელებს აღემატებიან და რომელნიც ცხოვრობენ თავიანთ მო-

ნათესავე და მოსაზღვრე სკვითების მსგავსად და ბრძოლის ხმაზე ადვილად სტოვებენ თავიანთს სამკალს. ამ სურათს აპპიანი და დიონ ქასსიუსი პომპეის დროს დაურთვენ, რომ იბერიელთ საბრძოლო იარაღი იყოო ხელ-შუბი და შურდული; როდესაც იბრძოდნენ, მტერს ტყეში თურმე შეიტყუებდნენ და მალალის ხეებიდამ დაუწყებდნენ სროლას [1]. ეს სურათი ამტკიცებს, რომ სტრაბონს იბერია თვალით უნახავს და იბერიის ყოფა-ცხოვრება თვითონ გამოუკვლევია. იბერიად ის ასახელებს ახლანდელს ქართლს, ალბანიად—ძთელს დაღისტანს და აგრეთვე აწინდელს ქახეთს. ქართლი როგორათაც ძველად, აგრეთვე შემდეგ სწავლა—ხელოვნებით წინ იყო ქახეთზე. შეოდალურს წესს აქ ქართლის ცხოვრებაც ისე გამოგვიხატავს, როგორც გამოგვიწერს სტრაბონი. ამ საგანზე შემდეგ გვექნება საუბარი. შენობაში ხელოვნების გაერცელებას სპარსეთიდამ ქართლის—ცხოვრება მიაწერს ერისთავს არდამს [2].

„ალბანიას ჰსაზღვრავს, სტრაბონის აზრით, ალმოსავლეთით ქასპიის ზღვა, დასავლეთით—იბერია, ჩრდილოეთით—ქავკაზიის თემი ქერაუნის ვაკე—მინდერებამდე, რომელიც ზღვამდეა. ალბანიის სამხრეთად მდებარებს ვაკე-მინდერიანი და მთიანი სომხეთი, რომელიც შეადგენს ქამბიზის მხარეს. აქ სომხები იბერიელების და ალბანიელების მოსაზღვრენი არიან.“ [3], ამ აღწერიდამ სჩანს, რომ ალბანიას შეადგენდა, სენ-მარტენის განმარტებით, შირვანი და დაღისტანი [4], ანუ ბროსსეს სიტყვით, ქართველების ქახეთი და დაღისტანი.

---

[1]) Страбон. извѣст., стр. 117, 118. Dubois de Montpéreux, Voyage autour du Caucase, t. II. p. 49, 50. Hist. de la Géor. Introd. 1858, p. XIX, XX.
[2]) Hist. de la Géor. t. I, p. 77.
[3]) Страбон. извѣст., стр. 126. Mém. sur l' Arm., t. I, p. 214.
[4]) Hist de la Géor. Introd. p. X.

„ალბანიაში მიმდინარეებს მტკვარი (Cyrus), რომელიც სხვა მდინარეების შეერთებით ერცელდება და მიწას დიდად აპოხიერებს. მტკვრის შესართავში ზღვას მუდამ შემოაქეს ქვიშა, ასე რომ ახლო-მდებარე კუნძულები ერთი მეორეს უკავშირდებიან და ხმელეთს ერთვიან; ამისთვის აქ მსელელობა საშიშარია, უფრო საშიშარია იმით, რომ ზღვის ზვირთნი ამ ადგილს სცემენ. ამბობენ, ვითომც მტკვარი, ვიდრე ზღვას შეუერთებოდეს, თორმეტ სართავად განნაწილდებაო; ამათში ზოგი ქვიშით იმსება, ზოგი თუმცა ღრმაა, მაგრამ ნავთსადგურად უვარგისია. ეს ნაპირი ზღვით და მდინარეებით მოიფინება უმეტეს სამოც სტადიაზე, მაგრამ აქ იმას მისავალი არა აქეს. ამ ზღვის მოძრაობას ოთხმოც და ათ სტადიაზე გააქეს ქვიშა, რომელიც ალმართავს ნაპირზე ქვიშის გორაკებს. მახლობლად ზღვას ერთვის არაქსი, რომელიც დიდის სიმკვირცხლით მომდინარეებს სომხეთიდამ.“ ეს სურათი, მიხვალდის განმარტებით, ახლაც ეთანახმება ადგილობრივს მდებარეობას. მართალია, რომ მხოლოდ მტკვარი თავისის შტოებით ჭრწყავს და აპოხიერებს მთელს მაზრას; მართალია, რომ ყველა იმისი სართავები ისე შემცირებულა, რომ, როგორც ბულდენშტეტ ფიქრობს, არა თუ ხომალდები, თვით დიდი ნავებიც ძლიეს შემოდიან, ისეთი ნავები, როგორსაც სპარსელები ქასპიის ზღვაზე ხმარობენ. ამისთვისაც სტრაბონი შემცდარი არ არის, როდესაც იტყვის, რომ აქ კარგი ნავთსადგური არ არისო. სართავები აქამომდე უფრო და უფრო მცირდება: ქვიშა როგორც მდინარეს მოაქეს, აგრეთვე ზღვის ზვირთებს გამოაქეს. ძველად, იქნება თვით სტრაბონის დროს, ნაპირი უფრო თანასწორე იყო და დროითი—დრომდე ის

(ნაპირი) ზღვას შორს არ გაჰქონდა. ამისთვისაც სტრაბონს საფუძველი აქვს, როდესაც ამტკიცებს, რომ ზღვის ზვირთნი სცემენო ნაპირს უმეტეს 60 სტადიაზე (ანუ 10 ვერსზე მეტად). ახლაც მრავალი კუნძული ნაპირისა გვიმტკიცებს, რომ ზღვა უფრო და უფრო უკან იწევს და ამასთანავე კუნძულები ჩნდება ქვიშის გამო, რომელიც მტკვრის სართაველს შეაქვთ ზღვაში 15 ვერსამდე. შკვი არ არის, რომ სტრაბონის დროდამ მთელი ნაპირი, მთელი ნაყოფიერი დელტა მტკვრისა დიდად შეიცვალა, რადგანაც ყოველ-დღე იცვლება, ძველად ხომ უფრო დაბლა უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი მტკვრის სართაველი სრულებით დაიხშო ქვიშით. მაშა სადამე გასაკვირველი არ არის, რომ სტრაბონი აღრიცხავს 12 სართაველს, როდესაც ახლა ექვსსაც ალარ იხსენიებენ [1]).

სტრაბონი თავისს აღწერაში თვით ბუნების ისტორიასაც კი შაეხება ალბანიისას. ის მოიხსენებს აქ მორიელებს და ფალანგებს. „აქ არისო ისეთი ფალანგები, რომელნიც ზოგნი სიცილით ჰხოცვენო, ზოგნი—ცრემლით: იმათგან დაშხამული ადამიანი გრძნობსო მტკივნეულობას თავისის მოყვასისადმი.“ მართლა და მორიელი აქამომდე მრავალია ვრცელს იბერიის და ალბანიის ვაკე-მინდერებში, რომელნიც მტკვრით ირწყვიან, თუმცა ისე საშიში და ისე შხამიანი არ არის, როგორც სტრაბონი ფიქრობს და როგორც თვით ადგილობრიენი მცხოვრებნი შიშობენ, თუ რომ ნაკბენს ადგილს თავისს დროს ზეითუნი ზეთი მიასწარით... „აქ ბუნება ისე უხვია, რომ ალბანელნი არც კი ჰსაჭიროებენ ზღვის

[1]) Страбон. извѣст. стр. 122—124.

ალებ-მიცემაში, განაგრძობს სტრაბონი. Oეით მიწითაც ვერ სარგებლობენ ბგინი, როგორც რიგია. Oედა-მიწას აქ გამოაქვს ყოველ-გვარი ნაყოფი და მცენარე, რომელიც მუდამ ამწვანებულია. Oრაკინ იღებენ იმათის შემუშავებისათვის. რაც უნდა მიწის მოსავალი იყოს, ყოველიფე ალმომცენარეს აქ უთესველად და უხნავად, როგორც ამას ამტკიცებენ ვინც კი სამსახურის გამო იქ ყოფილა. Oრთხელ ჩაფლულს თესლს გამოაქვს ორი-სამი სამკალი, ერთს მარცვალს-50 მარცვალი. სახნავად ხმაროობენ ხის გუთანს და არა რკინისას. Oთელი ეაკე-მინდორი ირწყვის მდინარეებით და ნაკადულებით უფრო მეტად, ვიდრე ბაბილონი და Oგვიპეტი. ბალახი მუდამ მწვანეა, საძოვრად გამოსადეგია. ჰაერი ყოველთვის მრთელია. პირუტყვი, შინაური და გარეული, კარგად იკვებებიან.“ „Oლბანიელნი სხვა მთის ტომებზე ალმატებით არიან Oშვენიერნი და ტანოვანნი: არიან ფხიზელნი და ცხოვრობენ ბუნების მსგავსად; არ იციან ფულის ხმარება; სთელიან მხოლოდ ასამდე, თუმცა ალებ-მიცემობას დიდად მისდევენ. სხვას არას დასდევენ: არ იციან არც ზომა, არც წონა; უფიქრებელად იწყობენ ბრძოლას, საზოგადო საქმეს და მუშაკობას; ომობენ ქვევითნი და მხედრობით, როგორათაც სომეხნი; არიან მსუბუქად და მძიმედ შეიარაღებულნი; გამოჰყავთ მომატებული წყობა, ვიდრე იბერიელებს: 60,000-მდე ქვეითი ჯარი, 22,000-მდე-ცხენოსანი. Oმოდენა ჯარი გამოიყვანეს საბრძოლად პომპეისთან. Oლბანიელნი ხმაროობენ შუბს და ისარს, აბჯარს, ფარს და ჩაბალახს, იბერიელების მსგავსად. Oლბანიას ეკუთვნის აგრეთვე ძასპიანა. Oქედამ წარმოსდგა კასპიელების და თეით ზღვის სახელი.“ Oზა Oბერიიდამ ძველს Oლბანიაში

ანუ ᲓᲐᲚᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ, სტრაბონის სიტყვით, გაყვანილი იყო უწყლო ᲥᲐᲛᲑᲘᲖᲔᲜᲘᲡ მინდერით, რომელიც თვით ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲐᲛᲓᲔ მთიანი იყოო. ᲐᲡ ადგილი ᲛᲘᲮᲕᲐᲚᲓᲘᲡ ფიქრით უნდა უდრიდეს ახლანდელს ᲨᲕᲐᲓᲐᲠᲡ და ᲥᲐᲠᲐᲡᲝᲔᲡ, სადაც მხოლოდ ᲘᲝᲠᲘ მიმდინარეობს [1].

ᲐᲚᲑᲐᲜᲘᲐ—ის სიერცე, რომელიც მდებარეობს ᲘᲑᲔᲠᲘᲘᲡᲐ, ᲥᲐᲕᲙᲐᲖᲘᲘᲡᲐ და ᲥᲐᲡᲞᲘᲘᲡ ზღვის შორის,—დასახლებული იყო ყოველთვის მრავალთ მცირე—ტომთაგან, რომელნიც ერთი მეორესთან დამოუკიდებლად იყვნენ. იმათ შორის სტრაბონი იხსენიებს გელლებს და ლეგებს. ᲑᲔᲚᲚᲔᲑᲐᲓ ზოგნი ᲰᲮᲐᲓᲘᲐᲜ გლიგოელებს, ზოგნი გილანელებს. ᲚᲔᲒᲘᲡ სახელ-წოდება უჩვენებს ახლანდელს ლეკებს.—სტრაბონის დროს თეითოეულს ᲐᲚᲑᲐᲜᲘᲘᲡ ტომს ᲰᲧᲕᲐᲜᲓᲐ საკუთარი მეფე; ერთი იმათგანი ᲑᲫᲐᲜᲔᲑᲚᲝᲑᲓᲐ დანაშთენთ. ᲐᲚᲑᲐᲜᲘᲔᲚᲔᲑᲘ საუბრობდნენ სხვა და სხვა ენაზედ, რომლის რიცხვიც, სტრაბონის სიტყვით, იყო 26 [2]. „ᲐᲚᲑᲐᲜᲘᲔᲚᲜᲘ თაყვანს-სცემენ მზეს, ᲘᲣ�პᲘᲢᲔᲠᲡ და მთვარეს. ᲐᲛ უკანასკნელის ტაძარი აშენებულია ᲘᲑᲔᲠᲘᲘᲡ საზღვარზე. სამღვდელო პირი, რომელიც აქ მსახურებს, შემდეგ მეფისა ყველაზე მეტად პატივ-ცემულია. იმას უპყრია უპირველესი ადგილი სამლთო ნადიმში; ის ᲑᲫᲐᲜᲔᲑᲚᲝᲑᲡ სატაძრო მაზრაში, რომელიც არის ეცრელი და დიდად დასახლებული. ზოგნი სატაძრო მსახურთაგანნი ღვთაების შთაბერვით წინასწარ-მეტყველობენ. იმათში ვინც მომატებულად აღიესება ზენარის მადლით, ის იწყებს ტყეში ტან-

---

[1]) Страбон. извѣст. 124—125.

[2]) Тамъ же, стр. 125, 127. Mém. sur l' Arm., t. I, p. 217, 218.

ტალს; ამ დროს მღვდლის ბძანებით იმას სტაცებენ ხელს და ნაკურთხის ჯაჭვით შეჰკვრენ. წლის განმავლობაში იმას უხვად აძლევენ საჭმელს; ბოლოს მთვარის დღეობაში სხვათა მსხვერპლთა შორის დაჰკვლენ; აი რა გვარად. მინც ამ ხელობაში მომატებულად გამოცდილია, ის ხელით მპყრობელი ცულისა, რომელიც განგებ ამ-გვარ საქმეში იხმარება, გამოდის ხალხის შუა-გულიდამ და დასცემს ცულს გვერდით მკერდში. როდესაც მსხვერპლი დაეცემა, ის იმისის შინაგანიდამ ამოიღებს საწინასწარმეტყველო ნიშანს, რომელსაც ხალხს დაანახვებს. მასუკან გვამი მიაქვთ დაწესებულს ადგილს, სადაც თვითოეული იმას გადააბჯენს ცოდვის განსაწმენდელად". ლუბუა-დე-მონპერე, რომელსაც ეს სიტყვები გამოუწერია სტრაბონიდამ, დიდს მსგავსებას უჩვენებს ამ ჩვეულებისას მაერის ტომში და აგრეთვე ჩუდო-ფინნებში, რომელნიც ბალტიის ზღვის პირად სახლობენ და რომელთაც, იმისის სიტყვით, დამოკიდებულება ჰქონიათ ოდესმე იმ ფინნებთან, ქაეკაზიისა და მაერიდის მთებში რომ შეხიზნულან [1].

V

შძველესს უცხო-ტომთ კვალი ქაეკაზიაში. — ამ კვალს ეპოვნულობთ ენებში, სხვა და სხვა გეოგრაფიულს სახელ-წოდებაში, სარწმუნოებაში, ზნეობაში და ყოფა-ცხოვრებაში.

ყოველივე, რასაც კი ცხოველად უწოდებთ, დედა-მიწა,

[1]) Voyage autour du Caucase, t. VI, p. 13—15.

მცენარე, პირუტყვი, ადამიანი და თვით ადამიანის ზნეობა და ყოფა-ცხოვრება, ყოველივე ეს არის ნაწარმოები ანუ შედეგი წარსულისა. წარსულს ფორმებს ანუ ორგანიზმებს უშობნია აწინდელი ფორმები; აწინდელი ფორმები ჰშობენ მომავალს ფორმებს. ასე დაუწესებია პირველ-საუკუნოდამ-ე გამოუკვლეველს ძალას. მთელს ბუნებაში არა არის რა, რომ შემდგარი ან გაუქმებული იყოს: ყოველივე მოძრაობს, დროს განმავლობაში იცვლება. ძარგია თუ ავი, სასარგებ-ლოა თუ მავნებელი, ის თავისს კვალს არა ჰკარგავს. რამდენ-ადაც მეცნიერება წარმატებაში შედის, იმდენად ეს აზრი უფრო და უფრო ცხოველდება. ბუნებითი ისტორია გვი-მოწმებს, რომ ძველი ბუნების ფორმები ახალს ფორმებში გადასულა, თუმცა იმათში ჩვეულებრივი გონება ვერა მსგა-ვსებას ვერ შეჰნიშნავს; ფიზიოლოგია გვიმტკიცებს, რომ აწინდელი კაცობრივის ნათესავის ტიპი ანუ აგებულება სულ სხვაა, ვიდრე ძველად. შედარებითი ენათ-სწავლა გვარწმუ-ნებს, რომ არ არის ხმელეთზე ენა, რომ იმ მდგომა-რეობაში იპოვებოდეს, რა მდგომარეობაშიაც დაბადებულა: ძველადვე თვითოეულს ენაში დაშთენილა მხოლოდ წინაპა-რის ენის ფესვები და გრამმატიკული აგებულება. ამ ბუნე-ბის წესს ექვემდებარება თვით მთელის ადამიანის ტომი, რომელიც დაახლოებით, დაკავშირებით, დამონაევებით ერთი ტომი მეორე ტომში გადაშენდება, ერთს მეორეში შეაქვს თავისი ელემენტი, თავისი თვისება, თავისი ზნეობა. სადა აქვს თვითოეულს ტომს დასაწყისი, როგორ მომდინარეობს იმისის ცვლილების სვე, რას ანუ ვის ჰქონია იმაზე მომატე-ბული გავლენა, ამის გამოკვლევა ან შეუძლებელია, ან

ძნელია. აქ საჭიროა ფაქტები, იმათი შედარება ერთისა მეორესთან, თვით ამ ფაქტების ისტორია, რომელიც თითქმის არც ერთს ტომს არ უკრეფია, არ დაუცავს.... ჩვენ არ ვიცით ბრსად მხარე, რომელსაც იმდენი გაელენა გამოეელოს ძველის დროდამ, რამდენიც ჩვენს ძაეკაზიას გამოუელია. მიზეზი არის იმისი გეოგრაფიული მდებიარება, იმისი განვითარებული ბუნება. ძაეკაზია მდებარებს—თუ ნება გვექნება ასე ვთქვათ,—თვით აზიისა და ევროპის შარა-გზაზე. ძაეკაზია უალმატებულესად შემკულია ყოველის-გვარის კლიმატით, ყოველის-გვარის მცენარით, მიმზიდაეის ადგილ-მდებარეობით; ის არის მდიდარი და უხვი მდინარე-წყლებით. იმას ჰსაზღვრაეს: ევროპის მხრივ შავი ზღვა, აზიის მხრივ ქასპიის ზღვა. მრაეალი მოძრაობა, ემიგრაცია აზიიდამ ევროპაში ძაეკაზიით იყო. აქ თეითოეული ნათესავი თაეისს მოგზაურობაში ანუ სამუდამოდ მკვიდრდებოდა, ანუ დროებით ბინადრობდა და თაეისს კეალს ადგილობრივ სტოეებდა. ამისთეისაც ეს მხარე ძველადეე სახელ-წოდებული იყო მრაეალენოიან. მთად. ჰეროდოტეს სიტყვით, ძაეკაზია შეიკაედა დიდძალს ტომთ რიცხვს; ბერძნების და რომაელების მწერლები აღრიცხვენ 300-ზე მომატებულს ტომს მხოლოდ იმათ რიცხვში, რომელნიც დიოსკურიაში ჩამოიკრიფებოდნენ. პლინი გვიმოწმებს, რომ იმისს დროს რომაელებს აქ 130 მოთარგმნე ჰყოლიათ. აქ ეძებდნენ საზოგადოდ ყველა ტომთ ფესეს და შთამომაელობას. ერთს დროს აქედამვე უჩვენებდნენ ისტორიკნი მთვლის მსოფლიოს გაშენებას. ეს იყო მიზეზი, რიტტერის სიტყეით, რომ ხმარებაში შემოვიდა სახელ-წოდება „ძაეკაზიის მოდგმისა“ (Кавказская раса; Race-caucasienne),

რომელსაც მიჰსთვისებენ მთელის ევროპიისა და აზიის უმეტესის ნაწილის მცხოვრებთ [1])... შემდეგ ამისა ეჭვი აღარ უნდა გექონდეს, რომ უცხო-ნათესაეთ ქაეკაზიაში ბინადრობის სახსოვრად მრაეალი კვალი უნდა იყოს აქამომდე დატეეებული ჩვენს მხარეში: ესე იგი, ქავკაზიის ტომთ ენებში, ადგილებისა, მთებისა და მდინარეების სახელ-წოდებაში და თვით ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. ეს საგანი დიად ღირსია ყურადღებისა. საუბედოდ უნდა ეთქვათ, რომ იმას ჯერ ისტორია არ შეეხებია. შეეხნენ მხოლოდ გაკვრით ზოგიერთნი, მეტადრე ქლაპროტი, ეიეიანე-სენ-მარტენი და ლუბუადე-მონპერე: ამათ უჩვენეს უცხო-თესლთ კვალი ქაეკაზიაში: ქლაპროტმა ენებში, სენ-მარტენმა—გეოგრაფიულს სახელწოდებაში, ლუბუამ—ზნეობაში და ყოფა-ცხოვრებაში. ამათში უაღრესად ღირსია ყურადღებისა ლუბუა, რომელსაც ამ საგნის წყაროც თვითონვე აღმოუჩენია: ჰომერის ილიადა და ოდისსეა და სხვა მწერლების თქმულება, აგრეთვე აკლდამეები პანტიკაპეაში, სადაც მრაეალი ძველის ყოფა-ცხოვრების საგანია დამარხული. ეს ყველა ლუბუამ თვითონ გაჩხრიკა, გაარკვია, შეადარა ახალს და ძველს ყოფა-ცხოვრებას და თაეისი აზრი ამ საგანზე თაეის Voyage autour du Caucase-ში ჩაურთო. თვით ქლაპროტის Voyage au Mont Caucase-ში ისე ამ მხარის აღწერა არ არის შესანიშნაეი, როგორათაც Langues du Caucase, რომელიც იმას თაეისის მოგზაურობის მეორე ტომში შემოუტანია და რომელშიაც ის გამოიკვლეეს, რომელს ქაეკაზიის ენაში რა უცხო ტომთ

---

[1]) Риттеръ, исторія землевѣдѣнія, стр. 81—82. Vir. S—Mart. Rech. sur les popul. du Cauc. p. 98, 136.

სიტყვები იხმარება. ჯერ კიდევ დაჭეშმარიტებით არ ეიცით, რამდენი დედა-ენაა კავკაზიაში: ზოგნი უჩვენებენ ექვსს, ზოგნი შვიდს: ოსურს, ქართულს, ლეკურს, ქისტურს, თურქულს ანუ თათრულს და ჩერქეზულს; თვითოეული ამ ენებთაგანი იყოფა რამდენსამე შტოებად. საიდამ არიან იგინი წარმომდგარნი, სად რა რიგად არიან გავრცელებულნი, ამ საგანზე გვექნება ერცელი საუბარი თავ-თავისს ადგილსს. ახლა მხოლოდ ამას ეიტყვით, რომ კავკაზიურს დედა-ენებში კავშირი არა არის რა. ლეკური, ქისტური, ჩერქეზული ენები უნდა ეკუთნოდნენ თურანულის ენის მოდგმას; იმათი ლექსიკონი არის საესე ამ მოდგმის ენის სიტყვებით. ლეკურში და ქისტურში მომატებული სიტყვები არის სამოედური; ჩერქეზულში ნაკლები. მარდა ამისა იმათში იპოება თურქული, კირგიზული, ეოგულური, ეოტიაკური, ოსტიაკური, ჩუვაშური, ფინნური; იპოება აგრეთვე, თუმცა ნაკლებ, შვედური, სპარსული, სლავიანური, ნემეცური, ლათინური, ანგლიური, არაბული, ქურთული, ისლანდური: ლეკურს ენაში აქამომდე ხმარებაშია, სხვათა შორის, ჰუნნური სიტყვები ადილლა (ატილლა იყო ჰუნების წინა-მძღომელი ანუ მეფე მეხუთეს საუკუნეში), მსკა (მსკამა იყო ატილლას ქალი). თურქული ენა თითქმის მთლად შეიცავს ტობოლის თურქების (სიმბირში) და ქოსტანეპოლის თურქების სიტყვებს. ჩერქეზული და აფხაზური ერთის ფესვიდამ მომდინარებენ, როგორც ამტკიცებენ ბულდენშტეტი, ლუბუა და ლუი მიეიანი, თუ შეადგენენ სულ სხვა და სხვა ენებს, როგორც გვარწმუნებენ პალლასი, ძლაპროტი, ბელი და ლუ-

ლიე, ამაზე დარწმუნებით ვერას ვიტყვით [1]). ოსური ენა ძველი ალანების ანუ ირანების ენაა, ესე იგი ინდო-ევროპიულის მოდგმისა; ოსური ლექსიკონი წარმოგვიდგენს სპარსულს, ფეჰლევურს, ნემეცურს, სლავიანურს, სანსკრიტულს, ქართულს, არაბულს და ეოტიაკურს. მომატებულია: მიდოსპარსული, ნემეცური და სლავიანური; ყველაზე ნაკლებია— არაბული და ეოტიაკური. ქართული ენა შეიცავს: სანსკრიტულს, სპარსულს, ზენდურს, ქურთულს, ფეჰლევურს, ესტონურს, ბერძნულს, ლათინურს, სომხურს, ნემეცურს; შეიცავს აგრეთვე: მანჯურულს, სამოედურს, ეოგულურს, თურქულს, მონგოლურს, ფინნურს, ჩინურს. ამათში მომატებული სიტყვებია სპარსული და სომხური [2]). რომლის ენის მოდგმას ეკუთვნის ქართული, ამაზე მეცნიერებას ჯერ უკანასკნელი სიტყვა არ გამოუთქვამს; მაქსი-მილლერი თავისს გამოკვლევაში ძაეკაზიის ენებზე ქართულის ენის გამო ირყევა, დარწმუნებით არას ამბობს. წარჩანებული ბოპპი და სხვანი კი არ ეჭვნეულობენ, რომ ძაეკაზიაში ოსური და ქართული, ძაეკაზიის გარედ—სპარსული, თაჯიკური (ბუხარიაში), სომხური და აეგანური ეკუთვნიან ინდო-ევროპიულს ანუ ირანულს მოდგმას [3]...

ამას წინად ჩვენ კიდეც გექონდა საუბარი თვით ძაეკაზიის სახელ-წოდების წარმოებაზე. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ „ძაეკაზია“ მოტანილია ძველად აზებისაგან ანუ ასსებისაგან

---

[1]) Journal d' une Résidence en Circassie par James Stanislas Bell, 1841. t. I, p. XXXVII. II; t. II. 234, 366. Klapr. Voyage au mont Caucase. t. I, p. 201; t II, p. 417.—Люлье, Записки Кавк. отд. Русс. Геогр. Общ. кн. IV, стр. 184.

[2]) Klaproth. Voyage au Mont-Caucase, t. II, p. 289—577.

[3]) Вѣстникъ Европы, 1867 г. сент. Очерки этнографіи Кавказа Кавалевскаго, стр. 137,—140.

(ოსებისაგან) ინდოეთით, სადაც ეს სიტყვა აქამომდე ხმარებაშია. ეს სახელ-წოდება ჩვენ მხარეს შესთვისებია აქამომდე სამუდამოდ და აქედამ აღარსად გავრცელებულა, რადგანაც მოძატებული ნაწილი აზების ტომისა აქვე დამკვიდრებულა. ჩვენ ისიც გამოვიკელიეთ, რომ თვით „აზია", პირველად პელაზგებს — შემდეგ იმათის გადმოსახლებისა საშუალო-აზიიდამ — მიუთვისებიათ ერთის ადგილისთვის მცირე-აზიაში; მასუკან ასე დაჭრქმეეია ჩრდილო მხარეს კავკაზიისას და აქედამ მთელს აზიას მოჰფენია. საიდამ არის მოტანილი თვით სახელ-წოდება ელბრუსისა, ჩვენ ესეც გამოვიკელიეთ. Mavda — პირველად ქართველები და სომხები ახლანდელს Ararატს უწოდებენ ნასისად. ძველი მნიშვნელობა ამ სიტყვისა ჰნიშნავს ფრიად მაღალს. სანსკრიტულს ენაზე ითქმის mah ანუ mahat (აქედამ წარმოსდგა ქართული მაღალი), ლათინ. magnus, ზენდურად mas, ბერძნულად μέγας, μασσων, გოთურად mees, ანგლიურად most, ებრაულად masal. ასე უწოდდენ ჯერ Mavრის ქედის ნაწილს, რომელიც ჰყოფს სომხეთს და მესოპოტომიას. აქვე უჩვენებდნენ სხვა და სხვა მაღალს მთებს, სადაც ნოეს კიდობანი შემდგარა. მასისი შემდეგ დროებში მიჰსთვისებია აწინდელს Ararატს [1]. ქართველები კავკაზიის ქედს უწოდებენ სხვა სახელსაც, რომელიც დიალ ლირსია შენიშვნისა: ეს სახელია თემი. როდის მიუთვისებია თემი ქართულს ენას ან როგორ შეცვლილა იმისი ნამდვილი მნიშვნელობა, ჩვენ ამაზე ცნობა არა გვაქვს. ეს-კია, რომ თემი ხშირად იხმარებოდა საბერძნეთში,

[1] Vir. S-Mart. Recherches... p. 3, 81. Saint-Martin. Mém., sur l' Arm. t. I. p. 48, 262 et. suiv.

თვით სომხეთში და ჰნიშნავდა სამხედრო მაზრას ანუ პროვინციას. ის არის წარმოშდგარი ბერძნულის სიტყვიდამ Θέμα [1]).

ზემოდ ნაჩვენების სახელების წარმოება და გეოგრაფიული გავრცელება უეჭველია. ამასვე ვერ ვიტყვით იმ სახელ-წოდებაზე, რომლის ისტორიულ სვეტაც ახლა გამოვიკვლევთ. ზოგიერთზე ნამდვილად სჩანს, რომ სწორედ შორიდამ არის მოტანილი, მომატებული კი ეჭვე ქვეშ არის: ესე იგი დარწმუნებით არ ვიცით-ესა და ეს სახელი მართლა უცხო სახელ-წოდებაა, თუ ადგილობრივ ნაშობია. შეუძლებელიც არის ითქვას ეს ასეთა, ასე უნდა იყოსო: იმათ დასაწყისს, როგორათაც ყოველის-ფრის დასაწყისს, ისტორიის წინა—დროთ წყვდიადში აქვს თავისა ფე' ვი... თუმცა ჩვენ შეეუდგებით ამ საგანს, მაგრამ შეეიძლებთ ამის გამოკვლევას თუ არა, ამისი თქმა არ შეგვიძლიან. თვით მკითხველისათვის მიგვინდვია ამისი დაფასება.

შიწყობთ იბერიიდამ. ეს სახელი ერქვა ძველად საქართველოს, ანუ უკვე ვთქვათ, იმის ნაწილს. სულ ძველად იბერიას არც ჩვენი წინა-პარები ხმარობენ, არც უცხო ტომნი. ჰეროდოტემ ის არ აცის. მხოლოდ პირველის საუკუნიდამ ქრისტ. შობ. წინ შემოდის ის ხმარებაში, ესე იგი იმ დროდამ, როდესაც პომპეი ებრძოდა პონტის მეფეს მიტრიდატს. შემდეგ ამისა რომაელებში და ბერძნებში ის საზოგადოდ იხმარება. მარტო საქართველოს არა აქვს მითვისებული იბერია: იბერიად იწოდებოდნენ ევროპაში ისპანია და აგრეთვე ირლანდია [2])... ჰეროდოტეზე ადრე იხმარებოდა

[1]) Asie Mineure. t. II, p. 455. Mém. sur l' Arm.. t. I, p. 28, 93, II, p. 470.
[2]) Rech. p. 63 – 65.

იბერის მაგიერ ტიბარი, ტიბარელნი, მაგრამ ამ სახელ-წოდებით Ორფეი და ᲐᲛᲡᲜᲝᲤᲝᲜᲢᲔ ᲐᲜᲘᲨᲕᲜᲔᲜ შავი-ზღვის პირად იმ ადგილს, რომელიც მცირე-აზიაში ᲗᲔᲠᲛᲘᲓᲝᲜᲘᲡ მახლობლად მდებარებდა. სტრაბონი ტიბარენებად ასახელებს ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲘᲡ აღმოსაელეთად მცხოვრებს ჭანებს ან ლაზებს. ᲑᲐᲠᲓᲐ ამისა ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ზღვის სამხრეთით უჩვენებენ ტაპირებს-მაზანდერანში-ᲢᲐᲑᲔᲠᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ [1]). ჩვენ ვფიქრობთ, რომ იბერი, ტაპირი, ᲢᲐᲑᲔᲠᲘᲡᲢᲐᲜᲘ ერთის ფესვიდამ არიან წარმომდგარნი. მიეიანე-სენ-მარტენის აზრით თვით იბერი და იმერი ერთი და იგივეა: იბერიც, იმერიც ᲐᲜᲘᲨᲕᲜᲔᲜ „იქით—მხარეს“, „მხარეს—იქითს“ ინდო-ევროპიულს ენებში. ᲐᲛ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ წარმოადგენენ: სანსკრიტულში upari, ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲨᲘ ὑπέρ, გოთურში over; თვით სემიტერს ენებსაც კი შეუთვისებია ეს სახელი: ებრაულის .eber-ის მნიშვნელობა არის „იქითი“ [2]). ჩვენ, ქართველები, დარწმუნებულნი ვართ, ვითომც ᲥᲐᲠᲗᲚᲘ წარმომდგარი იყოს „ᲥᲐᲠᲗᲐ-ᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜ“. მაგრამ სხვანი სხვა გვარ ფიქრობენ. შოპენი ამტკიცებს, ქართლი და კელტი ერთი და იგივეაო [3]). ᲗᲣᲛᲪᲐ შოპენი დიალ უცნაური მწერალია, მაგრამ ეს აზრი იმისი არ უნდა იყოს უსაფუძველო, როდესაც მოვიგონებთ, რომ ზოგიერთს ᲬᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ, იმათ შორის მიეიანე-სენ-მარტენს, ქართველების შთამომაველობა კელტების მოდგმის ფესვიდამ გამოაქვთ.— ზემოდ დავასახელეთ მცხეთის მახლობლად ძველი ციხე-სი მაგრე ᲐᲠᲛᲐᲖᲘ. ᲐᲠᲛᲐᲖᲘᲡ პირველი წყარო უნდა იყოს ᲝᲠᲛᲣ-

---

[1]) Rech... p. 57—60.
[2]) Ib. p. 64—66.
[3]) Новыя Замѣтки на древнія исторіи Кавказа, 1866, стр. 273.

ზდი, Ორმუზი, სპარსების ღმერთი, ანუ უზენაესი ღვთაება. Ორმუზდად იწოდებოდა აგრეთვე ქალაქი და ნაეთ-ს-დგური Შარსის მახლობლად სპარსეთში. შესაძლებელია, რომ სპარსეთით იყოს Არმაზი შემოტანილი ქართლში [1]). Თვით Თბილისსაც ეჰპოეულობთ უცხო-ქვეყნებში. Tibilis-ი ძველად მდებარებდა ნუმიდიაში, იმ ადგილს, სადაც თბილი წყალი ამომდინარებდა მიწის გულიდამ. Ბარდა ამისა ბოლემიაშია ქალაქი Ტეპლიცი: ის არის წარმომდგარი სლავიანურის სიტყვიდამ теплo, რომელიც ეკუთვნის ერთს და იმავე ფესვს, როგორათაც ლათინური tepidus [2]).—Დიაღ ღირს-შესანიშნავი სახელ-წოდება არის ქოლხიდა, რომელიც ერქვა ახლანდელს Იმერეთს შავი-ზღვის პირის მხარეებითურთ. Ამ სახელ-წოდების ისტორიას სხვა და სხვა გვარ გვიამბობენ. ზოგნი იტყვიან, ეითომც ქოლხიდა ძველად ყოფილიყოს Აფრიკის მხარეში Ლიდიაში [3]). Ბითიუმს (ბიჭვინტას) ასახელებენ Ეგვიპეტში სუეზის არხის მახლობლად, რომელიც გაუთხრია სეზოსტრისს [4]); თვით ბათუმს უჩვენებენ Ლიდიაში [5]), Ენგურს ქალაქს მცირე—Აზიაში [6]). Თუ რომ სეზოსტრისის მოსელა შავი-ზღვის მხარეებში და იმისაგან აქ დასახლება ეგვიპტელების კოლონიისა ისტორიული ფაქტია, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს ისიც, რომ ეს სახელ-წოდება: ქოლხიდა, ბითიუმი, ბათუმი და სხვანი იმათის დროდამვე და იმათაგანვეა აქ დაარსებული. Თვით Დიოსკურია, მილეტელების დედა-ქალაქი აწინდელს Აფხაზეთში, მო-

---

[1]) Макса Мюллера, наука объ языкѣ., стр. 154 157. Ethnog, caucas., p. 99. Diction. univ. Bouillet, II. p. 1,316.
[2]) Klaproth, Voyage... II. p. 2.
[3]) Ethnog. caucas., p. 197, 198, 215.
[4]) Ibid. p. 120.
[5]) Ibid. p. 201.
[6]) Asie Mineure, III, p. 554.

ბეგეგონებს ჰერკულესისაგან ნაშობს დიოსკურებს [1]. ჰორი, ჰური ეგვიპტურს ენაზე ჰნიშნაედა მზეს. ამბობენ, ვითომც ასე ისახელ-წოდებოდა ძველად მთელი სიერცე ბაბილონიდამ მოყოლებული ვიდრე ქოლხიდამდე, ვითომც აქედამ წარმოსდგა ქალდეველების ჰური, რომელიც ძველ-მცნებაშია მოხსენებული, და საქართველოს ჰურია ანუ ბურია [2]. როგორათაც უცხო ტომთ მწერალნი, აგრეთვე ქართლის-ცხოვრება ხან და ხან ქალდეად უწოდებენ, სხვათა შორის, ერთს ნაწილს საქართველოსას, ლაზისტანს ანუ ჭანეთს [3]. მსოფლიო ისტორია ქალდეად ასახელებს იმ ერცელს იმპერიას, რომელსაც დედა-ქალაქად ჰქონდა ბაბილონი. რიტტერი და სხვანი ამტკიცებენ, ვითომც ქალდეველთ ენის კვალი დაშთენილი იყოს აქამომდე ქურთულს ენაში [4]. ესეც არ უნდა დაეიეიწყოთ აქ, რომ მოროდე-ზონნეს სიტყვით, ბაბილონის ქალდეველთ პირველს ადგილ-სადგომს ციცერონი ასახელებს ალეკაზიის მხარეში [5]. თვით ჯანს, ჭანს, და აგრეთვე სოანს, სვანს, მოროდე-ზონნესი ეგვიპეტშივე უჩვენებს [6]. იმისის სიტყვითვე ეფიოპიის ანუ ლიბიის მაკრობები და საქართველოს მაგრები ანუ მეგრები არიან ერთნი და იგინიენ; ერთნიც და მეორენიც თავდა-პირველად ცხოვრობდნენ კლდის ქვაბებში და, ორფეის თქმულებით, „იყვნენ მდიდარნი და ბედნიერნი, ცოცხლობდნენ უვნებელად ათასს წლამდე, იკვებებოდნენ თაფლით და ღმერთების საჭმელით [7].

---

[1]) Ethnog., p. 67.
[2]) Ibid. p. 174.
[3]) Lebeau, Hist. du Bas-Emp., t. VI, p. 297; XIII, p. 74.
[4]) Ethnog. caucas., p. 427.
[5]) Ibid. p. 415.
[6]) Ibid. p. 201, 202.
[7]) Ibid. p. 180, 186—187, 215. 368.

სომხეთის Арменія არის დიალ ძველი სახელ-წოდება. ზენდურს ენაზე ის ითქმის Eéiriémeno, Aériamâ, სპარსულზე Armen. ზოროასტრი ამ მხარეს იხსენიებს დიდის ქებით, და ამბობს, რომ ისე ადვილად არსად დაფუძნდებაო სჯულის კანონი, როგორათაც ამ მხარეში. Ამტკიცებენ, ვითომც Арменія იყო თვით ზოროასტრის სამშობლო მამული და აქვე თურმე დაარსდა თავდა-პირველად იმისი სარწმუნოება [1]. Арменіაში გამოიხატვის arya, როგორათაც ოსების ირონში, როგორათაც სპარსეთის ირანში, როგორათაც ქართულს რანში [2], როგორათაც Алованში ანუ Алованში, რომელშიაც რღ-თ და ლ-თ არის შეცვლილი [3].

Кавказის მდინარეები თუ უფრო ცხოველად არა, ნაკნლებ არ გვიამბობენ თავისის სახელწოდებებით თავისს ისტორიულს მნიშვნელობას და გეოგრაფიულს გავრცელებას ერთის მხარიდამ მეორეს მხარეში. Ეს საგანი უფრო უკეთაც არის გამოკვლეული Вивіанე-სენ-Мартенისაგან. შევდგეთ ჯერ მტკვარზე. Ასე უწოდებთ ჩვენ, ქართველები, უმთავრესს საქართველოს მდინარეს. Სპარსნი და ბერძნები კი უწოდდნენ Куръ. Თუ ჩვენ ყურადღებით გავარკვევთ მტკვარს და Куръს, ჩვენ უეჭველად დავრწმუნდებით, რომ ორივე ეს სიტყვა ერთის და იმავე ფესვიდამ არიან ალმოცენილნი. Სულ ძველად Куръ უწოდდნენ მრავალ მდინარეებს სპარსეთში და აგრეთვე Месопотоміაში. Ამ სიტყვის ფესვი არის ინდო-კელტური, სემიტურის ენებისაგანაც შე-

---

[1] S-Mart. Mém. sur l' Arm., t. I, 269.
[2] Ibid. p. 270—276. М. Мюлл. наука объ языкѣ, стр. 183.
[3] Тамъ же.

თვისებული. ინდო-კელტური khur, ებრაული khour, სომხური khuria, ლეკური hor, khor, ouor ჰნიშვნენ თხრას, სილრმეს. აი საიდამ არის წარმომდგარი ქური და არა სპარსეთის მეფის ქიროსის სახელიდამ. ამ სიტყვაშიეე უნდა ჰქონდეს თავისი დასაწყისი თვით ქართულს სიტყვას „ჩქარა“ [1]). იქვე აქვს ფესვი ოორს: ებრაული iaôr ანუ ior, კოპტური iaro, ისლანდური sjor ჰნიშვნენ მდინარეს. შინაური სახელ-წოდება მდინარისა არის khoub ანუ kob, გავრცელებული ქაეკაზიის სამხრეთით და ჩრდილო-სამხრეთით, როგორათაც Houpan-is და Houpa-kour-is, რომელსაც ჰეროდოტე ასახელებს პონტ ევქსინის ჩრდილოეთით; Houpanis-ი დარჩენილია ქამომდე უუბანის სახელ-წოდებაში; ძველი ქოლხიდის Khobos არის ხოპი [2]). ვიეიანე-სენ-მარტენი ამასაც ამტკიცებს, ეითომც თვით Mergi და ჯორეხი ერაგის ფესვიდამეე იყენენ წარმომდგარნი; მხოლოდ ეს არისა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ ეს სიტყვები შეუცვლიათო, გაურყვნიათო. [3]).

ერაგვის ფესვი არის ზენდური და სანსკრიტული arg, რომელიც ჰნიშნავს სისწრაფეს, მომდინარეობას. ერგი არის მოტანილი ირანო—კელტებისაგან და იმათგან გავრცელებული ევროპაში. ფალახიაში არის Arghisch; იტალიაში იყო Orgus, გადაქცეული ახლა Orco-სად; ფრანციაშია d'Argens, d'Argent, d'Argue, Arc და სხ. ისპანიის იბერიაში იპოება Aragon. ვიეიანეს სიტყვით, „ეინც კი ქაეკაზიის იბერიელებში და ისპანიის იბერიელებში ერთს შთამომაელობას ეძებდნენ,

---

[1]) Rech .. p. 132—134.
[2]) Ibid. p. 103 104.
[3]) Ibid. p. 130—131.

იმათ სხვა საბუთების გარდა მოჰქონდათ ისპანიის არაგონის მსგავსება საქართველოს არაგვთან. მართლა და მსგავსება ცხადია. მაგრამ ეს მსგავსება ამტკიცებს მხოლოდ, რომ არაგონი და არაგვი ერთის საზოგადო ფესვიდამ არიან ნაშობნი [1]. იმავე წყაროდამ არის აღმოცენილი არაქსი, რომელიც ისტორიაში და გეოგრაფიაში უფრო მეტად არის უწყებული, ვიდრე არაგვი. არაქსს სომხები უწოდებენ ერასხს, ქართველები რახს, არაბნი, თურქნი და სპარსნი—არას ანუ რას. ძველად არაქსი გაერცელებული იყო მთელს აღმოსავლეთზე, ბაქტრიანიდამ დაწყობილი სპარსეთის ყურემდე, სპარსეთის ყურედამ ძავკაზიამდე. სტრაბონის სიტყვით თვით მესალიის უმთავრესი მდინარე იყო არაქსი. ახლანდელი მურა-ჩაი, რომელიც ევფრატის უდიდესს შტოს შაადგენს, იწოდებოდა აგრეთვე არაცანად, არაძანიად, და არის მიქცეული არაქსივე [2]. სულ თავდა-პირველად არაქსად ის მდინარე თურმე ისახელებოდა, რომელსაც ერქვა ჯიღონი (აწინდელი ამურ-დარია) საშუალო-აზიაში და სადაც უჩვენებენ ინდო-ევროპიელების მოდგმის უძველესს საშობლოადგილს [3]. სახელ-განთქმული ძოლხიდის ისტორიაში შაზი მოგვაგონებს ერაის ოთხს მდინარეთაგანს, რომელნიც მოსეს თქმულებით ჰრწყავდნენ სამოთხეს, ესე იგი ფიზონს. შაზი არის ინდო-კელტური სიტყვა, თუმცა საზოგადოდ ფინნურს ენებშიაც კია მიღებული; სანსკრიტული visan ჰნიშნავს წყალს, სინოტიეს, ბერძნული πεῖσα—რწყვას, სიგრილეს, πεῖσος—ადგილს,

---

[1]) Rech. p. 124, not, 126—130.
[2]) Ibid. p. 131—132.
[3]) Ethnog. Caucas. p. 175, 195.

რომელიც წყლის ნაკადულით ირწყვის, ποσω—სმას. ნემეცური wasser, ანგლიური water არის წყალი. იგივე მნიშვნელობა აქვს ჩრდილო-ფინნურს vesi ანუ vessi, ვენგრულს—fis, ჩერქეზულს-pzéh, psé ანუ psi. მდინარეს ჰიფასის უჩვენებენ ინდოეთის პენტოპამიაში; პტოლომე შაზისს ასახელებს Ceილანის კუნძულზე; პოზანი მოიხსენებს Ოფისსვე არკადიაში. Ოფისსვე ეპოვულობთ ჩვენ ჰანეთში ანუ ლაზისტანში. ბოროხი და აგრეთვე Ararქსი თავიანთ სათავეებში იწოდებოდნენ შაზად. ამ სიტყვეიდამვეა წარმომდგარი ბაზიანი ანუ შაზიანი, რომელსაც უჩვენებენ Ოსმალეთის საქართველოში ბიზანტიის ისტორია და ქართლის—Cხოვრება [1]. ჩერქეზეთში არის ერთი მდინარე, რომელსაც ჰქვიან შარ-დანი, Ოსეთში Aრე-დონი, Qარაბულახის მხარეში შარ-ტანი; სულ ძველად შარ-დონი Qუბანს თურმე ერქვა. ამ ორის ლექსის შეკავშირებაში დიდ მნიშვნელობას პოულობს ბიეიანე-სენ-მარტენი. აი რას ამბობს ის ამ საგანზე: „Mაედა-პირველად შემოტანილია აქ var, თუმცა არ ვიცით რომელ ტომს შემოუტანია ის... შემდეგ დიდი დრო გადის. ქაკაზიას მოესევა ალმოსავლეთით სხვა უცხო ტომი, რომელიც პოულობს აქ var-ს. მაგრამ ამ უცხო-ტომს თავისი საკუთარი სახელი აქვს, თავისი სახელ-წოდება მდინარისა; ეს სახელ-წოდება არის don, რომელსაც დაურთავს var ს. ამ დროდამ იწყობა var-don-ი ანუ var-dan-ი. ბადის კიდევ დიდი დრო: შარდანს მოაწყდება Qრალის მთით სხვა უცხო-ტომი, რომელიც შარდანს შესცელის Qუბანად და Qუბანი დაშთება აქამომდე." შარ-დონი—

[1]) Rech... p. 104—107.

თუმცა შეცვლით—გავრცელებულია თვით ევროპაში. Var არის კელტური სიტყვა: ირანულად, სპარსულად და ახალ-ქურთულად bârân ჰნიშნავს წვიმას; ეს მნიშვნელობაევ აქვს პეჰლევურს baran-ს, ოსურს waran-ს ანუ ouaran-ს. Oვით don ანუ doun ჰნიშვნენ წყალს, მდინარეს. სანსკრიტულად არის dhounî, ბერძნულად δίνη, ოსურად don, doun, ლიტვურად, ლივონიურად oudens, ირლანდიურად dinïm [1]).

„ძაკაზიის ტომნი, დუბუას შენიშვნით, წარმოგვიდგენენ იმ ერთს იშვიათს მაგალითებთაგანს, რომელთაც აქამომდე შეურყეველად დაუცვავთ ძველი ყოფა-ცხოვრება. რაც ათასის წლის წინად ქრისტეს შობამდე ყოფილა, რაც სტრაბონის დროს ყოფილა, იგივეა ახლაც. როდესაც თქვენ აქ შესდიხართ ხეობაების შუა-გულში, სადაც უცხო-ტომთ გავლენას არ უმოქმედნია, თქვენ ცხადად ჰხედავთ უძველესს ზნეობას და ჩვეულებას. Oუ თქვენ ყურადღებით გამოიკვლევთ ყოფა-ცხოვრებას ქართველთ-კოლხთ შთამომავლობისას, რომელიც ფაზისა და ენგურის სათავეებში ცხოვრობს, შეუძლებელია თქვენ თვალ წინ არ აღსდგეს ჰომერის დროება, ჰომერის Ilიადის სურათები. მაგრამ არც ერთს ისტორიის წინა-დროთ ტომს არ დაუმარხავს იმოდენად ძველი ყოფა-ცხოვრება, როგორათაც ჩერქეზის ტომს [2]).“ ეს ასეც არის. აი ამისი დასამტკიცებელი საბუთები:

ბამოკვლეულია, რომ Oაერის ფემი (Uირიმში) ყოფილა დასახლებული ფინნის მოდგმისაგან იმ დროს, როდესაც ძაკაზიის ჩრდილო-მხარეს პირველად მოს-

---

[1]) Rech... p. 113—128.
[2]) Voyage, t. I, p. 108.

დგომია ინდო-ევროპიული შთამომავლობა, რომელსაც შეადგენდნენ კიმმერიელნი ანუ კიმრნი. Oაერის ფინნები ისტორიაში ცნობილნი არიან თაერებად ანუ მთიულებად (toira ასსირიულს ენაზე ჰნიშნავს მთას) [1]. Oაერების ღმერთი ყოფილა, როგორც ჰეროდოტე მოგვითხრობს, ქალწული, თაერებისაევ სიტყვით სახელ-წოდებული Oფიგენიად. Oფიგენიის ტაძარი ყოფილა აღმართული მაღალს კლდის ქედზე; იმას მსხვერპლად უცხო თესლის კაცებს და ტუვიებს თურმე სწირავდნენ; იმათ გვამებს ზღვაში თურმე ჩასტყორცნიდნენ კლდიდამ და თავებს კი, კეტებზე აგებულებს, მოიტანდნენ შინ და აქ სახლებზე გარედამ მიჰლურსმავდნენ. Oფიგენია მიუთვისებიათ ბერძნებს, რომელთაც იმისთვის უწოდებიათ Dიანა. Dიანას ისინი მსხვერპლად ყმაწვილებს თურმე უძღვნიდნენ. Oფიგენია ანუ Dიანა თავისის რიგით შესულა თვით ძაეკაზიაში და სხვა მხარეებში. ჩეჩნები და ლეკები, რომელნიც ყოფა-ცხოვრებით მომატებულად ტაერელებთან დაახლოებულნი 'არიან, განსაკუთრებით უცხო-ტომთ მტრობენ; ჩერქეზნი ჰხოცდნენ ეოველს უცხო-ქვეყნის კაცს, რომელიც კი იმათ ხელში ჩაუვარდებოდა. „Oმათ ღმერთა ქალწული იგივე იყო, რაც იყო სომხების Aნაჰიდი ანუ Oენერა-მთვარე: სამღთო წესი იბერებისა და ალბანებისა წარმოადგენდა აგრეთვე ტაერების წესს: ალბანები, სტრაბონის სიტყვით, თაყვანს სცემდნენ მზეს, Oუპიტერს და მთვარეს (Aნაჰიდს), რომლის ტაძარიც აღმართული იყო Oიბერიის საზღვარზე და რომელ-

---

[1] Dubois, Voyage, t. IV, p. 12

საც დაწესებულს დღეს, საზოგადო ყრილობაში მსხვერპლად ადამიანს შეწირავდნენ. [1]). ჩვენის აზრით კოლხებსაც იგივე წესი უნდა ჰქონიყოთ, რადგანაც იმათი თაყვანის-ცემის საგანი იყო ისევ მზე, სახელ-წოდებული რეად [2]). დუბუას სიტყვით, სარწმუნოების მსგავსება უფრო ცხადია თავრებში და ბალტიის ზღვის პირის ჩუდო-ფინნებში, რომელნიც იყვნენ განთქმულნი მეკობარნი და იწოდებიან კურნებად, ლივებად და ესტებად. იმად ის ჩვეულება ჰქონდათ, რომ თუ ვინმე იმათ სარწმუნოებას არ აღიარებდა, იმას ისინი ცეცხლში დაჰსწვავდნენ,—და ომში ტყვედ დაჭერილს მსხვერპლად შესწირავდნენ თავიანთ ღმერთს. ეს მსგავსება იმას გვიმტკიცებს, ამბობს დუბუა, რომ Mაერო-ქაეკაზიის ფინნება და ბალტიის ზღვის პირის ჩუდო-ფინნები ოდესმე ერთმანეთთან დაკავშირებულნი უნდა ყოფილიყვნენ [3]). ქართულს სარწუნოებაზე თვით ქართლის-ცხოვრებაც ეთანხმება სტრაბონს. ქართლის-ცხოვრება გვიამბობს, რომ ორის საუკუნის წინ ქრისტეს შობისა ქართველები „მსახურობდნენ მზეს, მთვარეს და ხუთს ვარსკვლავს,“ რომ ისინი თავიანთ უმაღლესს ღმერთად ჰრიცხავდნენ არმაზს, რომელიც იყო სომხების არამაზტი, სპარსების Mრმუზდი, „წარმომადგენელი მზისა ანუ ცეცხლისა“, რომ იმათ ჰყვანდათ მოგვნი „მზის მსახურნი.“ ამასაც კი იტყვის ქართლის-ცხოვრება, რომ ქართველები იმ დროს ადამიანის ხორცის მჭამელნი იყვნენო [4]).

---

[1]) Dubois, Voyage, t. IV, p. 10—20.
[2]) Ethnog., p. 315.
[3]) Voyage, t. VI. p. 14—15.
[4]) Hist. de la Géor.. t. I. p. 33—34, 100—101. S-Mart. Mém. sur l Arm., t. 1, p. 306.

ლუბუას სიტყვითვე „ქაეკაზიის ტომნი მუდამ ეელტოდ-ნენ დრუიდიზმს ანუ ტყის თაყვნის-ცემას. დრუიდიზმი ქაეკაზიაში შეუკავშირდა საქრისტიანო ალსარებას. აქ არ არის თითქმის არც ერთი ეკკლესია, არც ერთი სალოცავი ადგილი, რომ დაჩრდილებული არ იყოს ძველის ხეებით, რომელთაც შიშით და მოწიწებით ეპყრობიან. აფხაზეთში, სადაც მომატებული კვალია დაშთენილი ქრისტიანობისა, ვიდრე ჩერქეზეთში, ხალხს აქვს საკუთარი სამლოცო ტყეები. პროკოპი დარწმუნებით გვიამბობს, რომ იმის დროს (მე VI საუკ.) აფხაზნი თაყვანს-სცემდნენ ხე-ტყეებს, რომელნიც ღმერთებად თურმე ირიცხებოდნენ [1]). ახლა თითქმის მთელს ქაეკაზიაში, თვით საქართველოში, სახატო ხე-ტყეს ვერაფინ გაჰბედავს ხელი შეახოს, შიშის გამო, რომ განრისხებულმა ხატმა ის არ დაჰსაჯოს... სად უნდა იყოს ფესვი დრუიდიზმისა? ჩვენ ვიცით, რომ ძველად ხეების თაყვანი გავრცელებული იყო ინდუსებში, სპარსებში, ბერძნებში, სკანდინავებში. მეოთოეული ამ ტიმებში თაყვანს-სცემდა რომელსამე ხეს: მუხას, ლელეს და სხ. ბანსაკუთრებით განსხვავებული იყო შგვიპეტი, სადაც, როგორც სჩანს, დრუიდიზმს დასაწყისი უნდა ჰქონდეს. აქ სამლოცო ხეები ხშირად იპოვება ნილოსის ეაკე-მინდვრების ძეგლების მხატრობაში. პლუტარხის სიტყვით, სიკომორის ლელეის ხე ოზირისის ღვთის ხე იყო და პირველდასაწყისს საშობლოს წარმოადგენდა [2]). როგორც ახლა ნამდვილად არის გამოკვლეული, ოზირისი იყო ღვთად

---

[1]) Voyage., t. I. p. 134--135.
[2]) Ethnog., p. 387—389.

შერაცხული ეგვიპტელების მეფე სეზოსტრისი [1]). რომელიც ცხოვრობდა მე XIV საუკ. ქრისტეს წინად, სახელ-განითქვა თავისის სამხედრო მოგზაურობით და სხვა ქვეყნების დაპყრით, რომელმაც ადამიანთ ასწავლა, როგორც გვარწმუნებენ, სხვათა შორის, ღვინის კეთება [2]), რომელმაც, ჰეროდოტეს თქმულებით, შაზის მდინარეზე დაასახლა ეგვიპტელების კოლონია, საიდამაც შთამომაველობენ ვითომც კოლხიდელები, რომელმაც დაპყრობილს მხარეებში გააშენა ქალაქები, იმათ შორის თვით კოლხიდაში ეა, შემდეგ აარხეოპოლი ანუ ნაქალაქევი [3]). შესანიშნავი ეს არის, რომ სეზოსტრისის სახელი აქამომდე დაშთენილია ძველ-აზიის ზეპირსიტყვიერობაში, რომელშიაც თვით იმისი პირადი თვისებაები გამოიხატება. ჩერქეზები თავიანთის უკანასკნელის სიკვდილის დრომდე იმას უწოდდნენ სეოსერესად ანუ სეოსირისად. იმათის თქმით, სეოსერისი იყო დიდი მგზავრობის მოყვარე ღმერთი, რომელსაც ხელთ ეპყრა ქარი და წყალი. სეოსერისის წარმომადგენელად იმათ მიაჩნდათ ქორფა მსხლის ხე, რომელსაც მოსჭრიდნენ ხოლმე ტყეში, შემოჰქონდათ ის შინ და თაყვანს-სცემდნენ იმას, როგორათაც საქონლის მფარველს ღმერთს [4]).—ეგვიპტე მიეს ოქროს რუნზე ეგვიპტეში უნდა ჰქონდეს თავისი დასაწყისი, რადგანაც იქ სამლთო ხეების თაყვანის-მცემელთ ჩვეულებად ჰქონდათ იმათის შტოების შემკობა ოქროს ნივთებით: ოქროს მანიკოთ, ბრასლეტებით, და სხ. შესაძლებელია, რომ ეს ჩვეულება ძოლხი-

---

[1]) Ethn. p. 134—135.
[2]) Ibid p. 142—143.
[3]) Ibid. p. 157.
[4]) Ibid. p. 137—138. Dubois, Voyage... t. I, p. 137. Bell, Journal. t. I, p. 249.

დაში გავრცელდა ერთს და იმავე დროს, როდესაც ხე-ტყის თაყვანის-ცემა შემოვიდა. ეს-კია, რომ Ურფეიმ აქ ნახა ოქროს რუნი, ძოლხიდის წალკოტში დაკიდებული დიდს იფნის ხეზე [1]. —Ირიმანი, „მაცთური სული“, წინააღმდეგი Ურმუზდისა, „ბრძენის სულისა“ [2], Ირიმანი, მეფე დევებისა [3], აგრეთვე ცნობილი იყო ძველ-კავკაზიაში. ძველ-კავკაზიის ზეპირ-თქმულებით, Ურმუზისაგან დათრგუნვილი Ირიმანი ანუ Ამირანი შემჭვალულია ერთს მთის შუა-გულში და შელურსმულია მძიმე ჯაჭვით, რომლის შეწყვეტასაც ამაოდ ცდილობს. Mეით დევები, რომელთაც სპარსნი წარმოგვიდგენენ ცეცხლით-მოსილ გველებად, რომელნიც არაბთ თქმულებაში არიან გადაქცეულნი დიევებათ, ბერძნების თქმულებაში ტიტანებად [4], რომელნიც ქვეყნის პირზე სთესენ სიბოროტეს და უბედურებას [5], დიაღ გავრცელებულნი არიან აგრეთვე ქართველების წარმოდგენაში. ქართველები იმათ დევებადვე უწოდებენ. Დევია უშველებელი გველი; ის ხშირად მოიხსენება სახალხო ზღაპრებში. Დევს აქვს რამდენიმე ადამიანის-მსგავსი თავი; იმისი ელვა-მოსილი თვალები, საზარელი კბილები, უშველებელი ტანი ზარსა სცემენ დედა-მიწას. Დევი ებრძვის ყოველსავე სულ-დგმულს. Mუ არ სასწაულებრივს ძალას იმისი ძლევა არას შეუძლიან.

Ფეოდალური სისტემა ანუ ფეოდალიზმი [6], ძველ-

---

[1]) Ethn. p. 389—390.
[2]) Макса Мюллера наука объ языкѣ, стр. 156 -157.
[3]) Ethn. p. 359.
[4]) Ibid. p. 315, 331 413.
[5]) Mém. sur l' Arm., t. II, p. 412, 473.
[6]) Fief ახალს ლათ. ენაზე feodum (საქსონურზე fee ჯილდო, od — საკუთრება); ქედან წარმოსდგა féodalité და feudataire. Ასე უწოდნენ საკუთრებას უძ-

ზიაში ისე ძველია, როგორათაც თვით ისტორია. ჩვენ ზემოდ მოვიხსენეთ ხუთი კასტა ანუ საზოგადო წესი სტრაბონის დროს Იბერიაში. დუბუა აღრიცხავს ჩერქეზეთში იმდენსავე კასტას, რომელნიც, იმისის შენიშვნით, სრულებით ეთანხმებიან საშუალო-საუკუნოების რაინდობას ანუ ძველის საბერძნეთის არისტოკრატიას. „სკეპტუხების ფეოდალიზმი საბერძნეთში იგივეაო, რაც ჩერქეზეთის ფეოდალიზმი. ბანვითარებულს ხასიათს ერთისასაც და მეორისასაც შეადგენდნენო მონები და ტყვენი. ალამემნონი, ულისსი, ახილლესი, რომელნიც მსუბუქის ნაეებით უეცრად დაესხმიან მდიდარს ქალაქებს, ააოხრებენ იმათ, დაატყვევებენ იმათ მცხოვრებლებს, წარმოგვიდგენენო ცხოველს სურათებს ჩერქეზეთის მამაებისას და ჯულუბებისას. როდესაც პარისი იტაცებსო ელენეს და სიდონიის დედა-წულთ, მაშინ ის იმ საქმესვე იქსო, რასაც ახლა ჰსჩადიან ჩერქეზები. მაგრამ ისე არაფერი გაგაკვირვებთო თქვენ, როგორადაც სრული მსგავსება იმათის ფეოდალიზმისა და ყოფა-ცხოვრებისა ლიტვების ფეოდალიზმთან და ყოფა-ცხოვრებასთან [1].“ მონაობას ჩერქეზეთში და აფხაზეთში მუდამ ფასი ედვა. სტრაბონი I საუკ. დამდეგ ქრისტეს შემდეგ, პროკოპი მე VI საუკუნეში, ინტერიანო მე XVI საუკუნეში და ახალის დროს ბოგზა-

---

რაეს ანუ დედა-მიწისას, რომელსაც საშუალო საუკუნოებში ბერმანიის ანუ ფრანკის მხედარნი—წინამძღოლნი ოთვისებდნენ დამონაგებულს ქვეყნებში და რომლითაც აჯილდოებდნენ თავიანთ ქვეშევრდომთ, რომელნიც იმათ ომებში დასდეედნენ.

[1] Voyage.. t. I, p. 108—109, 148—149, t. II, p. 49 50. Bell, Journal d' une residence en Circassie, t. I, p. XXXVI.

ურნი იხსენიებენ მონაობის აღებ-მიცემობას. შეიძლება ეთქვათ, მილლიონი მონები არიან გასყიდულნი ჩერქეზეთიდამ და აფხაზეთიდამ სხვა და სხვა მხარეში, ვითომც რომ „ბანგებას ჰქონდა აზრი ამ სახით კაცობრიობის მოდგმა გაეუმჯობინებინა [1])“. რა გვარად ეპყრობოდნენ აქ მონებს ეს იქიდამ სჩანს, რომ ნემეცკურის მოგზაურის რეინეგის სიტყვით, რომელსაც მოიხსენებს დუბუა, ჩერქეზები მონებს მსხვერპლად ჰსწირავდნენ მიცვალებულს ნათესაებს და მეგობრებს, ახილლესის მიბაძვით, რომელმაც თავისს მეგობარს პატროკლს შეჰსწირა, იმისს საფლავზე, მონანი და ტყვენი [2]). რა არის კავკაზიური სისხლის—ძიება“ ყველამ ვიცით. სისხლი ძაკაზიის მთიულებში წარმოგვიდგენს თითქმის მთელს სამსჯავროს—სისხლის კანონს. დუბუას სიტყვით, სისხლის—ძიება არსად არ არის ისე მკაცრად აღბეჭდილი, როგორათაც აქ. აქ დათხეული სისხლი უეჭველად უნდა იზღვიოს. მონათესაეს, მახლობელია თუ შორეული, სამღთო ვალად აძევს, რომ იმან განწმინდოს დაღვრილი სისხლი ნათესავისა, დაამშვიდოს იმისი აღშფოთებული სული. დუბუას მოჰყავს ილიადიდამ ერთი მაგალითი დასამტკიცებლად, რომ ჰომერის დროს სისხლის-ძიება სჯულად ყოფილა დაწესებული საბერძნეთში. თვით სტუმართ-მოყვარობა ძაკაზიაში, რომელიც ვალად ადებს მასპინძელს და იმისს მონათესაეებს სისხლის-ძიებას სტუმრისას, წარმოგვიდგენს აგრეთვე სტუმართ-მოყვარეობას ძველის საბერძნეთისას. ბამოაშკარებული ავაზაკობა ანუ ქურდობა ჩერქეზების ჩვეულებით უეჭველად უნდა დაისაჯოს

---

[1]) Voyage... t. I, p. 125.
[2]) Ibid. p. 140.

ორ-წილად; იდუმალი ქურდობა კი იმათს აზრში არის საქებარი საქმე, კარგი ეაჟ-კაცობა. ასე იყო თვით ლაკედემონში [1]).

ᲣᲘᲠᲘᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐᲨᲘ ᲓᲣᲑᲣᲐᲛ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲧᲣᲠᲐᲓ-ᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲐ ᲫᲕᲔᲚᲡ ᲙᲚᲓᲘᲡ-ᲥᲕᲐᲑᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲓᲘᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲑᲜᲔᲣᲚᲜᲘ ᲐᲥᲐ-ᲘᲥ. ᲘᲛᲗᲐᲗᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ, ᲓᲣᲑᲣᲐᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲣᲩᲕᲔᲜᲐ. ᲘᲛᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ „ᲙᲚᲓᲘᲡ-ᲥᲕᲐᲑᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲜᲘ ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲜᲘ.“ ᲘᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲥᲐᲛᲝᲛᲓᲔ ᲯᲔᲠ ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲧᲣᲠᲐᲓ-ᲦᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡᲝ ᲛᲘᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲒᲐᲜᲖᲔ: ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲡ ᲓᲘᲐᲦ ᲨᲝᲠᲡ ᲐᲠᲘᲡᲝ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲧᲝᲤᲐ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲙᲚᲔᲕᲗᲝ, ᲘᲡ ᲑᲔᲠᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲡ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡᲝ, ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲔᲓᲘᲐᲓᲘᲡ ᲤᲐᲠᲓᲘᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲠᲔ-ᲛᲝᲪᲣᲚᲜᲘ. ᲡᲣᲚ ᲫᲕᲔᲚᲐᲓ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ, ᲑᲘᲜᲐᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲐᲓ ᲙᲚᲓᲔᲔᲑᲨᲘ ᲥᲕᲐᲑᲔᲑᲡᲐ. ᲡᲭᲠᲘᲓᲜᲔᲜ; ᲙᲚᲓᲔᲔᲑᲨᲘᲔᲕ ᲡᲗᲮᲠᲘᲓᲜᲔᲜ ᲢᲐᲫᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲔᲑᲡ. ᲙᲚᲓᲔ-ᲥᲕᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲐᲥᲐᲛᲝᲛᲓᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ, ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲨᲘ, ᲔᲒᲕᲘᲞᲔᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲑᲘᲡᲡᲘᲜᲘᲐᲨᲘ. ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲘᲓᲣ-ᲛᲔᲗᲘᲡᲐ ᲙᲚᲓᲔᲔᲑᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲣᲚᲘ. ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲘᲡ ᲫᲘᲠᲘ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲔᲐᲙᲔ-ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ ᲘᲝᲠᲓ ᲜᲘᲡᲐ, ᲡᲐᲮᲔᲚ-ᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘᲡᲐᲕᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲗ. ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲘᲡ ᲢᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲩᲮᲔᲚᲔ-ᲢᲘᲚᲔᲑᲘᲐ ᲣᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲜᲔᲔᲑᲘᲗ. ᲓᲘᲓᲡ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲗᲠᲣᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲥᲐᲛᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲚᲓᲘᲡ ᲐᲙᲚᲓᲐᲛᲔᲔᲑᲘ; ᲥᲠᲘᲢᲘᲡ ᲚᲐᲑᲘᲠᲘᲜᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲤᲔᲑᲘᲡᲐ.

---

[1]) Voyage, t. I. p. 128—131.

მცირე—აზია და თვით შესალია საესეა მშვენიერის გროტე-ბით. [1]), შრანკიის სამხრეთად თქვენ ჰპოულობთ ურიცხეს გროტებს, „სადაც, როგორათაც სჩანს, ცხოვრობდა ნათესავი, მსგავსი ქაკაზიისა, ჩირიმისა და მეოტიდიის მოდგმისა“. [2]). Mაეისის ცივილიზაციის დასაწყისში, ამბობს იგივე დუბუა, ტაერნი, ქართველნი, კოლხნი, სომეხნი და ქაკაზიის შუა-ადგილების და ჩრდილო-მხარეების ტროგლოდიტი ცხოვ-რობდნენ კლდე-ქვაბებში. ჩირიმში არიან ისინი ბლომად გაბნეულნი ინკერმანისა, ჩერქეზკერმანისა და ტეპეკერმანის კლდეებში და სხ. საქართველოს კლდე-ქალაქები არიან: შფლის-ციხე ბორის მახლობლად, არმაზი მცხეთის გარე-შემო, ვარძია და ზედა-იმოგეი ახალციხის მაზრაში, მღვიმე იმერეთში და სხვანი [3]). ბასაოცარი შრომაა დადებული გროტებზე: მრავალი იმათგანი ეტაჟებად არის დაყოფილი; აქ არის სასინათურები, ბუხრები, ჭები ანუ მდინარეზე საეა-ლი კლდის გულში ჩათხრილი გზები და ყოველივე, რაც სახლოსნობაში საჭიროა სახმარებლად. ძვაბიდამ ქვაბამდე, ეტაჟიდამ ეტაჟამდე გამოჭრილია კიბეები, ტერრასები, გა-ლლერეები. ზოგიერთი კლდე-ქვაბები წარმოადგენენ გასაკვირ-ველს ხელოვნებას. ამ ხელოვნების მაგალითად დუბუა-უჩვენებს შფლის-ციხეს. შფლის-ციხეში, განსაკუთრებით იმისს. საუფლო პალატში, თქვენ გაკვირვებაში მოჰყვეხართ სიმმეტ-რიას და ორნამენტების ხელოვნებას: კორნიზებს, სვეტებს, თაღებს და სხ. [4]). ვისაც ყურადღებით შეუნიშნავს დუბუას

---

[1]) Dubois, Voyage .. t. VI, p. 315, 317.
[2]) Ethnog., p. 436.
[3]) Voyage, t. VI, p. 218, 319.
[4]) Ibid. p. 260—263, 282—283, 306 309, 311, 318—319.

მოგზაურობაში როგორათაც კლდე-ქვაბების ქალაქები Შირიმისა და საქართველოისა, აგრეთვე უძველესი იმათი ციხე-სიმაგრეები, ესე იგი: პანტიკაპეა, Კიმმერიკუმი, ᲑორᲘᲡ-ციხე, ხერთვისის-ციხე და სხ., ის შეუძლებელია არ დარწმუნდეს, რომ პირველთ ხელოვნებიდამ წარმომდგარა უკანასკნელთ ხელოვნებ ა: ამ ციხე-სიმაგრეების შენობის რიგი, იმათი ადგილ-მდებარება, იმათი შინაგანი დაწყობილება თითქმის იგივეა, რაც კლდე-ქვაბებში. ᲘᲡᲘᲜᲘ არიან ამართულნი აგრეთვე მაღლობებზე ტერრასებად ანუ ეტაჟებად; აქ არის გათხრილი მიწის-გულში წყალზე ჩასავალი გზა; ეტაჟიდამ ეტაჟაში გზა ანუ ახდილია, ანუ დახურულია; იმათ მაღალ-დიდროვან კლდეებზე მიდგმულია საცხოვრებელი შენობები თახჩებით, ბუხრებით, სასინათურებით, და სხ. Ძველესი ციხე—სიმაგრეები აშენებულია უკიროდ დიდროვანის ფიქალა-ქვებით; აგური ანუ არსად არის, ანუ იშვიათია [1]).

Შირიმის კიდეებიდამ და Ტაერიდის ვაკე-მინდერებიდამ დაწყობილი ვიდრე Ტანაისის და Შუბანის ნაპირებამდე მოგზაური შეჰხვდება აქა-იქ მრავალს გორაკებს ანუ კურგანებს. ᲘᲡᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ კურგანები არსად არის, როგორათაც Კიმმერიკუმისა, პანტიკაპეისა და Ტემრუკის გარეშემო და Კიმმერიის ᲑᲝᲡᲤᲝᲠᲘᲡ კიდეებზე. Კურგანები იპოვება აგრეთვე Შესალიაში, მაკედონიაში, ᲐლᲑᲐᲜᲘᲐᲨᲘ. ᲓᲣᲑᲣᲐᲡ აზრით ᲘᲡᲘᲜᲘ არიან ნაწარმოებნი იონიელთ კოლონისტებისაგან: პირველნი იმათნი მომგონნი კი უნდა იყვნენ ბერძნების წინაპარნი—პელაზგები. მრავალს კურგანზე შეუნიშნავთ უშნოდ გამოკვეთი-

---

[1]) Dubois. Voyage, t. II. p. 302–303, t. III. p. 184–189; t. V, p. 119–121, 256–262...

ლი ქვის სვეტი სფინქსის სახით. შიგნიდამ ზოგიერთი კურგანი თავ-შეკრულია ეგვიპტურის თაღით. ქურგანებში იპოება დიად ღირს-შესახიშნავი არხეოლოგიისთვის საგნები: მამა-კაცის და დედა-კაცის ძვლებზე ბრასლეტები, მანიაკები, გულზე ეგვიპტური თალისმები და სხვა სამკაული, ძველი მანეთები და ვაზები წარწერაებით ბერძნულს ენაზე [1]). აქ განსაკუთრებით თქვენს ყურადღებას მიაქცევენ ვაზები, რომელთაც უწოდებენ ეტრუსის ვაზებად, რადგანაც ისინი პირველად აღმოჩნდნენ ეტრურიაში იტალიაში, და რომელნიც აღმოიპოებიან როგორათაც საბერძნეთში, აგრეთვე მთელს აღმოსაელეთის მხარეებში. ბერძნები ამ ვაზებს უწოდდნენ კადოს; ისინი იყენენ თიხისა, გამომწვარნი და წარმოადგენდნენ რამდენსამე სხვა და სხვა ფორმას: იმათ ჰქონდათ ერთი, ორი და სამი ყური; კადოსები შეადგენდნენ წყლის მოსატანს ჭურჭელს, მხარზე ანუ თავზე შემოსადგმელს. ესრის უყურო კადოსებიც, დიად დიდის ზომისა, რომელნიც მთლად ჩამჯდარნი არიან მიწაში ღვინის შესანახავად. ეს არის ჩვენებური ქვევრები, რომელნიც ბლომად იპოებიან ეირიმის ძველს ნანგრევებში. რამდენადაც ეირიმს დაჰშორდებით და საქართველოს შუა-გულში შესდიხართ, იმდენად ქვევრების ზომა უფრო დიდია. ქახეთში, ამ მთელის ძაეკაზიის უკეთესს ვაზის სამშობლო ადგილში, სიმაღლე უდიდესის ქვევრისა ერთი საჟენია და მეტიც [2]). „ღვინის შენახვა

---

[1]) Voyage... t. V, p. 30—31, 44—45, 75—77, 132—133, 137 162, 181—183. Klaproth, Voyage au mont Caucase, t. I, p. 236. Ethn. p. 203—209, 347.
[2]) Dubois, Voyage, t. I, p. 285 t. V, 151—161; t. VI, p. 177, 385.

ქვეყრებში, დუბუას გამოკვლევით, დიაღ ძველი ჩვეულებაა, მაგრამ არ შეგვიძლიან დავამტკიცოთ, ეს ჩვეულება ქართველებმა ბერძნებისაგან მიიღეს, თუ ბერძნებმა ქართველებისაგან. ეს — კია, რომ როდესაც არგონავტები ქოლხიდაში შემოსულან, მაშინ ქოლხიდაში ცივილიზაცია კიდეც დამყარებული ყოფილა [1].“ „უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული სიტყვა ღვინო სომხურად ითქმის კინი, ბერძნულად οἶνος, ლათინურად vinum, რომელნიც თითქმის ერთგვარ გამოითქმიან, მაშინ როდესაც ეს სიტყვა არ არის სპარსულში, არაბულში, თურქულში და თურქო-თათრულში. ეს შემთხვევა და აგრეთვე ისა, რომ ვაზი ისე უხვად არ სად იპოება, როგორათაც საქართველოში და სომხეთში, გვიმტკიცებენ, რომ საქართველო და სომხეთი უნდა შეადგენდნენ ნამდვილს ვაზის სამშობლო ადგილს, რომ ვაზი აქედამ უნდა იყოს გაერცელებული. იმ მხარეებში, რომელნიც ჩრდილოეთით საშუალო-ქვეყნის ზღვას მოებჯინებიან. ეს უფრო ამისთვის არის დასაჯერებელი, რომ არც vinum, არც სხვა იმისი მსგავსი სიტყვა არ აღმოიპოება ძველს ინდოეთის ენაში, რომელსაც დაუცვავს მრავალი ფესვი, ერთი და იგივე იმისს მონათესავე ენებში — ლათინურში, ბერძნულში და ნემეცურში [2].

კავკაზიის ტომთ მეურნეობა აღბეჭდილია აგრეთვე ძველის დროს ბეჭდით. აწინდელის ჩერქეზების სახლოსნობა, დუბუას თქმით, წარმოგვიდგენს ნამდვილს სახლოსნობას ჰურლანდიის ლეტტებისას, ამ ნახევარ-სლავიანურის და ნა-

---

[1]) Dubois, Voyage... t. I, p. 285.
[2]) Klaproth, Tableau du Caucase, p. 123.

ხეარ-ფინნურის ტომისას [1]. ჩვენ ეპოეულობთ ძველად, ხვა-თა შორის, ჩვეულებას, რომელსაც ჯქამომდე მისდევენ საქართველოს ტომის ნაწილი და სომხები: ფეხ-მოკეცით სხლომას ხალიჩა-დაფენილს ტახტზე, მუთაქაზე მიწოლით [2]; ეპოეულობთ საჭმელში ქაშათ ხმარებას—ბრინჯისას საშუალო-აზიაში, ჭართლში, ქახეთში და სომხეთში, ღომისას (panicum italicum) ლიხის მთას იქით და იმისს მსგავსს საჭმელს სლავიანურს ტომებში, ლიტველებში და ლეტტებში [3]; ეპოეულობთ მწვადს, რომელსაც .იმ გეარადვე ამზადებ-დნენ, როგორათაც ახლა ჩვენში, თვით ილიადის დროს ბერძნები [4]; ეპოეულობთ ღვინის სმას ეერცხლის აზარფეშებით და ყანწებით [5] და ამასთანავე ნადიმებში ტოსტის წარმოთქმას ნათესავთ და მეგობართ სადღეგრძელოდ და სულის განსასვენებლად: ეს ჩვეულობა ჰომერის დროსვე იცოდნენ [6].—მვით კავკაზიური ტანთ-საცმელი არ არის ახალი: პანტიკაპეის ძეგლების მხატრობაში ლუბუას ცხადად შეუნიშნავს როგორათაც ჩვენებური დედა-კაცური ჩადრი, აგრეთვე მამა-კაცური ჩოხა, რომელიც არის ტანთ-საცმელი უწინდელის გერმანიელებისა, სკვითებისა, სარმატებისა და აგრეთვე სერმეჯი აწანდელის ლიტვებისა [7]. ჩვენებური ნაბადი, სომხური იაფინჯი, ჩერქეზული ჯანო, სხვა არა არის რა, როგორათაც ძველი ხლამიდა, რომელშიაც ულისის მამა ლაერტი, ილიადის თქმულებით, ზამთარში, ცეცხლთან

---

[1]) Dubois, Voyage, t. I, p. 114.
[2]) Ibid t. V, p. 208, 211,234—235.
[3]) Ibid. t. I, p. 146, note 1.
[4]) Ibid note 3.
[5]) Ibid. t. V. p. 204, 205.
[6]) Ibid. t. I, p. 86, note 1.
[7]) Ibid. p. 118—119, t. V, p. 203, 210, 213.

გახვეული იწვა, მონებ—მხლებილი [1]). ხმარობენ აგრეთვე კავკაზიელნი სლაეიანო-თათრულს თულუფს [2]). Mეერქული ბაშლიკი, აფხაზური ხეთაფი, ჩერქეზული ფახო, ქართული ყაბალახი წარმოგვიდგენს ფრიგიულს თავ-სახურს, რომელიც იხმარებოდა სკვითებისაგან, რომელსაც ახალს დრომდე ხმარობდნენ ლიტველნი და რომელიც ძავკაზიაში გავრცელებულია ყველგან. Ყაბალახი ხშირად აღმოიპოება პანტიკაპეის ძეგლებისა და Mეტრურიის ვაზების მხატრობაში, სადაც ამასთანავე შეინიშნება ამაზონების სრულს კავკაზიურს ტანსაცმელზე ჩერქეზული ეიწრო შარვალი და ტყავის ბაშმაკები, რომლებთაც ხმარობდნენ სკვითნი [3]). შეინიშნება აგრეთვე სამხედრო იარაღი; სახელდობრ: ხელ-შუბი, შეილდ-ისარი [4]) და მრგვალი ფარი, ხით შეწნული, თეით იმ გვარი ფარი, როგორიც დაჰქონდათ ძველს ძავკაზიის ტომებს და აქამომდე დააქვთ გლიგოელებს ანუ ინგუშებს [5]).

აქ არ შეიძლება არ მოვიხსენოთ თავად-აზნაურის ვაჟის აღზდა ჩერქეზებში, აფხაზებში და თეით განელილის საუკუნოების საქართველოში, როგორც ამას შემდეგ ეუჩვენებთ. Mაჟი სიყმაწვილობაშივე გაებარებოდა უცხო სახლში, სადაც ასაკობამდე იზდებოდა და ისწავლებოდა ჩვეულებისამებრ; დაბრუნების დროს შესაფერი ჯილდო იყო დადებული. ხან და ხან გამზდელი თეითონვე კისრულობდა ჭაბუკი-მოწაფის დაქორწინებას: როდესაც ის ლირსეულს დედა-წულს შეჰნიშნავდა, ის მეგობრების შემწეობით იმას იტაცებდა და

---

[1]) Dubois, Voyage... t. I, p. 121, 147 note; t. V, p. 180.
[2]) Ibid t. V, p. 202.
[3]) Ibid. t. I, p. 120—121; t. V, p. 178, 210—211.
[4]) Ibid. p. 207.
[5]) Ibid. p. 178.

იმისს სასყიდელს თვითონვე მეგობრების თანა-შემწეობით აძლევდა ქალის დედ-მამას. ეს ჩვეულება წარმოგვიდგენს პელეას, რომელიც აბილლეს აღსაზრდელად მიანდობს ცენტორს ხირონა. სასყიდელი, ახლანდელის მზითვის მაგიერი, ეკუთვნის აგრეთვე ძველს ჰომერის დროებას: როდესაც ალამემნონი ფიქრობს, რომ ერთი თავისი ქალი მისცეს ახილლეს, აგვები ამ სახით ის დაამშვიდოს ბრიზეის მოტაცებისათვის, მაშინ ის ამბობს: არა თუ მე არ მოვთხოვო აბილლეს ჩვეულებრივს სასყიდელს, მე თვითონ მოუმზადებო ჩემს ასულს მდიდარს მზითვეს [1]). ჩერქეზებს, ფშაველებს, თუშებს და ხევსურებს უკანასკნელს დროამდე ჩვეულებად ჰქონდათ გამოსყიდვა ომში მოკლულის მონათესავისა. ბანგებ გაჰგზავნიდნენ ისინი კაცს მტერთან და დაიბრუნებდნენ გვამ.; ამისს ფასად იყო საქონელი, ცხენი და სხვა საგნები: „აქ ც ვხედავთ ჰომერის სურათს, რომელიც მოკლულის ჰექტორის გამოსყიდვას წარმოგვიდგენს [2]). ჩვენ ზემოდაც მოვიხსენეთ ერთი ბარბაროსული ჩვეულება, რომელსაც, დუბუას მენიშვნით, მისდევდნენ ტივრები, ლიტველები და ოსები, ესე იგი: ომში მოკლულის მტრის თავის და ძვლების მილურსმა სახლებზე [3]). ეს ჩვეულება, როგორც ჩვენ ადგილობრივ დაერწმუნდით, თუშებში, ხევსურებში და ფშაველებშიაც იყო უკანასკნელს დროამდე, მაგრამ აქ თავების ნაცვლად მიჰლურსმავდნენ სახლებზე მტრის მარჯვენა ხელს; ეს ჩვეულება იმათ საკვეხრად ჰქონდათ.

Დასასრული პირველის რვეულისა.

---

[1]) Dubois, Voyage... t. I, p. 115—116, notes. Bell, Journal... t. I, p. xiij, xlj.
[2]) Dubois, Voyage... t. I, p. 140.
[3]) Ibid. t. V, p. 10—11.

ამ რვეულის შეცდომაები.

ბეერდი:

	ზემოდამ.	ქვემოდამ.	დაბეჭდილია.	უნდა იყოს.
2	14	„	ისტორის	ისტორიას
3	10	„	მოჰფენს'	მოჰფენს,
0	„	5	ადგილ ზე	ადგილს
3	11	„	სისუტე	სისუსტე
9	12	„	შემჭულნი	შემჭეალულნი
0	„	1	Etn.	Ethn.
4	„	1	Empire des Tsars, II p. 530—554.	Empire des Tsars, II, p. 530—554. Наука объ языкѣ, стр. 239, 254; Нибуръ въ „Сочиненіяхъ Гриновскаго“ 1856, ст. 2, стр. 57—59.
7	7	„	მშეილდ-ისარს	შეილდ-ისარს
–	„	6	დალიტანი	დალისტანი 4).
–	„	7	დალისტანი 4).	დალისტანი.
12	7	„	განეითარებულს	ბანეითარებულს
20	11	„	რომლებთაც	რომლებსაც